

შოთა რუსთაველის სახელობის  
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

# ტიქსტოლოგიური ეტიუდები

სამეცნიერო კრებული

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2021

კრებული ეძღვნება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის,  
ტექსტოლოგის – რუსუდან კუსრაშვილის ნათელ ხსოვნასა  
და მისი დაბადებიდან 90 წლის იუბილეს

**კრებულის მთავარი რედაქტორი:**

მაია არველაძე

**სარედაქციო კოლეგია:**

როსტომ ჩხეიძე

ელისაბედ ზარდიაშვილი

ჯულიეტა გაბოძე

ნანა ფრუიძე

**კომპიუტერული უზრუნველყოფა**

დათო გოგლიძე

კრებული დაიბეჭდა გიორგი თევდორაძის  
ფინანსური მხარდაჭერით

© მ. არველაძე, 2021

© გარეკანის დიზაინერი კონსტანტინე თევდორაძე  
გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-125-0

## სარჩევი

შემდგენლებისგან.....	5
<b>წერილები</b>	
<b>† რუსუდან კუსრაშვილი</b>	
რატომ არ არის მართალი თენგის სანიკიძე.....	7
<b>მაია არველაძე</b>	
სახელმძღვანელო სახელმძღვანელოსთვის.....	15
<b>ლევან ბრეგაძე</b>	
პოლემიკა ეპიგრამებით (ერთი ავტოგრაფის ისტორია).....	37
<b>მურად მთვარელიძე</b>	
მაკინე ამირეჯიბის ერთი ხელნაწერი რვეულის გამო.....	41
<b>კლარა გელაშვილი</b>	
90-იანი წლების ლიტერატურული რეფლექსია ნაირა გელაშვილის ნაწარმოების მიხედვით.....	59
<b>მაია არველაძე, ელისაბედ ზარდიაშვილი</b>	
აკაკის ბიოგრაფიის უცნობი შტრიხები.....	70
<b>შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინსტიტუტის ტექსტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის 2019 წლის 19 ივნისის კონფერენციის – „საარქივო მასალები და ტექსტოლოგიური კვლევები“ – მასალები</b>	
<b>როსტომ ჩხეიძე</b>	
ლიბრეტოდ შორეული ჰანგების (იოსებ გრიშაშვილი და ქალაქური სიტყვარი).....	78
<b>ჯულიეტა გაბოძე</b>	
ალექსანდრე აბაშელის უცნობი ლექსი და მისი ავტოგრაფი.....	115
<b>ნათელა ჩიტაური</b>	
საარქივო-დოკუმენტური მასალის როლი საზღვარგარეთ შექმნილ მწერლობაში.....	124

<b>ნანა ფრუიძე</b>	
აკაკი და ლოტო .....	142
<b>რუსუდან კობახიძე</b>	
ტაო-კლარჯეთის თემა ქართულ ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებში .....	148
<b>ელისაბედ ზარდიაშვილი, მაია არველაძე</b>	
აკაკის უბის წიგნაკების ჩანაწერები .....	158
<b>ინტერვიუ</b>	
<b>ელისაბედ ზარდიაშვილი</b>	
რუსუდან კუსრაშვილი – ქართული ტექსტოლოგიის ნოვატორი (ინტერვიუ პროფესორ ნორა კოტინოვთან) .....	167
<b>მოგონებები რუსუდან კუსრაშვილზე</b>	
<b>მაია არველაძე</b>	
შვილის მადლობა .....	176
<b>ლამარა შავგულიძე</b>	
ვერ დაგივიწყებთ .....	178
<b>მარინე (ტუია) ქყონია</b>	
ჩემი რუსიკო .....	180
<b>† ლამარა მეგრელიშვილი</b>	
მოგონება .....	182
<b>ჯულიეტა გაბოძე</b>	
რუსუდან კუსრაშვილი და ტექსტოლოგიის განყოფილება ..	183
<b>საოჯახო არქივები</b>	
რუსუდან კუსრაშვილის საოჯახო არქივიდან .....	190
<b>რუსუდან კუსრაშვილის სამეცნიერო ნაშრომთა ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>198</b>

## შემდგენლებისგან

ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში (დღევანდელი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი) 1956 წელს შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების აკადემიური გამოცემების მომზადება დაევალა. რადგანაც გამოცემების მომზადება ტექსტოლოგიის, როგორც ფილოლოგიის მეცნიერული დარგის, მთავარ საქმიანობას წარმოადგენს, 50-იანი წლების ბოლოს ინსტიტუტის ბაზაზე გაიხსნა ტექსტოლოგიის განყოფილება, რომელსაც სათავეში ლიტერატურათმცოდნე, მკვლევარი სოლომონ ყუბანიშვილი ჩაუდგა. განყოფილების სპეციალისტებმა მეცნიერული ტექსტოლოგიის პრინციპების დაცვით მოამზადეს არაერთი საეტაპო მნიშვნელობის გამოცემა. ტომებზე მუშაობის პარალელურად განყოფილების თანამშრომლები თარგმნიდნენ დარგობრივი ხასიათის საუკეთესო უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურასა თუ სახელმძღვანელოებს, რითაც დიდი წვლილი შეჰქონდათ ქართული ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის განვითარების საქმეში.

1970 წლიდან ტექსტოლოგიის განყოფილებაში საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო კრებულების მომზადებისა და გამოცემის ტრადიციას. მათში დაბეჭდილი სტატიების ავტორები მკითხველს აწვდიდნენ ინფორმაციას მეცნიერული ტექსტოლოგიის საკითხებისა და პრინციპების შესახებ, აცნობდნენ უახლეს კვლევებს. კრებულები „ტექსტოლოგიის საკითხები“, „ტექსტოლოგიური ეტიუდები“, „ტექსტოლოგიური წერილები“, „ტექსტოლოგიური ძიებანი“ და „ტექსტოლოგიის საფუძვლები“ პერიოდულად გამოდიოდა 1983 წლის ჩათვლით. სამწუხაროდ, გარკვეულ მიზეზთა გამო, ეს ტრადიცია შეჩერდა.

ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის კვლევითი ცენტრის გადნაწევრილებით (ხელმძღვანელი როსტომ ჩხეიძე) კვლავ გამოიცემა სამეცნიერო ტექსტოლოგიური ხასიათის კრებული განახლებული სახით, რომელიც წარმოდგენილი იქნება რამდენიმე რუბრიკით: „სამეცნიერო წერილები“, „სასესიო მასალები“, „ინტერვიუ“, „მოგონებები“, „საოჯახო ალბომიდან“ და სხვ.; ტექსტოლოგიური ხასიათის წერილებთან ერთად დაბეჭდება ლიტერატურული ნარკვევები და წინა თაობის ქართველ ტექსტოლოგთა დღემდე გამოუქვეყნებელი წერილები.



# წერილები

რუსუდან კუსრაშვილი

## რატომ არ არის მართალი თენგიზ სანიკიძე<sup>1</sup>

ბოლო ხანებში ქართული ლექსიკონების გამოცემას დიდი ყურადღება მიექცა, მაგრამ მათი სიმცირე ჯერ კიდევ საგრძნობლად თვალში საცემია. სხვადასხვა მიზეზთან ერთად ეს ალბათ განპირობებულია იმითაც, რომ ტექნიკურად მათზე მუშაობა ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს და საკმაოდ შრომატევადია. ამავე დროს თავისთავად ლექსიკონის შედგენა ურთულესი საქმეა, რადგანაც მასში გამოტანილი თითოეული სიტყვა პრეტენზიული ხდება, რაც შემდგენლისაგან დიდ დაფიქრებას, ენათმეცნიერულ, ლექსიკოლოგიურ თუ ლიტერატურულ ცოდნას მოითხოვს. ამიტომ არის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ცალკე გამოყოფილი ლექსიკოლოგიის განყოფილება, რომელსაც სიცოცხლის ბოლო ხანებამდე ფაქტიურად სათავეში ედგა დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ლექსიკონები სხვადასხვა ხასიათისაა. მაგალითად, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი კარგა ხანია, შეისისხლხორცა ქართველმა ერმა, როგორც ცოდნის „წყარო არსობისა“ და სამაგიდო ნიგნად გახდა, ხოლო მასში წარმოდგენილი ქართული სიტყვების განმარტებანი და ამ სიტყვათა ფორმები ქართული ენისა და მეტყველების კანონად იქცა. მას განმარტებითი ეწოდა იმიტომ, რომ ლექსიკონში გამოტანილი სალექსიკონო ერთეულები თავისი ფორმებით რიცხვობრივად მაქსიმალურად არის განმარტებული. ეს ზოგადად აღებული ქართული ენის ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც დასტურდება და მოწმდება კონკრეტული მაგალითებით, თუ როგორ წარმოჩინდებიან ისინი ამა თუ იმ ქართველი მწერლის

<sup>1</sup> წერილი იბეჭდება პირველად – რედ.

შემოქმედებაში ან როგორ იხმარება ისინი დიალექტებში. რადგანაც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული ზოგადი ხასიათისაა, მისი პრინციპით მიდგომა რომელიმე უფრო კონკრეტული ლექსიკონისადმი (მით უმეტეს თუ იგი სიმფონიურია) მიუღებელი უნდა იყოს და, აი, რატომ: ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ან რომელიმე ნაწარმოების ლექსიკონი ისეთივე თავისებურ იერსახეს იღებს, როგორც მწერლის შემოქმედება ან ესა თუ ის ნაწარმოებია. მათ გააჩნიათ სიტყვათა ხმარების თავისებურებანი, ამათგან ზოგი მათგანი შეიძლება სხვა შინაარსობრივ ელფერს იღებდეს ან მხოლოდ ამ მწერლის ან ნაწარმოებისათვის ისეთი დამახასიათებელი ფორმები გამოვლინდეს, რასაც სხვაგან ვერ შევხვდებით და ა. შ. ამიტომ, როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ლექსიკონები თავისებურ მიდგომას მოითხოვს, რასაკვირველია, ლექსიკოლოგიური პრინციპების დაცვით. მაგალითად, დაახლოვებით სამი ათეული წლის წინათ აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით შეიქმნა დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის შემოქმედების სიმფონია-ლექსიკონი (მას აქეთ იგი გამოცემას ელის)<sup>2</sup>, რომელშიც შევიდა აბსოლუტურად ყველა სიტყვა, რასაც დ. გურამიშვილი ხმარობს თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში (იგულისხმება პროზაული ნაწარმებიც). ლექსიკონი შედგა პოეტის ერთადერთი ავტოგრაფის – „დავითიანის“ – მიხედვით, რომელიც ავტორის ნებას წარმოადგენს და **გამომცემლების ჩარევისაგან თავისუფალია**. მასში სალექსიკონო ერთეულები დალაგებულია ბუდობრივად ე. ი. გამოტანილია სიტყვათა ძირები ან ფუძეები, რომლებსაც გვერდით მიწერილი აქვს ამათგან წარმოებული გურამიშვილისეული ყველა სიტყვა (მაგალითად, **კეთ** – გაკეთ-ებ-ა, შე-კეთ-ებ-ა, კეთ-ილ-ი, გადა-კეთ-ებ-ა და ა. შ.). იქვე მოტანილია ამ სიტყვების შემცველი ილუსტრაციები, ხოლო შედარებით გაუგებარ სიტყვებსაც იქვე ეძლევა განმარტება. ლექსიკონს დართული აქვს ანბანური საძიებელი პოეტის შემოქმედებაში ხმარებული ყველა სიტყვისა, რომლებსაც მითითებული აქვთ ბუდე (გასაკეთებელი, იხ. **კეთ**), რაც აადვილებს ლექსიკონზე მუშაობას, ხოლო თვით ლექსიკონი მოც-

---

<sup>2</sup> ლექსიკონი გამოიცა 2005 წელს – რედ.



უღობით უფრო ეკონომიური გახდა, ამავე დროს ერთი ძირისა და ფუძის ყველა სიტყვა ერთად იყრის თავს და მკითხველს არ უხდება მათი აქეთ-იქით ძებნა. სიტყვათა ფორმები აბსოლუტურად ისეა დაცული, როგორც თვით პოეტს აქვს და არცერთი მათგანი არ იკარგება. ვფიქრობთ, გასაგები უნდა იყოს ამგვარი ლექსიკონის მნიშვნელობაც და დანიშნულებაც.

**როცა ლექსიკონი ერთ მწერალზე ან ნაწარმოებზე დგება, მეორე აზრი არ უნდა არსებობდეს, რომ ამ ლექსიკონში მხოლოდ მისი ავტორი უნდა ჩანდეს.** ლექსიკონის შემდგენელის ფუნქცია სულ სხვაა. იგი ავტორის მიერ გამოყენებული სიტყვებისა და ფორმების, ასე ვთქვათ, მომწესრიგებელია, თითოეული სალექსიკონო სიტყვის ადგილის განმსაზღვრელია ლექსიკონში და არ უნდა „შეიჭრას“ მწერლის შემოქმედებით მუშაობაში. ამიტომ არ არის მართებული ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონს ავტორად რომ აწერია შემდგენლის სახელი და გვარი. ავტორი ამ სიტყვებისა არის ილია ჭავჭავაძე და ლექსიკონის ყდაზეც უნდა ეწეროს: ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონი, შემდგენელი თენგიზ სანიკიძე (ან უფრო ვრცლად – ლექსიკონი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა დაურთო თენგიზ სანიკიძემ). ძირითადად ამგვარი ლექსიკონების სიმფონიები მზადდება, ე. ი. ლექსიკონში მწერლისეული ყველა სიტყვაა აღნუსხული, რომლებიც კი ავტორს გამოუყენებია. ამიტომ სამართლიანია ნ. წულეისკირის პრეტენზია, როცა ილიას პოეზიის ლექსიკონში ილიასეული ყველა სიტყვის არსებობას მოითხოვს და მასთან ერთად ზოგი გაუგებარი სიტყვის ახსნასაც (იხ. „კრიტიკა“, 1986 წ., № 5, ნ. წულეისკირი, „ავფონი“ და „ანასუნი“), რაზეც თ. სანიკიძე ასე პასუხობს: „სწორი ბრძანებაა, დაევალებოდა (ლექსიკონს ან სიტყვების ახსნა-განმარტება – რ. კ.) იმ შემთხვევაში, თუ ლექსიკონის შემდგენელი სიტყვათა განმარტებას დაისახავდა („კრიტიკა“, 1987 წ., № 6, თ. სანიკიძე, „რამდენიმე განმარტება“).

როგორც აღვნიშნეთ, განსამარტ სიტყვებს ლექსიკონში ძალიან სასურველია და, ვფიქრობთ, აუცილებელიცაა, მიეცეს განმარტება, რაც არ ნიშნავს საერთოდ ყველა სიტყვის განმარტებას. ალბათ, თ. სანიკიძემ ვერ გაუგო ნ. წულეისკირის

მოთხოვნას, როცა ასეთი განცხადება გააკეთა: „თუ ყველა სიტყვას განვმარტავთ, მაშინ დუბლირება მოხდება შედგენილ ლექსიკონსა და არსებულ განმარტებით ლექსიკონს შორის, რომელშიც დიდი ნაწილი ჩვენი ეროვნული სიტყვიერი მასალისა განმარტებულია“.

როდესაც მწერლისეულ ლექსიკონში ავტორის ენა აბსოლუტური სიზუსტითაა დაცული, ასეთი ლექსიკონის ფუნქციაც გამართლებულია, ამიტომ ნ. წულეისკირის სიტყვები ჭეშმარიტებას არ არის მოკლებული, როცა აღნიშნავს: „ჩემი ღრმარწმენით სიტყვები (სწონს, ბლხინობს, ჰსტკებება, ჰმღერის, ჰგიჟობს, ჰხარობს და ა. შ. – რ. კ.) და არა მარტო ეს სიტყვები ლექსიკონში უნდა იყოს იმ მიმართულებით შეტანილი, რა მართლწერითაც თვითონ ილია წერდა. მკითხველს არ უნდა დასჭირდეს ფიქრი იმაზე, სად იპოვოს სიტყვები: ჰლხინობს, დამშეთენიეს, აღმეჰსნენ და ა. შ.“ ეს იმას ნიშნავს, რომ **სანამ შემდგენელს ხელთ არ ექნება მწერლის აკადემიურად დადგენილი ტექსტი, მანამ მის ლექსიკონზე ფიქრი ცოტა ადრე იქნება.** სამწუხაროდ, ეს ტრადიცია (ავტორისეული, აკადემიური ტექსტის დადგენა) ჩვენთან ძალიან ძნელად იკიდებს ფეხს. შეიძლება ჩვენი ეს ნათქვამი ცოტა კატეგორიულიც გამოჩნდეს, მაგრამ ფაქტი ფაქტია – **თუ მწერლის ლექსიკონს ვცემთ, მასში, როგორც აღვნიშნეთ – მხოლოდ მწერალი უნდა ჩანდეს.** ამ საქმეში აჩქარება არავითარ სიკეთეს არ მოგვიტანს, მიუხედავად მასში ჩვენი დიდი ჩამორჩენილობისა. ამიტომ არ არის მართალი თ. სანიკიძე, როცა ბრძანებს: „მე როგორც ლექსიკონის შემდგენელს, რა უნდა მექნა, მელოდა, ვიდრე ეს და მსგავსი საკითხები გაირკვეოდა?“ შედეგად **გამოიცა ილიას პოეზიის ლექსიკონი და მასში ილიასეული ფორმების ნაცვლად ხშირად ვნახულობთ პ. ინგოროყვასეულ ფორმებს,** რომელსაც შემდგენელი დაეყრდნო (იხ. პ. ინგოროყვას რედაქციით გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომი, 1951 წ.). ასევე სალექსიკონო ერთეულებად გამოტანილია ხშირ შემთხვევაში სწორი ფორმები. (ამ მხრივ კი შემდგენელი განმარტებით ლექსიკონს დაეყრდნო). რა ქნას მკითხველმა, რომელიც ეძებს ილიას სიტყვებს, მაგრამ ისინი ან სულ არ არის ან სხვა ფორმითაა წარმოდგენილი (ამას სისტე-

მატური ხასიათი აქვს და საკმაოდ თვალში საცემია). თ. სანიკიძის თქმით კი, რა მართლწერილთაა წერდა ილია, იმ მართლწერით შეუტანია მას ლექსიკონში სიტყვები. „ასე ვიქცევით ჩვენ ყველა შემთხვევაში, ოღონდ ეს მართლწერა დაცულია სიტყვის ბუდეში, სადაც საილუსტრაციო მასალაა მოხმობილი“. თუ თვალს გადავაგვლებთ ლექსიკონს, არც ილუსტრაციებში გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა. მაგალითად, ლექსიკონში ვერ ვნახეთ ილიასათვის დამახასიათებელი სიტყვები: **ალბად**, **ესრედ**, **აქეთ**, **ეგრედ**, იმ დროს, როცა სალექსიკონო ერთეულებად გამოტანილია ცალ-ცალკე **წინათ** და **წინად**, ასევე გამოტანილია ერთეულებად **ჯერ** და **ჯერეთ**, მაგრამ არ არის **ჯერედ**; გამოტანილია **კდომა**, მაგრამ დაკარგულია **საკდომი**, ასევე არ არის **გარშამო**, არ არის სიტყვა **უდრო-უდროდ**, რომელიც ილიასეულია (**უდროო-დროდ** სალექსიკონო ერთეულის ილუსტრაციაში შედის **უდრო-ოდროდ**). არის **ბევრჯერ**, მაგრამ არ არის **ბევრჯელ**. **ხმალთან** არ არის ილუსტრირებული **ხლმის**. არ არის ილიასეული **ბაშვი** (პოეტი ერთი-ორი გამონაკლისის გარდა საერთოდ ხმარობს სიტყვას ბაშვი ბავშვის ნაცვლად), **იმრგვლივ**, **ძინვარი**, **მხვედრი** და ა.შ. თუ, მაგალითად ცალკეა გამოტანილი ფორმები **ხოლო** და **მხოლო**, რატომ არ არის **ხვედთან მხვედრი**? **გულ-ჩვილობა** ილიას ორი ჩ-თი აქვს, რაც ლექსიკონში არ აღინიშნა. აქვე დავუმატებთ შემდეგს: ერთი და იგივე სხვადასხვა ფორმიანი სიტყვა სხვადასხვა ასოზეა გამოტანილი, უდავოა, მკითხველისთვის რთული პირობაა და ვფიქრობთ, ცოტა უხერხულიც არის ასეთი პრინციპით მწერლის ლექსიკონის შედგენა, მაგალითად, იგივე **ხოლო** გამოტანილია ასო ხ-ზე, მისი იდენტური **მხოლო** კი – მ-ზე. **ადგება** ა-ზეა გამოტანილი, **დგომა** კი – დ-ზე, **ს-წყურია**, **ს-წყურ-ს**, **წყურვილი** ცალ-ცალკე ერთეულებადაა ნ-ზე გატანილი, **მწყურვალი** კი – მ-ზე, ასევე **შვენება** შ-ზეა, **მშვენება** კი – მ-ზე, **ძრახავს** და **ძრახვა** მ-ზეა, **დასძრახავს** – დ-ზე და ა. შ. გაუგებარია, ერთი და იგივე სიტყვა რატომ არის გამოტანილი, თუნდაც ერთსა და იმავე ასოზე ცალ-ცალკე. მაგალითად, ზემოთ მოტანილი სიტყვები **სწყურია** და **სწყურს**, **მხოლო** და **მხოლოდ**, **წყევლა** და **სწყევლის**, **მწუხარე** და **მწუხარი**, **მღვიძარე** და **მღვიძარი** და მრავალი მსგავსი

(ვფიქრობ, მათი პარალელურად გატანა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა: **მღვიძარი/მღვიძარე** და ა. შ.).

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ თვით ილუსტრაციებშიც იკარგება პოეტი. მაგალითად, **ლაშქართან** მოტანილ ილუსტრაციაში ლაშქარის ნაცვლად უნდა იყოს ილიასეული **ლაშქარი** (როს შენ დაგიპყრო მაკედონის გმირის **ლაშქარმა**); **კურდღლის** ნაცვლად უნდა იყოს **ყურდღელი** (**ყურდღელსავითა** ფზიზელი ძილი); **სინჯავდნენ** ნაცვლად კი **შინჯავდნენ** (ერთმანეთს თითქო კიდევ **შინჯავდნენ**) და სხვ. მაშასადამე, აქაც დაიკარგა ილიასეული სიტყვები – **ლაშქარი, ყურდღელი და შინჯავდნენ** – ფორმებით, რომლებიც ძველი ქართულიდან და აღმოსავლური დიალექტებიდან მოდის.

არც იმ შემთხვევაშია მართალი თ. სანიკიძე, როდესაც გამოთქვამს აზრს, სალექსიკონო ერთეულებად ილიას ლექსიკონში გამოტანილ უნდა იქნას სწორი ფორმები (როგორც განმარტებით ლექსიკონშიაო); **როგორც დაუშვებელია აკადემიურ გამოცემაში მწერლის ბოლო ნების გაუთვალისწინებლობა და ტექსტში ნებისმიერი ჩარევა რედაქტორ-გამომცემლისაგან, ასევე დაუშვებელი უნდა იყოს მწერლის ნაწარმოებთა ლექსიკონებში არაავტორისეული ფორმების გამოტანა**. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, რასაკვირველია, ილიას პოეზიის ლექსიკონი სრულად ვერ ჩაითვლება და სიმფონიაც არ უნდა დაერქვას. აკი შემდგენელი თავსაც იკავებს და მას მხოლოდ ლექსიკონს უწოდებს, თუმცა ამის მიზეზს სხვაგვარად ხსნის: თურმე, რახან ილიას პოეზიის ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულებად არ არის გამოტანილი თანდებულები და ნაწილაკები, ამიტომ არ უწოდა მან სიმფონია ლექსიკონი – „თანდებულები და ნაწილაკები ცალკე აქვს გამოყოფილი აკაკი შანიძეს თავის „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაში“. ვინაიდან თანდებულები და ნაწილაკები ცალკე სალექსიკონო ერთეულებად ვერ გამოყავით, წიგნს სიმფონია ვერ დავარქვითო“. აკ. შანიძის ასეთი პრინციპით მუშაობა ლექსიკონზე სავსებით გასაგებია, რადგანაც ძველ ქართულში ცალკე სიტყვებად არის გამოყოფილი თანდებულებიც და ნაწილაკებიც (ზოგჯერ ტირეთი), რომლებსაც აზრობრივი მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ვეფხისტყაოსანის ლექსიკონი ვერ

გამოდგება მისაბაძ მაგალითად ახალი ქართულით დაწერილი პოეზიის ლექსიკონისთვის, რადგანაც ახალ ქართულში თანდებულებს და ნაწილაკებს დამოუკიდებლობის ფუნქცია აქვთ დაკარგული და სიტყვასთან შეხორცებულები მის ერთ აზრობრივ მთლიანობაში წარმოგვიდგებიან. ილიას ლექსიკონში თანდებულებისა და ნაწილაკების სალექსიკონო ერთეულებად გამოტანისათვის საჭირო გახდებოდა მათი ხელოვნური მოცილება სიტყვისაგან, რაც ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა. მაგრამ რადგანაც ილიასთან ძველი ქართული ფეხმოკიდებულია, ამიტომ მასში ზოგჯერ გვხვდება დამოუკიდებელი თანდებულები (ზედა, თანა), რომლებიც ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულად არის გამოტანილი, მაგრამ აღრეულია ზმნისებებში (ე. ი. ზედა, თანა სიტყვებთან საილუსტრაციო მასალებში თანდებულებიც გვხვდება და ზმნისებებიც – **ნავს ზედ** და **ზედ დააკვდა; მე თანა მყვანან** და **კართათანა** და ა. შ.). თუ ერთი და იგივე სიტყვა ლექსიკონში ფორმების მიხედვით სხვადასხვა სალექსიკონო ერთეულად არის გამოტანილი, ხომ შეიძლებოდა თანდებულები და ზმნისებებიც გამოგვეყო, თუნდაც ამ მოხმობილ მასალაში?

თ. სანიკიძის თქმით, ილიას პოეზიის ლექსიკონის მიზანი ბოლოს და ბოლოს ყოფილა „რომ აღგვეჩვენებინა ყველა სიტყვა და დაგვედგინა თითოეული მათგანის ხმარების სიხშირე“. როგორც დავინახეთ, ილიასეული ყველა სიტყვა არ არის აღწერილი, მაშასადამე გამორჩენილია მათი სიხშირის ჩვენებაც. **ჩვენი აზრით, ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონისადმი გამოთქმული შენიშვნების მიზეზი მაინც ის არის, რომ შემდგენელს ხელთ არ ჰქონდა ილიასეული ნამდვილი, აკადემიური ტექსტი და ლექსიკონი არ შედგა ამ პრინციპით, რაც ამ ტიპის ლექსიკონს შეეფერებოდა.** ამ მიზეზთა გაუთვალისწინებლობა კი მუდამ გამოინვევს დაუსრულებელ კამათს დაინტერესებულ პირთა შორის.

დაბოლოს, თ. სანიკიძე ცოტა აღელვებული ტონით კითხულობს: „და თუ ჩვენს მკითხველებს მივცემთ საშუალებას, რომ ჩვენს მიერ გამოცემული წიგნები (იგულისხმება ილიასა და აკაკის პოეზიის ლექსიკონები – რ. კ.) გამოიყენონ საჭიროებისამებრ, ამით დანაშაული ჩავიდინეთ?“ რასაკვირველია არა. მაგრამ შენიშვნები კი დაიმსახურა ბ-ნმა თენგიზმა, რაზეც არ

უნდა განყრეს. მთელი რწმენით ვიმეორებთ – **პოეტის ენა რომ სრულად და ზუსტად დაცულიყო ლექსიკონში, ამით მასზე დახარჯული უდიდესი შრომაც სავსებით გაამართლებდა თავის მისიას.**

თ. სანიკიძე აღნიშნავს, რომ ამჟამად აკ. წერეთლის ლექსიკონზე მუშაობს და უკვე 1500 ბარათიც ჰქონია ამოკრეფილი. საინტერესოა, იმავე პრინციპით მომზადდება ეს ლექსიკონიც? გვაპატიოს ბ-ნმა თენგიზმა ერთი ანდაზის შეხსენების გამო: ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და აბრამს არქმევდნენო. თუ შემდგენელი აკ. წერეთლის თხუთმეტტომეულს ეყრდნობა, საშიშია იგივე შენიშვნები არ დაიმსახუროს მომავალმა ლექსიკონმაც. აკ. წერეთლის ხსენებული ტომეულებიც ხომ ფაქტობრივად არ არის აკადემიური. იქნებ, მართლაც ადრეა (ვიმეორებთ, სამწუხაროდ!) ფიქრი იმ მწერლის შემოქმედების ლექსიკონის შექმნაზე, რომლის ნამდვილი ავტორისეული ტექსტიც ჯერ ხელთ არა გვაქვს. ჩვენზე უკეთესად მოეხსენება თ. სანიკიძეს, რომ მეცნიერებას სიღინჯე და სიღრმე უყვარს, ლექსიკოლოგია კი მეცნიერების ერთ-ერთი სერიოზული, საინტერესო და საჭირო დარგია, რომლის პრინციპებსაც ლექსიკონის შედგენით დაინტერესებული მკვლევარი მტკიცედ უნდა იცავდეს.

## სახელმძღვანელო სახელმძღვანელოსთვის

2018 წელს გამომცემლობა „პრინჯეოს“ მიერ დაიბეჭდა წიგნი „ტექსტოლოგია, სახელმძღვანელო დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის“, მაია ნინიძისა და ქეთევან გიგაშვილის ავტორობით. ქართული მეცნიერული ტექსტოლოგია დღესდღეობით განებივრებული არ არის სასწავლო და გზამკვლევი ლიტერატურით. ბოლო კრებული-სახელმძღვანელო ამ დარგში 2006 წელს დაინერა – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის<sup>1</sup> მიერ გამოცემული „ქართული ტექსტოლოგია“ ზურაბ ჭუმბურიძისა და რუსუდან კუსრაშვილის რედაქტორობით. წიგნში შევიდა ქართველი ტექსტოლოგების კვლევები დარგის საკითხებისა და პრინციპების შესახებ და მიეძღვნა ქართული მეცნიერული ტექსტოლოგიის შექმნის 50 წლისთავს. ქართული მეცნიერული ტექსტოლოგიის დაარსების პირველ რამდენიმე ათეულ წელიწადს ინტენსიურად მიმდინარეობდა ტექსტოლოგიის, როგორც მეცნიერების, გაცნობითი, სამეცნიერო კვლევით კრებულებსა და აკადემიურ გამოცემებზე მუშაობა. მკვლევრებმა მოამზადეს ათობით ტექსტოლოგიური ხასიათის მონოგრაფიული ნაშრომი. გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების ფონზე ამ დარგში სამეცნიერო აქტიურობა მეტნაკლებად შესუსტდა და 2006 წელს სახელმძღვანელოს გამოჩენა მეცნიერების ამ სივრცეში მეტად სასიხარულო მოვლენა გახლდათ. თუმცა კიდევ 10 წლიწინადაც მეტი დასჭირდა ახალი სახელმძღვანელოს შექმნას. რასაკვირველია, ასეთი წიგნის გამოჩენა მისასალმებელი ნაბიჯია ამა თუ იმ დარგის განვითარება-წინსვლისთვის.

როგორც მეცნიერული ტექსტოლოგიის ერთ-ერთ წარმომადგენელს, გვესიამოვნა ასეთი წიგნის გამოსვლა, დაგვანტიერესა მისმა შინაარსმა და თავს უფლება მივეცით, გამოგვეთქვა

---

1 ამ დაწვებულებას ქვემოთ მოვიხსენიებთ შემდეგნაირად: „ლიტერატურის ინსტიტუტი“.

პროფესიული მოსაზრებები ამ სიახლის შესახებ.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორები გვთავაზობენ თანამედროვე ტექსტოლოგიის მიმოხილვას საერთაშორისო მასშტაბით. მომავალი ქართველი მეცნიერები საინტერესო რაკურსით ეცნობიან მსოფლიო საგამომცემლო საქმიანობის ისტორიასა და პრინციპებს. ასევე ბევრი ნიშანდობლივი და მისაღები სიახლეა მოცემულ ნაშრომში. მაგ.: იქ, სადაც ლაპარაკია დარგობრივ ტერმინოლოგიაზე (**წინიძე... 2018: 23**)<sup>2</sup> (I თავის „თანამედროვე ტექსტოლოგია“ ქვეთავი „დარგობრივი ტერმინოლოგია“), ავტორები გვთავაზობენ „ლიტერის“ გვერდით „სიგლის“ გამოყენებას, რათა აკადემიური გამოცემის მკითხველს ერთმანეთში არ აერიოს ნაწარმოების წყაროების მიმთითებელი ნუმერაცია გამომცემლის მიერ დალაგებული ვარიანტებისა და რედაქციების რიგითობის ნომრებში. თუმცა საზგასმული არ არის, რომელ შემთხვევაში რომელ სიმბოლოს უნდა მივმართოთ.

ვრცელ ინფორმაციას იღებს დოქტორანტი სამეცნიერო პასპორტის შედგენის შესახებ (I თავის ქვეთავი „აკადემიურ გამოცემაში მასალის ორგანიზებისა და სამეცნიერო აპარატის შედგენის პრინციპები“, გვ. 44), აქაც და კიდევ ბევრ სხვა შემთხვევაში, სახელმძღვანელოს ფორმატიდან გამომდინარე, თვალსაჩინოებისთვის აუცილებელია ერთი-ორი მაგალითის მოტანა.

წიგნის III თავის „თხზულებათა წყაროები“ ქვეთავი „საქართველოს ხელნაწერთა საცავები“ (გვ. 91-95) საინტერესო ინფორმაციას იძლევა ხელნაწერების შესახებ და კარგი გზამკვლევაა მომავალი მეცნიერებისთვის. ჩვენი სუბიექტური მოსაზრებაა, აქვე ჩამოთვლილიყო საქართველოში არსებული ყველა მუზეუმი თუ დაწესებულება (სადაც ხელნაწერებია დაცული), როგორც სამომავლოდ გამოსადეგი ინფორმაცია.

მისაღებია სახელმძღვანელოში შემოთავაზებული იდეა სათაურების საძიებლების გაკეთების თაობაზე ვარიანტულ სათაურებთან ერთად (IV თავის „ტექსტოლოგიის წვლილი აკ-

---

2 ამის შემდეგ, სადაც გვერდები გამოცემის დაკონკრეტების გარეშე იქნება მითითებული, ყველგან ვიგულისხმებთ ჩვენს მიერ განსახილველი სახელმძღვანელოს გვერდებს.



ადემიურ გამოცემაში“ ქვეთავი „საძიებლები“ – „სხვა ტიპის საძიებლები“, გვ. 181). თუმცა ეს იმ საკითხებს მიეკუთვნება, რომლებსაც ამა თუ იმ აკადემიური გამოცემის მომზადების წინ გამომცემლები და სარედაქციო საბჭო ერთიანად წყვეტს ხოლმე. ამიტომ სახელმძღვანელოს ტექსტში მოთხრობილი უნდა იქნეს გამოცემისას მოსამზადებელი სამუშაოების დროს წარმოშობილი საკითხების განხილვის და ურთიერთშეთანხმებამდე მისვლის პროცესების შესახებაც.

კარგად არის გაშლილი V თავის „ფუნდამენტური ტექსტოლოგიური კვლევები“ ქვეთავები „კომპლექსური ატრიბუციული კვლევა“ (გვ. 194-195) და „თარგმნილი ტექსტის ავტორობის დადგენა“ (გვ. 200-204), სადაც საინტერესო მაგალითების თანხლებით არის ახსნილი მკვლევრის მიერ სწორად ჩატარებული კვლევის შედეგად ანონიმური ნაწარმოების თუ ნათარგმნი თხზულების ავტორის დადგენის შესაძლებლობა.

სახელმძღვანელოს ავტორები სრულყოფილად წარმოგვიდგენენ ტექსტის დათარიღებისთვის სხვადასხვა კუთხით საწარმოებელ სამუშაოებს; თარიღის დადგენას დღის, რიცხვის, დღესასწაულის, ისტორიულ-შედარებითი ანალიზის, ბიოგრაფიული დეტალების საშუალებებითა თუ კორპუსული კვლევის ჩატარებით (V თავის ქვეთავი „მხატვრული ტექსტების დათარიღება“, გვ. 212-227).

V თავის ქვეთავში „მოთხრობის შემოქმედებითი ისტორია“ (გვ. 269-271) კარგად არის ნაჩვენები ტექსტის ბოლო ვარიანტზე მუშაობის პროცესი. თუმცა აქვე ჩნდება კითხვა, მხოლოდ მოთხრობაზე რატომ გამახვილდა ყურადღება სახელმძღვანელოში? შემოქმედებითი ისტორია ხომ ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოებს შეიძლება ჰქონდეს!

ცალკე აღნიშვნის ღირსია წინამდებარე წიგნში წარმოდგენილი სრულიად ახალი „ციფრული ეპოქის ტექნოლოგია“ (VI თავი „ციფრული ეპოქის ტექსტოლოგია“, გვ. 319-350), სადაც წარმოჩენილია თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობები და არსებული საშუალებები ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. კარგი იქნება, თუ უახლოეს მომავალში საქართველოს მასშტაბ-

ბითაც გახდება ხელმისაწვდომი ასეთი ტექნოლოგიები ტექსტოლოგ-მეცნიერთათვისაც.

სახელმძღვანელოში თითოეულ თავს თან ერთვის აუცილებელი „დავალებების“ რუბრიკა, რაც დოქტორანტებთან მუშაობისა და მიღებული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებას ემსახურება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოში ყველა მოტიანილი ციტატის წყაროს დანვრილებით მითითება არ არის აუცილებელი, კარგი იქნებოდა, მე-18 გვერდზე (I თავის ქვეთავი „დარგობრივი ტერმინოლოგია“) 1966-2007 წლებში „ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიის“ გამოცემაზე საუბრისას გამომცემელთა გვარებიც ყოფილიყო ნახსენები.

წინამდებარე ნაშრომში გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლებსაც შენიშვნების გაკეთების გარეშე გვერდს ვერ ავუვლიდით.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ წიგნში უხვად შემოთავაზებული თხრობის ფორმები „ვფიქრობთ“, „უმჯობესი იქნება“, „სასურველია“, „მოსახერხებელი იქნება“ და სხვ. სახელმძღვანელოდ წარმოდგენილი ნაშრომისთვის შეუსაბამოა. სახელმძღვანელო – ეს არის მრავალწლიანი გამოცდილების ბაზაზე შექმნილი და მეცნიერთა კომპეტენტური ჯგუფის მიერ დადგენილი ნორმების ერთობლიობა, რომელთა გაცნობა და შესწავლა ემსახურება ამა თუ იმ დარგის სტუდენტთა სპეციალისტებად ჩამოყალიბებას.

წიგნის 173-ე გვერდზე (IV თავის ქვეთავი „კომენტარი და მისი სახეები“ – „სათაური“) მოცემულია ოდოევსკის ლექსის რუსულენოვანი ციტატა. საჭიროა, ყველა უცხოენოვანი ფრაზის ქართულენოვანი თარგმანი (ამ შემთხვევაში ბნკარედული) ახლდეს თან.

მსგავსი შენიშვნა გვაქვს 230-ე გვერდზე (V თავის ქვეთავში „თხზულებათა შემოქმედებითი ისტორია“ – „პრეტექსტი“) სიმონ ნადსონის რუსული ლექსის ციტატაზეც.

იქვე, 236-ე გვერდზე, ზედმეტად ვრცლად არის მოთხრობილი იტალიელი ჟურნალისტის რობერტო სავანის ისტორია, მისი პიროვნების წარმოჩენა და მაფიაზე ფილმის გადაღების წვრილ-

მანები, რაც ძალიან შორდება იმ ტექსტოლოგიურ დეტალებს, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი ამ თავში.

იქ, სადაც სახელმძღვანელოს ავტორები იღია ჭავჭავაძის გამოცანების ადრესატების გახსნაზე საუბრობენ (V თავის ქვეთავი „კვლევები ადრესატის დასადგენად“ – „ლექსების ადრესატები“, გვ. 271-280), კვლევისას თარიღსაც ადგენენ. კარგი იქნებოდა, აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა კვლევა ერთმანეთშია გადაჯაჭვული და ტექსტოლოგიური დაკვირვების პროცესში ისინი ურთიერთდაკავშირებულია.

ასევე გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერთა ხსენებისას (V თავის ქვეთავი „საფუძვლების მომზადება ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზისთვის“, გვ. 307) შესაბამისი ფონდების მითითებაც არ იქნებოდა ურიგო.

სახელმძღვანელოში 314-ე გვერდზე (იქვე: „სხვა მიზნები“) ავტორებთან არის გადმოტანილი ავტორების მიერ გამოყენებული ლიტერატურის გვერდები იმავე მეთოდით, როგორც ეს პერიოდული გამოცემების საპუბლიკაციო პრაქტიკაშია მიღებული: „ოკუჯავა 1987: 209“, „ჭავჭავაძე 1957: 7“, „ჭავჭავაძე 1988: 45“, „დღიური: 236“. გადმოკოპირებულ პირად კვლევებს სახელმძღვანელოს მომზადებისას დამატებითი კორექტურა ესაჭიროება.

ამ ქვეთავშივე გვთავაზობენ წიგნის ავტორები ტექსტოლოგიურ კვლევას, „რომლის მიზანია იმის გარკვევა, თუ ვის შეიძლება ეზრუნა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ჩემს მერანს“ („მერანი“) პირველ პუბლიკაციაზე“ (გვ. 312-315). ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილია ლიტერატურულ წრეში. სახელმძღვანელოს ავტორთა ერთადერთი კვლევა კი ი. ჭავჭავაძის მიერ ტატოს ლექსების რვეულის მოპოვების თარიღის დადგენა გამოდგა. დოქტორანტები რომ არ დაიბნენ, კვლევის მიზნად თავიდანვე რვეულის ისტორიის კვლევა უნდა დასახულიყო.

VI თავის დასაწყისშივე ვკითხულობთ: „პროგრამირების ცოდნა ჰუმანიტარს არ მოეკითხება, მაგრამ წარმატების მისაღწევად იგი აუცილებლად უნდა იყოს საქმის კურსში, რისი გაკეთება შეიძლება მის დარგში თანამედროვე პროგრამებისა და პროგრამისტების დახმარებით“ (შესავალი ნაწილი, გვ. 319). სად

არის ასეთი პროგრამები (ან სად არიან პროგრამისტები)? თუ არის, რატომ არ არიან ქართველი ტექსტოლოგები ამაზე ინფორმირებულები და თუ არსებობს ასეთი მიღწევები, ფილოლოგებს საჭირო ტრეინინგები და გადასამზადებელი კურსები ესაჭიროებათ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, მომავალ თაობასაც მოვთხოვოთ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, რაც თავისთავად დიდი მიღწევაა კვლევითი სამუშაოების გაადვილება-გაფართოებისთვის.

იმავე თავის ქვეთავში „ტექსტის გაციფრულება, ფორმატირება და რედაქტირება“ 321-ე გვერდზე სახელმძღვანელოს შემდგენლები დიდ დოკუმენტზე მუშაობისას გვთავაზობენ ელექტრონულ ვერსიაში „სათაურები და ქვესათაურები მოვნიშნოთ შესაბამისი სტილით: „Normal, Heading 1, Heading 2“ და სხვ. წინამდებარე წიგნიც დიდი დოკუმენტის მსგავსი ნაშრომია და აჯობებდა, ქვეთავებში არსებული ქვეთავები (ე. წ. „ქვე-ქვეთავები“) პარაგრაფული სისტემით გამოკვეთილიყო.

როცა სახელმძღვანელოში ხელნაწერთა ციფრული ასლების აუცილებლობაზეა მინიშნება, ვკითხულობთ: „შესაბამისი ელექტრონული ვერსიების არარსებობის შემთხვევაში სასურველია, რომ მეცნიერებს მიეცეთ მათი გადაღების საშუალება“ (VI თავის ქვეთავში „ცვლილებები ტექსტოლოგიურ პრაქტიკაში“, გვ. 335). ვიმეორებთ, რომ „სასურველი“ კარგი სიტყვაა, მაგრამ სახელმძღვანელოსთვის მიუღებელი. დიახ, დღესდღეობით შესაბამისი სამსახურები მეცნიერებს ხელნაწერთა გადაღების საშუალებას აძლევენ, მაგრამ ეს საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და დღევანდელი ქართველ მკვლევართა უმეტესობა ამას საკუთარი სახსრებით ვერ ახერხებს.

ზოგადად სახელმძღვანელოში არ არის მითითებული, რომ ბნკარს (ანუ სტრიქონს) გვერდზე ვითვლით სათაურისა და ქვესათაურის გარეშე (I თავის ქვეთავი „ტექსტოლოგიური პრინციპები“ – „აკადემიურ გამოცემაში მასალის ორგანიზებისა და სამეცნიერო აპარატის შედგენის პრინციპები“, გვ. 46), არ ჩანს, რა გადაწყვეტილებას ან მიმართულებას სთავაზობს სპეციალისტებს ნაშრომი მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის შესახებ (IV თავის ქვეთავი „გამოცემის გეგმა-პროსპექტი“ – „ჟანრებისა და

ქრონოლოგიის მიხედვით მასალის დალაგება“, გვ. 149-150); არ არის კარგად ახსნილი ხელნაწერებთან მუშაობის პრინციპები; ზოგიერთ საკითხს უამრავი, დაწვრილებითი მაგალითი ახლავს, ბევრ შემთხვევაში კი განმარტება მწირი და გაუგებარია და არც თვალსაჩინოებით არის გამყარებული და სხვ.

მიუხედავად ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი საიახლეებისა, სახელმძღვანელოს დადებითი მხარეებისა და გამოთქმული შენიშვნებისა, პროფესიული თვალსაზრისით ნაშრომი ბევრ ლაფსუსს შეიცავს, რომელთა აღნიშვნის გარეშეც რეცენზია სრულყოფილი ვერ იქნება. ასევე ნაშრომს გააჩნია ის მხარეებიც, რომელთა გვერდის ავლა და მათი მკაცრი განხილვის გარეშე დატოვება მეცნიერ-ტექსტოლოგის მხრიდან დანაშაულის ტოლფასიც კი იქნებოდა. წიგნს აკლია ის, რაც პირველყოფლისა, სახელმძღვანელოს ტიპის გამოცემისთვის არის აუცილებელი.

რაც უნდა მაღალი საფეხურის სტუდენტებისთვის იყოს განკუთვნილი სასწავლო წიგნი, მასში აუცილებელია წინა საფეხურებზე უკვე გავლილი საკითხების ხელახლა მიწოდება უფრო ფართო მასშტაბებითა და ღრმა ანალიზით. ასეთებია: ინფორმაცია ქართული ტექსტოლოგიის წარმოშობასა და მის მიერ განვლილ გზაზე, ქართველი ტექსტოლოგების ღვანლის მიმოხილვა, მათი რჩეული ნაშრომების მოკლე ანალიზი (მხოლოდ სახელმძღვანელოს დასაწყისში რამდენჯერმეა მოშველიებული რამდენიმე კვლევა მოკლედ), გამოცემათა ტიპების დახასიათება, ძირითადი ტექსტის არსი, ვარიანტული და რედაქციული სახესხვაობანი და სხვ.

პირველ რიგში, არ შეიძლება, ყურადღების მიღმა დარჩეს ის ფაქტი, რომ როდესაც ამა თუ იმ დარგის ახალი ტერმინოლოგიით შევსება ხდება, ეს მხოლოდ ორი ავტორის გადასაწყვეტი არ არის, უნდა იკრიბებოდეს პროფესიონალ მეცნიერთა ჯგუფი და მსჯელობისა და კვალიფიციური არგუმენტაციით წყდებოდეს ახალი სიტყვების დანერგვა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მათი შეტანა სახელმძღვანელოში, სადაც ახლად შემოთავაზებული ტერმინები დაწვრილებით იქნება აღწერილი მათი ეტიმოლოგიის მიმოხილვის, სხვადასხვა ქვეყანაში მათი წარმოქმნის ისტორიის (თუ ასეთი შემთხვევები არსებობს) და

ჩვენს (ქართულ) სამეცნიერო ტექსტოლოგიურ რეალობაში მათი დამკვიდრების აუცილებლობის ახსნით.

I თავის ქვეთავში „დარგობრივი ტერმინოლოგია“ ავტორები აღნიშნავენ, რომ „ქართული ტექსტოლოგიური ტერმინოლოგია გადახალისებას და შევსებას საჭიროებს“ (გვ. 16). 25 „ახალი“ ტერმინიდან ზოგიერთს ფართო ახსნა აქვს მიცემული, ზოგიერთი კი საკმაოდ ძუნნად არის განმარტებული. მაგალითად, როდესაც ხელნაწერის (manuscript) რაობაზეა ლაპარაკი, ნახსენებია „ნაწერი ტექსტი“ თავისი ინგლისური შესატყვისით „written text“ (გვ.16). რა დაამავა კომპიუტერულმა (dot matrix printing იგივე process of computer printing ანუ მოკლედ computer printing) ნაშრომმა ან საბეჭდ მანქანაზე შესრულებულმა (typewritten) ტექსტმა ან კოდექსის – მრავალფურცლიანი ან პაპირუსის მსგავსი მასალისგან შედგენილმა წიგნმა (codex) ან გრაგნილმა (იგივე როლიკა პაპირუსი) ანუ პერგამენტის შემცველმა ფურცელმა (scroll) და სხვა ტიპის ხელნაწერებმა (<https://en.wikipedia.org>) და მათმა ინგლისურენოვანმა შესატყვისებმა, მით უფრო, რომ ქართული ტექსტოლოგიის ახალი ტერმინებით შევსებისკენ სახელმძღვანელოს ავტორებს „სწორედ თანამედროვე ინგლისურენოვან ტექსტოლოგიურ ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინების მოქნილობამ“ უბიძგა (გვ. 16). სულ არ არის საჭირო, ქართულ ტექსტოლოგიაში ახალ ტერმინად „მანუსკრიპტი“ გამოვიყენოთ, როგორც ამას წიგნის ავტორები გვთავაზობენ (გვ. 16). საკმარისია, ავხსნათ „ხელნაწერთა“ ნაირსახეობები და ზემოთ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ტერმინებით მივანიჭოთ ამ სიტყვას მულტიმინაარსობლიობა. სიტყვა „ხელნაწერი“ მიღებულია ქართულ სამეცნიერო სივრცეში და იგი საშუალებას იძლევა, დავტოვოთ ისე, როგორც იყო აქამდე და მას სულაც არ საჭიროება „მუდმივი აღწერა-დახასიათება“, რის გარეშეც, სახელმძღვანელოს შემქმნელების მოსაზრებით, თურმე, „მკითხველი სათქმელს ვერ იგებს“ (გვ. 16) (?!). სახელმძღვანელოს ავტორებმა ხომ შეინარჩუნეს რამდენიმე სიტყვის ქართულენოვანი ჟღერადობა: „ტექსტოლოგიური მონმე“ (გვ. 20), „ასოთამწყობი“ (გვ. 21), „არსებითი“ და „არაარსებითი“ (გვ. 21), „მიღმური ინფორმაცია“ (გვ. 24) და „აკადემიური გამოცემა“ (გვ. 25).

ამავე ქვეთავის მე-19 გვერდზე ვხვდებით ახლად დანერგილ ტერმინს „პრეტექსტი“, რომელიც ნინიძე-გიგაშვილის სახელმძღვანელოს გამოსვლამდე ტექსტოლოგიაში არსებულ ტერმინს „წყარო“ შეესაბამება. საჭიროა, სტუდენტები და მკითხველები იქვე იყვნენ ინფორმირებულები, რომ ამა თუ იმ ტექსტს შეიძლება ჰქონდეს ლიტერატურული, ისტორიული, ფოლკლორული და სხვა სახის წყაროები. რატომ „პრეტექსტი“, ეს ალბათ გემოვნების საკითხია, თუმცა მეცნიერება მოდების ჩვენება არ არის.

ნაშრომში ავტორები გვთავაზობენ კიდევ ერთ ახალ ტერმინს – „ექსპურგაცია“ (იქვე, გვ. 22). იმისთვის, რომ ეს სიტყვა სტუდენტებმა განყენებულად არ დაიზუთხონ, საჭიროა, იგი განიხილებოდეს, როგორც ცენზურის ნაირსახეობა. სიტყვა „ცენზურა“ კარგად ნაცნობია როგორც ლიტერატურაში, ისე სხვა მეცნიერებებშიც.

აღნიშნულ ქვეთავში შემოთავაზებულია ტერმინი „კრუქი“ („crux“), რომელიც სადავო ნაირნაკითხვასთან არის გაიგივებული (გვ. 23). სიტყვა „სადავო“ ქართული ტექსტოლოგიისთვის უცხო არ არის და არც ის არის საშიში (როგორც ამას სახელმძღვანელოს ავტორები უფრთხიან, გვ. 23), რამდენად ხშირად დასჭირდება მეცნიერს მისი მოხსენიება. სიტყვას „crux“ ინგლისურ ენაში მრავალი მნიშვნელობა აქვს. ის ნიშნავს მთავარ, ძირითად ან რთულ საკითხს, გადამწყვეტ მომენტს, სირთულეს, დაბრკოლებას, თანავარსკვლავედს – „სამხრეთის ჯვარი“ და ა. შ. ამ ტერმინის უკვე არსებული ქართული შესატყვისი უნდა დარჩეს უცვლელი.

სახელმძღვანელოს 36-ე გვერდზე (I თავის ქვეთავი „ტექსტოლოგიური პრინციპები“ – „ავტორის ნება და ტექსტის ავთენტურობა“) ვკითხულობთ: „ავტორის ნებასთან დაკავშირებით თანამედროვე ტექსტოლოგიაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იყო და დარჩა, მაგრამ თანამედროვე აკადემიურმა გამოცემებმა საშუალება მოგვცა, რომ მკითხველმა გაიცნოს ტექსტის ყველა ავთენტური წყარო და აირჩიოს ძირითადი ტექსტი“. ძირითადი ტექსტის მკითხველის მიერ არჩევა, სულ ცოტა, არამეცნიერულად გვე-

სახება. თუ მკითხველი ირჩევს ძირითად ტექსტს, მაშინ აკადემიური გამოცემა რა საჭიროა! მაშინ რა აკეთა მეცნიერ-გამომცემელმა! ან იქნებ, სახელმძღვანელოს ავტორებს მხედველობაში ჰქონდათ სხვა მკვლევარების მიერ გამოცემების კრიტიკული შეფასება და მათი დაგმობა! ვფიქრობთ, ასეთი არაპროფესიული განმარტება მომავალ თაობას გაურკვევლობას და წინა თაობისადმი უპატივცემულობას ჩამოუყალიბებს.

როდესაც სახელმძღვანელო უმაღლესი სწავლების ბოლო საფეხურის სტუდენტებისთვის იქმნება, ვიმეორებთ, აუცილებელია, კიდევ ერთხელ დანვრილებით იქნეს განმარტებული გამოცემის ტიპები. ჩვენთვის (როგორც მოქმედი სპეციალისტისთვის) დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს ის ფაქტი, რომ წიგნში არ არის გამოკვეთილი აკადემიური გამოცემის ტიპი და მისი პრინციპები. ამ საკითხს ხომ ცალკე თავი მიუძღვნეს შემდგენლებმა (იხ. IV თავი: გვ. 134-182). მხოლოდ ერთგან, წიგნის დასაწყისში, მინიშნებაა დიპლომატიურ გამოცემაზე, სადაც „ტექსტოლოგს არ შეაქვს არავითარი სწორებები“ (I თავის ქვეთავი „ტექსტოლოგიური პრინციპები“ – „ორთოგრაფია და პუნქტუაცია“, გვ. 41). ასეთი მწირი ფრაზით მომავალი სპეციალისტი ვერ შეძლებს ერთმანეთისგან დიპლომატიური და დოკუმენტური გამოცემების გამიჯვნას. აუცილებელია, სტუდენტებს კიდევ ერთხელ განემარტოთ, როგორი სახის კომენტარი კეთდება სხვადასხვა ტიპის გამოცემისთვის. ეს არც ზემოთ ნახსენებ VI თავშია განხილული (გვ. 319-350). აქ ლაპარაკია ფართო სახის კომენტარებზე, მაგრამ არ არის გამიჯნული სამეცნიერო, აკადემიური თუ სხვა სახის გამოცემები.

სახელმძღვანელოს IV თავის ქვეთავში „სამეცნიერო აპარატი“ – „სათაური“, გვ. 172-175) წიგნის ავტორები საკმაოდ დიდი მოცულობის კომენტარებს მოითხოვენ თხზულების სათაურის, ქვესათაურის, მიძღვნის, სათაურის ქვეშ მინაწერისა და ეპიგრამებისთვის. აკადემიურ გამოცემაში ცალკეულ დეტალებზე ღრმა კვლევის დართვა მიუღებელია. უბრალოდ, ეს ძალიან გაზრდის გამოცემის მოცულობას. ხშირ შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატი ამა თუ იმ საკითხზე უკვე არსებული (გამოქვეყნებული) კვლევის მითითებაც საკმარისია. ასევე, ვრცელ ანალიზს



იოხოვენ სახელმძღვანელოს შემდგენლები V თავის ქვეთავში „თხზულების შექმნის შემოქმედებითი ისტორია“ – „თხზულების შექმნის შემოქმედებითი იმპულსი“, გვ. 239-250). რასაკვირველია, მეცნიერ ტექსტოლოგმა აუცილებლად უნდა ჩაატაროს მსგავსი კვლევები, მაგრამ, ვიმეორებთ, დოქტორანტს უნდა განემარტოს, რომელი ტიპის გამოცემაში შეიძლება ვრცელი კვლევის შეტანა. ასევე ზედმეტია შემოთავაზება აკადემიური გამოცემის კომენტარში მიეთითოს აკროსტიქზე, მეზოსტიქზე და ზმაზე (IV თავის ქვეთავი „სამეცნიერო აპარატი“ – „კომენტარები და მისი სახეები“, გვ. 164). ეს ფართო ლიტერატურათმცოდნეობის გამოსაკვლევი თემაა.

სახელმძღვანელოში ბევრ ისეთ ფრაზას თუ სიახლედ წარმოჩენილ პრინციპს ვხვდებით, რომლებიც ქართული მეცნიერული ტექსტოლოგიის სფეროში უკვე დანერგილი და აპრობირებულია. მაგალითად, როდესაც I თავის ქვეთავში „დარგობრივი ტერმინოლოგია“ (გვ. 16-25) სახელმძღვანელოს ავტორები გვთავაზობენ საერთაშორისო ტერმინებს და მათ ქართულ ანალოგებს, შემოაქვთ სიტყვები „არსებითი“ („substantives“) და „არაარსებითი“ („accidentals“). პირველი ტერმინი („არსებითი“) გამოიყენება ისეთი ვარიანტული ნაკითხვების აღსანიშნავად, რომლებიც ინვესს სემანტიკურ ცვლილებებს, ანუ აისახება შინაარსზე (ხაზგასმა ჩვენია – მ. ა.), მეორე კი („არაარსებითი“) – ფორმალური, არასემანტიკური ელემენტების ცვლილებათა აღსანიშნავად“ (გვ. 21). ეს სიტყვები ქართული ტექსტოლოგიის ჯერ კიდევ არსებული პრინციპებით საკვლევი ტექსტის რედაქციასა და ვარიანტს ესადაგება. თუ მოვიშველიებთ ტექსტოლოგიის წინა სახელმძღვანელოს, ნავიკითხავთ შემდეგს: „არის შემთხვევები, როდესაც ტექსტის მცირეოდენი შესწორება არსებითად ცვლის ნაწარმოების იდეურ შინაარსს. ასეთი ტექსტის ვარიანტად მიჩნევა შეუძლებელია“ (მეფარიშვილი... 2006: 190). გამოდის, რომ „არსებითი“ სიტყვა „რედაქციის“, ხოლო „არაარსებითი“ – „ვარიანტის“ შესატყვისია. ცნობილია, რომ ქართული ტექსტოლოგია რუსულის პრინციპების ბაზაზე ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. არასაბჭოურ ქვეყნებში იმთავითვე დღემდე ტერმინი „რედაქცია“ არ მოიაზ-

რება. ხშირ შემთხვევაში მათ კვლევებში მხოლოდ სიტყვა „ვარიანტს“ ვხვდებით. მომავალ სპეციალისტებს დაწვრილებით უნდა მიეწოდოთ ასეთი ინფორმაცია და კვალიფიციურად განემართოთ ესა თუ ის ტერმინი, იმისთვის, რომ ქართველ მეცნიერთა კვლევებისა და მათ მიერ მოზადებულ გამოცემათა გაცნობისას არ დაიბნენ ან, უბრალოდ, უკვე არსებული გამოცემები მივიწყებულ კუნძულზე არ აღმოჩნდნენ.

I თავის ქვეთავში „ტექსტოლოგიური პრინციპები“ („აკადემიურ გამოცემაში მასალის ორგანიზებისა და სამეცნიერო აპარატის შედგენის პრინციპები“, გვ. 44-47) სახელმძღვანელოს შემდგენლები ხაზგასმით ამბობენ, რომ „პასპორტში ხალმონერა არ უნდა იქნეს, თუ ის არ არსებობს“ (გვ. 45). როდესაც ლიტერატურის ინსტიტუტში აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული აკადემიური კრებული (20 ტომად) მზადდებოდა, რედკოლეგიის სხდომაზე გადაწყდა, რომ პასპორტში „ხელმონერის“ გასწვრივ დაწერილიყო „არა აქვს“ (საჭიროებისამებრ), რაც შემდგომში შესრულდა დღეისათვის უკვე გამოცემულ 10 ტომში. მსგავსი საკითხები ცვალებადია და რედკოლეგიისა და გამომცემელთა შეთანხმებით წყდება. და ამიტომ მათი, როგორც აქსიომების, სასწავლო ნაშრომში გადაჭრით შეტანა არ შეიძლება. მით უფრო, რომ ავტორები წიგნში მოგვიანებით წინააღმდეგობაში ვარდებიან და აღნიშნავენ: „პასპორტის რუბრიკები გამოცემის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება შეიცვალოს“ (IV თავის ქვეთავი „სამეცნიერო აპარატი“ – „ტექსტოლოგიური პასპორტი“, გვ. 158).

IV თავის ქვეთავში „სამეცნიერო აპარატი“ – „კომენტარები და მისი სახეები“ ვკითხულობთ: „თუ კომენტარს შეცდომის შესახებ მოვათავსებთ სამეცნიერო აპარატში, რიგითი მკითხველი, რომელიც მხოლოდ ტექსტს კითხულობს, მას ვერასოდეს ნახავს. სასურველი იქნებოდა ამ ინფორმაციის ტექსტთან სქოლიოში ჩატანა“ (გვ. 167). სამეცნიერო და აკადემიური გამოცემები, რომლების კომენტარების თანდართვას გულისხმობს, რიგითი მკითხველისთვის არ არის განკუთვნილი. სპეციალისტი კი აუცილებლად კითხულობს სამეცნიერო აპარატს. გარდა ამისა, მწერლის ტექსტებს ხშირად ახლავს ავტორისეული კომენტარ-

ები სქოლიოს სახით. ამიტომ ავტორისეული და სამეცნიერო ხასიათის კომენტარების გვერდიგვერდ მოთავსება სქოლიოში მკითხველსაც და სპეციალისტსაც დაბნეულობას შეუქმნის. ზოგადად კი ეს საკითხი დიდი ხანია, გადანყვეტილია და ტექსტოლოგები ამაზე აღარც მსჯელობენ.

იქვე („საძიებლები“) სახელმძღვანელოს ავტორები გვთავაზობენ ცალკე, საცნობარო ტომის გაკეთებას, სადაც იქნება ერთიანი ანბანური საძიებელი (გვ. 182). კარგი იქნებოდა, ავტორებს აღენიშნათ, რომ ასეთი პრაქტიკა უკვე დანერგილია ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის სამეცნიერო კვლევით ცენტრში (ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ამ ცენტრს სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი მ. ნინიძე ხელმძღვანელობდა) და აკაკი წერეთლის თბულებათა სრული კრებულის (ოცტომეული) XX ტომი სწორედ ასეთ საძიებო ტომს წარმოადგენს.

ნაირნაკითხვების გამოსახვისთვის ქართულ ტექსტოლოგიაში არსებობს უკვე დადგენილი ნორმა. გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „გამახსენდება და ისევ ზღვა მომენატრება“ ვარიანტული ნაკითხვები სახელმძღვანელოში საკმაოდ რთულად გასაგები გრაფიკით არის გამოსახული (III თავის ქვეთავში „ხელნაწერები“ – „ხელნაწერში დაცულ ტექსტურ მონშეთა ანალიზი“, გვ. 106,107). აუცილებელია, მომავალ სპეციალისტებს უკვე არსებული სამეცნიერო და აკადემიური გამოცემების მაგალითებით ვაჩვენოთ ნაირნაკითხვების შედგენა და ვასწავლოთ მათი გამიფვრა (ისევ და ისევ იმისთვის, რომ არსებული აკადემიური გამოცემების ნაკითხვა და გაგება არ გაუჭირდეთ) და მერე ვისაუბროთ „ახალ გრაფიკებზე“ (იქვე, გვ. 106; IV თავის ქვეთავი „სამეცნიერო აპარატი“, გვ. 158-160).

იქ, სადაც სახელმძღვანელოში ნაბეჭდ ნყაროებზეა საუბარი (III თავის ქვეთავი „ნაბეჭდები“, გვ. 122-130), აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ სიცოცხლის შემდგომ ნაბეჭდს გამომცემლები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავენ, როდესაც არ არსებობს ავტოგრაფები, ავტორიზებული ნყაროები და სიცოცხლისდროინდელი ნაბეჭდები.

მომავალი სპეციალისტებისთვის გაურკვეველად არის

განმარტებული „ძირითადი ტექსტი“: „კონკრეტულ წყაროში დაცული ტექსტი, რომლის ავტორიტეტულობის საწინააღმდეგოდ არაფერი მეტყველებს“ („გლოსარიუმი“, გვ. 377). განმარტების დანარჩენ ნაწილთან პრეტენზია არ გვაქვს, თუმცა ასეთი რთული განმარტებით ტერმინის ახსნის დაწყება მიუღებელია, რადგან ძირითადი ტექსტი თავად არის წყარო. 25-ე გვერდზე (I თავის ქვეთავი „დარგობრივი ტერმინოლოგია“), სადაც ლაპარაკი „აკადემიურ გამოცემაზე“, გვხვდება განმარტება „მეცნიერულად დადგენილი ტექსტი“, 134-ე გვერდზე (IV თავის შესავალი ნაწილი) ვკითხულობთ ტერმინებს „ძირითადი ტექსტი“ და „კრიტიკული ტექსტი“; 154-ე გვერდზე (IV თავის ქვეთავი „კანონიკური ტექსტის დადგენა“) კი შესაბამისად „კანონიკურ ტექსტზეა“ ლაპარაკი და აქაც „ძირითადი ტექსტია“ ნახსენები. საერთო ჯამში ეს ტერმინები წიგნში ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული და არც დაკონკრეტებული ახსნა ერთვის მათ.

სახელმძღვანელოს კითხვისას იკვეთება ის ფაქტი, რომ ავტორები ხოტბას ასხამენ მხოლოდ იმ გამოცემებსა და კვლევებს, რომლებიც მათ პირადად ჩაუტარებიათ. ერთპიროვნულად არის წარმოჩენილი სამაგალითოდ მოტანილი კვლევები და მიგნებები ტექსტოლოგიის სივრცეში. როდესაც იწერება სახელმძღვანელო, ამისთვის იქმნება სპეციალისტთა ჯგუფი და წიგნში ის მაგალითები და მტკიცებულებები გამოიყენება, რომლებიც უკვე მრავალგზის განხილულია კოლეგების წრეში, პრესისა თუ პერიოდიკის ფურცლებზე, პოლემიკა, კრიტიკა და რეცენზიები გამოქვეყნებულია და არგუმენტები მეცნიერთა ფართო ჯგუფისთვის მიღებულია. მაგალითად, ჩვენთვის სრულიად მიუღებელია ი. ჭავჭავაძის უსათაურო ლექსის „რითაც ვიყავ მოქადული, ყველა შენ გენაცვალა“ დათარიღებაზე ჩატარებული სუსტი მტკიცებულებები და არგუმენტები (V თავის ქვეთავი „დათარიღება“ – „დროის ქვედა და ზედა ზღვარი“, გვ. 210-212). კარგი იქნებოდა, სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ავტორს, ტექსტოლოგიის სფეროში დიდი ხნის განმავლობაში ნამოღვანარს, უფრო კომპეტენტური თანაავტორების ჯგუფი შეეკრიბა ასეთი სიახლის წამოწყებისას, რათა სპეციალისტ

მკითხველებს არ გასჩენოდათ კითხვა, ვისთან ერთად გად-  
ანყვიტეს წიგნის ავტორებმა ესა თუ ის საკითხი.

წიგნში 327-ე გვერდზე (VI თავის ქვეთავი „ცვლილებები  
ტექსტოლოგიურ პრაქტიკაში“ – „შესავალი ნაწილი“) ვკითხუ-  
ლობთ: „ჩვენ მიერვე შექმნილი ტექსტური მასალა თუ საოფისე  
პროგრამები, შემუშავებული ტექნოლოგიები, ეფექტურად გვეხ-  
მარება ისეთი კონკრეტული ტექსტოლოგიური ამოცანის შეს-  
რულებაში, როგორიცაა წყაროების მოძიება, ატრიბუცია, და-  
თარიღება, კომენტირება, ანოტირება და სხვ.“ რამდენადაც  
კარგი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროგრამა, იმ პირობებში,  
როცა საარქივო დაწესებულებებში ჯერ კიდევ არ არის შედგე-  
ნილი სრული ციფრული კატალოგები და ნუსხები, ყველა ბიბ-  
ლიოთეკაში პერიოდული პრესის მასალები არ არის გაციფრუ-  
ლი, ზოგიერთში კი გაციფრული მასალა ინტერნეტდაბლოკილია  
ან უხარისხოა და ადგილზე მიუსვლელად წყაროების სრული  
სახით მოძიება შეუძლებელია, ყველანაირი ტექნოლოგია ეფექ-  
ტურობას კარგავს. თუმცა სულ რაღაც ერთი გვერდის ქვემოთ  
(გვ. 328) სახელმძღვანელოს ავტორები თვითონვე გამოთქვამენ  
აზრს, რომ „სხვადასხვა გამოცემის მხოლოდ ნაწილის სკანირე-  
ბული ვერსიაა ხელმისაწვდომი“ და კიდევ ერთხელ აწყდებიან  
წინააღმდეგობას. რაც შეეხება ატრიბუციასა და დათარიღე-  
ბას, მსგავსი კვლევების ჩასატარებლად მხოლოდ ინტერნეტ-  
სივრცითა და პროგრამული ხერხებით ვერ შემოვიფარგლებით.  
ტექსტოლოგია არ არის იოლი მეცნიერება და მომავალი სპე-  
ციალისტები თავიდანვე უნდა შევამზადოთ იმისთვის, რომ ხშირ  
შემთხვევაში, მიუხედავად მაღალტექნოლოგიური მიღწევებისა,  
კვლევისას „პირველყოფილ“ საშუალებებთან და მეთოდებთანაც  
მოუწევთ დაბრუნება.

კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე გადასულია ბევრი სფე-  
რო და ბევრიც თანდათან გადადის ამ თანამედროვე და მისა-  
საღმებელი საშუალებებით მუშაობის პრინციპზე. მაგრამ ეს არ  
ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ინტერნეტ ინფორმაციით შემოვ-  
იფარგლოთ. აუცილებელია, სახელმძღვანელოში აღინიშნოს,  
რომ დღესდღეობით საკომენტაროდ მხოლოდ ინტერნეტი არ  
კმარა და ხშირ შემთხვევაში იგი არც არის სანდო, ზოგჯერ

საკამათოც კია. მაგ.: სახელმძღვანელოს ავტორები დავალებების რუბრიკაში დოქტორანტებს ავალებენ საკომენტარო მასალისთვის ინტერნეტის საძიებო სისტემა და ბაზები გამოიყენონ (VI თავის დავალება №7, გვ. 351). შეიძლება, ეს მხოლოდ კონკრეტული დავალებაა, მაგრამ სახელმძღვანელოში არსად არის განმარტებული, რომ აკადემიურ და სამეცნიერო გამოცემებზე მუშაობისას გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა დანარჩენი არსებული ლიტერატურა, მით უფრო, რომ დღეს ყველაფერი სრულყოფილად, ელექტრონული ვერსიით, მსოფლიო ინტერნეტ ბაზარზეც კი არ არის ხელმისაწვდომი.

როდესაც 340-343-ე გვერდებზე (VI თავის ქვეთავი „ცვლილებები კვლების მეთოდებსა და ტექნოლოგიებში“ – „ატრიბუცია“) ვკითხულობთ ავტორების მოსაზრებას, რომ უნდა გაციფრულდეს ესა თუ ის მასალა, საჭიროა, აღინიშნოს, რომ დიგიტალიზაციას ტექსტოლოგი არ აკეთებს. სახელმძღვანელოში მკაფიოდ უნდა იქნეს განსაზღვრული, რა განათლებას უნდა ფლობდეს ტექსტოლოგი და რა მოვალეობა აკისრია მას სამომავლოდ სამეცნიერო პროფესიულ საქმიანობაში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოში ღრმა ტექსტოლოგიური კვლევების ჩატარების მოთხოვნის პარალელურად არ არის განმარტებული, რომელი ტიპის გამოცემაში რა სახის და მოცულობის კვლევა შეიძლება მოვთავსოთ. გადაჭარბებული კვლევის ჩატარების შთაბეჭდილებას ტოვებს სახელმძღვანელოს IV თავის ქვეთავი „გამოცემის გეგმა-პროსპექტი“ (გვ. 138-152). აკადემიური გამოცემის მომზადების წინ გეგმა-პროსპექტის შედგენა რომ ტექსტოლოგის მიერ აუცილებლად ჩასატარებელი სამუშაოა, არავინ კამათობს. თუმცა, გეგმა-პროსპექტი საქმიანობის დასაწყისში მოსამზადებელი ეტაპია და როგორც სახელმძღვანელოს ავტორები თვითონვე აღნიშნავენ, „ძალზე ძნელია პროექტის დასაწყისშივე ისეთი ზუსტი გეგმა-პროსპექტის შედგენა, რომელშიც მისი მსვლელობის განმავლობაში (ხაზგასმა ჩვენია – მ. ა.) არაფერი იქნება შესაცვლელი. შეიძლება, გაირკვეს ისეთი ტექსტის თარიღი, რომელიც გეგმა-პროსპექტის შედგენამდე ვერ მოხერხდა“ (გვ. 151). ჩვენ დაუჟმატებლად, რომ არა მარტო თარი-

დი, გამოცემის მომზადების პროცესში ჩნდება ახალი ნყაროები, სრულიად ახალი ტექსტები, ირკვევა რედაქციები, კეთდება ნაირნაკითხვები და ა. შ. ამ თავში კი გარდა ზემოთ მოტანილი ციტატისა სახელმძღვანელოს შემდგენლები მომავალ მეცნიერებს საკმაოდ რთულ ამოცანას უსახავენ. ისინი მათგან მოითხოვენ, ჩაატარონ მეცნიერული კვლევები და ისე შეადგინონ გეგმა. სინამდვილეში გეგმა-პროსპექტის შედგენა ხდება გამოსაცემი მწერლის ცნობილი თხზულებების გარშემო არსებული ინფორმაციისა და უკვე ჩატარებული კვლევების საფუძველზე, კეთდება მხოლოდ აუცილებლად შესასრულებელი სამომავლო კვლევების მონახაზი.

V თავის ქვეთავში „თხზულებათა შემოქმედებითი ისტორია“ – „მოთხრობის შემოქმედებითი ისტორია“ სახელმძღვანელოს ავტორები გვთავაზობენ მოთხრობის განხილვას შემდეგი ჭრილებით: ა) „ჩანაფიქრის პირველსახე“ (გვ. 250-255); ბ) „შეცვლილი აქცენტები“ (გვ. 256-257); გ) „ეპიზოდის შედარებითი ანალიზი“ (გვ. 257-260); დ) „ცვლილებები ფაბულაში“ (გვ. 260-262); ე) „პერსონაჟთა სახეების განვითარება“ (გვ. 262-268); ვ) „სათაურის ცვლილება“ (გვ. 268-269). ამ თავში ლაპარაკია, თუ რატომ შეუცვალა მწერალმა გმირს ხასიათი, ნაწარმოებს სათაური და ა.შ. ეს ყველაფერი საკმაოდ ღრმად ჩატარებული კვლევის მაგალითზეა მოცემული. თუ პერსონაჟების, სათაურის ან პასაჟების შეცვლამ სიუჟეტსა და ფაბულაზე არ იმოქმედა და რედაქციული სახესხვაობა არ მივიღეთ, თუ ასეთი ცვლილებები ცენზურის თვალის ახვევის მიზანს არ ემსახურებოდა და ა. შ., მსგავსი კვლევები სცდება ტექსტოლოგიური მეცნიერების საზღვრებს და ფართო ლიტერატურული თეორიის პრინციპებში გადადის.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სახელმძღვანელოში აუცილებელია წინამორბედი მეცნიერების მიერ გაწეული ღვაწლის წარმოჩენა კონკრეტულ დარგში, და მისი (დარგის) განვითარების ისტორიისთვის თვალის ხელახალი გადავლება. სახელმძღვანელოს კითხვისას არა თუ დაგვაკლდა ასეთი რაკურსი, პირიქით, წიგნის ქვეტექსტში გარკვეული ქილიკი და ქართული ტექსტოლოგიის წარმომადგენელთა დაკნინების ტონიც კი

შევამჩნიეთ. ასეთ ტონად აღვიქვით მაგალითისთვის სახელმძღვანელოს შემდგენლების მოსაზრება, თითქოს დღეს ქართველი ტექსტოლოგები აკადემიურ გამოცემაზე მუშაობისას არ იყენებდნენ უმარტივეს საოფისე პროგრამებს, ციფრულ კატალოგებსა და ბაზებს (!) (VI თავის შესავალი ნაწილი, გვ. 319).

ზოგიერთ ადგილას კი დაკნინებასთან ერთად სახელმძღვანელოში ისეთ „დებულებებს“ ვაწყდებით, რომელთა მიხედვითაც თითქოს ქართული მეცნიერული ტექსტოლოგია ეს-ეს არის გაჩნდა და სახელმძღვანელოს შემდგენლები ველოსიპედის გამომგონებლებივით „ანი-ბანის“ კურსს გვთავაზობდნენ: 334-ე გვერდზე (VI თავის ქვეთავი „ცვლილებები ტექსტოლოგიურ პრაქტიკაში“ – „ციფრული კორპუსები“) ავტორები წერენ: „დღემდე ტექსტოლოგები თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადებისას ძირითადი წყაროს კომპიუტერში შესაყვანად იყენებენ წინა გამოცემის ტომეულებს, რაც ზედმეტ შრომასთან არის დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც ოპერატორი ტექსტებს კრეფს, ტომის შემდგენლებს უხდებათ მისი ჩასწორება ძირითადი ტექსტის მიხედვით, გასასწორებელი კი ხშირად საკმაოდ ბევრია. უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ იმთავითვე შეიქმნება ძირითადი წყაროს **ფოტოასლი** (ხაზგასმა ჩვენია – მ. ა.) და ოპერატორი მისგან აკრეფს ტექსტს“. ჯერ ერთი, ოპერატორი ფოტოასლიდან აკრეფს ტექსტს, თუ არსებული გამოცემიდან, რა მნიშვნელობა აქვს. ტომის გამომცემელს მაინც მოუწევს აკრეფილი ტექსტის კორექტირება. ძირითადი ტექსტის დადგენა ზოგ შემთხვევაში გამოცემის მომზადებისას კვლევით პროცესში ხდება და თავიდან ამის გაკეთება ხშირად ვერ ხერხდება. თუ სახელმძღვანელოს შემდგენლები გულისხმობენ მათ მიერ ზემოთ ნახსენებ კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც თვითონ ასწორებს გაციფრულ ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წყაროებში წაშლილ თუ ამოუკითხავ (ან დაზიანებულ) ადგილებს (II თავის „ტექსტოლოგიური კვლევის მეთოდები“ ქვეთავი „კოპირენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდი“, გვ. 72), ეს მათი განმარტებიდან არ ჩანს.

VI თავის ქვეთავში „ცვლილებები ტექსტოლოგიურ პრაქტიკაში“ – „ციფრული კორპუსები“) წიგნის ავტორები გვთავაზო-



ბენ ასეთ აზრს: „მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოცემული თხზულებათა კრებულები, თუნდაც აკადემიური იყოს, ავთენტურ წყაროდ ვერ ჩაითვლება და ტექსტის დიგიტალიზაციის დროს მის გამოყენებას აზრი არ აქვს“ (გვ. 334). ჯერჯერობით ქართული ტექსტოლოგიის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, როცა სიცოცხლის შემდგომი ტექსტი მკვლევარს ავთენტურ წყაროდ ჩაეთვალოს (თუ, რასაკვირველია, ხელნაწერებისა და სიცოცხლისდროინდელი გამოცემების არქონასთან არ გვაქვს საქმე, როგორც ეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობის შემთხვევაში იყო). არც დიგიტალიზაციის დროს მომხდარა ასე. რაც შეეხება არსებული გამოცემის ტექსტის აკრეფას, ასეთი ტექსტები მხოლოდ ტექნიკურ დახმარებას უწევს გამომცემელს და, ვიმეორებ, ისინი არანაირი სახის წყაროებად არ მიიჩნევიან. ასე დაწვრილებით იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება ამ ორ მოსაზრებაზე, რომ სახელმძღვანელოში კარგად უნდა იქნეს ახსნილი, რომ **ქართული ტექსტოლოგია დღემდე ღირსეულად მოვიდა და მსგავსი ლაფსუსები მათ არ მოსვლიათ თხზულებების გამოცემების დროს.**

ისევ და ისევ ქართველ ტექსტოლოგთა, ე. წ. ძველი თაობის, გაქილიკების ტონი შეიმჩნევა შემდეგ წინადადებაშიც: „ყველა ტექსტოლოგმა იცის, რაოდენ შრომატევადი და დამქანცველია ვარიანტებთან, კომენტარებთან და საძიებლებთან დაბეჭდილი ტექსტის გვერდებისა და ბნკარის მითითება. პროგრამა PDF-ის საძიებო სისტემას შეუძლია ჩვენთვის ამ საქმის შემსუბუქება. ამისათვის საჭიროა, რომ თავდაპირველად დაკაბადონდეს გამოცემის ის ნაწილი, სადაც ტექსტები იბეჭდება და მისი გამოყენებით მივუთითოთ აპარატში საჭირო გვერდები და სტრიქონები. ეს ტექნოლოგია ქართველმა ტექსტოლოგებმა პირველად 2007 წელს გამოვიყენეთ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-11 ტომის მომზადებისას“ (იქვე, გვ. 339). შეიძლება 2007 წლამდე PDF-ის საძიებო სისტემას ქართველი ტექსტოლოგები არ იყენებდნენ, მაგრამ ზემოთ მოტანილი ციტატით მომავალ სპეციალისტებს ექმნებათ შთაბეჭდილება, თითქოს გამომცემლები მთლიანად დაკაბადონებული ტომის მერე ხელახლა უბრუნდებოდნენ სამეცნიერო აპარატში გვერ-

დებისა და ბნკარების ჩასწორებას. **ტომის ე. ნ. I ნაწილის ცალკე დაკაბადონების პრაქტიკა 2007 წელს არ დაწყებულა და არც ტექსტოლოგიური ველოსიპედის გამოგონების თარიღია ის!**

სახელმძღვანელოში ჩვენ მიერ მოტანილ ბოლო ციტატაში ამოვიკითხეთ სიტყვა „გამოვიყენეთ“. დიახ, პირველ პირში გამოთქმული მოსაზრებებითა და ერთპიროვნულობით გაფლენილი სულისკვეთებითაა სავსე ეს სასწავლო წიგნი. აქ პერმანენტულად იკითხება მხოლოდ იმ გამოცემების ქება და მათში ჩატარებული სიახლეების შესახებ, რომელთა შედგენაში სახელმძღვანელოს ავტორებს მიუღიათ მონაწილეობა. ორიდან ერთი ავტორი ნამდვილად გამოცდილი ტექსტოლოგია, მეორე – ქ. გიგაშვილი – ენათმეცნიერია და მისი ბიოგრაფიის მიხედვით ტექსტოლოგია მისთვის მხოლოდ „ინტერესთა სფეროთი“ შემოიფარგლება. ნუთუ, 60 წლიანი პრაქტიკა და ქართველ ტექსტოლოგთა მიერ **(ფილოლოგიის კორიფეზად რომ არიან აღიარებულნი, გვარების ჩამოთვლაც რომ არ არის საჭირო)** დადებული ნაშრომები არ იმსახურებენ იოტისოდენა ყურადღებას და მტვრიან თაროზე შემოსადებად არიან განწირულნი?!

მიუხედავად ჩვენი წერილის დასაწყისში გამოთქმული დადებითი შეფასებისა, წინამდებარე სახელმძღვანელოს იმდენი ლაფსუსი გააჩნია პროფესიული კუთხით, რომ მას ჩვენ სრულყოფილ საგანმანათლებლო-სასწავლო ლიტერატურად ვერ მივიჩნევთ.

სახელმძღვანელო, რომელშიც არ არის ლაპარაკი დარგის შექმნის ისტორიაზე, მის წარმომადგენლებზე, არ არის გამოკვეთილი გამოცემათა ტიპები, არ არის მოცემული ვარიანტებისა და რედაქციების დანვრილებითი ანალიზი, მკითხველი ვერ იგებს ძირითადი, კანონიკური ტექსტის არსს, მაგალითები მოტანილია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში და ა.შ., მომავალში მოგვცემს ბოლომდე მოუმზადებელ ანუ არაკვალიფიცირებულ კადრს.

ვიმეორებთ, სახელმძღვანელოს გამოსაცემად, განსაკუთრებით კი ისეთ დარგში, რომელიც სასწავლო გამოცემებით არ არის განებივრებული, უნდა შეიკრიბოს მაღალკვალიფიცირებული მეცნიერთა ჯგუფი და მომზადდეს სათანადო დონის შემეცნებითი

თი გზამკვლევი მომავალი სპეციალისტებისთვის, რათა არ მივიღოთ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ნიგნის მსგავსი სახელმძღვანელო მხოლოდ სახელმძღვანელოსთვის.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

**ქართული ტექსტოლოგია**, კრებული-სახელმძღვანელო ზურაბ ჭუმბურიძისა და რუსუდან კუსრაშვილის რედაქტორობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, გამომცემლობა „ცოდნა“, 2006

**სამეცნიერო კრებული „ტექსტოლოგიის საკითხები“**, სოლომონ ყუბანიშვილის რედაქტორობით, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1970, 1971, 1973 (სარედაქციო კოლეგია: ლუბა მეფარიშვილი, ლეილა სანაძე, ლევან ჭრელაჭვილი), 1974, 1975

**სამეცნიერო კრებული „ტექსტოლოგიური ეტიუდები“**, სოლომონ ყუბანიშვილის რედაქტორობით, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977

**სამეცნიერო კრებული „ტექსტოლოგიური წერილები“**, სოლომონ ყუბანიშვილის რედაქტორობით, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978

**სამეცნიერო კრებული „ტექსტოლოგიური ძიებანი“**, სოლომონ ყუბანიშვილის რედაქტორობით, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979

**სამეცნიერო კრებული „ტექსტოლოგიის საფუძვლები“**, I, სოლომონ ყუბანიშვილის რედაქტორობით, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980; II, სოლომონ ყუბანიშვილის რედაქტორობით, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983

\* \* \*

**მეფარიშვილი... 2006:** მეფარიშვილი ლუბა, შავგულიძე ლამარა, *სხვა რედაქციები და ვარიანტები*, ქართული ტექსტოლოგია, კრებული-სახელმძღვანელო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, გამომცემლობა „ცოდნა“, 2006

**ნინიძე... 2018:** ნინიძე მათა, გიგაშვილი ქეთევანი, ტექსტოლოგია, სახელმძღვანელო დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის, თბილისი, გამომცემლობა „პრინტჯეო“, 2018

<https://en.wikipedia.org> დამონმეზა 22. 08. 2019

## პოლემიკა ეპიგრამებით

(ერთი ავტოგრაფის ისტორია)

*„ხელნაწერებს მაგიური ძალა აქვთ, ადამიანთა დიდი ხნის წინ გამქრალ სახეებს აწმყოში აბრუნებენ“.*

*შტეფან ცვაიგი. „ხელნაწერების აზრი და სილამაზე“.*

ავტოგრაფი, რომელზეც საუბარი გვექნება და რომლის ფოტოსაც აქვე წარმოგიდგენთ, ალექსი (ნიქა) ჭინჭარაულს (1925-2012) ეკუთვნის, გამოჩენილ ენათმეცნიერს, „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონისა“ (1969) და „ხევსურული ლექსიკონის“ (2005) ავტორს, „ვეფხისტყაოსნისა“ და ვაჟა-ფშაველას თხზულებების ტექსტოლოგიური კუთხით მკვლევარს, და ამავდროულად სახელგანთქმულ მოკაფიავეს, ეპიგრამული პოეზიის დიდოსტატს.

ნიქასა და ვახუშტი კოტეტიშვილის ურთიერთობის ერთ ეპიზოდს ეხება ეს ამბავი.

როდესაც აღმოსავლური პოეზიის ბრწყინვალედ გადმოქართულებელმა ვახუშტი კოტეტიშვილმა რილკეც თარგმნა არანაკლები წარმატებით, უახლოესმა მეგობარმა და კაფიაობაში მეტოქემ ალექსი (ნიქა) ჭინჭარაულმა ამის გამო ხუმრობით მისი გაქილიკება სცადა და ლექსი დაუნერა, სადაც ჭკუას არიგებდა, ევროპულ პოეზიას შეეშვი, აღმოსავლურსაც ძლივს ართმევ თავსო.

იქ ლექსოს ერთი იაღლიში მოუვიდა: რილკე რაინერ მარიას მაგივრად ერის მარიად მოიხსენია (ეს ეპიგრამა დაბეჭდილია „ნიანგის“ ბიბლიოთეკის სერიით გამოცემულ კრებულში: ალექსი ჭინჭარაული. ხუმრობაგამგებთ. თბ.: 1986). კერძოდ, ლექსში ერთგან ვკითხულობთ:

*„ჯამის მაჯამა ვერ უხმარია,  
მაგას დაჰყვება ერის მარია?“*

თანაც ეს „ერიხი“ ისეა ჩადულაბებული რითმაში (თავ-  
ისთავად ბრწყინვალე რითმაში!), რომ ძვრასაც ვერ უზამ!  
ამის გამო რილკეს სახელით ასეთი რამ დავწერე:

რაინერ მარია რილკეს საყვედური  
ალექსი წიქა ჭინჭარაულს

ერიხ მარია რისთვის შემარქვი?!  
რითმას შესწირე ჭეშმარიტება?!  
ერიხ მარია გახლავს რემარკი, –  
მსურს შეგახსენო, თუმც მერიდება.  
სად არ მითესავს, მე იქ ვერა ვმკი,  
სხვისი სახელით არ მსურს დიდება!

დავწერე ეს და გადავწყვიტე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნის-  
ტის“ იუმორისტულ განყოფილებაში დამებეჭდა, „ილიკოსა და  
ილარიონის კლუბი“ რომ ერქვა, ოღონდ ლექსოს პასუხითურთ.  
(ამ იუმორისტულ კლუბს პაატა ნაცვლიშვილის რედაქტორობი-  
სას ზურაბ ქუთათელაძე განაგებდა და მეც კლუბის ერთ-ერთი  
აქტიური წევრი ვიყავი).

ეპიგრამა ცალკე ფურცელზე ამოვწერე და ჩანთაში ჩავ-  
იდე, რათა ადრესატისთვის გადამეცა, როცა შევხვდებოდი, თან  
მეთხოვა, რამე დაენერა ამის საპასუხოდ.

კარგა ხნის შემდეგ დადიანისა და ლესელიძის (ახლა კოტე  
აფხაზის) ქუჩების გადაკვეთაზე შევხვდით ერთმანეთს. მე იქვე,  
მთარგმნელობით კოლეგიაში ვმუშაობდი იმ დროს, ისიც სამსახ-  
ურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში მიდიოდა, რომელიც მა-  
შინ დროებით მტკვრის სანაპიროზე იყო გადატანილი, ვინაიდან  
ინგოროყვას ქუჩაზე მდებარე შენობა რემონტდებოდა.

მოგუყვები, ასე და ასეა-მეთქი საქმე, და ეპიგრამაც  
წავუკითხე.

ძალიან შენუხდა, – ეს რა დამმართნიაო! ისე შენუხდა, რომ  
ვინანე, რატომ ვუთხარი-მეთქი.

– რა პასუხი უნდა დავწერო, მანდ რა არის საპასუხოდ, –  
მითხრა.

მაინც გავატანე ჩემი ხელნაწერი, – დარწმუნებული ვარ, რამეს მოიფიქრებ-მეთქი.

მართლა დარწმუნებული ვიყავი!

მეორე დღეს სამსახურში რომ მივედი, მაგიდის უჯრაში დამხვდა მისი პასუხი:

### **ნიქა-ალექსი წინჭარაულის პასუხი**

ლევან ბრეგაძეს უთქვამს: „ერიჰა!  
ნიქამ რაინერ გამიერიხა!“  
მაცდურო გზაო პოეზიისავე,  
ხან ვინრო, ხანაც განიერი ხარ!  
თავის მართლების არ ვეძებ საბაბს,  
სჯობს მოვუსმინოთ ბრძენთაბრძენ საბაბს:

„...ხოლო კნინი ყოველთა მცირეთა უმცირესი არს, ვითარცა ზვაჲ დიდთა უმეტესი, რამეთუ ზვაობა მეტად დიდობა არს. ხოლო მოლექსეთათვის სიტყვა და ლაპარაკი არა დაიდება, რაიც გაენყობა ლექსთა, მას იტყვიან. ვიეთთა მთარგმნელთაცა ესრეთ უქნიათ, ვინცა სიტყვას რიგით გააწყობს, იგი უმჯობესია“ (ხაზი ჩემია. ა. წ.). დიახაც უმჯობესია დიდო საბავე!

**27/XI-87 წ.**

\*

და ესენი, ჩემი რეპლიკა და ნიქას პასუხი, ორივე ერთად დაიბეჭდა „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1988 წლის 23 იანვრის ნომერში (№10), „ილიკოსა და ილარიონის კლუბის“ გვერდზე, სათაურით „პოლემიკა ეპიგრამული“.

\*

ციტატა, რომელიც მეცნიერულ ელფერს ანიჭებს პასუხს, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან აქვს დამონმებული („კნინის“ განმარტება სტატიაში „უმცროსი“).

ეს პასუხი კარგი პაროდიაა ჩვენებური პოლემიკისა, თავის მართლება რომ პრესტიჟის საქმედ არის მიჩნეული მაშინაც კი, როდესაც ლაფსუსი სრულიად აშკარაა.

PS.

დარწმუნებული ვარ, ოდესმე ალექსი ჭინჭარაულის ბრწყინვალე კაფიებისა და ეპიგრამების აკადემიური (მეცნიერული) გამოცემაც მომზადდება და ვინძლო, ეს ჩემი მონათხრობი მის მესვეურებს გამოადგეთ.

ნიქა-ალექსი ჭინჭარაულის ძეგლი

ლევან ბრეჯაძეს უძიქვას: ენიძა!  
ნიქამ საინერე გამოეხიბა!"  
პეტროლი ქვით პოქვილს,  
~~სახარის მხედრობა ქრისტეობის ხანა!~~  
სან ვინწო, სანაქ ქსილი სანი!  
თავალ ვხილავალ არ ვეჭვ საპაპს,  
სქობს მოვუძინობი მხედრამწიქა სპაპს:

"... სოლო ენიძი ყოვლია მქიხეთა უქქიხელი  
ქნს, ვითინქა ზვავი დიდთა უქქიხი, სანაქო  
ზვავიშა მქვად დიდთა ქნს. სოლო მთლიქლითავალ  
სოქვა და თამაშთაქი ქნა დიდქვა, სანაქ ვეჭვი-  
შა დიქლით, მს იქყვიან, ვიქთა მთაქველითა  
ქნეთა უქქიხით; ვინსა სოქვალ სოქი ვასწყობს  
იქი უქქიხელა" (სანი ჩემი, ა.ქ.) დინსაქ უქქო  
ქნა, დიდ საპაპ!

27/12-876



## მაკინე ამირეჯიბის ერთი ხელნაწერი რვეულის გამო

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია მაკინე და სარდიონ ამირეჯიბების გარეშე, რომელთა სალონი ქართლის სოფელ სალოლაშენში წარმოადგენდა უმძლავრეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს, სადაც თავს იყრიდა იმდროის მოწინავე საზოგადოება. უფრო მეტიც, მაკინე ამირეჯიბი იყო ძალზე მნიშვნელოვანი წამოწყებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. „არაფერი კეთილი და სასარგებლო არ გაკეთდება ფრონის ხეობაზე, რომ მხურვალე მონაწილეობა არ მიიღოს კნეინა მაკინემ“ – წერდა გაზეთი „ივერია“ 1895 წელს.

მაკინე ამირეჯიბი სოფელ ბრეთში დაბადებულა 1858 წელს. მისი მამა ქაიხოსრო ავალიშვილი ლექსებს წერდა და შვილებს სამშობლო-ქვეყნის სამსახურისათვის ამზადებდა. როგორც პროფ. ივანე ლოლაშვილი წერს: „16 წლის ასაკში მაკინე გაათხოვეს მეზობელ სოფელ სალოლაშენში სარდიონ სიმონის ძე ამირეჯიბზე. სარდიონიც, მეუღლის მსგავსად, მუსიკისა და ლიტერატურის დიდი მოყვარული იყო. მას ჰქონდა თავისი ხელით გაკეთებული თარი, რომელზედაც შესანიშნავად უკრავდა და დამღერდა სიმღერებს“ (ლოლაშვილი 1980: 72).

მაკინეც „ჩინებულად უკრავდა დაირას. როდესაც მას შემთხვევით მოუხდებოდა დასტასთან დაირის დაკვრა, ჭიანურის, დიპლიპიტოსა და თარის ხმა თითქოს აღარ ისმოდა, ისე ძლიერად ხმიანდებოდა მაკინეს ხელში დაირა... ამასთან, დიდხანსაც უკრავდა“ – იგონებდა მისი ახლობელი ივანე ავალიშვილი (ლმ: 12871).

მშვენიერი გარეგნობისა და მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე ბანოვანი ანდამატივით იზიდავდა მსმენელს. აი, როგორ ახასიათებს მას ასევე ცნობილი ოჯახის წევრი, მწერალი ნინო ყიფიანი: „მოხდენილი ტანისა, შავგვრემანი, მეტად სანდომიანი, მომღიმარი პირისახისა, შავი, ცეცხლით სავსე თვალებით... იშვიათი იყო მისი სიმღერა ქართული ხმებისა და აგრეთვე იშვია-

თი – მისი „ლეკური“... ეს ერთი ქალი შეიცავდა სამივე ზემოხსენებულ ნიჭს: დაკვრისას, ცეკვისას და სიმღერისას და ყველა ამას ასრულებდა დიდი ხელოვნებით...

ოთხივე კუთხივე მხოლოდ მაკინეს სახელი გაისმოდა და ყველას თვალი და ყური მისკენ იყო მიმართული: ყმანვილი და ხნიერი, ქალი და კაცი ყველა იმას შესციცინებდა!

– მაკინე მღერის! – დაიძახებდა ერთი ვინმე და ყველა იმ კუთხეს მიაშურებდა.

და მღეროდა მაკინეც ქართულ ხმებს ისე ტკბილად, ისე ზეამტაცად! „ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია, მიკვირს რომ სული რად არ მხდომია“ – ისეთი კილოთი აარაკრაკებდა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ამ ლექსს, რომ თვით პოეტიც თავის ჭმუნვის გამოხატვას უკეთესს ვერ ინატრებდა.

ის კილო იყო საკუთარი მაკინეს კილო, არც მინამ, არც შემდეგ ის სიმღერა, მგონია, არავის გაუგონია და თუ ეს ასეა, მაკინესთან ერთად მოკვდა ისიც!

კვნესა იყო, მთელი მოთქმა ის სიმღერა! კვნესოდა თქვენი გულიც მაკინესთან ერთად. მაგრამ თან გინდოდა, რომ ეს ხმა არ შეწყვეტილიყო!

რამდენი ჩვენი მოღვაწის, ჩვენი მოამაგე ხალხის ბევრ-გზით კაემნით მოცული გული დაუტკბია მაკინეს სიმღერას, ილია, რომელსაც, მგონი, მუსიკა საერთოდ არ აინტერესებდა, აკაკი და ვანო მაჩაბელი და სხვა ბევრი უცხო ქვეყნის შვილი, ჩვენთან ჩამოსული სტუმრად“ (ლმ: 22876).

ეჭვი არაა, სწორედ მაკინეს წყალობით იქცა მისი ოჯახი მთელს ქართლში სახელგანთქმულ კულტურულ კერად და თვითონ კი – მაგალითად ერის სულიერებისათვის ზრუნვისა.

მაკინემ და სარდიონმა სანიმუშო ოჯახი შექმნეს, სახლკარი ევროპულ ყაიდაზე მოაწყვეს და სახლთან ერთად გულის კარიც გაუღეს აქ არცთუ იშვიათად მოსულ სტუმრებს. თანასოფლელებმაც შეიყვარეს, მისი უსაზღვრო თანაგრძნობითა და პატივისცემით განიმსჭვალნენ. ყოველივე ეს კი მაკინეს დიდი ადამიანური სითბოდან გამომდინარეობდა. „იგი პირველი უწვდიდა ხელს გაჭირვებულთ, ის იყო გლეხკაცობის მრჩეველი, დამრიგებელი, დამხმარე, მეგობარი, ზრუნავდა მათ კულ-

ტურულ ამალღებაზე, უმართავდა წარმოდგენებს, სალიტერატურო საღამოებს, კონცერტებს და სხვადასხვა გასართობებს“, – წერდა ცნობილი თეატრალური მოღვაწე ელისაბედ ჩერქეზიშვილი (**ლოლაშვილი 1980: 74**).

მაკინე იყო თეატრალური ხელოვნების დიდი დამფასებელი და ხელისშემწყობი. მისი სახლი ყოველთვის ღია იყო სცენის-მოყვარეთათვის, სადაც ისინი მართავდნენ წარმოდგენებს და კითხულობდნენ სხვადასხვა ნაწარმოებებს. ცნობილი ქართველი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი იგონებდა: თბილისის დასი „ხშირად კერძო სახლებშიაც სოფლელთ თანდასწრებით კითხულობდნენ რამე მოთხრობებს, ხალხურ სცენებს. მაგ.: მაკინე ამირეჯიბისას ს. სალოლაშენში, ნიკო დიასამიძისას სოფ. საქაშეთში და ბრილში“ (**მგალობლიშვილი 1936:217**).

მაკინე იყო ქართლში ყოველგვარი სიახლის დამწერგავი და შემომტანი. ის დიდ დახმარებას უწევდა პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობას.

1893 წელს ამირეჯიბების ოჯახს დიდი იღია ეწვია. ამასთან დაკავშირებით პროფ. ივ. ლოლაშვილი წერს: „90-იან წლებში ცნობილი ბანკობიადის დროს, სარდიონ ამირეჯიბს ილიას მხარი ეჭირა და ქართლში ცდილობდა მისი მომხრეების გაჩენას. 1893 წელს, როდესაც იღია ქართლში გაემგზავრა ხმების შესაგროვებლად, სარდიონ ამირეჯიბი დიდად დაფაცურდა: ილიას შეხვდა ქვიშხეთში, ლუარსაბ ყიფიანის ქალის ქორწილში (ლუარსაბი იყო დიმიტრი ყიფიანის ძმის ქაიხოსროს უფროსი ვაჟი – მ. მ.) და თავისი ამალით საახალწლოდ სალოლაშენში მიიპატიჟა. იღია ქვიშხეთში იყო ჩასული საპატარძლოს დასალოცად. იქ მყოფთაგან მის მოძრაობას ყველა აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს. მაშინ მაკინემ დიდად გამოიჩინა თავი: მისმა ცეკვა-სიმღერამ ქორწილის ყველა მონაწილე (მათ შორის იღია) მოაჯადოვა. როგორც იქ დამსწრენი (ნინო ყიფიანი, ანდრო ნადირაძე) იუწყებიან, მაშინ ილიას თან ახლდნენ ალ. ფრონელი (ყიფშიძე), ნ. ხიზანიშვილი, დ. მიქელაძე, გრ. აბაშიძე, ა. ლოლაძე. იღია ქორწილის შემდეგ, ამალითურთ მიიპატიჟა აბელ კალატოზიშვილმა სოფელ წვერში, ხოლო იქიდან საახალ-

წლოდ სოფელ სალოლაშენში ამირეჯიბებთან გადავიდა (**ლოლ-აშვილი 1985: 74-75**).

სარდიონმა და მაკინემ დიდ მამულიშვილს გულითადი მასპინძლობა გაუწიეს. მაკინეს გულუხვობითა და მისი ხელ-ლოვნებით აღფრთოვანებულმა ილიამ, თბილისში დაბრუნების შემდეგ, თავისი ნაწერების ოთხტომეული გაუგზავნა მოღვაწე ქალს, რომელსაც ასეთი წარწერა გაუკეთა:

„რაც სიტყვით აკლდეს, ბუნებით  
შენმა ხმამ შეასრულოსო“

მაკინემ მადლობის ნიშნად დიდ მამულიშვილს თარი უსახსოვრა. როგორც ჩანს, ეს ლექსი, რომელიც მაკინეს ხელნაწერ რვეულშია შეტანილი, თართან ერთად მიართვეს ილიას. ლექსი აკროსტიხულია და იკითხება დიდი მწერლის სახელი –

ინებე თარი სახსოვრად, გვასმინე კვლავ ხმა ტკბილია,  
ლამაზ შენს ერსა ჩასთვლიმა, დაუფრთხე მამაცს ძილია,  
იბრძოლე კალმით და ჩანგით, შესძინე საღმრთო წვლილია,  
ახ ნეტავი შენ, ცის მადლით გაქვს შუბლი აღბეჭდილია (**ხმმ:**

**33**).

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ამირეჯიბების ოჯახს დაუკავშირდა აკაკი წერეთელი. პოეტი თავიდანვე მოიხიბლა მაკინეს მშვენიერი ხმით, მდიდარი შინაგანი სამყაროთი, საოცარი სიტბოთი, რომელსაც იგი იჩენდა ადამიანების მიმართ. ამის დასტურია ლექსი „მღერალ ქალს“, რომელიც მგოსანმა 1893 წელს დაწერა და მიუძღვნა მაკინე ამირეჯიბს. როგორც ჩანს, აკაკი თავიდანვე მოიხიბლა ცოლ-ქმრის შეთანხმებულმა, ერთმანეთის მზრუნველობით გამთბარმა ურთიერთობამ. პოეტმა მთელი არსებით აღიქვა ის, რაც მას ასე ძალიან აკლდა. ამ ცოლ-ქმარში მან ადვილად აღმოაჩინა ქართული სული, შეიყვარა მათი ოჯახი.

1899 წელს სოფელ წვერში, აბელ კალატოზიშვილის ოჯახში აკაკი კვლავაც შეხვდა მაკინესა და სარდიონს, სადაც ისინი

ჩვეული მომხიბლევით ასრულებდნენ სხვადასხვა სიმღერას. აკაკი კიდევ ერთხელ მოიხიბლა მათი ხელოვნებით და მაკინეს რვეულში ჩაწერა ლექსი „კნენა მ. ამირეჯიბის ალბომში“ –

ვნახე ცოლ-ქმარი მე მეგობარი,  
ერთმანეთისა შეთანამტკბარი  
და გულგატეხილს უჩვეულობით,  
მეგონა მხოლოდ ფუჭი სიზმარი.  
ხმატკბილ-ნარნარი ხელთ ეპყრათ ქნარი  
მხიბლავდა მღერა გასაოცარი,  
მაგრამ მე მაინც, ზეაღტაცებულს  
მეგონა მხოლოდ ტკბილი სიზმარი.  
მას შემდეგ არი, რომ მეც დამტკბარი  
მათ თანავუგრძნობ, ვით მეგობარი,  
მაგრამ ერთხელვე კი გულგატეხილს  
ესეც მეგონა მარტო სიზმარი.

აკაკი არ ივინყებდა საყვარელ ოჯახს, პერიოდულად სტუმრობდა მაკინესა და სარდიონს სალოლაშენში, სადაც ყოველთვის მზად იყო ოთახი, რომელიც სპეციალურად მისთვის იყო განკუთვნილი.

აკაკი საკმაო ხანს რჩებოდა ხოლმე მეგობრებთან და სოფლის მოსახლეობასაც ხვდებოდა. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას მაკინეს რვეულში აკაკის ჩაუწერია პერიფრაზი თავისი პოემიდან „გამზრდელი“ –

მასპინძელი ამ ოჯახის საქართველოს ასულია,  
მონყვეტილი ცის ვარსკვლავი ედემსავით ასულია,  
ელფერობით ვარდი არის, სინაზით კი მორცხვი ია,  
ტრფობისათვის ჯერ პირველად გულის კარი გაუღია.

მაკინე თავისი დროის შემოქმედთა შთაგონების საგნად იქცა. მისი ცეკვა და სიმღერა თანაბრად ხიბლავდა ყველას და პოეტებიც ცდილობდნენ ლექსის სტრიქონებში გამოეხატათ თავისი აღფრთოვანება ამ უნიჭიერესი ადამიანის მიმართ.

მაკინეს რვეულში არაერთი ლექსი ჩაუნერია ცნობილ პოეტ ქალს ნინო ორბელიანს, რომელთაგან რამდენიმე უშუალოდ მასპინძლისადმი მიძღვნილი. ჩანაწერთაგან საყურადღებოა მაკინესადმი მიძღვნილი პირველივე ლექსი „ვუძღვნი კნენა მაკინეს“, რომელიც პოეტს 1905 წლის 24 ივლისს, სალოლაშენში სტუმრობისას დაუნერია. იმავე დღეს ნინო ორბელიანი მაკინეს უძღვნის ლექსს, რომელსაც საკუთარი ხელით წერს მაკინეს რვეულში. აი, ეს ლექსი:

### **მაკინეს**

ალერსით წერას  
თუკი აქვს ძალი  
რომ არ ქარწყლდება  
ხსოვნა მიმქრალი.  
მაშ მირჩვენის მე,  
რომ ვიყო მკვდარი,  
შენის ნახვითა  
ამ ხნად დამტკბარი.

25 ივლისით თარიღდება ნინო ორბელიანის მესამე ლექსი, რომელიც ასევე მაკინეს ეძღვნება და იმავე რვეულში პოეტის ხელითვეა ჩანერილი.

ცნობილია, რომ ამირეჯიბების ოჯახს ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ქვიშხეთელ ყიფიანებთან. განსაკუთრებით კი – დიმიტრის შვილიშვილებთან ბარბარე და ნინო ყიფიანებთან, მაკინეს ალბომს შემოუნახავს ორი ლექსი, რომელთაგან ერთის ავტორია ვარია (ბარბარე – მ. მ.) ყიფიანი, მეორე კი წარმოადგენს ცნობილი პოეტის გრიგოლ აბაშიძის ლექსის სახეშეცვლილ ვარიანტს:

### **ვუძღვნი კნენა ამირეჯიბს**

როდესაც შეგხვდი, ამევსო გული,  
ლხინით და ტრფობით გატაცებული,

ოდეს გაგიცან – შემიპყარი მე,  
შენ შემოგეველე, შენი ჭირიმე.

ოდეს გიცქერდი – ხარობდა გული,  
შენი სიმღერით აღტაცებული;  
ოდეს მოგშორდი დიდად ვწუხვარ მე  
შენ შემოგეველე, შენი ჭირიმე.

შენ ხარ ოცნება და სიყვარული,  
ხარ უკვდავება და სიხარული,  
რად გამაგონე ციური ხმა მე,  
შენ შემოგეველე შენი ჭირიმე.

შენ მომივლინე წმინდა ნათელი,  
შენ გამიქარწყლე კვნესა-ნალველი,  
შენ რომ მოგშორდი მუდამ ვსტირი მე,  
შენ შემოგეველე, შენი ჭირიმე.

გემუდარები ნაზო ბულბულო,  
ჩემო ციურო და სიხარულო,  
ხანდახან მაინც მომიგონე მე,  
შენ შემოგეველე, შენი ჭირიმე.

როგორც შევნიშნეთ, ეს ლექსი წარმოადგენს თავისებურ ვარიანტს გრ. აბაშიძის ცნობილი ლექსისა „ოდეს გშორდები“. მეორე ლექსს სათაურად აქვს: „მაკინეს ვარ. ყიფიანისაგან“ –

ნაზო ბულბულო, შენ ხარ სწორედ შენ,  
გამცოცხლებელი ტანჯული გულის,  
რომელსაც სიტკბო შენის სიმღერის  
უნერგავს ძალას ღრმა სიყვარულის.

როგორც მზის სხივი აცოცხლებს ყვავილს,  
ნაზსა კოკობსა ვარდსა შემკობილს,

გლოვით მკვდარ გულსა გრძნობითა ხმითა  
შენ აფრთოვანებ სიხარულითა...

სულით დაცემულს, ბედით დაჩაგრულს  
ცრემლებს ვაების კვნესის მაგივრად,  
უფხიზლავ იმედს ნათელს, ხალასსა  
ტკბილ ნეტარებას და სიცოცხლესა!

აჰ, სანატრელო, ბედის მომტანო,  
მწუხარე სულის გამამკურნალო,  
აჰ, სიყვარულით ციურ ხმიანო,  
ტკბილად დამატკბე, გამხარებელო!

1891 წლის 5 იანვრით თარიღდება რვეულში შეტანილი ლექსი „უძღვნით კ. მ. ა“, რომელსაც ხელს აწერენ სანდრო ჩიჯავაძე და გრიშა აბაშიძე. ლექსი გამოირჩევა უშუალობითა და გრძნობის სინრფელით.

1901 წლის 8 თებერვალს „სოსიკოს“ ფსევდონიმით რვეულში შეტანილია ლექსი „მაკინეს და სარდიონის ოცდახუთის წლის ქორწინების დღეს“, რომელშიც ნათლად არის გადმოცემული ამ ორი მოღვაწე ადამიანის თანაცხოვრების უმნიშვნელოვანესი ისტორია.

ეს რვეული ინახავს არა მარტო ქართველ კლასიკოსთა პოეტურ შედევრებს, არამედ იმხანად სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსული მწერლების ნაწარმოებებსაც. აქ შეხვდებით იოსებ გრიშაშვილის, სანდრო შანშიაშვილისა და სხვათა ლექსებს.

ცნობილია, რომ მაკინესა და სარდიონის ქალიშვილი რახელ (ხახე) ამირეჯიბს (1886-1961 წ. წ.) ახლო მეგობრობა აკავშირებდა იოსებ გრიშაშვილთან. ხახე სცენითაც ყოფილა გატაცებული. ის, ელო ანდრონიკაშვილთან და შალვა დადიანთან ერთად, მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში (ელა ანდრონიკაშვილი იყო სარდიონის დისშვილის ლევან ციციშვილის ცოლისდა – მ. მ.), ხახე წერდა ლექსებსაც. იოსებ გრიშაშვილის პოეზიამ კი შემოინახა ხახესადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც იმავე რვეულშია შეტანილი:



ნეტავ ახლა აქა მყავდე, ხახე,  
ნეტა ეხლა ერთად ვიყოთ ჩვენა,  
რომ ისმინო შაშვის სიჭახჭახე  
და ისმინო იადონის სტვენა.  
აქ ყვავილებს სიყვარულის ლაქად  
დასცემია ზეცის ბალსამოსი,  
აქ ვაჟურ ფიჭვს ქალნულის ლეჩაქად  
დაჰხვევია ნისლი სალამოსი.  
აქ მთოვარე ჩემის თვალით ვნახე.  
მთის გადღმევ როგორ ჩაესვენა...  
ნეტავ ეხლა აქა მყავდე, ხახე,  
ნეტავ ეხლა ერთად ვიყოთ ჩვენა!

1915 წ.

მაკინეს რვეულში შეტანილია ასევე იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ვის არ ვუყვარდი“.

მაკინე და სარდიონ ამირეჯიბების საოჯახო რელიქვიათა შორის უმნიშვნელოვანესია თეთრი სუფრა, რომელზედაც ამოქარგულია იმ დროის არაერთი გამოჩენილი მოღვაწის ავტოგრაფები. პროფ. ივანე ლოლაშვილი წერს: „მაკინე ამირეჯიბის სალონში იდგა დიდი გასაშლელი მაგიდა, რომელზედაც გადაფარებული იყო თეთრი გრძელი სუფრა (მაკინეს შეუძენია ის გასული საუკუნის 70-იან წლებში), როდესაც ოჯახში სტუმრები მოვიდოდნენ, ისინი ამ სუფრაგადაფარებული მაგიდის გარშემო იყრიდნენ თავს და სჯა-ბაასობდნენ“ (ლოლაშვილი 1985: 78).

ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამ ტრადიციის დამკვიდრების ისტორია, რომლის შესახებაც საინტერესო ცნობებს გვანვდიან მაკინეს შვილები: „ერთხელ, მარიამობას, დედასთან სოფელ სალოლაშენში მოვიდნენ ნინა და ვარო ყიფიანები. ისინი დედაჩემის მასპინძლობით ისეთი კმაყოფილები დარჩნენ, რომ მისგან სამახსოვროდ თეთრი ცხვირსახოცი მოითხოვეს, რათა ზედ თავიანთი სახელები და გვარები ამოქარგათ. დედას თურმე იმნუთას ახალი აზრი დაბადებია.

სახელდობრ, ჩვენთან მოსულ ყველა სტუმარს მასპინძლის ოჯახში რაიმე სამახსოვრო ნიშანი დაეტოვებინა და, აი, მაშინვე გამოიტანა შვიდმეტრიანი თეთრი სუფრა და ნინას და ვაროს მიმართა ამ სიტყვებით: ამ სუფრაზე მოაწერო ხელი და ამოქარგეთ, უფრო მუდმივი სამახსოვრო იქნება! ამიერიდან ყველა სტუმარმა ჩვენს ოჯახში ყოფნა სამახსოვროთ აღბეჭდოს ამ სუფრაზე ხელმოწერითო. და მართლაც, დედას სიტყვები საქმედ იქცა: სუფრაზე ხელს აწერდა ყველა, ვინც კი ჩვენსა სოფ. სალოლაშენში სტუმრად მოვიდოდა. ხელმოწერა ხდებოდა შემდეგნაირად: სუფრაზე ვდებდით ლურჯ გადასაღებ ქაღალდს, ზედ ვაფარებდით თეთრ ქაღალდს და სტუმარი ამ უკანასკნელზე ფანქრით თავის გვარ-სახელს აწერდა ან იმას, რასაც იგი მოისურვებდა. გადასაღები ქაღალდის საშუალებით სუფრაზე აღიბეჭდებოდა ხელმოწერა (ან წარწერა), შემდეგ მას ჩვენ, მაკინეს ქალები, გაუხუნებელი ფერადი აბრეშუმის ძაფით ვქარგავდით“.

მაკინეს სუფრა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა ავტოგრაფებითაა დამშვენებული, აქ 1000-ზე მეტი ავტოგრაფია.

პროფ. ივ. ლოლაშვილი ასევე ყურადღების გარეშე არ ტოვებს მაკინეს შვილების მონათხრობს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ სუფრასთან ერთად მაკინეს ჰქონია ასევე ალბომი, რომელშიც ქართველი მწერლები და სხვა სტუმრები აკეთებდნენ ჩანაწერებს „დედას ერთი ალბომი ჰქონდა, სადაც ჩვენთან მოსული სტუმრები თავიანთ გვარ-სახელებსა და ლექსებს წერდნენ (მასში იყო ჩანერილი აკაკის ლექსიც). შემდეგში, როცა ხელნაწერად სუფრა შემოვიღეთ, იმ ალბომში შეტანილი გვარები სუფრაზე გადავწერეთ და წითელი ძაფით ამოვქარგეთ.“ ამიტომაც წარწერა-ხელმოწერების ნაწილი არაავტოგრაფულია, მაგრამ ეს წარწერებიც სანდო წყაროა იმის გასარკვევად, თუ ამირეჯიბების სალონში ვინ დაიარებოდა, ანდა მაკინეს ოჯახს ვისთან ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა“.

მაკინეს სუფრის განფენილობა დაახლოებით ასეთია: „სუფრის ცენტრში მოყვითალო ძაფით, ამოქარგულია ოთხკუთხედი (ზომა 43X39 სმ). მის ცენტრში მსხვილი ასოებით ხელრთულად წერია „მაკინე 1902 წ. 4. 9“. ოთხკუთხედის მომრგვალებულ

კუთხეებში სხვადასხვა ფერის ძაფით ჩანერილია მაკინეს ოჯახის წევრთა სახელები „ქაიხოსრო“ (მამა), „ელენე“ (დედინაცვალი), „მაკინე, სარდიონი“, მათი შვილების სახელები – სიკო, კონია, გიორგი, თამარა, ნინა, საშა, რახელ და მერი“. შიგ ოთხკუთხედის ფართობზე კი ხელმოწერილია მაკინე და სარდიონ ამირეჯიბების ახლო ნათესავთა გვარ-სახელები. სუფრის თავში მარჯვენა კიდეზე წარწერილია მაკინეს დედინაცვლის – ელენეს ლექსი:

სუფრა სალხინო ოჯახში  
მალ-მალე გაიშალოსა,  
გაფრთხილდეს ამის მფლობელი  
არ წახდეს და იძალოსა.  
მაკინემ ქმრით და შვილებით  
ხანგრძლივად გაიხაროსა,  
შვილებით, შვილიშვილებით  
გამრავლდეს საბაღნაროსა.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მაკინეს ქალიშვილების გადმოცემით, მათ ოჯახში ასევე პოპულარული იყო ალბომი, რომელშიც იქ მისული სტუმრები ტოვებდნენ ავტოგრაფებს. ამ ცნობასთან მიმართებაში, სუფრაზე ავტოგრაფების დასათარღლებლად, საინტერესოა ერთი პუბლიკაცია, ავტორები არიან ტარიელ და თინათინ იაშვილები, რომლებიც წერენ: „თუ ჩვენ ამ საბუთს დავუჯერებთ (და არ შეიძლება, რომ არ დავუჯეროთ, რადგან მას დაბეჯითებით იგონებენ არა მარტო ოჯახის წევრები, არამედ პირადად ამომქარგველნიც). სუფრას თავისი არსებობა დაუწყია 1902 წლიდან“ (ომეგა 2002: 31).

ნათელია, რომ მაკინეს სუფრამდე ოჯახში ჰქონია სპეციალური ალბომი, რომლებშიც კეთდებოდა ჩანაწერები, ეს ალბომი დღესდღეობით არ ჩანს. სამაგიეროდ, ლევან ციციშვილის ოჯახმა შემოინახა მაკინეს, ჩვენი აზრით, უფრო გვიანდელი რვეული, რომელშიც შეტანილია არაერთი, იმდროისათვის ცოცხალი თუ უკვე გარდაცვლილი, პოეტის ლექსი. შესაძლებელია ეს რვეული წარმოადგენს მანამდე არსებული ალბომის განახლებულ ვარიანტს. მასში მაკინეს ჩანაწერებთან ერთად გვხვდება რამდენიმე

პოეტის ავტოგრაფული ჩანაწერი.

ამ რვეულში ჩანაწერების დაწყება გასული საუკუნის დასაწყისიდან უნდა ვივარაუდოთ. ამის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ მასში შეტანილი ლადო ახოზაძის ლექსი „№-ს“ 1901 წლის „მომამის“ მე-12 ნომერში გამოქვეყნდა. ყოველ შემთხვევაში, შესაძლებლად მიგვაჩნია, ლექსი გამოქვეყნებამდე ცნობილი ყოფილიყო მაკინესათვის, რადგან ლადო ახოზაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მაკინეს ოჯახთან. აღნიშნულ ხელნაწერში მისი ნაწარმოებები სხვაგანაც გვხვდება, მაგრამ 1900-იან წლებამდე ამ რვეულში ჩანაწერი ვერ გაკეთებოდა, რადგან პოეტის ეს ლექსი, რომელიც ფაქტობრივად იწყებს ამ ალბომს, სწორედ ამ ხანებშია დაწერილი.

მოკლედ გვინდა, შევხვით რვეულში შეტანილი ნაწარმოებებს ტექსტოლოგიური თვალსაზრისით. რვეულზე დაკვირვება ნათელს ხდის, რომ მაკინე, არცთუ იშვიათად, ამა თუ იმ ნაწარმოებს ამოკლებს, ან თავისი განწყობილების შესაბამისად ცვლის ავტორისეულ ტექსტს.

კრებული არ მისდევს ქრონოლოგიის პრინციპს. აქ ერთმანეთის გვერდით გვხვდება სხვადასხვა თაობის ქართველ პოეტთა სხვადასხვა დროს დაწერილი ნაწარმოებები.

ზოგიერთ ლექსს მინერილი აქვს როგორც თარიღი, ისე დაწერის (რვეულში ჩანერის) ადგილი. ასე მაგალითად, მაკინესადმი მიძღვნილ აკაკის ლექსს „მღერალ ქალს“ მინერილი აქვს „ქვიშხეთი, 1896 წელი“, ხოლო მეორე ლექსს „სარდიონსა და მაკინეს“ („სიზმარი“) – „1900 წელი, სოფელი წვერი“.

ლადო ახოზაძის შემდეგ ალბომში შეტანილია ნინო ორბელიანის ორი ლექსი „ვიგონებ წარსულის ნეტარ დროს“ და „კნინა მაკრინეს“, ლევან ციციშვილის, ქაიხოსრო ავალიშვილის, სანდრო შანშიაშვილის ლექსები. ამ უკანასკნელის ლექსს საინტერესო მინაწერი აქვს.

აღნიშნული ხელნაწერი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ მასში აკაკის ხელითაა შეტანილი რამდენიმე ლექსი.

მეცხრამეტე საუკუნის ქართველ პოეტთაგან რვეულში შეტანილია ალ. ჭავჭავაძის „ჭმუნვის მახვილი“, ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ (შემოკლებული ვარიანტი), ილია ჭავჭავაძის

„გახსოვს ტურფავ“, „ალარც ნატვრა“, დუტუ მეგრელის „მეც მიყვარს ლხინი“, გრ. აბაშიძის „სიმღერა“, გარიყულის ნანარ-მოებები.

როგორც ჩანს, მაკინეს ამ რვეულში ლექსები შეჭქონდა თავისი განწყობილების შესაბამისად, არის შემთხვევები, როდესაც ლექსები ჩანერილია ავტორების მიერ.

ეს ხელნაწერი რვეული საინტერესოა მაკინეს გემოვნებისა და მისი ლიტერატურული ინტერესების დადგენის თვალსაზრისითაც. აქ ნათლად და მკაფიოდ იკვეთება ერთი გარემოება: მაკინე კლასიკურთან ერთად, კარგად იცნობდა თავისი დროის ქართულ მწერლობას.

ლიტერატურასთან მაკინეს დამოკიდებულებასთან ერთად გვსურს, გავარკვიოთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: უნდა ჩაითვალოს თუ არა ლიტერატურულ სალონად მაკინე ამირეჯიბის სახლი სალოლაშენში.

ამ პრობლემით დაინტერესებული მკვლევრები ერთხმად შენიშნავენ, რომ მაკინეს სახლი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ლიტერატურულ სალონს, სადაც იკრიბებოდნენ იმ დროის გამოჩენილი ადამიანები. ამასვე ადასტურებენ ნინო ყიფიანი და ივანე ავალიშვილი თავის მოგონებებში.

ამასთანავე, გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ მაკინეს სახლი სალოლაშენში არ შეიძლება ჩაითვალოს ლიტერატურულ სალონად. მხედველობაში გვაქვს ტარიელ და თინა იაშვილების წერილი „მაკინე ამირეჯიბის სუფრა“, რომლის შემაჯამებელ ნაწილში მკვლევარები წერენ: „ამირეჯიბების სტუმართა უმრავლესობას საერთო არაფერი ჰქონდა სიტყვაკაზმულ მწერლობასთან თუ საერთოდ ხელოვნებასთან. მისი სტუმრები იყვნენ ყველა პროფესიისა და მდგომარეობის პირები, განურჩევლად ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა...“

დგინდება, რომ არ არსებობს ლიტერატურული სალონის წევრთა შეკრების არავითარი დადგენილი ვადები. ზოგჯერ მინაწერი თარიღებით ირკვევა, რომ სალოლაშენში მაკინე და კოსტა (უნდა იყოს სარდიონ – მ.მ.) ამირეჯიბებთან სტუმრები იკრიბებოდნენ უფრო მეტად დღესასწაულებსა და დღეობებზე“ (ომეგა 2002: 31).

დავინწყით ბოლო არგუმენტით. როგორც ცნობილია, დღესანაულები წელიწადში რამდენჯერმე აღინიშნება. მკვლევრები თვლიან, რომ ამირეჯიბების ოჯახს სტუმრები სწორედ ამ დღეებში სტუმრობდნენ. ოჯახის ახლობელი ივანე ავალიშვილი კი ირწმუნება, რომ ყოველი სასარგებლო, საზოგადოებრივი ხასიათის საქმე ქართლში გასავრცელებლად, მაკინეს ოჯახიდან იწყებოდა. მწერალი ქალი ნინო ყიფიანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ, მაკინე იყო დიდი ერთგული თავისი ქმრისა და შვილებისა და თითქმის მუდამ სტუმრებით სავსე თავისი ოჯახისა“. როგორც ირკვევა, სტუმრიანობა მაკინეს ოჯახისათვის მუდმივი მოვლენა ყოფილა და არა მნიშვნელოვანი დღეებისათვის დამახასიათებელი. რომ ეს ასე იყო, ამასვე ადსტურებს მაკინე ამირეჯიბის ერთი კერძო ბარათი: „ძმაო საშა! ძლივს ვიპოვე თავისუფალი დრო, რომ მოგწერო წერილი. ვიცი, მემდურები. აქამდისინ ვერა გწერდით, მაგრამ ხომ იცი ჩვენი სახლის ანბავი ოცდაოთხი საათი სტუმარია (ხაზგასმა ჩვენია – მ.მ.) და ადამიანი ვერ იცლის“ (ლმ: 416).

წერილის ავტორები ასევე წერენ, რომ „მაკინეს სტუმართა უმრავლესობას საერთო არაფერი ჰქონდა სიტყვაკაზმულ მწერლობასთან“-ო.

თუ გავისხენებთ, რომ მაკინეს სალონში ყოფილან დიდი ილია, ხშირად ჩადიოდა აკაკი წერეთელი და ვანო მაჩაბელი, ია ეკალაძე, შიო არაგვისპირელი, ნიკო ხიზანიშვილი, გრიშა აბაშიძე, დავით მიქელაძე, აქ ხშირად იკრიბებოდნენ ქართლში მცხოვრები მწერლები და მოღვაწენი: სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, კოტე და ნინო ყიფიანები, ქაიხოსრო ყიფიანი, ლევან ციციშვილი, ვასილ მაჩაბელი, ივანე ავალიშვილი, მიშო ყიფიანი, მარიამ დემურია, ნინო ორბელიანი, რომელიც ამირეჯიბების ოჯახში კვირეობით რჩებოდა, ვფიქრობ, საფუძველსმოკლებული უნდა იყოს ზემოთ ციტირებული განცხადება. აქ ჩამოთვლილ მოღვაწეთა უმრავლესობა სიცოცხლეშივე ცნობილი მწერლები იყვნენ და მაკინესთან სწორედ იმიტომაც მიუხაროდათ, რომ იქ ეგულებოდათ მაღალი იდეალების მქონე ესთეტი, ლიტერატურის მცოდნე და დამფასებელი ქალბატონი, რომლის თეატრალური დარბაზი მათთვის იყო ნამდვილი

ლიტერატურული სალონი, სადაც ისინი მართავდნენ ნამდვილ ლიტერატურულ საღამოებს. ამასთან დაკავშირებით ივ. ლოლაშვილი წერს: „აქ, ლევანს, ქაიხოსროსა და მაკინეს შორის იმართებოდა სახუმარო გაშიარებანი. მაკინე მოსწრებული ექსპრომტებით ორივეს სჯობდა. (როგორც დ. კასრაძემ გადმომცა, გიორგი თაქთაქიშვილს დღესაც ზეპირად ჰქსომებია მაკინეს მიერ თქმული ექსპრომტები“) (ლოლაშვილი 1985: 77).

მაკინემ კარგად იცოდა ლიტერატურისა და წიგნის ფასი. მან მიზნად დაისახა თავის სახლში გაემართა ბიბლიოთეკა. ერთ ბარათში იგი თავის ახლობელს წერს: „ამის გულისათვის გინდა კიდევ დამავალო და რაც შეიძლებოდა ფული გადაარჩუნე ხოლმე, ქართული წიგნები მიყიდე, ესე იგი ყაზბეგის თხზულება, აკაკის თხზულება. კიდევ შენ უფრო იცი ქართული კარგი წიგნები, რაც შეგხვდეს, რადგან მინდა პატარა ბიბლიოთეკა გაემართო“ (ლმ: 637).

ზემოთნახსენები წერილის ავტორები ეჭვის ქვეშ აყენებენ საკითხს იმის შესახებ, თითქოს ამ ოჯახში არ ხდებოდა ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვა-განხილვა და სხვა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სოფრომ მგალობლიშვილის ზემოთ მოხმობილი მოგონება.

როგორც ვხედავთ, სოფრომ მგალობლიშვილს მაკინე ამირეჯიბის სალონი წარმოდგენილი აქვს დიასამიძეების ცნობილი სალონის ტოლფას კულტურულ კერად.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი კი იხსენებს, რომ მაკინე ზრუნავდა თანასოფლელების კულტურულ ამაღლებაზე, უმართავდა წარმოდგენებს, სალიტერატურო საღამოებს (ხაზი ჩვენია) კონცერტებს და სხვადასხვა გასართობებს.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სარდიონისა და მაკინეს სახლი იყო მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო კულტურული კერა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართლის მოსახლეობის სულიერი განვითარების საქმეში.

...მაგრამ დროის ავი ქარიშხალი დიდხანს როდი აცლის ადამიანს სულის სიმშვიდესა და ბედნიერებას. ამირეჯიბების ოჯახის ბედნიერებასაც ჰქონდა დასასრული...

1911 წელს გარდაიცვალა სარდიონი. ამ ამბით შეწუხებულ-  
მა აკაკიმ აკროსტიხულ ეპიტაფიაში გადმოსცა თავისი გულის  
ტკივილი:

სიყვარულითა და სათნოებით  
ამ ქვეყანაში ვიყავი სრული,  
როცა მივმართე წინაპართა გუნდს  
და სიტკბოებით ამომხდა სული.  
ის, რაც არ მქონდა როგორც სამკვიდრო  
ონავრობითა მე შენაძენი,  
აქვე დავსტოვე, დავაპატრონე  
მემკვიდრეები: ასულნი ძენი!  
იმხიარულონ, სანამ ცოცხლობენ,  
რადგან ცხოვრება წარმავალია,  
ერიდონ ყოველ საუკულმართოს,  
ჯერ ბედი მათთვის მომავალია.  
ილოცე ჩემთვის, ლოდის მჭვრეტელო,  
ბევრის არა ვარ შენგან მთხოვნელი,  
იკმარებს, მხოლოდ ღმერთი ახსენო,  
ვისგანაც შევბას მე იქ მოველი.

მოსალოდნელი იყო, რომ სარდიონის საფლავს აკაკის ეს  
ეპიტაფია დაამშვენებდა, მაგრამ რატომღაც, ჭირისუფლებმა  
სარდიონის საფლავის ქვაზე ამოაკვეთინეს სხვა ეპიტაფია:

ფუჭი არის ეს სოფელი,  
უნდობელი, წარმავალი,  
მხოლოდ რჩეულს შეუძლია  
დააჩნიოს მას რამ კვალი.  
შენც, ძვირფასო ჩვენო მამავ,  
ჩვენთვის არ ხარ ჯერაც მკვდარი,  
იმიტომ რომ შენც პირნათლად  
შეასრულე შენი ვალი.  
პატივსა გცემთ სათნოებით  
გამსჭვალულსა შენს არსებას,  
შენს ხსოვნასა შენგან მოძღვნილს  
სიყვარულის დიად მცნებას.



სარდიონის სიკვდილმა მწუხარების ბურანში გახვია მაკინე. შემოიფანტნენ ოჯახის ახლობლებიც. ეულად დარჩა ერთ დროს დიდი ოჯახის დიასახლისი...

მერე მაკინეც გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა მთლიანად დააგვირგვინა მისი, როგორც ქველმოქმედი ადამიანის პიროვნული და ზნეობრივი სახე. ივანე ავალიშვილის გადმოცემით „1922 წლის ზაფხულში სალოლაშენში გაჩნდნენ ლტოლვილები, ტომით თათრები, ცოლ-ქმარი სამი შვილით. მაკინემ მისცა მათ ბინა თავის საკმაოდ ფართე შენობაში. დედაკაცი ავადმყოფი აღმოჩნდა. მაკინემ მას მოვლა დაუწყო და მალე მოკეთებაც შეამჩნია. მორჩა კიდეც, მაგრამ მისი ავადმყოფობა სახადი გამოდგა. გადაედო ამ დედაკაცის ქმარსა და ბავშვებს. მაკინე მაინც არ შეუშინდა ავადმყოფებს. გულდადებით უვლიდა მათ. აძლევდა საზრდოს და გამონაცვალ ტანისამოსს. მოვლითა და სუფთა ცხოვრებით ყველანი მორჩნენ, მაგრამ მერე მაკინეს გადაედო მათი სენი და ლოგინად ჩავარდა. სახადი მისთვის აუტანელი გამოდგა. ექიმებმა ვერა უშველეს რა და 1922 წლის ენკენისთვეში გარდაიცვალა.

მაკინე ამირეჯიბის სახელი კვლავაც ალამაზებს ქართული სულიერების ისტორიას, ხოლო მისი ოჯახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანძური, ავტოგრაფებიანი ხელნაწერი რვეული, ვფიქრობ, კიდეც ბევრჯერ მიიპყრობს სპეციალისტების ყურადღებას.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

**ლოლაშვილი 1980:** ივანე ლოლაშვილი, *ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან*, თბ., 1980

**ლმ 12871:** გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერი № 12871

**ლმ 22876:** გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერი № 22876

**მგალობლიშვილი 1936:** ს. მგალობლიშვილი, *მოგონებები*, თბ., 1936

**სმმ 33:** საშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელნაწერი № 12677 დ-4965

**ომეგა 2002:** ჟურნ. „ომეგა“ 2002 წ. № 10

**ლმ:416** გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერი № 416

**ლმ 637:** გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერი № 637

## 90-იანი წლების ლიტერატურული რეფლექსია ნაირა გელაშვილის ნაწარმოების მიხედვით

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებზე შექმნილი მხატვრულ-დოკუმენტური ხასიათის ქართული ლიტერატურა, დიდი ხანია, კომპლექსური მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს. აღნიშნული მასალა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მკითხველში, რადგან ნათლად ირეკლავს ეპოქის მაჯის-ცემას.

კოლონიური მწერლობის „ჩარჩოს“ ნაჩვევი მკითხველი დააბნია ისეთი ხასიათის დოკუმენტური ჟანრის ლიტერატურამ, სადაც არაერთგვაროვნადაა წარმოჩენილი ეპოქალური ძვრების გამომწვევი მიზეზები და რომელიც თავდაყირა აყენებს და ამსხვრევს არსებულ სტერეოტიპებს. სწორედ ძველის შეცვლის მცდელობა და ახლებური ინტერპრეტაციის შემოთავაზებაა მიზეზი იმ ინტერესისა, რომელიც 90-იანი წლების მოვლენების ამრეკლავი მხატვრულ-დოკუმენტური პროზისადმი ბუნებრივად ჩნდება.

საზოგადოებრივი ცხოვრების რიტმის შეცვლა თავისებურადაა წარმოჩენილი სხვადასხვა მწერალთან. მოაზროვნე ადამიანებში ჩნდება პროტესტი. განცდილი, პიროვნულად შეურაცხყოფელი თუ ზოგადი ხასიათის ტკივილი, ასახვას პოვებს ლიტერატურაში.

90-იანი წლების საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების ლიტერატურულ რეფლექსიას საინტერესო კუთხით ვხვდებით ნაირა გელაშვილის შემოქმედებაში. აღსანიშნავია რომანი „პირველი ორი წრე და ყველა სხვა.“

ნაწარმოები დოკუმენტური პროზის ჟანრს განეკუთვნება, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა შეხედულება და დამოკიდებულება ჰქონდა ავტორს აღნიშნულ წლებში საქართველოში მიმდინარე პროცესებთან. მწერლისეული გადმოცემით, ნაწარმოები 1992-94 წლებშია შექმნილი, მაგრამ დასტამბვა მხოლოდ

2010 წელს მოხერხდა. თექვსმეტწლიანი შუალედის არსებობას (შექმნიდან გამოქვეყნებამდე) ერთ-ერთ ინტერვიუში თავად ავტორი ამგვარად განმარტავს: „სულ ერთია, რომანი როდის დაიბეჭდებოდა: ათი წლის წინ თუ 2050 წელს, პრობლემების თვალსაზრისით, საუბედუროდ, ის ყოველთვის აქტუალური იქნებოდა“ **[დოლენჯაშვილი 2010:03** (ელექტრონული რესურსი)].

ზემოაღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ნაწარმოები დღემდე განხილვისა და კვლევის ობიექტია. მკვლევარ ანა იმნაძის თვალსაზრისით, „მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური და სულიერი სიდუხჭირის ფონზე, ნაირა გელაშვილმა არ ისურვა, რომანს დღის სინათლე ეხილა. სავარაუდოა, ე. წ. „დროის დისტანციის“ თეორიის მიხედვით, ავტორი ელოდა, გადაფასდებოდა თუ არა მის მიერ ნაწარმოებში გატარებული იდეები, მოსაზრებები“ **[იმნაძე 2013:46]**.

სავსებით გასაზიარებელია ანა იმნაძის მოსაზრება, რადგან რომანმა საკმაოდ ხანგრძლივი დროითი დისტანციის ფონზეც საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია. ადვილი წარმოსადგენია მკითხველის რეაქცია, მწერალს ნაწარმოები რომ შექმნისთანავე გამოემზებებინა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტმა ლიტერატურული პრემია „საბა“ ორჯერ დაიმსახურა. მკვლევარ მარინე ტურავას მოსაზრებით „საბას“ მეტად სჭირდებოდა მწერალი, სახელისა და პრესტიჟის აღსადგენად, ვიდრე მწერალს „საბა“.

რომანი „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ სრულიად განსხვავებული რაკურსით გვამოგზაურებს 90-იანი წლების საქართველოში და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განიხილება, როგორც ისტორიის ლიტერატურული რეფლექსიის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში. ნაწარმოები დოკუმენტური პროზის ჟანრს განეკუთვნება, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ავტორს მიმდინარე პროცესებთან.

რომანი მოთხრობათა ერთგვარი ციკლია, სადაც ნარატორი, ფოკალიზატორი და აქტორი ერთმანეთს იმდენად ემთხვევიან, ძნელია მათი ერთმანეთისგან გამიჯნვა. ტექსტი მნიშვნელოვანი ისტორიაა, რომელშიც მთხრობელი თანამონაწილეა აღწერილი მოვლენებისა. სუბიექტურ მოსაზრებებს სხვადასხვა პერსონაჟი

ახმოვანებს.

მალხაზ ხარბედიას თვალთაზრისით, საქართველოში, სადაც ნაკლებად იწერება დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებები, აღნიშნული რომანი აღნიშნულ ხარვეზს ავსებს.

ტექსტი ეძღვნება მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში – ყველგან, სადაც განსხვავებული აზრის გამო ადამიანთა შევიწროება ხდება. ავტორის შეხედულებით, განათლებული ადამიანი, ხშირ შემთხვევაში, დაცინვის ობიექტია.

ნაირა გელაშვილს, როგორც მოქალაქეს, უჩნდება შიში, რომ მეცნიერებისა და კულტურის დონის დაცემა გამოიწვევს ჩვენი ტერიტორიების გადანაწილებას „დიდ მეზობლებზე“. ხაზგასმული საფრთხის ნანამძღვრად ავტორი შიდა დაპირისპირებებს მიიჩნევს.

9 აპრილის შემდგომ ისევ ჩნდება კითხვები, სწორად მოიქცა თუ არა ერეკლე II. ნაირა გელაშვილი, საკითხთან დაკავშირებით, აკაკი ბაქრაძის აზრს გვიზიარებს: „მთელი ცხოვრება თავს ვიმტვრევდი, მაინც რატომ შეუერთა ერეკლე მეორემ საქართველო რუსეთს, ჩვენზე მეტი პატრიოტი იყო, სხვა თუ არაფერი, კაცი ასი ჭრილობით ჩავიდა მინაში-მეთქი, და ახლა მივხვდი: გარეშე მტრების კი არა, არამედ ქართველების შიშით გააკეთა ეს, რომ ქართველებს ერთმანეთი, ანუ საკუთარი თავი არ ამოეწყვიტათ!“ [გელაშვილი 2009:764].

9 აპრილის, თბილისის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებისადმი დამოკიდებულების გადმოსაცემად ნარატორი სხვადასხვა მხატვრულ ხერხს მიმართავს; რომანში გადმოსაცემი მასალა „გადანაწილებულია“ „მთარგმნელობითი ცენტრის“ თანამშრომლებზე. ნაწარმოების პერსონაჟები სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურულ შედევრთა თარგმნით არიან დაკავებულნი. მათ გარშემო იცვლება პოლიტიკური ვითარება. ჩნდებიან ახალ-ახალი დაჯგუფებები, ლიდერები. ისინი „მთარგმნელობითი კოლეგიის“ თანამშრომლების დაშინებასა და დევნას იწყებენ, დარბევას მოსდევს მსხვერპლი. პერსონაჟთა მიმოწერაში საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთია გაშუქებული.

მთარგმნელობითი ცენტრის „სარკმლიდან“ არა მხოლოდ

თბილისის, ზოგადად, მთელ საქართველოში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს აღვიქვამთ.

9 აპრილის მოვლენებისადმი მეტად კრიტიკულია ავტორი, მიტინგის ორგანიზატორებს ბრალს სდებს და პასუხისმგებლობას აკისრებს მომხდარზე – არ უნდა დავიწყებოდით 1956 წლის 9 მარტი!

მომიტიინგეებს ემატებოდნენ მშობლები, ახლობლები. რაც უფრო ფართოვდებოდა წრე, მით უფრო ქრებოდა განცდა საფრთხისა. ტრაგედიამდე სულ რაღაც ორი ნაბიჯი იყო დარჩენილი... გრძნობდნენ საშიშროებას, მაგრამ... დაე, ყოფილიყო რბევა, ოღონდ – არა ნებაყოფლობითი დაჩოქება: „მოზღვავებული ხალხისთვის ყველაზე მეტი ავტორიტეტი ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ჰქონდათ. ამიტომ მხოლოდ მათ სიტყვას დაუჯერებდნენ... ეს უნდა ყოფილიყო მიტინგის დამლის კატეგორიული მოთხოვნა და არა – ფორმალური მზრუნველობის გამონახტულება, თუ გინდათ, ქალები და ბავშვები შინ წაბრძანდითო, ორჭოფულად რომ შესთავაზა წინა დღეებში გამსახურდიამ“ [გელაშვილი 2009:429].

საბედისწერო წუთის წინ პატრიარქი საერო წინამძღოლს სთხოვს, მოუწოდოს ხალხს დაშლისაკენ – სხვა გზაც არსებობსო. პასუხად უარი მიიღო – მოლაღატედ გამომაცხადებენო [იქნებ, რომ სცოდნოდა, მავანთაგან, მაინც ასე მოინათლებოდა, იქნებ, არ დაღვრილიყო უმანკო სისხლი?! – კ. გ.]. მომიტიინგეთათვის ბელადის აზრი ცნობილია. პატრიარქი საშიშროების შესახებ საუბრობს, მრევლს მოუწოდებს, ეკლესიას მიაშურონ, მაგრამ... მოძღვარს ყურს არ უგდებენ. პირველი „არა!“ გაისმა და პატრიარქის ხელიდან წაგლეჯილ მიკროფონში ირაკლი წერეთელმა „მამაო ჩვენო“ წამოიწყო... აპრილის ტრაგიკული ღამის მოვლენათა ანალიზისას მწერალი არა მარტო გამსახურდიას, არამედ ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებსაც არ ინდობს. ავტორის აზრით, ქვეცნობიერში არსებულმა სისხლის კულტმა, რომელიც ინტელიგენციის დიდ ნაწილში იყო გაბატონებული („ვიდრე სისხლი არ დაიღვრება“), შეუწყო ხელი ლიდერთა მხრიდან „სისხლზე გათვლილ სპეკულაციას“. მწერლის პოზიციით, განიწმინდება ის, ვინც საკუთარ ცოდვებს აცნობიერებს,

სინანულს განიცდის და გარდაქმნას ახერხებს. „...შრომა და აზროვნება რომ ეზარებათ, გამოიგონეს უნივერსალური ნამალი – სისხლი! და მხსნელი – მესია!“ [გელაშვილი 2009:433].

ნაირა გელაშვილი თვლის, რომ უპასუხისმგებლობამ შეინიწრა ადამიანები, ის გოგონები და ქალები, რომლებსაც ნება არ მისცეს, პატრიარქს დამორჩილებოდნენ.

მწერალი აჟღერებს მერაბ მამარდაშვილის პოზიციას: „ეს „ეროვნული გამარჯვება“ და დღესასწაული კი არ იყო, არამედ – სირცხვილი, სასჯელი და და მარცხება!“ [გელაშვილი 2009:433].

მწერლის პოზიცია ფილოსოფოსისეულს ემთხვევა. ავტორი მერაბ მამარდაშვილის ავტორიტეტს და პოზიციას მყარ არგუმენტად მიიჩნევს, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ მერაბ მამარდაშვილი ფილოსოფოსის (ე. წ. „მესამე“) თვალით უმზერდა და აანალიზებდა პროცესებს (როგორც თავად მწერალი), მაგრამ ეროვნული მოძრაობის ეპიცენტრში მყოფი ზვიად გამსახურდიასთვის ეს (ბევრი მიზეზის გამო) შეუძლებელი აღმოჩნდა.

მამარდაშვილის ცნობილი ფრაზა – „ჭეშმარიტება“ სამშობლოზე მაღლა დგას“ – ახალი დაპირისპირების მიზეზი ხდება, რადგან „ჭეშმარიტება“ ორივე მხარეს სხვადასხვაგვარად ესმოდა.

ნაირა გელაშვილს თითქოს არ სურს, დაინახოს კვარცხლბეკი, რომელიც საზოგადოებამ გმირებად შერაცხული ლიდერებისთვის ააგო. ავტორი თვლის, რომ უდანაშაულო ადამიანების სისხლმა საძირკველი ჩაუყარა „კარიერას ბელადისა“, რომელმაც ვერც 1924, ვერც 1956 წლის მაგალითი ვერ გაითვალისწინა 1989 წელს. მწერლის პოზიციით „თუ ჩვენ მსჯავრს არ გამოვუტანთ 9 აპრილს და ისევ მშვენიერ სამუშალებად ჩავთვლით ადამიანის სისხლს რალაც ფსევდო-ეროვნული მიზნების მისაღწევად, სულ ამ გზით მოგვიწევს სიარული – სისხლის გზით და იქ, სადაც სისხლი ასე იაფია, ცხოვრება ვერ აშენდება“ [გელაშვილი 2009:435].

ლელა კოდალაშვილის თვალსაზრისით, ნაირა გელაშვილი ცდილობს, ისე დახატოს სურათი, რომ მკითხველიც შეუერთდეს „ინტელექტუალური იარაღით ცნობიერების პროგრესად

წარმართულ ბრძოლაში“. მკვლევარს უჩნდება ეჭვი, რომ გარდა ზოგადი შეხედულებებისა, რაღაც კონკრეტული მიზეზი ხომ არ დგას ამ დაპირისპირების უკან, რადგან სოხუმის ტრაგედიაშიც, უცნობი მიზეზით, ავტორი ზვიად გამსახურდიას ადანაშაულებს, თუმცა ლელა კოდალაშვილი მწერლისადმი დიდ მონივნებას გამოხატავს: „ისიც ჩვეულებრივი ადამიანია თავისი ძლიერებით და სისუსტით, ზომიერების სიბრძნით და იქვე – უმართავი აფექტურობით, შენდობის თვისებით და რაღაც ღრმად დამარხ-ულის ბოლომდე ვერპატიებით“ [კოდალაშვილი 2009:54].

ვფიქრობთ, გასაზიარებელია ლელა კოდალაშვილის თვალსაზრისი. ნაირა გელაშვილისთვის აღნიშნულ რომანზე საზოგადოების რეაქცია არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორს, ალბათ, ჰქონდა სწორედ ამგვარი რეაქციის მოლოდინი და სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ნაწარმოებმა დღის სინათლე მხოლოდ შექმნიდან თექვსმეტი წლის შემდეგ იხილა.

ნაირა გელაშვილს მიაჩნია, რომ მწერლის გზა უნდა იყოს მონამებრივი, ფუნქცია – თვალი გაუსწოროს სიმართლეს, მაშინაც კი, შეკაზმული ცხენი რომ არსად ეგულება. საკუთარი გამოცდილებიდან აკეთებს დასკვნას: „დღესაც მთელი საზოგადოება აიყალყება ხოლმე, თუკი მწერალმა გაბედა და რაიმე მოვლენაზე თავისი აზრი გამოთქვა, თუ არ დაეთანხმა უმრავლესობის შეხედულებას და რწმენას. „ხალხის მტრის“ იარლიყი მზად არის“ [გელაშვილი 2014:563].

ვიზიარებთ ავტორის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ მწერალი არ უნდა ემსახურებოდეს დიქტატურის იდეოლოგიას, უნდა ააშკარავებდეს საზოგადოების მანკიერებებს, მაგრამ საზოგადოება, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, არ გპატიობს, როცა მის ყველაზე მგრძნობიარე ნერვს ეხები...

ნაირა გელაშვილის მიერ ზვიად გამსახურდიას „არდანდობის“ მიზეზებთან დაკავშირებით თავის ვარაუდს გამოთქვამს მკვლევარი ნონა ამბოკაძეც, არ უკვირს ლიდერის მისამართით გამოთქმული ბრალდებები, მაგრამ მასში, როგორც ერის წინამძღოლში, მხოლოდ უარყოფითის ხაზგასმა დასკვნების გამოტანისკენ უბიძგებს: „ნაირა გელაშვილს სურს, მომხდარი



მოვლენებისადმი სუბიექტივისტური ხედვა ობიექტურ, მიუკერძოებულ შეფასებად „შეფუთოს“ და თავს მოახვიოს მკითხველს“ **[ამბოკაძე 2020:185]**.

სავსებით ვიზიარებთ ამ მოსაზრებას. ნაწარმოების ანალიზისას, ჩნდება კითხვები, რომელთა პასუხიც იცის მხოლოდ და მხოლოდ ავტორმა. მკვლევართა მოსაზრებები მხოლოდ ვარაუდია.

ფაქტი ერთია – ნაირა გელაშვილი ტრავმული მეხსიერების მატარებელი მწერალია! რომ არა რალაც საფუძველი, იგი ვერ შეძლებდა, თავისი შეხედულებებითა და პოზიციით ერის მიერ გაღმერთებულ ადამინს „შესჭიდებოდა“. მწერალმა, გარკვეული „დროითი დისტანციის“ გამოყენებით, ფსიქოლოგიური ბარიერი დაძლია, იმ ჩვენების ერთგული დარჩა, რომელზეც რომანშია საუბარი. მკვლევარი ნონა ამბოკაძე, გამოთქვამს რა თავის მოსაზრებებს, მოკრძალებით დასძენს, რომ მოვლენათა პოლიტიკური შეფასებები ტრავმულ მოვლენათა ლიტერატურული რეფლექსია ინტერპრეტაციულ ანალიზს მოითხოვს.

„პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ საკმაოდ მოცულობითი ნაწარმოებია და მასში აღწერილი ყველა მოვლენა (უარყოფითი) ზვიად გამსახურდიას სახელს „უკავშირდება“.

მკვლევარს ნაირა გელაშვილის „შემობრუნების შეუძლებლობა“ აოცებს: „იგი, თითქოს, გარდაცვლილ ზვიად გამსახურდიასაც ებრძვის და „ასამართლებს“.

ჩნდება კითხვა: იქნებ 9 აპრილის მიღმა, ან შემდგომ განვითარებულ მოვლენებში უნდა ვეძიოთ ესოდენ დიდი და უპატივებელი გულისწყრომა ავტორისა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიმართ?“ **[ამბოკაძე 2020:186]**.

მსგავსი კითხვა, როგორც ზემოთაა აღნიშნული, უჩნდება ლელა კოდალაშვილსაც. ორივე მკვლევრის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი გამომდინარეობს ნაწარმოების შინაარსიდან და ვთვლით, რომ სავსებით გასაზიარებელია.

„ეკლის გვირგვინში“ როსტომ ჩხეიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მწერალ ქალს ზვიად გამსახურდიამ დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიაყენა თურქი მესხების ჩამოსახლების საკითხთან დაკავშირებით.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ფაქტია, რომ „არაო-ბიოქტურის“ სახელით მონათლული ნაწარმოები ხელიდან ხელში საგოგმანები გახდა მრავალი თვალსაზრისით. მკვლევარი მარინე ტურავა აღნიშნავს, რომ ნაირა გელაშვილი პერსონაჟთა ხატვისა და კომპოზიციის აგების დიდოსტატია. მის ყველა ნაწარმოებში იგრძნობა მწერლის პიროვნული თავისუფლება: „ნაირა გელაშვილი გამბედავი მწერალია, დიდი მწერლები არიან მუდამ გამბედავები“ [ტურავა 2013:53].

„პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის რომანია. მას მალალ შეფასებას აძლევენ მკვლევარნი. მალხაზ ხარბედიას თვალსაზრისით, რეალობა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ თითქმის აღარ იწერება დოკუმენტური ჟანრის ისეთი პროზაული ნაწარმოებები, სადაც მწვავედ დასმულ კითხვებს შეხვდებით. „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ კი – „ესაა რომანი ჩვენი დროის შესახებ, უფრო სწორად კი, იმ მიზეზებზე, რამაც ჩვენი დრო შვა“ [ხარბედია 2010 (ელექტრონული რესურსი)].

ავტორისეული ხედვებ(ებ)ისა და ტკივილების რეტროსპექტივა განგვაცდევინებს ჩვენი ქვეყნის ტრაგიკულ თავგადასავალს. რომანი აღიქმება, როგორც კოლექტიური ტრავმით ინსპირირებული ტექსტი, იმავდროულად – საქართველოს პერმანენტული პოლიტიკური მარცხის განსხვავებულად აღქმის, ტრაგედიის არსში სიღრმისეული წვდომის მცდელობაც.

ნაირა გელაშვილის შემოქმედებაზე საუბრისას მწერალი შოთა იათაშვილი ავტორს „მალალი სინჯის პროზაიკოსად“ ახასიათებს: „ნაირა გელაშვილის შემოქმედებაში ადამიანისა და ბუნების სტიქიათა ურთიერთობა რიტუალებში არ ქვაფდება, იგი დრამატიზმის (თუ ტრაგიზმის) მალალ გრადაციებს აღწევს“ [იათაშვილი 2010:42]. სავესებით გასაზიარებელია შოთა იათაშვილის მოსაზრება. ვთვლით, რომ დღემდე სწორედ ამიტომაა „პირველი ორი წრე...“ აქტუალური.

რომანი 90-იანი წლების გახლეჩილ საზოგადოებას, განსხვავებულ აზრებსა და პოზიციებს წარმოაჩენს. ორ ბანაკში ერთმანეთის პირისპირ დგანან ეროვნული იდეებისადმი უნდობლობით განმსჭვალული ადამიანები („თარგმანის ცენტრის“ თა-

ნამშრომლები) და ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტები (ეროვნული მოძრაობის მხარდამჭერნი). სიუჟეტი მთარგმნელობითი ცენტრის გარშემო ვითარდება. „ცენტრის“ თანამშრომლები სხვადასხვა ეროვნების ადამიანები არიან. ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ფონზე მათი პროფესიული და პოლიტიკური შეხედულებები თანხვდება – 90-იანი წლების მოვლენებს, როგორც ნათელი – ბნელს, ემიჯნებიან და დიდ საფრთხედ აღიქვამენ. „ცენტრის“ საქმიანობა მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა ეროვნების ლიტერატორთა ურთიერთკავშირისთვის.

კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე, რომელიც „ცენტრის“ კოლეგიაში მუშაობდა, აღნიშნავს, რომ ამ დაწესებულების ფუძემდებელი ოთარ ნოდია, თანამშრომლებთან ერთად, ღირსეულად ართმევდა თავს მთარგმნელობით საქმიანობას. რაც შეეხება ნაირა გელაშვილის აღნიშნულ რომანს, ბრეგაძე მიიჩნევს: „ესაა ქვეყნის ბედით შეწუხებული ადამიანის ფიქრები, გამოსავლის ძიება, და იმის მცდელობა, რომ გაიზაროს, რა ხდება, რა გვჭირს, რა მოგვივინდება, რომ ამ გაუთავებელი კრიზისიდან ველარ გამოვსულვართ“ **[ხარბედია, ბრეგაძე, 2010 (ელექტრონული რესურსი)]**.

მიუხედავად იმისა, რომ გასაანალიზებელ რომანში ავტორის პოზიციას ბევრი არ იზიარებს, მიგვაჩნია, რომ ნაწარმოები ლიტერატურული ფაქტია, ერთგვარი მცდელობა, მესამე თვალთ შევხედოთ მოვლენებს.

ეროვნული მოძრაობის მედროშეთა მიერ „მთარგმნის ცენტრის“ დარბევა და დახურვა (როგორც დისიდენტური აზროვნების ლიკვიდაცია) იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ნაირა გელაშვილის პოზიცია გამყარებულიყო. კიდევ ერთი დიდი პრობლემა, რომელიც მწერლისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაპირისპირების მიზეზად იქცა, ესაა საზოგადოებრივი ტრავმის კიდევ ერთი მაგალითი – „თურქი მესხების“ თემა.

40-იან წლებში, სტალინის დავალებით, მესხეთიდან ერთ ღამეში აჰყარეს თურქი მესხები და შუა აზიის გზას გაუყენეს. დაზარალებულთა ოჯახს მიეკუთვნება ნაირა გელაშვილის ერთ-ერთი პერსონაჟი, ემა ვაჩნაძე-ჰასანოვა. რომანში იკვეთება ზვიად გამსახურდიასადმი წაყენებული კიდევ ერთი ბრალ-

დება, რომ მან უარი უთხრა მიღებაზე სამშობლოს საზღვარს მომდგარ თურქ მესხებს.

საჭიროდ მივიჩნით, გაგვეზიარებინა ანა იმნაძის თვალსაზრისი: „ნაირა გელაშვილი დევნილ მესხთა „არშემოშვებაში“ ზვიად გამსახურდიას და ეროვნულ მოძრაობას სდებს ბრალს. საქმე ის არის, რომ 1989 წელს, როდესაც ეს საშინელი რბევა-ანოკება დაატყდათ თავს მაჰმადიან მესხებს, საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლება იყო და ეროვნული მოძრაობა და მისი ლიდერი ვერანაირ (ხაზი ჩვენია – კ. გ.) გადანყვეტილებას ვერ მიიღებდა ლტოლვილთა შემოსვლა-შემოშვებასა თუ არშემოშვებასთან დაკავშირებით“ [იმნაძე 2013:55].

სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვაგვარი რაკურსით გვა-მოგზაურებს „პირველ ორ წრეში“. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რომანი დღემდე აქტუალურ საკითხავად რჩება. პასუხ-გაუცემელია კითხვები, რომელთაც მომავალმა თაობამ უნდა უპასუხოს.

პოეტი და მთარგმნელი გიორგი ლობჯანიძე თანამედროვე ლიტერატურაში რომანის ჟანრის კრიზისზე საუბრისას აღნიშნავს: „უპირველესად უნდა დავასახელო ამ პერიოდის (და ლამის ერთადერთი) რომანისტი ქალი ნაირა გელაშვილი, რომლის ბოლო ნაწერები გვარწმუნებს, რომ კვლავ საუკეთესო ფორმაშია. მისი „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ ეპოქალური წიგნი მგონია, სადაც ჩვენი ქვეყნის ბოლოდროინდელი სინამდვილე შესანიშნავად არის მხატვრულად ათვისებული-დამუშავებული“ [კობაძე, ლობჯანიძე 2013:7].

ნაწარმოები, სადაც მოვლენათა ხედვა წარსულის ლაბირინთებში გვაბრუნებს და დღემდე მსჯელობის საგანია, კრიტიკული აზროვნების ნიმუშს ნამდვილად წარმოადგენს. როსტომ ჩხეიძის თვალსაზრისით: „ეს ნაწარმოები განვლილის შეჯამებაა, რაღაც დიდი ციკლის დასასრულია. ამავე დროს, საწინდარია ახლის“ [გელაშვილი, ჩხეიძე 2014:596].

საუკუნის მიწურულს, ქვეყანაში შექმნილი ტრაგიკული ვითარებიდან გამომდინარე, აქტუალური გახდა პიროვნებათა გაუცხოების პრობლემა, რაც განსაკუთრებით ომიანობის პერიოდში გამოიკვეთა. ჩვენ მიერ განხილული ნაწარმოების პერსო-

ნაწები, რეალობის მძევლები, ან უარესი, მსხვერპლად შეწირულები არიან.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. **ამბოკაძე ნ.** საბჭოური მემკვიდრეობა: ტრავმული მეხსიერება კოლონიურ /პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურულ დისკურსში. დისერტაცია, თბ.: 2020
2. **გელაშვილი ნ.** უნდა ენდოთ მემათიანეს. ლიტერატურული წერილები, ესეები. ტ14. თბ.: „კავკასიური სახლი“, 2014
3. **გელაშვილი ნ.** პირველი ორი წრე და ყველა სხვა. თბ.: „კავკასიური სახლი“, 2009
4. **დოღეჯაშვილი თ.** „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ – ტრიალი ერთსა და იმავე წრეში. 03.2010. ელექტრონული მისამართი: <http://24blog.ge/weekend>
5. **იმნაძე ა.** ფაქტი და ლიტერატურული რეფლექსია (XX საუკუნის 90-იანი წლების რეალობა ქართულ ბელეტრისტიკაში). დისერტაცია, თბ. : 2013
6. **იათაშვილი შ.** ჭკვიანი ბილიკები. დალაგება, წერილები (1997-2010)
7. **კობაძე ნ.** თანამედროვე ქართული პროზა. ლიტერატურული ჟურნალი „არილი“, 2013. №2 (217)
8. **კოდალაშვილი ლ.** ნაირა გელაშვილის ახალი რომანი. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ № 22, 2009

## აკაკის ბიოგრაფიის უცნობი შტრიხები

აკაკი წერეთლის ახალი აკადემიური ოცტომეულის გამოცემისას მრავალ სიახლესთან ერთად ერთი საინტერესო სიახლე დაინერგა. ეს არის პოეტის საქმიანი ქაღალდები და დოკუმენტების ცალკე ტომად გამოცემა. მართალია, ამ მასალებით მკვლევრები ეპიზოდურად სარგებლობდნენ ხოლმე, მაგრამ ისინი ერთად შეკრებილი და გამოცემული ჯერ არ ყოფილა. კვლევისას ძალიან დიდი რაოდენობის უცნობი მასალა გამოვლინდა. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან აკაკი საკმაოდ მხცოვანი გარდაიცვალა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აქტიური ცხოვრება არ შეუწყვეტია. როგორც ცნობილია, ის გარდაცვალების წინ ცოლ-შვილისათვის გასაგზავნი ფულის საშოვნელად დადიოდა და თან პარალელურად გამალებული წერდა ქუთაისის სასტუმროს ერთ ცივ ნომერში პოემა „ომს“.

აკაკის ბიოგრაფიის უცნობი საქმიანი ქაღალდები თუ დოკუმენტები ნათლად აჩვენებს, რომ პოეტი, მხატვრული შემოქმედების გარდა, უამრავი საზოგადოებრივი საქმით იყო დატვირთული და მართლაც წმინდა სანთელივით ჩაიფერფლა საქართველოს ეროვნული თუ ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

აკაკი წერეთლის პერიოდში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო საზოგადოებრივი მოვლენა, რომელსაც იგი არ გამომხაურებოდა. ამის დასტურია პოეტის სადარბაზო და მოსაწვევი ბარათები, რომლებიც ძალიან მრავალფეროვანია, საპატიო ბილეთები, განცხადებები, ნებართვები (მაგალითად, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის ნებართვა – აკაკი წერეთლის მიერ დაჭრილ მხედართა სასარგებლოდ ლექციების წაკითხვის შესახებ, 1914 წელი), აკაკის თხოვნები, ქვითრები, ე. წ. „კვიტანციები“, რუსეთის იმპერიის მიერ გაცემული სიგელი თავადობის შესახებ, დეპეშები; ასევე, მიწერილობები პოეტის შესახებ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის, მაგ-

ალითად, ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს 1874 წლის საიდუმლო „მინერილობა“ №167 თბილისის სასამართლოს პალატის პროკურატურაში საზღვარგარეთიდან დაბრუნებული აკაკის შესახებ, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აკაკის არასანდოობას ცარიზმის თვალში და მრავალი სხვა.

ეს უცნობი დოკუმენტები, რომლებიც პოეტის ბიოგრაფიას ბევრ საინტერესო შტრიხს მატებს, მრავალფეროვანია. მათ შორის, ყურადღებას იქცევს საპატიო და მოსაწვევი ბარათები. ისინი ორ ნაწილად იყოფა. ერთი ნაწილი საზოგადოებრივ ღონისძიებებზე დასასაწრებია, ხოლო მეორე – სამთავრობო შეკრებებზე.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის აკაკის ფონდში დაცულია ავტოგრაფი № 38, რომელსაც აწერია: „Князь Акакій Ростомович Церетели“; იმავე არქივში ინახება აკაკის საპატიო ბილეთი (ავტოგრაფი №22) მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების მიერ ქართულ ტრადიციულ სტუდენტურ საღამოზე დასასწრებად. ეს არის 1914 წლის 12 იანვარი, საღამო იწყება 9 საათზე. გრძელ რუსულ ტექსტს, რომელშიც აკაკისადმი უდიდესი პატივისცემა და სიყვარულია გამოხატული, ახლავს მითითება, რომ ქუთაისში გამართულ ამ საღამოს უხელმძღვანელებს „хозяйка вечера“ – საზოგადოების თავმჯდომარე ე. ნ. ხეჩინოვა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია 1914 წელს XI ქართულ საღამოზე დასასწრებმა საპატიო ბილეთმა და აგრეთვე, გრძელ, ორად მოკეცილ ფურცელზე ფრანგულად შევსებულმა 1909 წლის საბუთმა, რომელიც აღმოჩნდა კათოლიკური სკოლის საქველმოქმედო საზოგადოების საპატიო ბილეთი, გაცემული აკაკის სახელზე. აქ უკვე კომენტარის გარეშეც ნათელია, რაოდენ სასურველი სტუმარი იყო აკაკი ნებისმიერი წრისთვის და ნებისმიერი საზოგადოებისთვის.

კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული 378-ე ნომრით, არის თბილისის სათავადაზნაურო ქალთა სკოლის ლიტერატურულ დილაზე დასასწრები მოსაწვევი ბარათი პროგრამითურთ.

საბუთში ვკითხულობთ:

„მონყალეო ბატონო!

ტფილისის სათავადაზნაური ქალთა სკოლის პედაგოგიური საბჭო, გიცხადებთ რა თავის პატივის ცემას, უმორჩილესად გთხოვთ, მოზრდნდეთ სალიტერატურო დილაზედ კვირას, მაისის 11-ს, დილის 11 1/2 საათზედ ქართული გიმნაზიის შენობაში“. საინტერესო აღმოჩნდა თვითონ პროგრამაც. პირველ ნაწილში იდგმებოდა ორმოქმედებიანი პიესა „ამერიკელი“, ხოლო ღონისძიებების მეორე ნაწილი ეთმობოდა სიმღერებსა და ლექსებს. აკაკის შემოქმედებიდან ამორჩეული იყო ლექსი „ღამურა“, რომელსაც კითხულობდა მე-2 კლასის მოსწავლე ვაჩნაძე.

აკაკი, თუ ავადმყოფობა ხელს არ შეუშლიდა, ყველა ასეთ ღონისძიებას ესწრებოდა. გარდა იმისა, რომ პოეტს ძალიან უყვარდა მოსწავლე-ახალგაზრდობა, მას სხვა მიზანდასახულებაც ჰქონდა. აკაკის შემოქმედების ყველაზე საინტერესო და ეროვნულ-პოლიტიკურად მწვავე ნაწილს ცენზურა ებრძოდა და კრძალავდა, ამიტომ ნებისმიერი თავყრილობა მისთვის საინტერესო იყო, რადგან პოეტი ცდილობდა, ეს შეკრებები ტრიბუნად გამოეყენებინა და თავისი გამოსვლებით ხალხში გაეღვივებინა მინავლებული ეროვნული გრძნობები. აბა, სხვა რა გამართლება უნდა მოეძებნოს აკაკი წერეთლის, რომელსაც ამდენი გადაადგილებისათვის, ფეხით თუ ტრანსპორტით, ჯანმრთელობა ნამდვილად აღარ ჰყოფნიდა, სხვადასხვა საზოგადოებრივ ღონისძიებაზე წარმოთქმულ სიტყვებს. აქედან ზოგი იბეჭდებოდა, ზოგი დღემდე გამოუქვეყნებელი დარჩა, ზოგიერთიც საერთოდ დაეკარგა შთამომავლობას, მაგალითად, 1884 წელს წარმოთქმული სიტყვა თეატრის შესახებ, რომელზეც გაზეთ „დროების“ რედაქცია იუწყებოდა: „უსიამოვნო არ იქნებაო, გვწერს ერთი ჩვენი მკითხველთაგანი, რომ სხვა სიტყვებთან ერთად დაგებეჭდათ „დროებაში“ აკაკის სიტყვაც, რომელიც ამ დღეებში გამართული ქართული წარმოდგენის შემდეგ ითქვაო. არც ჩვენთვის იქნებოდა ეს „უსიამოვნო“, მაგრამ „სხვადასხვა მიზეზები“ გვიშლიან“ (მაჩაბელი 1884: 2).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარდა საზოგადოებრივი ღონისძიებებისა, სადაც აკაკი ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო, მას სახელისუფლებო შეკრებებზეც ინვევდნენ. ამის დასტურად რამდენიმე დოკუმენტი აღმოჩნდა საარქივო მასალებში.



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში 35-ე ნომრით ინახება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის მოსაწვევი ბარათი, სადაც აკაკის სთხოვენ, დაესწროს იმპერატორის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო მიღებას. ხოლო იქვე, 36-ე ნომრით დაცულია თბილისის ქალაქის თავის მოსაწვევი ბარათი აკაკი წერეთლისადმი, დაესწროს ზეიმს „არტიტულ საზოგადოებაში“ იმავე ნომრით (იმპერატორის ჩამოსვლის გამო):

„Его сіятельству Акакію Ростомовичу Князю  
ЦЕРЕТЕЛИ  
отъ Тифліскаго Городскаго Головы“.

მოსაწვევი ბარათით აკაკის სთხოვენ, შაბათს, 29 ნოემბერს, 4 საათზე დაესწროს ზეიმს. ის მიწვეულია აგრეთვე ჩაიზე (на „чашку чая“). თუ საზოგადოებრივ ღონისძიებებზე დასწრება შეიძლება თავისუფალ რეჟიმში – მაგალითად, პიროვნებისთვის სასურველ ნებისმიერ ტანსაცმელში, სამთავრობო შეკრებებზე ყველაფერი განსაზღვრულია მოსაწვევში. ზემოთ აღნიშნულ შეკრებაზე ქალები უნდა ყოფილიყვნენ ფერად ტანსაცმელში და „შლაპებში“, ხოლო „для мужчинъ обязательны фраки, мундиры или національные костюмы“.

სამწუხაროდ არქივებში არსად შეგვხვდრია საბუთი, რომელიც დაადასტურებდა აკაკის დასწრებას ან ერთ და ან მეორე შეხვედრაზე.

აკაკის ბიოგრაფიის კიდევ უფრო სიღრმისეულად დანახვისთვის მარტო პირადი საბუთები და მის სახელზე შედგენილი დოკუმენტები არ გვეხმარება. საინტერესოა ის არაპირდაპირი მასალაც, რომლებიც უშუალოდ აკაკის სახელს არ უკავშირდება, მაგრამ გვაფიქრებინებს, რომ ისინი სწორედ მგოსნისთვის შეიქმნა. ერთი ასეთი დოკუმენტი ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში (№ 763), რომელიც აკაკის დის ანას მიერ დაწერილი წამლის – „კუზმიჩის ბალახის“ რეცეპტს წარმოადგენს. რეცეპტზე არ არის მითითებული, კერძოდ რომელი დაავადებისთვის არის ის გან-

კუთვნილი, მაგრამ მე-19 საუკუნის ბოლოს ამ სახელწოდებით არსებული ბალახი – „Кузьмичевская Трава“ საკმაოდ ცნობილი გახლდათ და ის რეემატიზმის, კუჭის მონელების ქრონიკული და სასუნთქი გზების დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენებოდა.

რუსული წამლის რეცეპტის ისტორია ასეთია: რუსეთში, სამარის გუბერნიის სოფ. ვილოვატოვის მკვიდრი, გაუნათლებელი ექიმბაში გლეხის ფიოდორ კუზმას ძე მუხოვნიკოვის მიერ გამოყენებული ხალხური წამალი ე. წ. „კუზმიჩის ბალახი“ მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში გახდა ცნობილი და პოპულარული არა მარტო რუსეთში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ეს წამალი იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთმა მაღლიერმა ინგლისელმა ფიოდორს ყოველთვიური პენსია - 300 მანეთის ექვივალენტი დაუნიშნა, რადგან თვითონ ექიმბაში პაციენტებისგან ფულს არ იღებდა (<http://kraeved.opk.org>). 90-იან წლებში რუსეთის პრესის ფურცლებზე წამლის რეკლამები გამოქვეყნდა, მაგ.: Рекламная листовка «Эфедра трава Кузьмича». (Оренбург, 1896. Оттиснуто из №99 «Тургайская Газета» (20 ноября 1896 года) (<https://ru.bidspirit.com>). უდავოა, რომ ამ ინფორმაციამ საქართველომდეც მოაღწია. თვით მცენარე – *Efedra vulgakis*, რომლისგანაც წამალი „კუზმიჩის ბალახი“ მზადდებოდა, საქართველოში „ჯგორისძუად“ წოდებული კენკროვანი ბუჩქია და სამაჩაბლოში, ქართლში, კახეთში, მთიულეთსა და მესხეთში ხარობს (<http://agrokavkaz.ge>).

ცნობილია, რომ აკაკი წერეთლის უფროსი და ანა საჩხერის მხარეში შინაური მკურნალობით იყო განთქმული (**ჭოლოშვილი 1915: 4; ელიაშვილი 2015: 39**). ანა წერეთელმა ეს ხელობა მემკვიდრეობით დედისგან მიიღო. თავის დოკუმენტურ მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“ აკაკი იგონებს, რომ გურიის მთავრის ოჯახში ცხოვრების პერიოდში დედამისზე დიდი გავლენა იქონიეს ფრანგმა პატრებმა, „მათი მეოხებით შესწავლილი ჰქონდა, სხვათა შორის ექიმობა“ (**წერეთელი 2015: 25**). ანა გაუთხოვარი იყო და იგი აკაკის მიმართ დიდი მზრუნველობით გამოირჩეოდა. გამორიცხული არ არის, რომ ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული რეცეპტი სწორედ აკაკისთვის ყოფილიყო განკუთვნილი. პოეტი ხომ ახალგაზრდობიდანვე უჩიოდა ფილტვებს, გულს

და კუჭს. ჯერ კიდევ 1861 წელს პოეტს ფილტვების ქრონიკული კატარი, თანამედროვე სამედიცინო ენით ფილტვების ანთება, დაუდგინდა (**არველაძე ... 2017: 111**). წლების განმავლობაში მის პირად წერილებში ხშირად ვხვდებით „წუნუნს“ შერყეული ჯანმრთელობის შესახებ. ინფორმაცია გულის პრობლემების შესახებ ჩნდება 1891 წლიდან. მაისში ივანე მაჩაბელისადმი პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში აკაკი იუწყება, რომ ექიმების დასკვნით, „გადიდებული გულის“ გამო, მგოსანს საზღვარგარეთ ესაჭიროებოდა მკურნალობა (**წერეთელი 1963: 135**). იმავე წლის 22 სექტემბრის გაზ. „ივერია“ (№ 202, გვ. 2) იუწყებოდა აკაკის „ავადმყოფი გულის“ შესახებ. 1898 წლის აპრილში კი აკაკიმ ერთ თვეზე მეტი დაჰყო ქუთაისში ექიმ სამსონ თოფურისას კლინიკაში გულის პრობლემებზე სამკურნალოდ. 1902 წლის ივნისში ისევ ჩნდება ცნობები აკაკის „გულის ავადმყოფობის“ შესახებ, რასაც გაზეთები „ივერია“ (№ 116, გვ. 2) და „ცნობის ფურცელი“ (№ 1828, გვ. 2) იუწყებოდნენ. გულის პრობლემებზეც არ ერიდებოდა საუბარს აკაკი ბევრ პირად წერილში. ცნობილია, რომ აკაკის 1904 წლის 22 ოქტომბერს „სიდამბლე მოუვიდა“ (გაზ. „ივერია“, 1904, № 243, გვ. 1; № 245, გვ. 1; № 248, გვ. 1). სხვიტორის ა. წერეთლის სახლ-მუზეუმში ინახება ექიმ ფიბერის მიერ აკაკის სახელზე გამოწერილი 1904 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული რეცეპტი (№ 7081), სადაც ექიმი პოეტს ბენზონაფტოლს უნიშნავს. ეს პრეპარატი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს გამოიყენება, რაც იმას ნიშნავს, რომ გულის ქრონიკულ დაავადებას დაემატა კუჭის სერიოზული პრობლემაც. 1904 წელს ნიკო მაჩაბელს (ი. მაჩაბლის შვილი) პოეტი სწერს: „ამ კვირაში მე ორჯერ შემომიტია კუჭის ტკივილი“ (**წერეთელი 1963: 180**). თედო კიკვიძისადმი განკუთვნილ დაუთარიღებელ წერილშიც მგოსანი ისევ „კუჭის ყოველდღიურ ტკივილებზე“ საუბრობს (**წერეთელი 1963: 263**). ვფიქრობთ, წერილს ფართო თარიღი – 1904 წლის შემდგომი პერიოდი უნდა მიეცეს. არსებობს ა. წერეთლის კიდევ 2 დაუთარიღებელი წერილი დავით ბაგრატიონისა და ელისაბედ თარხნიშვილისადმი. პირველ წერილში ვკითხულობთ: „ავადმყოფობამ დამრია ხელი და მიტომ ვერ ჩამოვედი შენთან და პირდაპირ ნავედი ცემში

ღამბაშიძესთან. სისხლისგან ვინრიტები და ექიმები მირჩევენ ოპერაციას. უნდა თევზივით გამფატრონ და მეშინია“ (**წერეთელი 1963: 182**); მეორეში კი წერია: „მძიმედ ავადმყოფი ვარ ცემში, ღამბაშიძესთან. თუ სისხლდენა ვერ შემიწყდა, უნდა გამფატრონ თევზივით“ (**წერეთელი 1963: 258**). მიუხედავად იმისა, რომ ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე თავის მოგონებებში „ჩემი თავგადასავალი“ იხსენებს აკაკის ცემში ორჯერ სტუმრობას 1904 წელს – ივნისსა და აგვისტოში და 1910 წლის 15-23 აგვისტოს, ექიმი არსად საუბრობს მკურნალობის კურსზე, რომელიც მგოსანს ცემში ჩაუტარდა (**ღამბაშიძე 2018: 159-172**). ეს პაციენტი ჯანმრთელობაზე გაუთქმელობის ექიმისეულ ეთიკას უნდა მივანეროთ. ფაქტია, რომ ზემოთ მოტანილ პირად წერილებსაც შეგვიძლია, ფართო თარიღი 1904 – 1914 მივანიჭოთ. აღსანიშნავი კი ის არის, რომ არც ერთ ბიოგრაფიულ ცნობაში არ ჩანს, რომ აკაკის კუჭის ოპერაცია გაუკეთდა. სავარაუდოდ, ექიმების დანიშნულებასთან ერთად ანას ხალხური მეთოდით „ნამლობამაც“ გამოიღო შედეგი და მგოსანი ქირურგიულ დანას გადაარჩინა. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ მოვიპოვეთ „კუზმიჩის ბალახის“ რუსული რეცეპტი (<http://tradiciari.ru>), რომელიც უშუალოდ კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებებისთვის იყო განკუთვნილი და შევადარეთ ანა წერეთლის რეცეპტს. უმნიშვნელო განსხვავებების გარდა, რაც მხოლოდ ინგრედიენტების რაოდენობებში გამოიხატება, ანას რეცეპტს ემატება პიტნის წვეთები, რომელიც ცნობილია თავისი „ანტიმიკრობული თვისებებით და რეკომენდებულია კუჭისა და მსხვილი ნაწლავის მკურნალობის დროს“ (<http://thlifestyles.wordpress.com>).

სწორედ ის ფაქტი, რომ „კუზმიჩის ბალახის“ შესახებ ცნობები რუსეთიდან საქართველოში XIX საუკუნის 90-იან წლებში შემოვიდოდა, და მას სხვებთან ერთად ხალხურ მედიცინაში განსწავლული ანა წერეთელი გაეცნობოდა, გვაძლევს უფლებას, ვიფიქროთ, რომ ანა თავის გამოცდილებასა და შემოქმედებით უნარს არ დაიშურებდა და უკვე არსებულ ექიმბაშურ ნამლებს ახალ, საჭირო დანამატებით გაამდიდრებდა. უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ დის რჩევას აკაკი გაითვალისწინებდა, რამაც განაპირობა ის, რომ მგოსანი მედიცინაში თანამედროვე

ნამყვანი სპეციალისტებისა და აღნიშნული წამლობის დახმარებით გადაურჩა კუჭის ურთულეს ოპერაციას.

უბის წიგნაკები, ფულის მიღების დამადასტურებელი ქვითრები, ოჯახის წევრების რეცეპტები თუ სხვა მსგავსი დოკუმენტები და საქმიანი ქაღალდები არა მხოლოდ ემატება კლასიკოსის თხზულებათა გამოცემას, როგორც ცალკე აღებული ტომი, არამედ ასეთი დოკუმენტები უფრო და უფრო ავსებენ მწერლის შესახებ უკვე არსებულ ინფორმაციას, ამდიდრებენ წარმოდგენებს პოეტის პირად ცხოვრებაზე, ავსებენ კლასიკოსის ბიოგრაფიას საინტერესო დეტალებით და გვიხატავენ მის პორტრეტს ახლებურ, განსხვავებულ ქრილში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

**არველაძე ... 2017:** არველაძე მ., ზარდიაშვილი ე., აკაკი წერეთლის უცნობი დოკუმენტები და საქმიანი ქაღალდები, ჟურნალი „ლიტერატურული ძიებანი“, XXXVIII, თბილისი

**ელიაშვილი 2015:** ელიაშვილი ივანე, „აკაკი“, ციტირებული: გაფრინდაშვილი ქ., ქავთარაძე ე., უკვდავი მეგობრობა, თბილისი, თსუ

**მაჩაბელი 1884:** მაჩაბელი ი, *განცხადებები*, გაზეთი „დროება“, № 264, თბილისი

**ლამბაშიძე 2018:** ლამბაშიძე ვ., *ჩემი თავგადასავალი*, საქართველოს ეროვნული არქივი, თბილისი

**წერეთელი 1963:** წერეთელი ა., *თხზულებათა სრული კრებული*, ტ. XV, საბჭოთა საქართველო, თბილისი

**წერეთელი 2015:** წერეთელი ა., *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად*, ტ. VII, გ. „საქართველოს მაცნე“, თბილისი

**ჭოლოშვილი 1915:** ჭოლოშვილი ს., აკაკის უკანასკნელი ავადმყოფობა, გაზეთი „თემი“, № 211, თბილისი

<http://kraeved.opk.org> (12,12,1019)

<https://ru.bidspirit.com> (12,12,1019)

<http://agrokavkaz.ge> (12,12,1019)

<http://tradicari.ru> (12,12,1019)

<http://thlifestyles.wordpress.com> (12,12,1019)

**შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ.  
ინსტიტუტის ტექსტოლოგიის სამეცნიერო  
კვლევითი ცენტრის 2019 წლის 19 ივნისის  
კონფერენციის – „საარქივო მასალები და  
ტექსტოლოგიური კვლევები“ – მასალები**

*როსტომ ჩხეიძე*

**ლიბრეტოდ შორეული ჰანგების**

(იოსებ გრიშაშვილი და ქალაქური სიტყვარი)

ქალაქური ენის, ჟარგონის ანუ არგოს დაბადების გარემოდ იოსებ გრიშაშვილს ეგულებოდა გონებამახვილი ხალხის ყოფა, მხიარულის, დარდიმანდის, ის სივრცე, სადაც სიცოცხლისა და ადამიანის დაუშრეტელი სიყვარული სუფევდა.

და შემოდოდა კიდეც „ქალაქურ ლექსიკონად“ ნაგულვებ მასალებში ჟარგონული ნაკადიც, ცალკე რომ არ გამოარჩევდა, თუმც მათ ამოკრებას რალა უნდა, ძველი თბილისელი პოეტის სახსოვრად ესეც რომ დაგვრჩებოდა იმ დიდძალი მასალიდან.

თბილისი, როგორც საქართველოს გული, ბევრ უცნობ სიტყვას რომ იკრებდა თავის გარშემო, იოსებ გრიშაშვილი თბილისურ მეტყველებას მოიხსენიებდა ძარღვიან ენად, ფერადოვანად. და ყურადღებას მიაქცევინებდა ყველას, რომ:

ხშირად ზოგიერთი ტერმინი ამ ენაზე ისე მკვეთრად და მოსხლეტილად ისმოდა, არსებული საგნის შესატყვისი გულსავსედ გამოკრთოდა.

თბილისურ ენას ჰქონდა ინტონაციების საიდუმლოებაც და იოსებ გრიშაშვილი 30 წლის განმავლობაში სათუთად ჰკრებდა თბილისში განაგონ სიტყვებს, რომლებიც არცერთ ლექსიკონში

არ აღბეჭდილიყო.

ხშირად უხდებოდა გაესწორებინა ზოგიერთი ლექსიკოგრაფის შეცდომები. თუნდ აგერ დავით ჩუბინაშვილი რომ სარგებლობდა ზურაბ ანტონოვის დრამატურგიული თხზულებებით, იქ ბევრი სიტყვა სწორად არ გახლდათ გაგებულნი, რადგანაც ზურაბ ანტონოვისა თუ გიორგი ერისთავის პიესებში გამოყენებული სიტყვებისაგან არ შეიძლებოდა მათი ფესვის ახსნით დავკმაყოფილებულიყავით.

საჭირო იყო ამ ცოცხალი სიტყვის დამარცვლა ისე, როგორც ხალხი ხმარობდა და როგორც მწერლობაში შემოსულიყო.

კიდევ ერთხელ განიცდიდა სიამაყეს ქართული ენის სიმდიდრით, ხშირად ერთ აზრს რამდენიმე სიტყვა რომ ეფარდებოდა.

ხოლო სალექსიკონო მასალებში ბევრი საჩოთირო სიტყვაც რომ შემოეტანა, ეს იმიტომაც, სულხან-საბა ორბელიანის კვალს რომ ადგა... და მის სიტყვებსაც ამიტომ მოიშველიებდა:

– არა იმიტომ, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენის სისრულისათვის ავწერე.

დაე, სცოდნოდა მკითხველს, რომ:

ეს არ გახლდათ „გრიშაშვილის ლექსიკონი“, როგორც პოეტის.

მიაჩნდა, რომ მისი ლექსის ენა დაძმობილებოდა ძველი მწერლების ენას – შოთა რუსთველისა თუ სულხან-საბა ორბელიანის, აგრეთვე ივანე მაჩაბლის, გრიგოლ ყიფშიძისა და ივანე მაჭავარიანის თარგმანებს.

რასაკვირველია მის ლექსს მოეპოვებოდა ქალაქური ლექსიკის სურნელებაც, მაგრამ ესეც მაშინ, როცა აზრის გამოსათქმელად სხვა საბადლო სიტყვა არ არსებობდა.

შესაძლოა აქ ბევრი სიტყვა გულუბრყვილოდაც ახსნილიყო?

მის შესატყვისს, მის ძირს შესაფერისად თვითონაც ვერ ჩანვდომოდა?

არც აცხადებდა პრეტენზიას, „მცოდნეობის რაყამი“ მიეკრა და შოთას სახედარივით დაეწყო უცილობლობა.

მოხდენილ იუმორსაც რომ გამოურევდა და ღიმილით გაანათებდა წინათქმად ნაგულეები ჩანანერის ფინალს!..

ბოლოსდაბოლოს ეს სიტყვები დაეგროვებინა და, როგორც მასალა, დაეტოვებინა ძველი თბილისელი პოეტის სახსოვრად.

და რჩებოდა მის ბიბლიოთეკა-მუზეუმში ეს მრავალმხრივ საგულისხმო სალექსიკონო მასალა, მომცველი თბილისური მეტყველების სიმდიდრის, ძარღვიანობისა და ფერადოვნების.

და როდესაც რუსუდან კუსრაშვილი დაინტერესდებოდა იოსებ გრიშაშვილის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობით და ამ სახლ-მუზეუმის დირექტორის ნოდარ გრიგოლაშვილის დახმარებით შეუდგებოდა ამ სალექსიკონო მასალების მოძიება-შესწავლას, პოეტის არქივში საკმაო რაოდენობით აღმოჩნდებოდა სხვადასხვა სახის ლექსიკონი, რომელთაგანაც ძირითადი იქნებოდა „ქალაქური ლექსიკა“.

ამას გარდა ცალ-ცალკე გამოყოფილიყო მცირე მოცულობის ლექსიკონებიც:

ხელოსნების, ყარაჩოლლური, ავქსენტი ცაგარლის, გაბრიელ სუნდუკიანცის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, საიათნოვას, ეკატერინე გაბაშვილის, ფარსადან გორგიჯანიძის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ვასილ ბარნოვის, რაჟდენ გვეტაძის, შირვანზადეს ცალკეული ნაწარმოებებისა, ზოგიერთში მხოლოდ რამდენიმე ერთეული ან ათეული სიტყვა რომ შედიოდა.

მათგან შედარებით დიდი მოცულობისა იქნებოდა ლექსიკონი „სხვადასხვა“.

და რუსუდან კუსრაშვილი წიგნად მოამზადებდა ლექსიკური მასალის ძირითად ნაწილს, რომელსაც პოეტი-ლექსიკოგრაფი ხან „ქალაქის ლექსიკას“ უწოდებდა და ხანაც „ქალაქურ ლექსიკას“, მაგრამ მკვლევარი-ტექსტოლოგის ხელში ლექსიკონი რომ ამოიზრდებოდა, კიდევ ასევე დაარქმევდა: „ქალაქური ლექსიკონი“ – ჩვენი მხრივ კი ძალდაუტანებლად შეიძლება განვსაზღვროთ მისი ჟანრული თავისებურება როგორც: რომანი-ლექსიკონი.

და ასე უნდა გამოკვეთილიყო თვალსაჩინო და მეტად კოლორიტული პოეტის მრავალფეროვანი ინტერესების კიდევ ერთი მომხიბლავი მხარე: ლექსიკოგრაფის.

და რალაცით მეტისაც: რომანისტ-ლექსიკოგრაფის.

მართალია გამომცემელი ამ ჟანრობრივ თავისებურებას არ



აღნიშნავდა, მაგრამ მინიშნებით კი მიანიშნებდა წინასიტყვაობაში, როდესაც ყურადღებას გაამახვილებდა, რომ:

ავტორი ხშირად უამბობდა მკითხველს ამა თუ იმ მოვლენაზე, ძველ თბილისურ ადათ-წესებზე, ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე. არც ქალაქური კულინარია დავინწყებულყო.

ის კიდევ ცალკე, ლექსიკონში ბევრი ფსევდონიმი რომ იხსენიებოდა და იოსებ გრიშაშვილი იქვე შიფრავდა ზოგ მათგანს და ზოგჯერ მათ წარმომავლობასაც ადგენდა.

საგულისხმოა ის გარემოებაც:

ამ სალექსიკონო მასალის თავმოყრა-დამუშავებისას პოეტი-ლექსიკოგრაფი საგანგებოდ რომ გადაათვალიერებდა: სულხან-საბა ორბელიანის, დავით ჩუბინაშვილის, ლადო აღნიშვილის, თედო სახოკიას, კონსტანტინე ბალაშვილის, ვუკოლ ბერიძის, მოსე ჯანაშვილის, ილია ჭყონიას, კოტე ყიფიანის, თედო რაზიკაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, ეპისკოპოს კირიონის, აკაკი შანიძის, „ვეფხისტყაოსანზე“ დართულ თუ სხვა ლექსიკონებს – რათა არ შეპარვოდა სხვათა ლექსიკონებში შეტანილი სიტყვები, და თუ ასეთი აღმოჩნდებოდა „ქალაქური ლექსიკონის“ მასალებში, მაშინ ის სხვაგვარად უნდა ყოფილიყო განმარტებული.

მკვლევარი-ტიქსტოლოგის ხელში ლექსიკონი რომ ამოიზრდებოდაო...

ბუკვადურად რომ მისდგომოდა ამ გამოცემას რუსუდან კუსრაშვილი და გაეტარებინა ის პრინციპები, რაც ჩვეულებრივ ლექსიკონს უნდა ახასიათებდეს, მეტად ხელოვნური ჩარევა გამოუვიდოდა და იმ „ჩვეულებრივ“ ლექსიკონებს კი დაამგვანებდა, მაგრამ მაშინ დაიკარგებოდა მთავარი და უმთავრესი – იოსებ გრიშაშვილის სახე, როგორც მეტად ორიგინალური ლექსიკოგრაფისა და მკვლევარისა, ამ შემთხვევაში მისი ენა და სტილიც უცვლელად რომ შენარჩუნდებოდა.

ერთი სიტყვით:

გაჩვეულებრივებული „ქალაქური ლექსიკონი“ აღარ იქნებოდა რომანი-ლექსიკონი.

ახლა კი მთლად პოსტმოდერნისტული თუ მოდერნისტული რომანი თუ არ დაერქმევა და ამ მხრივ არ იქნება ამ ჟანრის

სრულფასოვანი ნიმუში, განსხვავებით თედო სახოკიასა და გიორგი შატბერაშვილის მონაპოვართაგან („ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ და „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“), პირობითად ხომ მაინც მიესადაგება რომანის სახელწოდებას. ბოლოსდაბოლოს რა აუცილებელია იოსებ გრიშაშვილის ეს თხზულება მხოლოდ პავიჩის რომანს – „ხაზარული სიტყვისკონა“ – გვახსენებდეს.

რუსუდან კუსრაშვილი ითვალისწინებდა იმ გარემოებასაც, რომ:

ლექსიკონის კომპოზიციურ ქარგაში თავმოყრილ ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ, ეტიმოლოგიურ თუ ფოლკლორულ მასალასა და დაკვირვებებს შესაძლოა დავაც კი გამოენჯია მკვლევარ-სპეციალისტთა შორის; მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ შეამცირებდა „ქალაქური ლექსიკონის“ ღირსებას, როგორც ქართული ლექსიკოგრაფიის იშვიათი შენაძენისა.

დავძენდი:

ქართული რომანისტიკისაც.

როგორ უყვარდა იოსებ გრიშაშვილს ჩხრეკა-კირკიტი, ჩაძიება, კვალის გაყოლა, არა წყინდება, არა ბეზრდებოდა, და ქალაქური სიტყვარის შედგენასაც ამიტომ გადაწყვეტდა, თუმცა იმთავითვე მოეხსენებოდა და უფრო და უფროც იგრძნობდა, მეტად უმადურ საქმეს რომ მოჰკიდებოდა.

აკი, კიდევ დაიჩივლებდა თავფურცლად ნავარაუდევ „წინათქმის“ ქვემოთ:

– და მეც ვიკისრე ეს უმადური საქმე.

თუ რაიმე უადვილებდა გარჯას და დროდადრო შვებითაც ამოასუნთქებდა, ის გონებამახვილი, მხიარული, დარდიმანდი ხალხი, გარშემო რომ ეხვია და სიცოცხლისა და ადამიანის დაუშრეტელ სიყვარულსაც აფრქვევდა.

ამ გარემოში უნდა ამოზრდილიყო ქალაქური ენაც, ის ჟარგონი, რომელიც დასაკარგავად არ გაიმეტებოდა, მთავარია იოსებ გრიშაშვილს გადაედო თავი საამისოდაც და ძველი თბილისელი პოეტის სახსოვრად დაეტოვებინა ის დიდძალი მასალა, პროფესიონალი ტექსტოლოგის ხელში მთელს თავის

მომხიბლაობასა და სპეციფიკურობას რომ შეინარჩუნებდა და... კიდევ რომან-ლექსიკონად ამომზევდებოდა.

და შემოდოდა მის მრავალფეროვან დინებებში ჟარგონული ნაკადიც, გონებამახვილობის, მხიარულების, დარდიმანდობის ანარეკლებად თუ ასასხლეტებად.

\* \* \*

გადაშლიდი და... უკვე თვალში მოგხვდებოდა:

**ააცოცა**, მოიპარას რომ გულისხმობდა.

**ავადეო**, გაიგონებდი და უნდა მიმხვდარიყავი: ისე ვცემე, ავად გავხადეო.

ასეც გამოეყენებინა ტრიფონ რამიშვილს („მნათობი“, 1927, № 5-ს, გვ. 39):

– მივალ, მაგრამ რომ ამადოს?

**ავადრასტეო**, იტყოდა მაშინდელი მოქალაქე და უნდა გცოდნოდა: ეცემა, სილა გაეწნა, გაესილაქებინა, სანყისი კი რუსული „зрости“ ყოფილიყო.

**ავატალახეო**, იტყოდა და მიხვდებოდი: მოეპარა, აენაპნა, დაეტყუებინა.

ისე საგულისხმოა, ჟარგონი ჟარგონითვე რომ განიმარტებოდა, **ატალახება**, იმ **ანაპნით**, რომელიც თავის მხრივ ასე აიხსნებოდა:

აპკრა, აარტყა, ააცოცა, იქურდა; ჩუმად აართვა, ჩუმად აილო.

სავარაუდოდ რუსულიდან წარმოებულად მიიჩნევა: **напать**.

ჟარგონი ჟარგონითვე უნდა განმარტებულიყო მოგვიანებითაც: ცაპნა – ანაპნა.

ხოლო **ანაპნის** კვალს რომ გაჰყვებოდა:

„კოლექტივიზაციის“ 1935 წლის 59-ე ნომრის ფელეტონიდან (გვ. 3) ამოიწერდა ახალ მასალასაც:

– კაპიტალისტური სახელმწიფოები აჯანყების მსვლელობამ შეაფიქრიანა, თან ზოგიერთს წაგლეჯის, ანაპნის სურვილი გაუღიზიანა.

თორემ ადრინდელი ხომ არ მოაკლდებოდა:

„ივერიის“ 1891 წლის მე-5 ნომრიდან:

– ერთ წამს რომ იქით მივიხედოთ, ქურდბაცაცები ამ ბოთლს აგნაპნიან, ან სხვა ნივთსაო.

გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპოდან“ (გვ. 63):

– სიგელებს და ძველ ფულებს აგნაპნიან.

და მაქსიმ გორკის „დოსტების“ ვალერიან გუნიასეული თარგმანიდან („კვალი“, 1902, გვ. 18):

– მოიპარავდნენ... და მერე დიდხანს აღარ იხილავდნენ იმ სოფელს, საიდანაც მოახერხეს ანაპნა.

იქვე აღინიშნებოდა **ანაპნილიც**, მაგალითს დემნა შენგელაიას „ბაშკადიკლარიდან“ („მნათობი“, 1934, № 10, გვ. 15) რომ მოიშველიებდა:

– ამ გზით ანაპნილ ფულით ჯიბეებს ისქელებს.

**ატრაკუნებს** არ მიიჩნევდა ლიტერატურულ სიტყვად, თუმცა დასძენდა, რომ სოფრომ მგალობლიშვილი იყენებდა ერთ მოთხრობაში („მოამბე“, 1899, № VIII, გვ. 78):

– ლას ატლაკუნებს, მამაჩემი ვერ მომწელდა?

მკითხველი ისედაც მიხვდებოდა, რომ პოეტი-ლექსიკოგრაფი მოვალედ მიიჩნევდა თავს, ეს განმარტებაც დაერთო:

ეს მოქმედი პირი „რაეს“ „ლასად“ გამოთქვამსო.

**აძუებულს** აღტკინებულად რომ განმარტავდა, მიადევნებდა, რომ: ვულგარულად ახურებულს გულისხმობდა.

კვლავ – ჟარგონი ჟარგონითვე.

**ახარ** არაბული „ახირიდან“ რომ მომდინარეობდა და ნიშნავდა: ბოლოს – საკმაო მასალის თავმოყრის შემდგომ იოსებ გრიშაშვილი დაურთავდა:

**ახარ** დღევანდელ ვულგარულ გამოთქმას უდრის: ბოლოს და ბოლოს. და ამგვარ ფრაზას შემოგვთავაზებდა კერძო საუბრიდან:

– ბოლოს და ბოლოს, არ იტყვი, ვინა გცემა?

**აჯან** განიმარტებოდა როგორც შეძახილი ქეიფის დროს. განისმოდა შეკითხვადაც: აჯან?

**ბასტას** თულუხჩები იყენებდნენ, როცა თულუხი წყლით აევსებოდათ, მარინე ხუბუას მიერ თარგმნილ ჯემალ-ზადეს ნოვლებშიც რომ დასტურდებოდა („მნათობი“, 1925, № 5, გვ. 112):

– მორჩა და გათავდა! ბასტა.

იყენებდნენ ევროპელნიც, და თვალსაჩინოებისათვის გაიხსენებდა „ცისკრის“ 1864 წლის აგვისტოს ნომრის 352-ე გვერდს:

– ამ დაძველებულის და დაჟანგვიანებულების საქმეც წნორეთ ბასტაა: ამათი დასასრული მოახლოებულია.

**ბაშუსტას** იტყოდი და იგივე იყო, რაც: ბატონი ბრძანდები.

მაგალითებისათვის ისეთ პიროვნებათა ნაწერებშიც უნდა ჩაგვეხედა:

ვაჟა-ფშაველასი (ტ. IV, გვ. 299):

– ბედი თავს დაჰყეფს: „ბაშუსტა!“

აკაკი წერეთლისა („ბაში-აჩუკი“, 1913, გვ. 61):

– აბდუშაჰილმა მორჩილების ნიშნად შუბლზე მიიდვა ხელი და მოახსენა „ბაშუსტაო!“

ილია ჭავჭავაძისა (ტ. IX, გვ. 319):

– ...კიდევ კახელი, ხევსური, ქართლელი, იმერელი, გურული, ქიზიყელი და სხვანი განა? ბაშუსტა!

პაოლო იაშვილისა („სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 16):

– სამასი კაცი? ბაშუსტა! არ მოგეჩვენოს არაკადა.

იონა მეუნარგიასი („ივერია“, 1886, № 174):

– ნუვინ ახლებს ხელს რუსთველის ენას, – ბაშუსტა.

დიმიტრი მაჩხანელისა („ივერია“, 1890, № 170):

– მითხარ, სული ნუ დამალევინი!

– თუ დედაშენთან წამიყვან ამაღამ – ბაშუსტა.

იქ კიდევ „კვალშიც“ შეგვეძლო ჩაგვეხედა (1893, № 49, გვ. 15):

ივანიკა: ისემც კარგი დაგემართა. იმისთანა კრიმანჭულს შემოვძახებ, რომ სულ ბულბულებს ჩამოვაფრენ ზეციდან.

გოჯასპირ: ბაშუსტა, ივანიკა!

**ბაშუსტას** სხვა ნიუანსიც მოექებნებოდა: დიდი სიამოვნებით! თანახმა ვარ!

და სანიმუშოდ კვლავ ილია ჭავჭავაძე შემოგეშველებოდა, მისი პიესა „მაჭანკალი“:

– ბაშუსტა, კაბაც შენი სანაცვლო იყოს.

**ბაშხადონიმ** და მისი სახესხვაობა ბაშხადუნუმ მომდინარეობდა თურქული გამოთქმიდან „ბაშ-ალ-დონემ“ და ნამდვილად ნიშნავდა: თავს შემოგეველე.

ასეც გამოეყენებინა ლავრენტი არდაზიანს „სოლომონ ისაკიჩი მეჯღანუაშვილში“, ვარლამ ხუროძის წინათქმით გამოცემული წიგნის 123-ე გვერდზე რომ შეგხვდებოდა.

მეორე ნიუანსი იყო: აფერუმივით.

და იმავე ლავრენტი არდაზიანს ამ ელფერიტაც გამოეყენებინა „მორჩილში“, 1936 წლის გამოცემაში, პლატონ კეშელავას რედაქტორობით, 102-ე გვერდზე რომ წაანყდებოდი:

– ჩვენც გაგვითენდა, ბაშხადონიმ, გოგოჯან.

მესამე ნიუანსით უთანაბრდებოდა ჩვენებურ გამოთქმას: ბიჭოს. ამიტომაც გაისმოდა:

– ერთი ვნახოთ, ბაშხადუნუმ მოვიდა.

და კვლავ ლავრენტი არდაზიანი ბიძია თორნიკეს ფსევდონიმით დოკუმენტურ მოთხრობას „მოგზაურობა ტფილისში“ რომ გამოაქვეყნებდა („ცისკარი“, 1862, ივლისი, გვ. 140), იქ ამოიკითხავდი:

– ბაშხადუნუმ, ბიჭო! შენ აღარ ხუმრობ, აი.

თვითონ იოსებ გრიშაშვილიც იუმორისტული აღმანახის „წმინდა გიორგის შუბ-მათრახი“ (1907, № 1) ფურცლებზე ამ ნიუანსით მოიმარჯვებდა:

– ვზივარ დუქნის წინ და ვნახოთ, ბაშხადუნუმ, ფორტალიონმა წიგნი მომიტანა.

ამავე ელფერით ამჯობინებდა აკაკი წერეთელიც („ბოდვა“, „ჩვენი მწერლობა“ გოგაძისა, გვ. 80).

და იოსებ გედევანიშვილიც პიესაში „მსხვერპლი“ („დრამები და კომედიები“, გამომცემლობა „სორაპანი“, 1911, გვ. 42):

– ღმერთის მადლმა, ქვეყანა გადაბრუნდა, აღარა გაიგება რა... ბაშხადურ, ბიჭო, ბიჭობაც ასეთი უნდა...

გადამწვარი თეატრის ასაგებად ლატარია რომ დაარსდებოდა, იოსებ გრიშაშვილი სოლომონ ახვლედიანის თხოვნითა და შეკვეთით დაწერდა ლექსს, რომელსაც მთლიანად გადმოიწერდა სალექსიკონო მასალებში, სხვა შემთხვევაში ერთ სტრიქონს სავსებით რომ იკმარებდა, მაგრამ ამჯერად გადამწვარი თეატრის ასაგებად განუული წვლილი ეაფსუსებოდა შესამოკლებლად:

– ამბავს გეტყვით, ხალხო, ამბავს გასაკვირალს, ლატარია

უნდა გათამაშდეს კვირას, სულ ორი დღე დარჩა, კმარა, რაც იძინეთ, ბილეთები ჩქარა! ჩქარა შეიძინეთ. თორემ თუ სხვამ, გესმის? იქ მოგება ნახა, მაშინ უნდა დაჯდე, და დაალო ხახა, ხომ ერთ ვინმეს უნდა ერგოს ბედის ლხენა, და ეს ერთიც, ვინ უნყს, იქნებ იყო შენა. მაშ, რად დახვალ, ძმაო, ეგრე განდაგანა, ასი ათას მანეთს ეხუმრები განა?! ბაშხადუნუმ! ბიჭოს! ერთიც ვნახოთ, რომა არ დაგჭირდეს ჯაფა, არ დაგჭირდეს შრომა, და იხილო უცბად სამოთხისა კარი, დაჯექი და მერე ქუდი ქერსა ჰკარი.

და ბარემ ეს ნიუანსი გამოკვეთილიყო კიდევ ერთხელ: თავს შემოგვევლება.

ავქსენტი ცაგარელი პიესას „მკითხავი“ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიდან?“ რომ გადააკეთებდა, ხელნაწერად არსებობდა, მაგრამ იოსებ გრიშაშვილს მის არქივზეც ხელი მიუწვდებოდა, შესაფერის მაგალითს იქიდან რომ დაიმონებდა:

– ჰაი გიდი, ბაშხადუნი, ლუარსაბ, ბაშხადუნი!

ალექსანდრე ხიმშიაშვილზე ლექსს რომ დაწერდა გიორგი დვანიძე, მის ხელნაწერს გააცნობდა ვიქტორ შავლაძე და... ამ ფრაზასაც იქ წაანყდებოდა:

– ყოჩაღ, ძმაო ალექსანდრე, ბაშხადუნი, ბარაქალა.

საკუთრივ „თავს შემოგვევლე“ რომ იგულისხმებოდა, საამისოდ კიდევ ერთხელ მოიშველიებდა ავქსენტი ცაგარელის მიერ იმ გადაკეთებული პიესიდან იმ ფრაზასაც და იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლიდანაც“.

**ბეზაბედა** ნიშნავდა უსადილოდ დატოვებას სასწავლებელში – მონაფეთა დასჯის მიზნით. მომდინარეობდა რუსული გამოთქმიდან: не зѣдала.

**ბემურაზი** განიმარტებოდა როგორც: უმურაზო, სურვილ-დამჭკნარი, მიზანმიუღწეველი.

გიორგი ბაშინჯალიანის „ახირებული მასპინძელი“ („სახალხო საქმე“, 1920, № 1009) გვანვდიდა შესაფერის ნიმუშს:

– ერთ ოთახში თითონ ეძინა, მეორეში – ნაბადი და მოსამსახურეები. ჰო, მაშ, ის ბემურაზი.

გავრცელებით გავრცელდებოდა „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჭემის“ გამოცემის შემდგომ, იოსებ გრიშაშვილი

ამ გარემოებას საგანგებოდ რომ აღნიშნავდა.

ძალიან მოსწონებოდა სიკო ფაშალიშვილს და რამდენჯერმეც გამოიყენებდა („ნიანგი“, 1936, № 8, გვ. 8-9):

– რამტოლჯერ ჩაგიგდივარ იმ ბემურაზ ნიანგში, აღარ გახსოვარ?!!

– იმ ბემურაზმა მილიციამაც ბაშფორთებზე ატკაზი დამარტყა...

– ერთიც ვნახოთ ის ბემურაზი სულიკო ხანჯალს იღებს.

კოტე მესხსაც მოემარჯვებინა („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1936, № 230, გვ. 2):

– ამხანაგი ოჭიას ნაბადივით ჩამომეკიდა – წავიდეთ, ზემელის ბაღში დავისვენოთო, კარგად არ ვიცოდი იმ ბალის ბემურაზთა ამბავი.

**ბურდას** განმარტებისას აღინიშნებოდა, რომ:

რუსები ამბობდნენ: „ეტუბურდუ“ – ქაოსის, დომხალის მნიშვნელობით.

და წამოაგონდებოდა სიტყვა „ალაბურდა“ და დაინტერესდებოდა: ნეტა საიდან უნდა მომდინარეობდეს, აქედან ხომ არაო?

**გამოცინცვლა** რომ დატყუებას გულისხმობდა, სანიმუშოდ მოიხმობდა ერკმან-შატრიანის „გლუხიკაცის ისტორიის“ ივანე მაჭავარიანისეული თარგმანიდან (1931, გვ. 782):

– რაკი ვნახეთ, რომ საქმე გარიგდა, უკანვე გამოვცინცლავთ.

**დავცინცლეს** ცალკე ბუდედ შეიტანდა, თუმც აქვეც შეიძლებოდა და ის პასაჟიც ბარემ აქვე ჩაერთობოდა სტეფანე მელიქიშვილის მოგონებიდან („დროშა“, 1924, № 16-17, გვ. 26):

– მე ალექსანდრე ყაზბეგის ლექსები არ მომწონდა. ასიკო (ცაგარელი) აქებდა. როცა ასიკოს ვეტყოდი, რად აქებ-მეთქი, მეტყოდა: სანდროს ერთი სპილოს ძვლის ხანჯალი აქვს ოქროს ჩუქურთმისანი, მინდა ის დავცინცლოვო.

ცალკე ბუდედვეა შეტანილი დაცინცვლაც, არადა აქვე უნდა ჩართულიყო ის მაგალითებიც.

სერგო კლდიაშვილის „ჩემი ნაცნობი ქალიშვილიც“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1934, № 280) გამოადგებოდა საამისოდ:

– თამრიკოს მშვენივრად შესწავლილი აქვს ყველა ხვრელე-



ბი იმ დაწესებულებაში, საიდანაც შეიძლება ორდერების მიღება და საერთოდ რაიმეს დაცინცვლა.

და ალექსანდრ პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილის“ შალვა დადიანისეული თარგმანიც (1937, გვ. 104):

– დაგვაგინყდა ის ლოთი საფუნდუკეში, – ბენვის ჯუბა რომ დაგცინცლა?

**გოთვერანი** თურქულიდან მომდინარეობდა და პასიურ პედერასტს ნიშნავდა. დავით ჩუბინაშვილი ასე ხსნიდა: ამოსავარდნელიო. ლიტერატურული სიტყვა არ გახლდათ და გაუკვირდებოდა იოსებ გრიშაშვილს, ჩუბინაშვილთან რომ მოხვედრილიყო. და იმას არასწორადაც ამიტომ აეხსნა.

ამავე სიტყვას დაუკავშირებდა გურიაში გავრცელებულ გამოთქმას **გოთაული**, რაც ადამიანით მოვაჭრეს ნიშნავდა, ერმილე შარაშიძის პიესა „ალმასხანა ბედინეიშვილის“ ის ფრაზაც რომ ადასტურებდა (1933, გვ. 6):

– დიდი თავადები და მემამულე აზნაურები არიან პირველი გოთაურები. მალაქია გურიელმა მთელი გურია აიკლო.

**დაპლუტდა** ПЛУТ-დან წარმოშობილიყო. მაგალითისათვის კი აქესენტი ცაგარელის სტრიქონიც გამოდგებოდა („ივერია“, 1889, № 342):

– ეს ჩვენი კეთილშობილი ყმანვილები რომ დაპლუტდნენ, აღარ შეიძლება, ტყის ყაჩაღები გახდნენ.

**დარდაკი** გამოჩერჩეტბულის მნიშვნელობით სალიტერატურო ენაშიც შემოვიდოდა ბაჩანასაგან („განათლება“, 1913, № VII, გვ. 627):

– მაგრამ იმ ხოტბა-შესხმასა, რახან „კაი ყმა“ ყოფილა, – უნდა დაჰძინოთ, რომ მასთან დიდი დარდაკიც ყოფილა.

სომხურად ნიშნავდა: ცარიელს ანუ თავცარიელს. გამოიყენებოდა სულელის, შეუსტვინეს შინაარსითაც.

**დაქოქილი** გამოქნილს, გამოქექილს ნიშნავდა, მაგალითისათვის კი ამოიწერდა „კომუნისტის“ 1936 წლის 23 აგვისტოს ნომრის მეთაურიდან:

– სასამართლოს წინაშე და მთელი ქვეყნის წინაშე გულისამრევ წყებად გაიარეს დაქოქილმა ორგანიზატორებმა.

დაუკავშირებდა „ქოქსა“ და „ქოქოლას“ – ცხადია ამას უკვე არასწორად.

**დალლარა** მოხეტიალეს რომ გულისხმობდა, ეს სიტყვა არც რუსებს ეკუთვნოდათ.

სულხან-საბა ორბელიანი ახსენებდა ბადრაგას და განმარტავდა გზის მაჩვენებლად.

იოსებ გრიშაშვილი ივარაუდებდა, რომ:

რუსულ „ბრადიაგას“ და ქართულ „ბადრაგას“ ერთიადი-გივე ძირი ჰქონდათ, თუმცა ორივე შესატყვისი შორეულ წარსულში იკარგებოდა.

არ აღენიშნა დავით ჩუბინაშვილს.

ზეპირმეტყველებისას ამბობდნენ:

– ჰა, დალლარავ, იხეტიალე, იხეტიალე და მოხველი.

კიდევ ერთხელ ჩაუკვირდებოდა სულხან-საბას განმარტებას:

– **ბადრაგა** – ჭაბუკი, მოგზაურთა წინამავალი, რათა მეკობრეთაგან უვნებლად გაატაროს.

და დაინტერესდებოდა:

აქედან ხომ არ არის გადაკეთებული რუსული „ბრადიაგა“?

კიდევ რას ნიშნავდა **დალლარა** და:

უსახლკაროს, ცუდალელას; ანგალს; ზნედაცემულს.

და ყოველი შემთხვევისათვის დაურთავდა, რომ:

აზერბაიჯანულად „**დალლარა**“ ნიშნავდა მთას.

**დაშხოშ** ქების შესხმა იყო, ამ შინაარსისა – „ვაშა“ და „გაამოს“. ღვინის სმისას, როცა ჭიქას გამოცლიდნენ და ვერცხლის ქამარზე ცარიელ ჭიქას დაიხახუნებდნენ გამოცლის ნიშნად – მაშინ მეორე ქებას შეასხამდა:

– დაშხოშ, გენაცვა, დაშხოშ!..

ამონაწერისათვის კი „დონ ბაზილიოს“ მიმართავდა („საბჭოთა ხელოვნება“, 1933, № 10):

– აუცილებლად დასწერ მხატვრებზე, თეატრზე, კინოზე.

– დაშხოშ, ჩემზე იყოს!

**დაჰანადიმი** პირდაპირ ასე ითარგმნებოდა: კიდევ რა ვთქვაო? – და ყარაჩოღელები იყენებდნენ ხშირად საუბრისას.

ამონერით გრიგოლ ორბელიანის ბარათიდან ამოიწერდა („მოამბე“, 1905, № II, გვ. 13):

– ოჰ, ყაფლან... რა გითხრა ანგლიურის ჭაკის ცხენის სიმშვენიერე... ლერწამი ფეხები, ვეება გავა, დაჰ-ანადეიმ? მერწმუნე, ყაენსაც არ ეყოლება ამის მზგავსი ცხენი.

დესეტნიკი, Десятник-იდან მომდინარე, გოროდოვოისავით ყოფილიყო. ძველად ეს დესეტნიკები ეგრეთწოდებულ ნუдкаში იყვნენ, ხელში თოფი ეჭირათ და, ვინაიდან მაშინ „ნესიერების დამცველებად“ ინვალიდებს არჩევდნენ, მთელი დღეები ეძინათ და ქალაქი უყურადღებოდ იყო დარჩენილი.

გიორგი ჭალადიდელის სცენარშიც აღბეჭდილიყო, ავქსენტი ცაგარელის თხზულებათა იოსებ გრიშაშვილისეულ გამოცემაშიც.

ქუჩის დამცველს ერქვა ერთი სიტყვით, ნესრიგის დამცველს, მერე გოროდოვოის.

მეორე მნიშვნელობას რუსულადვე განმარტავდა: Десятские – ათისთავი, რაც გულისხმობდა გლეხებისაგან ან მოქალაქეთაგან, ყოველი ათი კარიდან ან ათი სახლიდან, არჩეულ პოლიციელის მოვალეობის ან სხვადასხვა საზოგადოებრივ დავალებათა შემსრულებელს. შესაფერის ფრაზას „კრებულისა“ (1871, № III, გვ. 38) ამოიწერდა:

– აქნობამდის დესეტნიკებს ვერ ეპოვნათ.

**დიამც იყოს** სიტყვის მასალად გამოიყენებოდა, ვითომ: დი-ახამც იყოსო!..

ილია ჭავჭავაძის პიესაში შეგხვდებოდა, „მაჭანკალში“, ლუ-არსაბის შეკითხვაზე: რაც მეგონა, ის მე ვიცი. ახლა სახელს აღარ მეტყვიო? – მაჭანკალი ხორეშანი რომ პასუხობდა:

– დიამც იყოს... გძელადიანთ ქალი.

და კიდევ „კრებულის“ 1873 წლის მე-7 ნომერში (გვ. 24):

– მოდი, ქალაქო, ჩემთანა, ხელი არვის აქვს შენთანა, სანთელ-საკმელი ღვთის წინა, ავლადიდება ჩემ წინა, ნაიქცა ფურცელი, ლექსებს გაუსკდა მუცელი, დიამც იყოს: მთვარე...

**დილილმოს** გახარების ნიშნად გლეხები შესძახებდნენ ხოლმე, იოსებ გრიშაშვილს თავის უბანში მეპანტე გლეხებისაგან რომ გაეგონა. რევაზ ფავლენიშვილთანაც (ერედველი) წაანყდებოდა („მოამბე“, 1896, № VI, გვ. 14):

– დილილმო! – დაიძახა გახარებულმა ნიკამ და შემოპრო-  
ნიალდა ცალი ფეხით.

**დილხორი** დილხოშს ნიშნავდა, ინტერესს, ნიაზს. რომ  
იტყოდნენ:

– ამა და ამ ადამიანმა დილხორში ჩამაგდო.

იგულისხმებოდა: დამაინტერესაო.

უკვე ჟარგონული გამოთქმაა, მოგვიანებით დილხორის  
ფორმით ამ ნიუანსს რომ შეიძენდა: სურვილს გაუიგივებოდა.

**დოვრანი, დორანისა და დოპრანის** სახესხვაობებით, შემო-  
სავლიან ადგილს ნიშნავდა, კარგ დროს, ნივთიერად კმაყო-  
ფილების ხანას. თუ მდიდარი ნათესავი მოუკვდებოდა ადამიანს  
და მისი სიმდიდრე მის მახლობელ ნათესავებს დარჩებოდათ,  
უხეიროებსა და უქნარებს, მაშინ იტყოდნენ ხოლმე:

– ვერ უყურებ, რა დოვრანში ჩავარდა!

ან თუ დედ-მამა სადმე წაუვიდოდა ლაზღანდარა ვაჟს ან  
ქალს, მაშინაც იტყოდნენ:

– წავიდნენ უფროსები და ეხლა დოვრანი იმის შვილებს  
დარჩათ.

ანუ ბურთი და მოედანი მაგათ დარჩათო.

მაგალითები გვინდოდა და:

კ. აღმასიძეც მიხეილ საყვარელიძის ფსევდონიმით იყენებ-  
და („კოლექტივიზაცია“, 1935, № 113):

– ყველა ღორს როდი აქვს საბაბი ნაღვლიან ჰანგზე აამ-  
დეროს თავისი დინგი. არიან ღორები, რომელნიც მართლა რომ  
დორანში არიან და ამიტომაც მათი ღრუტუნი ჟღერს იმედი-  
ანად, ხალისიანად, მხნედ.

თედო რაზიკაშვილიც („ივერია“, 1900, № 130):

– კაი დორანში ჩავარდა – კაი იღბალი მოუვიდა.

და გიგო ხეჩუაშვილიც „ბორკილების“ 48-ე თავში:

– ეს კაი დორანში ჩავარდით.

სხვა მნიშვნელობანიც თუ გვინტერესებდა და:

სპარსულად ვალს ნიშნავდა, რაფის „დავრიში“ (1893, № 35),  
რასაც გვაუწყებდა.

და კიდევ: მთვარის ფაზის ცვლას:

– დოვრანი დაგეცა, კარგ მთვარეზე დაბადებულხარ.

**დოსტოლრივ** ნიშნავდა: ნამდვილად, პირდაპირ. არ მოეპოვე-  
ბოდა დავით ჩუბინაშვილს. სამაგიეროდ ვაჟა-ფშაველა ამ მნიშ-  
ვნელობით გამოიყენებდა „ქართველი ერის“ ფურცლებზე (1909,  
№ 1):

– დოსტოლრივ გაექანა სავათების გუნდისაკენ.

და კიდევ იმ შინაარსით, გულდაგულს რომ ნიშნავდა, და მის  
თხზულებათა პირველი ტომის 23-ე გვერდზე აღბეჭდილიყო:

– არწივნო, ცისპირთ მავალნო, ძვირად მნახველნო ბარისა,  
დოსტოლრივ მჭრელნო ღრუბლების, თანაც მზიდველნო ქა-  
რისა.

ამავე შინაარსით მოემარჯვა გიორგი შინატყეხელსაც:

– დოსტოლრივ შემატყობინეთ, თუ ჩემი ნაკლი რაშია, შუ-  
რით არ ჩამსვათ ჯურღმულში, არც ქებით ამსვათ ცაშია.

ხალხური სტრიქონიც, „კოლექტივიზაციის“ ფურცლებზე  
(1935, № 130) გამოქვეყნებული, ამასვე გვაუწყებდა:

– ნათესავებში ვაჟკაცი დოსტოლრივ გაემართება.

სხვა ნიუანსსაც ამჟღავნებდა: პირდაპირ, დაბარებულივით.

თურქულად „დულრ“ სწორს რომ ნიშნავდა, ნეტა დოსტოლ-  
რივ აქედან ხომ არ მომდინარეობდა?

ამჯერად გი დე მოპასანის ნოველის გრიგოლ ყიფშიძისეუ-  
ლი თარგმანიდან („ივერია“, 1887, № 218) ამოიწერდა:

– დოსტოლრივ ვამტკიცებ, რომ ეგ საქმე ჩემის მიზეზით  
არ მომხდარა.

და „ივერიის“ 1900 წლის 130-ე ნომერში ამ შინაარსითაც  
შეგვხვდებოდა: პირდაპირ მისვლა, გაბედულად, შეუპოვრად.

**ერთი, ხელი აიღე და:** ამ გამოთქმას სიტყვის მასალად იშვე-  
ლიებდნენ.

**ვარი გავარტყი** ყომარბაზობის დროს ოინის მოხდენას, სი-  
ყალბეს ნიშნავდა.

**ვახაკ** სიტყვის მასალად იყენებდნენ, სიამოვნების ნიშ-  
ნად, როგორც რაფიელ ერისთავის თხზულებათა IV ტომის  
მე-10 გვერდზე და „თეატრის“ 1889 წლის მე-10 ნომრის მე-14  
გვერდზე.

სიხარულისა და განცვიფრების გამომხატველადაც, კვლავ რა-  
ფიელ ერისთავს რომ დაიმონებდა, „თეატრის“ იმავე ნომერს.

– როგორ მოგწონს?

– ვახაკ, ვახაკ! რა უნდა ღირდეს ესა?

**ოხაი** კი ბიძისაგან გაეგონა პოეტ-ლექსიკოგრაფს.

**ვურტუ** კრივისას გამოიყენებოდა. ნიშნავდა ხან: მოვიდეს!

– ხანაც: განი-განი!

**ვეტრან** გინება გახლდათ. იოსებ გრიშაშვილს სმენოდა:

– ეეე, ვეტრან!

ვითომ: ე, ოხეროო, სულელოო!

**ვირის აბანო** ნაობახტსა და საპატიმროს გულისხმობდა.

აგერ „ივერიის“ 1889 წლის 22-ე ნომერი:

– ამ ქურდების ვინაობა მთელმა ბაზარმა იცის, ბევრჯერ ვირისაბანოში ბრძანებულან და ისევ ისე უვნებლად გამო-სულან.

აგერ „ივერიის“ 1891 წლის მე-60 ნომერი და რაფიელ ერი-სთავის თხზულებათა IV ტომის 390-ე გვერდი:

– საქმის გარჩევის დროს აღმოჩნდა, რომ ეს ვაჟბატონი მართლა ყოფილიყო სისხლის სამართალში მიცემული და ვირის აბანოშიც მჯდარიყო.

და აგერ კიდევ „თეატრის“ 1889 წლის მე-2 ნომერი და ავქსენტი ცაგარელის კომედიების იოსებ გრიშაშვილის გამოცე-მის 116-ე გვერდი.

**ზელენ კიკო** ქურთულიდან შემოსულიყო. „ზელენ“ ნიშნავდა: კიდევ ის. დაცინვით ითქმოდა:

– გამოვიდა ზელენკიკო!

ავქსენტი ცაგარელი „კიკოს“ ცალის, ერთის მნიშვნელობით იყენებდა. ციტატისათვის კი პოეტი-ლექსიკოგრაფი გაბრიელ სუნდუკიანცის „ვარინკას ვეჩერის“ პეტრე უმიკაშვილისეულ თარგმანს მიმართავდა („ივერია“, 1879, № 5-6, გვ. 77):

– არც ტანისამოსი შეცვლიყო, არც სახლი... ელენ კიკო, ზელენ კიკო, ისევ ის სეიდაბათი ყოფილიყო და სეიდაბათი.

**ზუხკუ** ანუ **ზხკუ** ზახრუმალივით დანყევლას გულისხმობდა, გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპოს“ მე-20 გვერდს თუ ჩახედავდი.

**თაშახოში** კეკლუცობას, თავმომწონეობას რომ ნიშნავდა, იოსებ გრიშაშვილი მაგალითს სასაუბრო მეტყველებიდან მოიხ-მობდა:

– ვა! ვა! ერთი ამას შეხედე, რა თამახოშით მოდის.

**თითილბაზი** ცბიერს, ფარისეველს, პირმოთენს რომ გულისხმობდა, პოეტი-ლექსიკოგრაფი აღნიშნავდა, რომ ეს სიტყვა მწერლობაშიც გვხვდებოდა და ცნობილი მთარგმნელი ივანე მაჭავარიანი იყენებდა.

ებრაელთა გამოთქმასაც მოიშველიებდა ექიმ ტერტეროვის წიგნიდან:

– კარზე ხალხისთვის თითილბაზია, სახლში ცოლისთვის ცეცხლი და ნავთი.

გამოეყენებინა გრიგოლ ფრონისპირელსაც კარლო გოლდონის პიესის „ორი ბატონის მსახური“ თარგმანში, პოეტ-ლექსიკოგრაფს მის ხელნაწერზე რომ მიუწვდებოდა ხელი.

თურქები „ბრადიაგას“ თითილბაზს უწოდებდნენ.

და იქვე ეს ფრაზა:

თითილბაზი – აქვე იყვენენ პატიოსანი მოლაყბენი და უსინდისო ყბედები.

კ. აღმასიძე მიხეილ საყვარელიძის ფსევდონიმით „კოლექტივიზაციის“ 1935 წლის 103-ე ნომერში ამ სიტყვასაც მიმართავდა:

– თაღლითები, ოინბაზები, თითილბაზები, ყომარბაზები და სხვა ამგვარი იდეოლოგიური გარემოცვა.

ლავრენტი არდაზიანის მოთხრობების, 1936 წელს გამოცემულის, 210-ე გვერდზეც აღნიშნულიყო:

– ეგ მითხარ, მარიკოჯან, ლიფსიმეს, იმ თითილბაზ ლიფსიმეს მოუხდენია.

„ქილილა და დამანაში“ მლიქვნელს, ლაქუცას, ტრელს გულისხმობდა. და ნიმუშად იოსებ გრიშაშვილი საანდაზო ლექსების 137-ე გვერდს მიგვითითებდა.

იმერეთში ცბიერ, ქლესა, გაუტანელენ, მალვალაკ კაცზე ამბობდნენ, ხალხური ლექსისა არ იყოს („კვალი“, 1893, № 12, გვ. 8):

– ვაჟაო, დედის ერთაო, მინდორთ გაზდილო, ველთაო, ოქროს შიბაის ნაგლეჯო, წამოსარტყმელო წელთაო, მარსკვლაო შარავანდედო, ქრისტეს ნაჭერო ხელთაო, ნუ ჰფილაფოზობ (ფილოსოფოსობ) ენითა, ყელზე ნუ მახვევ გველთაო.

თავისი ლექსიდანაც ამოინერდა იოსებ გრიშაშვილი:

– შენ გგონია, რომ უყვარხარ, როცა შენთან ეგრე ნაზობს? თითილბაზობს, თითილბაზობს.

პირფერ-ტრელსა და პირშიმქებელსაც ნიშნავდა.

**თინთლიბაზობის** ფორმითაც რომ იხმარებოდა და თვალთ-მაქცობას, მლიქვნელობას, ფლიდობას, ქლესაობას, ორპირობას, ფარისევლობას, მელაობას უიგივდებოდა, ხან **თითილბაზობაც** ამავე მნიშვნელობებით გაისმოდა, თუნდ „ივერიის“ 1888 წლის 172-ე ნომრის მე-3 გვერდზე რომ ამოიკითხებოდა:

– შვილებმა მამებს გადააჭარბეს ენით თითილბაზობაში.

არაერთ ნიმუშს ამოინერდა, პირმოთნეობის მნიშვნელობით რომ გამოიყენებოდა, და ივარაუდებდა, რომ: ძირი **თინთლიბაზობისა** მოთინთვლიდან უნდა გვეგულისხმა.

ივანე მაჭავარიანის მიერ თარგმნილ ერკმან-შატრიანის რომანის „გლეხიკაცის ისტორია“ (1913) ფურცლებზე ამ ნიუანსით მიმობნეულიყო – გვერდები: 622, 312, 324.

– მაგრამ რაკი ნახეს, რომ იმათმა ფლიდობამ და თინთლიბაზობამ ვერ გასჭრა... უფრო საზიზღარ და შემაძრუნებულ საღარს მიმართეს.

– ვინ მეტ თინთლიბაზობას და პირმოთნეობას გაუნევედა.

– რამდენადაც ხალხის მოწინააღმდეგენი თინთლიბაზობენ, სულ სხვას ფიქრობდნენ და სხვას ამბობდნენ, იმდენად გულმართალნი არიან პატრიოტები.

ვასილ ბარნოვის „ფერად-ფერადის“ 369-ე გვერდზეც შეგვხვდებოდა:

– მასპინძელმა არ გაუშვა, ჩაი მიართვა, თეთრი კბილი უჩვენა, მიუთითილბაზა.

ყურადღებას მიაქცევდა ფორმას: თითელბაზობს, ვინმე პოლბიკენტას რომ გამოეყენებინა ლექსში „ნაგრიშაშვილისებური“ („ეშმაკის მათრახი“, 1917, № 24, გვ. 5):

– მაგრამ იქნებ შენი გული საიდუმლოთ დიპლომატობს, ორმოს მითხრის ზურგის უკან, თითელბაზობს და მლაღატობს.

**თოხლი** წლის ცხვარს რომ ერქვა დავით ჩუბინაშვილის განმარტებით, იმერეთში ზმნად მოიხმარდნენ: ვითოხლავეთო, –



რომ ამბობდნენ და გულისხმობდნენ: ჩავხეთქეთ, გავტყვევრითო.  
ბარემ აქვე ყოფილიყო ცალკე ბუდედ გატანილი **ჩათოხ-ლაფს**, ჩანთქმის მნიშვნელობით.

და ის მაგალითიც თეოფრასტეს „დახასიათებიდან“ (1889, გვ. 14):

– სალაროში თუ რაიმე საწუნკარი ხელთ იგდო, იგი მაშინვე ჩათოხლაფს...

ესეც ჟარგონული მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული, ლევან ბრეგაძე „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ თოხლს ებრაული წარმომავლობის სიტყვად რომ მოიხსენიებს და განმარტავს, როგორც: საჭმელს; პურმარილს, ქეიფს.

**თუქსუზი** ანუ **თუიქსუზი** პირდაპირი თარგმანი გახლდათ სპარსულიდან: ახალგაზრდა, უწვერულვამო, უბალნო, უბენვო.

პეტრე უმიკაშვილი „ხალხური სიტყვიერების“ XXIX გვერდზე ამბობდა:

– თედო ჟორდანიას გიორგი წერეთლის პასუხად თავის წერილს მშვენიერის სიტყვით (თუქსუზი) ამკობს.

პოეტი-ლექსიკოგრაფი მიუთითებდა თავის ტრიოლეტსაც: „მამ ჩემი ლექსი შენ გგონია“.

ამოინერდა პანტელეიმონ ჩხიკვაძისგანაც („მნათობი“, 1936, № 1, გვ. 58):

– მურზაყანმა იცნო ხანჯლის მომტანი, გაულიმა და მადლობა გადაუხადა. ეს იყო თუქსუსა კანდელაკი.

**იავა** განიმარტებოდა როგორც: ხუმარა, მოსწრებული სიტყვის პატრონი; ოხუნჯი. თითქოს ხუმრობასაც გულისხმობდა.

**იავარდ** გამოიყენებოდა გამოთქმაში:

– იავარდ გამხადა.

იგულისხმებოდა: დამანვრილმანა, გამფლანგ-გამაუბედურაო.

**იავობა** ლაილაის უთანაბრდებოდა.

**იაღლიში** ანუ **იანღლიში** შეცდომას ნიშნავდა, და იოსებ გრიშაშვილს უკვირდა, რომ: ამ სიტყვას (წარმოიდგინეთო!) იმერეთშიც იყენებდნენ.

პავლე საყვარელიძე „კომუნისტის“ 1929 წლის 11 აგვისტოს ნომერში წერდა:

– სწორი ანგარიშია, მაგრამ ერთი „იალლიში“ მოსდით. გაბრიელ სუნდუკიანცი „პეპოს“ 71-ე გვერდზე ამბობდა:

– თუ თევზის საყიდლად მოსულხარ, იალლიში ხარ.

ამ სათაურით ლეგენდაც არსებობდა, სოფელ ლებში ჩან-ერილი („კოლხიდა“, 1911, № 189): „იალლიში ლებლებსა და სვანებს შუა“.

მელანიაც გამოიყენებდა („საქართველო“, 1918, № 222):

– მე ის მანუხებს, მადლობა რაღად გადავუხადე.

– ჰო, მაგაში კი ძალიან იალლიშათა ხარ!

და ვიქტორ გაბესკირიაც („მნათობი“, 1935, № 3, გვ. 52):

– გითხარით ასე: „ისედაც დაღლის, რომლისთვის მუდამ წამება ყვავის, გთხოვთ მაპატიოთ ეს იალლიში და სამუდამოდ გარუქებთ ყვავილს“.

– იალლიშათა ვარ, – გაისმოდა გ. დარისპანაშვილის პიესის „ხიდქვეშ“ მესამე მოქმედებაში.

აკაკი შანიძის ბიბლიოგრაფიაში („ხრისტიანსკი ვოსტოკ“, 1913, ტ. II, გვ. 261) იხსენიებოდა ის ხალხური ლექსიც: „იალლიში ლებლებსა და სვანებს შუა“.

**იბრრუ** დაცინვით სიტყვის მასალა იყო.

**ილამ** ნიშნავდა: მეტადრე, ნამეტნავად.

ამბობდნენ ჭორიკანა დედაკაცები:

– ილამ, ის კაცი რასა ჰგავს ქა, თავი მოკალულ ქვაბს მიუგავს, ერთი ღერი თმა რომ გინდოდეს წამლად, ვერ იშოვნი იმის თავზე.

ან მეორე უპასუხებდა:

– ილამ, შენ ქა, რომ ყველაფერში მატანიკი უნდა იყო.

**იშკილი** მოტყუებას, ოინის გაკეთებას რომ ნიშნავდა, არისტო ჭუმბაძის „ხუთი აქიმი“ (1931, გვ. 13) გამოადგებოდა დასამოწმებლად:

– განსაკუთრებით თავი გამოიღეს „იშკილძახიებმა“.

რატომღაც აარიდებდა თავს თავისივე საყმანვილო ლექსის იმ სტრიქონებს:

„იშკილები“, „ხოში მაქვს“, „ბითურია“, „არა რო!..“ აი შენი სიტყვების საუნჯე და სალაროო.

**იშკილბაზი** ოინბაზს, მატყუარას გულისხმობდა. და უნივერ-

სიტყვის მიერ გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონს რომ მიუთითებდა, აღნიშნავდა, რომ: ПЛЮТ ასე ეთარგმნათ: იშკილ-ბაზი, ლუპუსტაცი.

**კიტრუსი** მოიხსენიებოდა როგორც: ცუდი სიტყვა, გინება.

**ლოთიანად** ასე რომ განიმარტებოდა: დარდიმანდულადო, – იოსებ გრიშაშვილი გაკვირვებით აღნიშნავდა: ასეთ სიტყვებს თვით ნიკო ნიკოლაძეც იყენებო („მოამბე“, 1894, № XII, გვ. 134):

– სპეკულაციის წყალობით ქვეყნისათვის საჭირო იარაღი, ვაჭრობა, ანგარიშის ხასიათს ჰკარგავს და ლოთიან თამაშად იქცევა.

გიორგი ბაშინჯალიანის „ახირებულ მასპინძელშიც“ შეხვდებოდი („სახალხო საქმე“, 1920, № 1009, 19 დეკემბერი):

– ლოთიანად, მითხარი, რა დაგიჯდა?

და დავით თურდოსპირელის „ეპიზოდებში ახალგაზრდების ცხოვრებიდან“ (გვ. 17):

სიტყვის მასალად მოიშველიებდნენ ხოლმე ამ აზრით: რაინდულად! ვაჟკაცურად!

**ლოთიანი** განიმარტებოდა როგორც ძარღვიანი, და ჟარგონითვე: ჯიგრიანი. სანიმუშოდ კი აკაკი წერეთლის თხზულებათა III ტომს რა სჯობდა, 1937 წლის გამოცემის 101-ე გვერდზე რომ აღბეჭდილიყო:

– ყმანვილებო, ეს იმის სადღეგრძელო იყოს, ვისი გულიდანაც ეს ლოთიანი სიტყვები ამოღებულა.

**მაზალო** ნიშნავდა: შესანიშნავს, საინტერესოს, მოწყობილს, მოხერხებულს – და აგრეთვე: საოცარს, საკვირველს. გამოდგებოდა შესატყვისად რუსული სიტყვისაც: Заванный.

მაგალითები უხვად ჩამომწკრივდებოდა:

თაგუნას, შალვა შარაშიძის, თხზულებებიდან (1919, გვ. 50):

– ვა, რა მაზალო რამ არის დაა!

გამოყენებინა სანდრო შანშიაშვილსაც („ქართული მწერლობა“, 1930, № 3-4, გვ. 55).

– ო, ერთი ხმა მექნება, ნახავდი რა მაზალო რამეს ვიტყოდი.

სიკო ფაშალიშვილსაც („ნიანგი“, 1936. № 8).

– ერთი მაზალო საქმე მომივიდა.

თვითონ იოსებ გრიშაშვილსაც, ფირუზას ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სცენას – „მაზალო ამბავი“ – რომ ახსენებდა „ნიანგის“ ფურცლებზე (1933, № 3).

მოიხმობდა „ივერიასაც“ (1890, № 1):

– რა მაზალო კაცი იყო ცხონებული ემპეტუაშვილი, სახრჩობელაზე რომ ავიდა.

დიმიტრი ჯანელიძის „ზურაბ ანტონოვს“ (1934, გვ. 4):

– ნისიად არავის. სამეწვრიძე დუქანი ზურაბ და გრიგოლ ანტონოვებისა. ნაღდათ, იაფად; მოდი ნახე რა მაზალო რამეა! თავისივე იუმორისტულ ჟურნალს „წმინდა გიორგის შუბ-მათრახი“ (1907, № 1):

– მართლა, ერთი მაზალო რამე უნდა გითხრა.

იროდიონ ევდოშვილსაც მიმართავდა (1905, № 184):

– მაშ ნიკუა მოგიკვდეთ, თუ მაზალო სიტყვა არ გითხრათ.

წიგნაკსაც („შურდული ივერიიდან“ 1904, გვ. 27)

და სანდრო შანშიაშვილსაც („ქართული მწერლობა“, 1930, № 2-3):

– გინდათ ერთი კარგი მაზალო რამე გითხრათ?

**მახლას** არაბული სიტყვიდან „მახას“ მომდინარეობდა და ნიშნავდა გადანყვეტას, ფარსადან გორგიჯანიძის ლექსიკონი როგორც გვამცნობდა, აგრეთვე: სხვადასხვას.

**მახალ** სალიტერატურო მეტყველებაში შემოეტანა ი. ევლახიშვილს, რომელსაც ამ სათაურით გამოექვეყნებინა ფელეტონი „ივერიას“ ფურცლებზე (1883, № 21).

და საგანგებოდ უნდა აღენიშნა იოსებ გრიშაშვილს:

ამ სიტყვას მხოლოდ ტფილისში გაიგონებთო.

**მისამარ** სიტყვის დამაკავშირებლად გამოიყენებოდა და ცალკე არ ითქმოდა. წინადადების მასალად მოიშველიებდნენ ხოლმე.

– მისამარ, შენთვის იყავ.

ანუ – დარჩი შენი თავის ამარა, შენს ქერქში დაეტიეო...

იოსებ ლალიაშვილის საქმეში („ივერია“, 1886, № 130) აღნიშნულიყო:

– მისამარ, ჩქარა შემოიტანე თხოვნა, თორემ ფიცხლავ

მოვასდენ კრებას და დაგიტხოვთო.

ამბობდნენ:

– მისამარ, შენთვის ეგდე, თორემ...

ლიტერატურაში სოფრომ მგალობლიშვილს გამოეყენებინა (ტ. I, გვ. 73):

– შენ ეი, ცეცო, მისამარას თავში ნუ იწევ, თორემა...

აგრეთვე შიო მღვიმელს (ტ. I, გვ. 181):

– ხელი არ ახლო, მისამარ, ამ ჩემს ყვინჩილა მამალსა.

იოსებ გრიშაშვილი იპოვნინდა, რომ თედო სახოკიას შეცდომით აეხსნა ვასილ ბარნოვის „ფერად-ფერადისათვის“ დართულ ლექსიკონში.

**მოუსვა** მოჰკურცხლად და გაქანდად განიმარტებოდა.

გამოეყენებინა გრიგოლ რჩეულიშვილს ისტორიულ მოთხრობაში „ანუკა ბატონიშვილი“ (1896. გვ. 57):

– რა მარიკო დაინახა, ბატონიშვილი წამოდგა და მოუსვა.

გამოეყენებინა ბაჩანასაც (1938, გვ. 400):

– არსაით იყო საშველი, თბილისისაკე მოუსვეს.

სიტყვის მასალადაც იშველიებდნენ:

– მოუსვი, ბიჭო.

**პაჟარნი** გავარდნილს ნიშნავდა, აშალარს, გარყვნილ-გაქსუებულს. და კიდევ: ცეცხლის გამქრობს – ეს უკვე რუსული სიტყვა გახლდათ.

იყენებდა რაფიელ ერისთავიც („ცისკარი“, 1857, № 5, გვ. 36):

– გასაკვირველი არ არის, რომ ლევან ამას იტყოდა, ამიტომ რომ ასეთი ამფსონები ეშოვნა, რომელთათვისაც ქვეყანაზედ წმინდა აღარა იყო რა – ესენი გახლდნენ ერთი ბაყალი, სამი მიკიტანი, ერთი ყასაბი, ერთი მეთამბაქოე და ოთხნიც უსახლკარო და უხელებო კაცები, რომელთაც უწოდნენ პაჟარნებად.

ავქსენტის ცაგარელიც, იოსებ გრიშაშვილისეულ გამოცემას თუ ჩახედავდი, 117-ე გვერდს, კომედიას „რაც გინახავს, ველარნახავ“.

„კაპიშონის“ ფურცლებზეც (1880, გვ. 22) აღბეჭდილიყო:

– ეს რეები დაუნერია, ძლივ წავიკითხე, ყარსეთი და პა-

ჟარნები რომელია?

ივანე კავთელის (ჯაჯანაშვილი) წერილშიც მოხვედრილი-  
ყო, ავქსენტი ცაგარელს რომ მისწერდა „რაც გინახავს, ველარ  
ნახავზე“ („თეატრი“, 1886, № 4, გვ. 31):

– ავქსენტი ცაგარელი ისე იდეალურად გვიხატავს ტფილი-  
სის პაჟარნებს, რომ უცხო კაცს, რომელიც არ იცნობს უმან-  
კობის და სვინდისიანობის შესახებ, ამ საზოგადოებას უპირვე-  
ლესობას მისცემს.

რაფიელ ერისთავის თხზულებათა IV ტომში, 1938 წლის  
გამოცემის მე-6 გვერდზეც იჩენდა თავს:

– ეს პაჟარნები ვის დააძინებენ?

„ივერიის“ 1889 წლის 27-ე ნომერში ილიას მეთაურ სტატი-  
აში ჩიმიშვიანის საპასუხოდ კვლავ გაისმოდა:

– „თითონ პეპოს“, ამ ზოგად გმირს სომხის „პაჟარნისას“  
ქართველი არტისტები ქართველ აზნაურად მორთვენ ხოლმე,  
ხოლო მდიდარი არუთინა უთუოდ სასაცილო სომხის ვაჭრად  
გამოჰყავთ, სწერდა ჩიმიშვიანი.

ილია ჭავჭავაძეს სხვა დროსაც გამოეყენებინა (ტ. IV, გვ.  
20):

– აბა ნახეთ ის ქართველი პაჟარნი ნაბადნამოსხმული,  
ლოთურად ჩითმერდინით ყელზედ.

და კიდევ სხვა დროსაც (ტ. III, გვ. 144-45):

– ერთი ვილაც პაჟარნს აჰყვა, ფულიც იშოვნა, კაი ჩოხაც  
ჩაიცვა, საწყალი მათე კი თავისგნით გააგდო.

ავქსენტი ცაგარელიც კვლავ მოიმარჯვებდა („კომედიები“,  
1936, გვ. 117):

– ვინცბა პლუტი მანანნალა ქალაქის პაჟარნები.

სოფრომ მაგალობლიშვილიც დაისაჭიროებდა („ივერია“,  
1877, № 8, გვ. 9):

– (გორში) რა კი მობინდდება, ქალი მარტოკა ბავშვის  
სინაბრა ვერ ჩაჯდება ფაეტონში. მეფაეტონე მაშინვე ქალაქ  
გარედ რომელიმე მოშორებულ დუქანში ამოაყოფინებს თავს  
საცოდავ მსხვერპლს და მიუგდებს პაჟარნებს.

გიორგი ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემაშიც  
დაადასტურებდი 445-ე გვერდზე:

– შე კროვ, შენ არ იყავ ნარგიზას ბარგი ვირივით დაგქონდა, ბალებში პაჟარნების ნასუფრალით რომ ძლებოდი? მე არ გაგაძლე?

**პაჩი** კოცნას, ლოშნას რომ ნიშნავდა, იოსებ გრიშაშვილი თავის „ბარაშკას“ მიუთითებდა (იგულისხმებდა პირველ პოეტურ კრებულს „არ შეგცივდეს, ბარაშკაჯან“).

**პეიტარი** ნიშნავდა: ყოყლოჩინას, მატრაკვეცას;

**პეიტრობა** – მეტიჩრობა, ყოყოჩობა. საქმეს რომ აკეთებენ და თან აქეთ-იქით იხედებიან: აი მიყურეთ, ვმუშაობო, – ამნაირ თვალთმაქცზე ითქმოდა:

– თუ მუშაობ, იმუშავე, ეგ რაღა პეიტრობაა.

კიდევ: მეტიჩარას.

კიდევ: ცხენია ბეითალს, როგორც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავდა.

კიდევ: ცოდნით ყოყლოჩინას.

სანიმუშოდ გაიხსენებდა პასაჟს იონა მეუნარგიას მემუარული თხზულებიდან „ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან“ („მნათობი“, 1936, № 5-6, გვ. 249):

– დღეს ამა და ამ გლეხმა ლაპარაკში ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა სთქვაო, იტყოდა მგოსანი (ილია ჭავჭავაძე). ერთ ამგვარ სიტყვათ მახსოვს იყო სიტყვა პ ე ი ტ ა რ ი. ჰაზრით გამოდიოდა, რომ პეიტარი კაცის წოდება უნდა ყოფილიყო და რომ ჩავიხედეთ ლექსიკონში, აღმოჩნდა, რომ პეიტარი საქონლის ექიმს რქმევია.

„მგზავრის წერილებში“, VII თავში, ილია წერდა:

– პეიტრობით – მეტის გონებით სახელგანთქმულნი.

თავის მოხევეს კი ასე ათქმევინებდა:

– აირჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერკაცნი პეიტრობით სახელდებულნი.

და პოეტი-ლექსიკოგრაფი მიუთითებდა თავის „საიათნოვასაც“: სქოლიოს სონეტებზე. ეტყობა მესხიერებას დაეყრდნობოდა, მაგრამ იმ ვრცელ სქოლიოში, არსებითად ექსკურსში, ეს სიტყვა არ დადასტურდებოდა.

როდესაც ამბობდნენ: ნამდვილი პეიტარიაო, – გულისხმობდნენ ნასნავლს, მეცნიერს, სპეცს, მაგრამ შემდგომ ეს სიტყ-

ვა დაციინვის სინონიმად გადაიქცეოდა და ასე გაუიგივდებოდა: პეიტარი ტრაბახას, პეიტრობა კი – ტრაბახობას, ყოყლოჩინობას, მკვეხარობას.

ხალხური ლექსი სწორედ ამას მოწმობდა:

– ქალო, ქალო, პეიტარო, ლობე-ლობე გაეკარო.

პეიტრობა შეიძლება გაგვეგო ახირებულ ყოყლოჩინობად-  
აც და მანია გრანდიოზადაც.

იოსებ გრიშაშვილი გაცემით აღნიშნავდა, რომ:

**პლუტს** რალაც მოქალაქეობრივი უფლება მოეპოვებინა და თითქოს სალიტერატურო ენადაც გადაქცეულიყო.

მაგალითისათვის დაიმონმებდა ვარლამ ჟურულის (რეშე-  
ტაევი) „ერთ შემთხვევას“ („მომამბე“, 18.., № VI, გვ. 38):

– ხმა გავარდა მთელ ქალაქს, რომ პლუტურად მოგექც-  
ნენ.

ეს სიტყვა ქართული ეგონათ და იხმარებოდა თარგმან-  
შიც ამ მნიშვნელობით, რასაც ადასტურებდა „კრებულის“ 1871  
წლის № III, გვ. 33.

ეს სიტყვა აქ ძალიან გავრცელებულიყო და თვით რაფიელ  
ერისთავიც იყენებდა პიესაში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორ-  
წინეს“, და კიდევ სხვა პიესაშიც „მბრუნავი სტოლები“ („ცის-  
კარი“, 1868, № II, გვ. 46).

წარმოშობილიყო პლუტუსის სახელიდან, რომელიც დან-  
ტე ალიგიერის თქმით: კაცთა მოდგმის უდიდესი მტერი იყო.

შეხვდებოდი ივანე კერესელიძესთანაც („ცისკარი“, 1868, №  
XII, გვ. 38):

– შენ, შენ რაღას იტყვი, შენ პლუტო?

აკაკი წერეთელთანაც, „კინტოში“ („კრებული“, 1899, № 7,  
გვ. 88):

– მოდი, მოდი, შე პლუტო, დიდი ხანია არ მიკოცნია.

– კაცი კარგია, მაგრამ ცოტა პლუტობა დასჩემდა.

ზურაბ ანტონოვთანაც, „მზის დაბნელება საქართველოში“:

– პლუტ ჩინოვნიკს ქალი მიეციო.

„სამიკო პლუტაძე“ – ამ სათაურით მოთხრობაც ჰქონ-  
და პლებეის (არჩილ რუხაძეს): „სახალხო გაზეთის“ დამატება,  
1914, № 207.



ბარბარე ჯორჯაძესაც გამოეყენებინა („ივერია“, 1891, № 153):

– ჰაი, თქვე პლუტებო! ეს რა კარგი აქლემი გამიკეთეთ-და! ხოხოს ლექსებშიც გაელვებულიყო:

– მალაყს გადადიან პლუტ ქალებთანა.

და „დამაკვირდის“ სერიაშიც („ივერიის რედაქციის“ გამოცემა, 1887. გვ. 157):

– ნახევრად პლუტს ძნელად გაუგებ, რაში სტყუის და რაშია მართალი.

ავქსენტი ცაგარელის „კომედიებიდან“ ეს ფრაზა სხვა ჟარგონული გამოთქმის (პაჟარნი) გულისათვის ერთხელ უკვე რომ მოეხმო პოეტ-ლექსიკოგრაფს, ამჯერად ამ ჟარგონული სიტყვისათვის დაიმონმებდა ხელახლა:

– ვინცხა პლუტი მანანწალა, ქალაქის პაჟარნები.

დაესაჭიროებინა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანსაც ისტორიულ ქრონიკაში „დალესტინთგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები“ (1914, გვ. 9):

– საქართველო უნდა დამხობილიყო არა იმდენიქართველების სისხლის დაღვრითა ცხადის მტრებისაგან, არამედ პლუტობით და აზარქრობით.

აღმოჩნდებოდა გიორგი დვანაძის „ავტობიოგრაფიაშიც“, რომლის ხელნაწერსაც ბიქტორ შავლაძე გააცნობდა:

– მთელი ქვეყანა იცნობდა, პლუტი იყო და გაქნილი.

მიიკვლეოდა გიორგი ერისთავის თხზულებათა 1936 წლის გამოცემის 361-ე გვერდზეც და სიმონ ხუნდაძის შენიშვნებშიც 408-ე გვერდზე.

და პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ 1937 წლის გამოცემის მე-10 გვერდზე:

– გინდა ქება გამომტყუო შენი ზარმაცობისათვის? ჰაი, შე პლუტო, შენა!

ენციკლოპედიაში **პლუტისი** ბერძნულ ღვთაებად რომ იხსენიებოდა, შესაძლოა აქედანაც მომდინარეობდა ეს გაქართულებული სიტყვა.

ამოიწერდა რაფიელ ერისთავის პიესიდანაც „ადვოკატები“ („ივერია“, 1880, № IV, გვ. 105):

– მითომ არ ესმის, რაზედაც ვეუბნები, რა პლუტია.  
და მისივე თხზულებათა IV ტომის 33-ე გვერდიდან:

– ჩაიცინებს პლუტურად.

და ილია ჭავჭავაძის თხზულებათა III ტომის გვერდებიდან  
– 133, 135 და 143:

– მაგრამ უნცროსი უფრო მხთალსა ჰგვანდა, თუმცა პლუტობა ამასაც გამოუვიდოდა ხელიდან.

– ბეჟანი ადგა და მიძიმედ თავი დაუკრა და თავის პლუტური თვალებით ამდენი იეშმაკა, რომ ცრემლიც მოადინა.

**რალას** თქმა ლაპარაკში იცოდნენ, მაგრამ ეს ქალაქური ჩასართავი სიტყვა დასავლეთ საქართველოშიც გავრცელებულიყო.

აკაკი წერეთელი სწერდა გიორგი წერეთელს („ქართული მწერლობა“, 1929, № 11-12):

– ატყუებდა რალა თვალსა და ხელს შუა.

სოფრომ მგალობლიშვილის თხზულებათა I ტომის მე-18 გვერდზეც წააწყდებოდი:

– მაიამ გული თავის ბუდეში მოასვენა იმ იმედით, რომ ეს არის რალა, უშველა ღმერთმა.

**სალამ-ქალამი** წარმოებულიყო მუსულმანური მისალმებიდან: სალამ ალეიქუმ, რაც ნიშნავდა: მშვიდობა შენდა!

**სალთი, სალთად** გულისხმობდა: მარტოდ, კენტად, უოჯახოდ. და კიდევ: ამბოკარსა და ტლუს.

ბაჩანა ერთ ბარათში ამბობდა („საჭირო ბიბლიოთეკის შრომები“, წიგნი III, გვ. 153):

– დუშეთს ვიყავ სალთად გადმოსული სამსახურის თაობაზე რალაცა მინერილობის გამო.

რედაქტორი სალთს განმარტავდა, როგორც „უბარგოს“.

ხალხურ სტრიქონებსაც მოიშველიებდა პოეტი-ლექსიკოგრაფი ამ ჟარგონული გამოთქმის თვალსაჩინოებად:

– ვინა ხარ, სიდამ დამჩხავი, ვისი მომესმა ხმანია, არც მე ვარ სალტად, თანა მყავს ჭირში ნაწრთობი ძმანია.

და ვასილ ბარნოვის მოთხრობების კრებულის „ფერად-ფერადი“ 327-ე გვერდსაც:

– სალტად ტარება დროისა.

**სიფათი** ნიშნავდა პირისახეს, ზოგჯერ მისი შინაარსი რომ არ ესმოდათ რიგიანად.

მაგალითად რას წერდა „ნიანგი“ (1935, № 9, გვ. 18):

– სამაგიეროდ მოშიაშვილი ჩანგლისწვერს მიიღებს გვერდების სიფათში.

ანდა გრიგოლ ფრონისპირელი „ესკადრილიის დალუპვის“ თარგმანში:

– რევოლუციას თუ იმისთანა სიფათი აქვს, როგორც ამ კაცს...

ან კიდევ „ახალგაზრდა კომუნისტი“ (1935, № 3):

– შენი სიფათიც კი არ მომწონს.

არ აღენიშნა დავით ჩუბინაშვილს თავის ლექსიკონში.

სწორად გამოყენების ნიმუშებიც ჩამოინერებოდა.

„თეატრის“ 1885 წლის მე-15 ნომრის 147-ე გვერდზე წაანყდებოდი:

– ეგ სიფათი ფარისევლად იცვალე, ფულის დარღში მოკვდი და მიიცვალე.

კორნეი ჩუკოვსკის „მზიანას“ მარიჯანისეულ (მარიამ ტყემალაძე) თარგმანშიც (1936. გვ. 114):

– დეიდა ვარო, სიფათი გინებაა?

სანდრო შანშიაშვილის „ანზორის“ მე-4 მოქმედებაშიც („მნათობი“, 1931):

– ფინთიხი სიფათში.

„ნიანგის“ ფურცლებზეც: (1932, № 18, გვ. 12):

– „ხორხოზნი მიასო“ (ვითომ „კოლხოზნოე მიასო“) – გაჰყვიროდა ვილაც კაცი, რომლის სიფათი ლევარსი როხროხაძეს მოგაგონებდათ.

და „დროშასიც“ (1931, № 7-8, შანდორ გაბორის „ორი მოთხრობა“):

– გაბატონებული კლასის სახე აქ ისე ძლიერად არის გამეფებული, რომ ცალკე სიფათები თითქოს ერთიანდებიან.

**ფაჰა** განიმარტებოდა როგორც სიტყვის მასალა სიამოვნების დროს.

**შე ჩემის უზალთუნიანი** კინტოების გამოთქმად მოიხსენიებოდა და დანარჩენს მკითხველი თავისითაც უნდა მიხვედრილიყო.

**ჩააფარა** ნიშნავდა: ორივე ხელით ჩაარტყა თავში, არა ხელით მოხვედრა.

მაგალითს „კომუნისტიდან“ (1931, № 100) ამოიწერდა:

– ფართრეთებში ჩააფარა.

**ჩავაცეცხლე** უნდა განმარტებულიყო ამგვარად:

არაყი დავალევიზე და საერთოდ ვასვი, ვაჭამე ცეცხლადო.

**ჩავყაჭე** განმარტების გარეშე მოიხსენიებოდა, მხოლოდღა მაგალითს რომ შემოგვთავაზებდა რაფიელ ერისთავის შემოშველებით („ივერია“, 1880, № 4, გვ. 64):

– ოცი თუმანი ჩავყაჭე.

**ჩათლახი** განიმარტებოდა როგორც: უზნეო, გათახსირებული, პედერასტი, გაცვეთილი, პირველყოფილობადაკარგული ადამიანი.

იმერეთში ჩათლახს უწოდებდნენ ჩლარტიან კაცს.

სხვათა შორის ნიშნავდა ჭუჭრუტანასაც.

საგანგებოდ აღნიშნავდა: არ არის ლიტერატურული სიტყვაო. დაიმონმებდა ლევან მეტრეველის „ცხრათვალა მზეს“ (1941, გვ. 224):

– რა გაშინებს, შე ჩათლახო!

და „განათლებულ მუშას“ (1927, გვ. 55):

– სად მქონდა თვალები, როცა ამ ჩათლახს ვირთავდი.

აღმოჩნდებოდა, რომ ვაჟა-ფშაველასაც გამოეყენებინა ეს სიტყვა (ტ. IV, გვ. 288).

**ჩათუქესანს** რომ მოიშველიებდა დავით მესხი თავის სცენარებში, იოსებ გრიშაშვილი მისწერდა: როგორ გესმის მისი შინაარსიო? – და პასუხად ის ამცნობდა 1935 წლის 10 მაისს:

– ეს თითქმის იგივე ავარაა, მხოლოდ უფრო ზრდილი და პატიოსანი. ავარა ხელს აწერს ბევრ სიბინძურესაც. ჩათუქესანი ამისთანებს არ იკადრებს. მოქეიფეა, ძმაბიჭობს, კარგი უნარიც აქვს. ავარასთან შედარებით მაღალი ფენისაც არის... იყო, ესე იგი ჩათუქესნები მოიჭამნენ...

ხოლო როდესაც მოქეიფეს ნიშნავდა:

აკაკი წერეთლის „სალამში“ შეხვდებოდი („ივერია“, 1886, № 209):

– ხშირად მომხდარა, რომ ქუდს თან აჰყვება პარიკი და თავმოძნონე ჩათუქესანი სირცხვილეული რჩება.

ალექსანდრე იმედაშვილთანაც:

– ერთხელ ვასო აბაშიძე დამთვრალა და პოლიციაში წაუყვანიათ. მორიგემ ოქმი შეადგინა და ვასოს მიუბრუნდა:

– რა გვარი ხართ?

– ალექსეი ვასილევიჩ ჩათუქესანსკი, – ირონიულად მიუგო ვასომ.

როდესაც ავარას გულისხმობდა, ჯიბის მომჭრელს (დანით ქისის, ფულის მოჭრა):

„დროების“ 1883 წლის 85-ე ნომერში წააწყდებოდი:

– უეცრად საიდლამაც გველივით გამოტყვრა ერთი ჩათუქესანი ბიჭი, პატარძალი თვალწინ მოსტაცა და თავისთან წაიყვანა.

**ჩათუქესნობაზე** ილია ჭავჭავაძეს დაიმონებდა:

– ...ამ ჩვენის დროების რაინდს ჩათუქესნობას უქებენ.

და კიდევ „კომუნისტურ განათლებას“ (1936, № 48):

– ვინ არის იოსებ გრიშაშვილი? ერთი იმ უბნელთაგანი, საიდანაც... ჩათუქესნობის გზას დაადგენ.

**ჩათუქესნურის** მაგალითად კი აკაკი წერეთლის ბარათს მოიხმობდა სოსიკო მერკვილაძესთან:

– შემოვიდა ჩვენი ირაკლი დეკანოზის შვილი წითელი ქულაჯით, ჩათუქესნურად მორთული.

**ჩაიჯიბა** აიხსნებოდა როგორც: ოსტატურად ჩაიდო ჯიბეში.

**ხოშს**, გუნების, განწყობილების, სურვილის მნიშვნელობით პირველად იოსებ გრიშაშვილი რომ გამოიყენებდა 1914 წელს და შემდეგ გაიმეორებდა გრიგოლ რობაქიძეც რომანში „ფალესტრა“ („ქართული მწერლობა“, 1928, № 6-7):

– მეტის ვნებით, მეტის ხოშით...

მერე კი მიხეილ ჯავახიშვილიც:

და პოეტ-ლექსიკოგრაფს უკვე აღარ მოეწონებოდა თავის მიერვე დამკვიდრებული სიტყვა.

ამ ჟარგონული სიტყვის მაგალითებად „ქალაქურ ლექსიკონში“ მოიხმობდა ხალხურ სტრიქონებს:

– გავალ, გავალ, გავალ ფონს, როცა ხოში მექნება; გიყ-

იდი, გიყიდი გრამაფონს, როცა ფული მექნება.

და კონსტანტინე გამსახურდიას ორ ფრაზას, ერთს „ლიტერატურული გაზეთის“ 1932 წლის მე-17 ნომრიდან, და მეორეს – „ლიტერატურული საქართველოს“ 1939 წლის 27-ე ნომრიდან, იმასაც რომ აღნიშნავდა, ეს ციტატა „ბელადიდან“ რომ ამოენერა:

– გარდა ამისა, მე ხოში მაქვს, ერთი თქვენებთან ვიქეიფო.

– ჩვენ ხოშიანად დავნაყრდით გზაში.

სხვათაშორის დაე მკითხველს ისიც სცოდნოდა, რომ:

**ხოშია** ქალის სახელი გახლდათ ხევსურეთში.

**ხურუში** დავით ჩუბინაშვილს აღენიშნა თავის ლექსიკონში, მაგრამ ახსნით არ აეხსნა. იოსებ გრიშაშვილი კი განმარტავდა მის ერთ მნიშვნელობასაც: ფლავის ყოველგვარ სამკაულს (თავს) ჰქვიაო, – და მეორესაც: აღტკინება, ჟინიანობა.

ნიმუშად მოიხმობდა „დროებიდან“ (1883, № 137) ამონაწერს:

– თქვენ, ბ-ნო მოჩხუბარიძე, ემსახურებით თეატრსაც, ლიტერატურასაც, მაგრამ როდესაც ხურუში მოგივლით ან ცუდ გუნებაზე ბრძანდებით, ორივეს ერთნაირად სვრით ტალახში.

და „თეატრიდან“ (1888, გვ. 78):

– თუნდ რომ ჰქონდეთ მგლის სიმსუქენ ან თხის ხურუში...

**ჯან** – ეს შეძახილი ნიშნავდა: სულს ან ღონეს – სულოჯან, ძმაოჯან... აღერსსაც გამოხატავდა და სიხარულსაც:

შეგვხვდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „არსენა მარაბდელი“ (1937 გვ. 78):

– ჯან-ჯაან, მაღალის შეძახილით ამხნევებს დავითს ელიზბარი.

**ჯიგრიანი** მადლიანს გულისხმობდა.

ასეც გამოეყენებინა ნიკო შიუკაშვილს პიესაში „ამერიკელი ძია“ ჩართულ სიმღერაში:

– ვენაცვალე ჩვენს ჯიგრიან კინტოებს.

ნიშნავდა აგრეთვე: ყოჩაღად, გულიანად.

ასეც მოიშველიებდა ლევან მეტრეველი („დროშა“, 1933, № 23, გვ. 16):

– თავისებური ჯიგრიანობით დაასურათა მათი კარის მოვლა-პატრონობა.

დაე, გვცოდნოდა ისიც, გარდა ჟარგონული მნიშვნელობისა, ეს სიტყვა თალხ ფერსაც რომ უიგივდებოდა. სამისოდ კი ნიკო ხიზანაშვილის მონუმენტს დაისაჭიროებდა („ივერია“, 1889, № 138):

– ფშავლები იცვამენ ჯიგრიან ტანისამოსს. ფშავეთში ჯიგრიანი თალხ ფერს ნიშნავს.

**ჰაიგიდი** ტფილისურ გამოთქმაშიც ტრიალებდა:

– ჰაიგიდი აბასთუმან!

და იქ „ცისკრის“ ფურცლებზეც (1869, № 1, გვ. 140) შეხედებოდი:

– ჰაიგიდი! აბა ერთი აქეთაც შემოიხედონ.

და ანტონ ფურცელაძის „ავაზაკნშიც“ (1880, გვ. 16):

– ჰაიგიდი! ენა რა ადვილად იტყვის.

**ჰაითუ** სიტყვის მასალად გამოიყენებოდა:

– ჰაით უ შესჭამს კნიაზი.

– ჰაით უ მერე დამძრახავთ.

**ჰაჯან** – ამ შეძახილს ავქსენტი ცაგარელიც მოიმარჯვებდა („ცნობის ფურცელი“, 1901, № 162):

– ნიკოლი!

– ჰაჯან!

და აკაკი წერეთელიც („კრებული“, 1897, № 4, გვ. 21):

– რამდენიმე ხმა მიაძახებდა: ჰაჯან, ჰაჯან!

**ჰეჩდა** ოლმასიც სიტყვის მასალათა რიგს ავსებდა, ამას რომ გულისხმობდა: არასოდესო.

არავის დაესაჭიროებინა, არც მწერალს და არც ჟურნალისტს, და პირველად მაშინღა გამოჩნდებოდა ბექდურად, „ქალაქური ლექსიკონი“ მზის სინათლეს რომ ეღირსებოდა.

\* \* \*

იკვროდა ერთი რკალი თბილისური კილოკავისა, მისი ჟარგონული მეტყველების გამომხატველი, გონებამახვილი, მხიარული, დარდიმანდი ხალხის რამდენიმე თაობის ცხოვრების წესისა და შინაგანი კულტურის ამრეკლავი.

ჰადაჰა გადმოჰყვებოდა ეს თავისებური მეტყველება ოთარ ჩხეიძის ბავშვობასაც, ნაკუნებად, ნაფლეთებად დიდი სამყაროსი, მაგრამ მაინც სახიერად გადმოჰყვებოდა; და მოგვიანებით იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონს“ რომ გაცნობოდა, 1997 წელს გამოცემულს რუსუდან კუსრაშვილის მიერ, ეს ჟარგონული გამოთქმებიც არ აღმოჩნდებოდა მისთვის უცხო – ჟარგონი ხომ მალე ძველდება და ჰქრება კიდეც, მაგრამ ჰადაჰა ოთარ ჩხეიძეც მოსწრებოდა და... კიდეც გაუცოცხლდებოდა უკვე ლექსიკონად შეკრული საარქივო მასალების გადათვალეერებისას ის დროც და მაშინდელი თბილისიც, რამდენიმე წლის შემდგომ რუსუდან ნიშნიანიძესთან დიალოგისას – „რა ამბავ მოხდა ელოსა“ – ეს განწყობილებაც რომ იჩენდა თავს, როდესაც თავის ბავშვობისდროინდელ თბილისს გაიხსენებდა, სულ სხვა რომ იყო, ბევრად პატარა და კონტრასტულიც საკმაოდ.

– ძველი იერი მოეტანა იქამდისა. აღმოსავლურიც შემორჩენოდა, მოსჭიდებოდა დასავლურიცა. ქართულიც მძლავრად შემოჭრილიყო.

ოთარ ჩხეიძეს რომ საყვედურობდნენ ანისა და ინის ხშირად გამოყენებას და ქართლურ დიალექტს უკიჟინებდნენ, მწერალი თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიის კარს შეაღებდა ოდნავ, სულ ოდნავ, და განმარტავდა, რომ:

ამ შემთხვევაში მართალნიც იყვნენ მისი კრიტიკოსები და... ბოლომდისაც ვერ გარკვეულიყვნენ.

და ბოლომდის ვერ გარკვეულიყვნენ იმიტომ, რომ:

– ეს მაშინდელი თბილისური ხმოვანების გავლენისაგანაც უნდა იყოს, ანთუ არის და რაღა უნდა იყოსო, ჰა?!.

ისევ მძლავრობდა თბილისური კილოკავი ოთარ ჩხეიძის ბავშვობაში, სხვა კილოკავებიც რომ შემოჭრილიყო და ჩრდილოურიც მომძლავრებულიყო, ის მაინც მკვეთრად გამოირჩეოდა – თბილისური:

გაგრძელებული ხმოვანი სიტყვათაშუა, თუ არ მოსდევდა ბოლოში ხმოვანი.

ხოლო თუ მოსდევდა – ჰანგად იქცეოდა და მელოდიადაც.

შორეული ბუბუნის მოისმოდა, შორეული გზებისა, შორეუ-



ლი ცივილიზაციებისა, ქრისტიანობისა და უფრო ადრინდელიც, უამრავი წარმართობის, აქ რომ შეჭიდებულიყვნენ მაშინაც, აქ – თბილისში, და თავისებური ხმოვანებაც შეეძინა ამ კილოკავს.

იოსებ გრიშაშვილსლა შემორჩებოდა სულ ბოლოს.

და იმასაც ხანდახან თუ წამოჰკრავდა.

და ერთხელ ჰკითხავდა ოთარ ჩხეიძე უფროს თანამოკალმეს:

– ბავშვობაში რომ მომისმენია თქვენი ლექსები, ისე აღარა კითხულობთ.

– მოდამი რომ აღარ არის?! – მიუგებდა ის ცოტა ირონიულადაც, ცოტა სინანულითაც, უფრო სევდით, გამოუთქმელი სევდით, თვალეშილა რომ ჩარჩენოდა.

\* \* \*

ეს სევდაც მოღელავს „ქალაქური ლექსიკონიდან“, ეს სინანულიც იელვებს და ეს ირონიაც, ყველაზე საგულისხმო და დამაფიქვრელი კი მაინც ისაა, იმ გაგრძელებული ხმოვნებით რომ უნდა წარმოვიდგინოთ მთელი ლექსიკონიც და მისი ჟარგონული ნაკადიც, ჰანგად და მელოდიად რომ განვიცადოთ, ის გონებამახვილი, მხიარული და დარდიმანდი თაობები როგორც განიცდიდნენ და მთელს სილამაზესა და სინატიფესაც შეიგრძნობდნენ თბილისური კილოკავისა, შორეული ბუბუნიც რომ ჩაესმოდათ მისი მაღლის წყალობით, შორეული გზებისა და ცივილიზაციების, თბილისში რომ შეჭიდებულიყვნენ და თავისებურ ხმოვანებადაც გარდასახულიყვნენ.

აღარცსად ის ბუბუნი და ხმოვანება.

აღარცსად ის ჰანგი და მელოდია.

აღარცსად ლექსების წაკითხვა იმ ინტონაციით.

მხოლოდლა ლიბრეტო იმ ბუბუნის, იმ ხმოვანების, იმ ჰანგისა და მელოდიის.

მაგრამ გადარჩენილა გონებამახვილობა, მხიარულებაც და დარდიმანდობაც გადარჩენილა, ყოველ შემთხვევაში თავთავის უწყვეტობას მაინც ინარჩუნებენ და... ის ბუბუნიც მოისმის დროდადრო, ყურს თუ გაიმახვილებ, სმენას თუ შეაჩვევ, გულისცემასაც თუ ააყოლებ... ოოო – უამისოდ კი ვერანაირი

ყურმახვილობა ვერ გიშველის, გულისცემის აუდევენებლად...

და აგერ საამისოდ ერთი საუკეთესო გარემოც:

იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონი“, თავისი ნატიფი რომანული იერიითა და პროფილით, თავისი სიტყვარის განუმეორებელი ელფერიით, ჟარგონულ ნაკადსაც სწორედაც შესაფერისი ადგილი რომ უპოვნია სიტყვათა ამ ფერხულში და მასაც მოაქვს თავისი წილი ის შორეული ბუბუნი, სიტყვების წამღერებით წარმოთქმა ამ რომან-ლექსიკონს ჰანგად და მელოდიად რომ გარდაგვისახავს თვალსადახელშუა...

და ინახავს სევდასაც, იდუმალსა და გამოუთქმელს, იოსებ გრიშაშვილს თვალებშილა რომ ჩარჩენოდა.

## ალექსანდრე აბაშელის უცნობი ლექსი და მისი ავტოგრაფი

ადამიანების მსგავსად ხელნაწერებსაც უჩვეულო ბედი დაჰყვებათ ხოლმე. ვინ იცის, საიდან სად მოგზაურობენ, რა ისტორიებს აგროვებენ, მერე კი ქართველებს გადარჩენილნი დგანან და ელიან თავიანთ დროს! დიახ, ალბომის უცნობი ხელნაწერებიც ისევე დგანან და ელიან ...

ასეთი ბედი ენია ცნობილი ქართველი პოეტის ალექსანდრე აბაშელის ერთ უცნობ ლექსსაც. რომლის სათაურია **ლამის შუქი**. როგორც ჩანს, 1913 წლის 30 ივლისს პატარა ცემის ბუნებით მოხიბლულ ალექსანდრე აბაშელს ექსპრომტად ჩაუნერია ლექსი სანატორიუმის ალბომში, რომლისთვისაც „**ოქროს წიგნი**“ უწოდებია ვახტანგ ღამბაშიძეს, ცნობილ ქართველ ექიმს, საზოგადო მოღვაწეს, კურორტოლოგიის ფუძემდებელს საქართველოში, სანატორიუმ „პატარა ცემის“ დამაარსებელს, ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელს. სწორედ მან დააარსა საქართველოში პირველი საზაფხულო გამაჯანსაღებელი სანატორიუმი და მისი თაოსნობით შეიქმნა ეს ხელნაწერი წიგნიც. ტყავისყდიან 140-გვერდიან ალბომში თავმოყრილია ვახტანგ ღამბაშიძის დაარსებული სანატორიუმ „პატარა ცემის“ დამსვენებელთა შთაბეჭდილებები, რომლებიც 1904-1920 წლებში ჩაუნერიათ და ჩაუხატავთ სანატორიუმის სტუმრებს, ცნობილ ქართველ და უცხოელ მწერლებს, ექიმებს, საზოგადო მოღვაწეებს, მხატვრებს. ალბომი იხსნება აკაკი წერეთლის ლექსით „პატარა ცემი“ და გრძელდება სანატორიუმ „პატარა ცემის“ დამსვენებელთა და XX საუკუნის ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა ჩანაწერებით. შემდეგ კი სამშობლოდან იძულებით წასულ პატრონს ძვირფასი რელიკვიაც თან წაუღია და საფრანგეთში მყოფი ქართველი ემიგრანტებისა თუ უცხოელი მეგობრების ჩანაწერებით „გაუგრძელებია“ სამშობლოს მონატრება. ალბომში შემონახულია ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი ქართველი პოეტების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე-

ბის, (ქართველი ემიგრანტების) ცნობილი ქართველოლოგების, უცხოელი ექიმებისა და ვახტანგ ღამბაშიძის ოჯახის წევრთა მიერ ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, ოსმალურ, ესპანურ ენებზე 1924-1946 წლებში შესრულებული სხვადასხვა ტიპის ჩანაწერი: **ლექსები, ესეები, შთაბეჭდილებები, მილოცვები, ხელმოწერები.**

აღბომში დაცულია ქართველი პოეტების – აკაკი წერეთლის, გრიგოლ რობაქიძის, ალექსანდრე აბაშელის, ილია ნაკაშიძის, დუტუ მეგრელის, დონ-ვალიანის, იოსებ მჭედლიშვილის, სიმონიკა ბერეჟიანისა და სხვათა მიერ ჩანერილი ლექსები და შთაბეჭდილებები; ასევე – ქართველი ემიგრანტებისა და ცნობილი მეცნიერების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების – ექვთიმე თაყაიშვილის, ვიკტორ ნოზაძის, ალექსანდრე ხახანაშვილის, კიტა აბაშიძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ნოე ჟორდანიას, მიხაკო წერეთლის, ევგენი გეგეჭკორის, შალვა ამირეჯიბის, სპირიდონ ჭავჭავაძის, ელიზბარ ვაჩნაძის, სიმონ წერეთლის, გიორგი გვაზავას, რევაზ გაბაშვილის, გრიგოლ დიასამიძის, აკაკი ჩხენკელის, ილია ჯაბადარის, ალექსანდრა და იური ფალავების, ავთანდილ მერაბაშვილის, ცნობილი ლოტბარის დათა კავსაძისა და სხვათა ავტოგრაფები; დამოუკიდებელ საქართველოში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის, ქართველოლოგის ოლივერ უორდროპისა და ასევე ცნობილი ქართველოლოგის რობერტ სტივენსონის და სხვათა ხელმოწერები, კავკასიაში ფრანგული სანიტარიული მისიის მთავარი ექიმის ლუი დარტიგისა თუ ქართველი, ესპანელი, რუსი და აზერბაიჯანელი ექიმების ჩანაწერები.

ხელნაწერ აღბომს შემოუნახავს **ცნობილი პოლონელი მხატვრის ზიგმუნდ (ზიგა) ვალიშევსკის აკვარელით შესრულებული დღემდე უცნობი ნამუშევარი – პატარა ცემის პეიზაჟი, რუსი მხატვრის ვ. პოიარკოვის მიერ ფანქრით დახატული ვახტანგ ღამბაშიძის პორტრეტი, უცნობი მხატვრის აკვარელი (სავარაუდოდ, პატარა ცემი) და დაუდგენელი ქანდაკების ფოტო.**

ვახტანგ ღამბაშიძის მთელი არქივი, მათ შორის, მის მიერ გადაღებული ისტორიული მნიშვნელობის ფოტოები, ოჯახმა საქართველოს ეროვნულ არქივს გადასცა, თუმცა ამ აღბომს

ვერ შეელივნენ და რელიკვიად დაიტოვესო, – გვითხრა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა საფრანგეთის რესპუბლიკაში, ბატონმა გოჩა ჯავახიშვილმა. სწორედ მისი ხელშეწყობით მოხერხდა ამ უნიკალური ხელნაწერი წიგნის დაბრუნება. 2017 წლის გაზაფხულზე ვახტანგ ღამბაშიძის შვილიშვილმა, ქალბატონმა ნათელა ნიკოლაძე-ვილკურმა საქართველოში ჩამოიტანა „ოქროს წიგნი“ და თსუ-ის საიუბილეოდ მისი გამოცემის ნებართვა მოგვცა, საბოლოოდ კი კეთილშობილური გადაწყვეტილება მიიღო და სამშობლოს გადასცა ეს საგანძური. იმავე წლის სექტემბერში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ალბომს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ქალბატონი ნათელას თანხმობით ღამბაშიძის ალბომმა საბოლოოდ, მისიელ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში დაიდო ბინა.

სიმბოლოურია და გასახარია, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადებული ვახტანგ ღამბაშიძის წიგნი-ალბომის ფოტოტიპური გამოცემა, რომელსაც თან ერთვის ჩანაწერების ბეჭდური ვარიანტები, მოხსენიებულ პირთა მოკლე ანოტირებული საძიებლები და კომენტარები, ასევე სამეცნიერო ნარკვევი ვახტანგ ღამბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სიმბოლოურია, რადგან „პატარა ცემის“ შთაბეჭდილებების წიგნის ავტორთა ერთი ნაწილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის უშუალო შემოქმედია, ხოლო ვახტანგ ღამბაშიძის ოჯახი, გარდა ამისა, დაკავშირებულია პირველ ქართულ უნივერსიტეტთან. სწორედ მან ურჩია რუსეთში მყოფ პეტრე მელიქიშვილს სამშობლოში დაბრუნება. ვახტანგის ქალიშვილი, მედეა ღამბაშიძე, უნივერსიტეტის პირველი სტუდენტის მფლობელი იყო, ვახტანგის მეუღლე კი, წარმოშობით ამერიკელი ვანდა ჰოპე, ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის ინგლისური ენის ლექტორად მიიწვია. თავად ვახტანგი ემიგრაციაში წასვლამდე უსასყიდლოდ კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტის ჰიგიენის ფაკულტეტზე.

გასახარია, რადგან ასეთი წიგნის გამოცემა ვახტანგ ლამ-  
ბაშიძის ოცნება იყო. იგი თავის მოგონებებში წერდა: „ეს ერ-  
თადერთი რამ არის, რაც დამრჩა ჩემი სანატორიუმიდან ... სანა-  
ტორიუმის დღიურში ბევრმა იქ მყოფმა მოათავსა ლექსები და  
შენიშვნები, რომელთა გამოქვეყნებას ადვილად მოახერხებდა  
ადამიანი, რომ ძალიან არ იყოს გაძვირებული ქართული ბეჭდვი-  
თი საქმე საფრანგეთში. ეხლანდელ პირობებში ეს მხოლოდ ოც-  
ნებით წარმოსადგენია და მეტი არაფერი“.

საბედნიეროდ, ვახტანგ ლამბაშიძის საოცნებო წიგნი გამოი-  
ცა, მისი შვილიშვილის, ქალბატონ ნათელა ნიკოლაძე-ვილკურის,  
დახმარებით „ოქროს წიგნის“ ოდისეაც დასრულდა და თითქმის  
ერთი საუკუნის შემდეგ ეს უნიკალური ჩანაწერები, ჩანახატები  
და მათი ავტორები „დაუბრუნდნენ“ სამშობლოს. ხარობენ ამ  
ტყავის წიგნაკის „ბინადარნიც“. მათ შორის, დაბრუნდა სამშობ-  
ლოში აბაშელის ეს მშვენიერი ლექსიც.

### ლამის შუქი

სავსე მთვარე ცის თეთრ ღრუბელს მთას ზედ აფენს საფარ  
ტილოდ,  
ემზადება სამეფლისოდ, ვით ქალწული საქორწილოდ,  
ვით ქალწული ფრთა-ასხმული თმას შუქად შლის ნაზ  
მკლავებით,  
თეთრად გაშლილ სხივთა ლეჩაქს ჰქარგავს კისკას  
ვარსკვლავებით.  
თხელი ნისლი თეთრ მარმამად გარს ეხვევა ლამის ასულს,  
სხივთა ბადე ვერცხლის ფერად ავარაყებს მთას,  
ფერ-ნასულს,  
ტყეს, გარინდულს, მთის მწვერვალი თოვლის ზღუდეთ  
ეჩვენება,  
ცას ახარებს მიწის სახე, მიწას ათრობს ცის მშვენება.  
მე ძირს ვდგავარ, მთის კალთაზე, მთის ოცნებად  
გარდაქმნილი,  
ვხედავ: ხევში ჩანოლილა გაქცეული ლამის ჩრდილი,

ზედ დასცქერის მთის შავ უფსკრულს შუქ-ნაკრავი  
 კლდე-ფიქალი  
 და სდარაჯობს ავსულთ სამყოფს თავ-დახრილი,  
 შუბლ-გამწყრალი.  
 მე ვლოცულობ, თან ყურს ვუგდებ შავ შამბნარის  
 რხევა-შრიალს,  
 მთის სიმების უცხო წკრიალს: ჩქარ ჩანჩქერის  
 ჩქეფა-ჩქრიალს,  
 და შუქ-ჰანგად ქსოვილ ზღვაში ჰქრება მინა, ჰქრება ცაცა,  
 – და, ჰა, გრძნეულ ღამის შუქმა მეც გამაქრო, წარმიტაცა!..

### **ს. აბაშელი 30 ივლისი 1913. პატარა ცემი**

საგულისხმოა, რომ აბაშელის თხზულებების არც ერთ კრებულში აღნიშნული ლექსი არ იძებნება. სავარაუდოდ, ავტორს ლექსი არც იმდროინდელ პრესაში გამოუქვეყნებია, რადგან ვერც იქ მივაგენით მის კვალს. ლექსის ჩანერიდან რამდენიმე წელიწადში კი ვახტანგ ღამბაშიძეს სამშობლოს დატოვებაც მოუწია. ბოლშევიკურმა რეჟიმმა წაართვა მას სამშობლო, გააპარტახა „პატარა ცემის“ სანატორიუმში, რომელსაც მეხუთე შვილს უწოდებდა ვახტანგ ღამბაშიძე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვახტანგი ჯერ სტამბოლში გაემგზავრა, სადაც წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობდა თავის მეუღლესთან, ვანდა ჰოპე ღამბაშიძესთან, ერთად, შემდეგ კი, 1921 წელს, საფრანგეთში წავიდა ოჯახით და იქ დასახლდა სამუდამოდ. როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ ღამბაშიძეს სამშობლოდან მხოლოდ სანატორიუმის დამსვენებელთა ჩანაწერების ეს ალბომი ნაუღია სახსოვრად, ასე მოხვდა აბაშელის ლექსიც პარიზში. ალბათ, ალექსანდრე აბაშელმა პატარა ცემის სანატორიუმში დასვენების დროს ალბომში ექსპრომტად ჩანერილი ლექსის შეტანა ვედარ მოასწრო თავისი ლექსების პირველ წიგნში „მზის სიცილი“, რომელიც სწორედ 1913 წელს გამოიცა, მერე, შესაძლოა, გადაავიწყდა კიდეც ამ ლექსის გამოქვეყნება პერიოდულ პრესაში. 1923 წელს კი, ლექსების მეორე კრებულის – „ანთებული ხეივანი“ – გამოცემისას, საქართველო უკვე გასაბჭოებული იყო და შესაბამისად, ველ-

არც სანატორიუმის მეპატრონის სახელის ხსენებას გაბედავდა და მით უმეტეს, სამშობლოს მტრად მონათლულ ადამიანთან ნაცნობობის გამჟღავნებას. ცხადია, აღარ ლექსზე მიუწვდებოდა ხელი და ასე შემორჩა ეს შესანიშნავი ლექსი ლამბაშიძის ალბომს სხვა უნიკალურ ჩანაწერებთან ერთად. როგორც აკაკის ლექსის, „პატარა ცემის“, ავტოგრაფი, რომლითაც იხსება სანატორიუმის ალბომი. თუმცა აკაკიმ, აბაშელისგან განსხვავებით, ლექსი იმავე, 1904 წელს, გამოაქვეყნა კიდეც გაზ. „ივერიაში“.

აღ. აბაშელის ამ უცნობმა ლექსმა ვახტანგ ლამბაშიძის ალბომის გამოქვეყნებისთანავე მიიქცია მკითხველის ყურადღება, განსაკუთრებით დაინტერესდნენ აღ. აბაშელის შემოქმედებისა და ქართული ლექსის მკვლევრები. რომლებიც საგანგებოდ აღნიშნავენ პოეტის 10-იანი წლების პოეზიის რიტმულ-ეფონიური დახვეწილობს და გამოარჩევენ აბაშელის ლექსის ფორმას, მის ბგერით მხარეს, რითმას, რიტმსა და ა. შ. „ალექსანდრე აბაშელის ლექსების პირველ კრებულში „მზის სიცილი“ შესულია 1909-1913 წლებში დაწერილი ლექსები, რომლებიც, ერთი მხრივ, აგრძელებდა ქართული ლექსის ტრადიციულ გზას (ა. წერეთლის პოეტური სისადავის, მელოდიურობის ნიშნით), მეორე მხრივ, აშკარად გამოიჩინა თავისებური თემატიკით, ახალი მხატვრული აზროვნებით, სალექსო ფორმათა ძიებით... უახლესი ქართული ლექსის რეფორმატორად, ცხადია, გალაკტიონია აღიარებული, მაგრამ ყველა მკვლევარი, ვინც კი ქართული ლექსის ვერსიფიკაციულ ნოვაციებს შეხებია, მიიჩნევს, რომ პირველი რეფორმატორები არიან ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი და სანდრო შანშიაშვილი. ამ სამეულიდან კი, ვფიქრობთ, მყარი სალექსო ფორმათა მრავალფეროვნებით გამოიჩინა ალექსანდრე აბაშელი. აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: „მზის სიცილის“ გამოცემის წელს არც გალაკტიონის კრებულებია (გალაკტიონი – 1914 წ., 1919 წ.) გამოცემული და არც „ცისფერი ორდენია“ ჩამოყალიბებული“ (ცხადია 2016:129).

ლექსი „ლამის შუქი“ უცნობია ფართო მკითხველისათვის, ვინაიდან ლამბაშიძის ალბომი ჯერაც მკითხველთა მცირე ნაწილისთვისაა ხელმისაწვდომი, შესაბამისად, ჩვენ ლექსის მხატვრული მხარის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ქართული



ლექსის ერთ-ერთი შესანიშნავ მკვლევარს, პროფესორ თამარ ბარბაქაძეს, რომელმაც დაუზარებლად გაგვიზიარა საკუთარი მოსაზრება ამ უნიკალური ლექსის შესახებ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ თამარს და უცვლელად გთავაზობთ მის შეფასებას: „ლამის შუქი“ 16-მარცვლიანი, მაღალი შაირით (4/4//4/4) წყვილადი რითმით, მრჩობლედებით შესრულებული ლექსია. რვა ორტაეპედი ზედაქტილური რითმებით შეკავშირებული სიტყვებით არის წარმოდგენილი: საფარტილოდ – საქორწილოდ, ნაზ მკლავებით – ვარსკვლავებით, ღამის ასულს – მთას, ფერ-ნასულს, ეჩვენება – ცის მშვენება, გარდაქმნილი – ღამის ჩრდილი, კლდე – ფიქალი, შუბლ-გამწყრალი, რხევა-შრიალის – ჩქეფა-ჩქრიალის, ჰქრება ცაცა – წარმიტაცა.

აღუქსანდრე აბაშელი რითმის დიდოსტატია; 1913 წლით დათარიღებული ეს ლექსიც გამორჩეულია ამ მხრივ: შედგენილი, შეთავსებული, სახელზმნური კომპოზიტებით (რხევა – შრიალის, ჩქეფა – ჩქრიალის), სახელისა და ზმნის შეერთმვა (ჰქრება ცაცა – წარმიტაცა), ლექსის საზრისის, მთავარი სათქმელის რითმათა მეშვეობით განხორციელებას მიაწინებს.

ეს იმპრესიონისტული, ფერწერული ლექსი სათაურს – „ღამის შუქს“ – რითმების დახმარებითაც ხსნის და აზუსტებს: ერთი მხრივ, ღამის ასული – მთვარე, თხელი ნისლით გარემოცული, მეორე მხრივ, მთის შავი უფსკრული, ავსულთა სამყოფი. მათ საზღვარზე კი დგას მლოცველი პოეტი, რომლის „შუქ-ჰანგად ქსოვილი“ შემოქმედება გრძნეული ღამის შუქს უერთდება. აღუქსანდრე აბაშელის ეს ლექსი კონსტანტინე ბალმონტის პოეზიის ერთგვარ გავლენასაც აირეკლავს“ (თამარ ბარბაქაძე).

როდესაც ეს ალბომი გამოვეცით, განზრახული გვქონდა და კვლავაც ვაპირებთ, რომ შეძლებისდაგვარად, ალბომის „პერსონაჟთა“ შთამომავლები მოვიძებნოთ და საგანგებოდ მათთვის გავმართოთ წიგნის პრეზენტაცია. ეს იქნება ამ წიგნისა ოდისეის ერთგვარი დასრულება და დროთა კავშირის აღდგენა – სამშობლოში დაბრუნებული ხელნაწერების შეხვედრა შთამომავლებთან.

2020 წლის 10 თებერვალს, როდესაც თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში შედგა ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის პრეზენტაცია, ალ. აბაშელის შთამომავლების, მისი შვილიშვილების, მოპატიჟება ვერ შევძელით. მალე, კოვიდპანდემიის გამო, ქვეყანა დაიკეტა და ჩვენ დღემდე ვერ მოვახერხეთ ამ მიზნის განხორციელება. რამდენიმე თვის წინ გადავწყვიტეთ შევხმიანებოდით ალ. აბაშელის შვილიშვილს, ბატონ ალექსანდრე თუთბერიძეს, რომლის შესახებაც ბატონმა როსტომ ჩხეიძემ გვაცნობა. რადგან პანდემია გახანგრძლივდა, გვსურდა ალბომი გადაგვეცა და თავისი სახელოვანი წინაპრის უცნობი ხელნაწერთაც გაგვეჩარებინა. სამწუხაროდ, ჩვენს ზარზე ავადმყოფი მამაკაცის ხმამ გვიპასუხა, სავადმყოფოში ვწევარო. ხმაც სუსტად ისმოდა და ჩვენიც ძნელად ესმოდა, მივხვდით, რომ ვერც ჩვენი ვინაობა გაიგო და იმხანად ჩვენც ზედმეტად მივიჩნიეთ ავადმყოფი ადამიანის შეწუხება და არც დარეკვის მიზეზი გვითქვამს, ვიფიქრეთ, გამოჯანმრთელდება და მერე გავესაუბრებოდით. მით უფრო, რომ სათქმელ-სახარებელიც გვექონდა... მაგრამ ვაი, რომ დავგვიანეთ, ბატონი ალექსანდრე გარდაიცვალა... ეს ერთი კავშირიც განყდა, თუმცა მომავალში ამ წიგნს მაინც გადავცემთ ბატონი ალექოს შთამომავლებს, ასევე, ალექსანდრე აბაშელის მეორე შვილიშვილს ლევან ალხაზიშვილს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

**აბაშელი ალ.** *თხზულებათა კრებული ორ ტომად.* ტ. I. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1958

**აბაშელი ალ.** *თხზულებათა კრებული ორ ტომად.* ტ. II. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1960

**აბაშელი ალ.** *თხზულებათა სრული კრებული.* თბილისი: 1947

**აბაშელი, ალექსანდრე** „*ოქროს საფეხურები*“, ლექსები. თბილისი: საბჭოთა მწერალის გამ-ბა და სტ., 1950

**აბაშელი, ალექსანდრე** „*ანთებული ხეივანი*“, ლექსები. თბილისი: 1923

**აბაშელი, ალექსანდრე** „*მზის სიცილი*“, ლექსები. თბილისი: 1913

**ვახტანგ ღამბაშიძის ალბომი** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი: 2019

**ცხადაია 2016:** ზოია ცხადაია, „*ქართული პოეტიკის პირველი მეგ ზურთაგანი*“, კრებული – ლექსმცოდნეობა, ალექსანდრე აბაშელისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მეცხრე სამეცნიერო სესია (მასალები), VIII, თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა

## საარქივო – დოკუმენტური მასალის როლი საზღვარგარეთ შექმნილ მწერლობაში

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესები, ინტენსიური მიგრაციული ვითარება, ინფორმაციული ნაკადების შემოტევა, მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივი კულტურული ელემენტების გარემოცვა ერთობლივად აყალიბებს მწერლობის სოციალურ მიმართების თანამედროვე ასპექტებს. დღეს მწერლობა გახდა უფრო სოციალური, ვიდრე ოდესმე, გაიზარდა მისი დამოკიდებულების ხარისხი სოციალურ ინსტიტუციებზე: პრემიებზე, ფესტივალებზე, კონკურსებზე. ტექსტისა და მკითხველის ურთიერთობა დაექვემდებარა ცვალებადი დრო-სივრცის აქტუალურ მოთხოვნებს, ყოფით პრობლემებს, ყოველდღიურ სიუჟეტებს. დღევანდელი მკითხველი დაინტერესდა არა მხოლოდ ნაწარმოებით, მისი პერსონაჟებით, არამედ უფრო მეტად მწერლის პირადი ცხოვრებით, მისი მოღვაწეობის ყოფითი დეტალებით, შინაგანი სამყაროს ნაცნობი თუ უცნობი პოზიციებით. ეს ყოველივე კი ზრდის დოკუმენტური ჟანრის – ეპისტოლე, პუბლიცისტიკა, დღიური, მემუარი, ორატორია, ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, პირადი ჩანაწერები/ჩანაწერები, „უბის წიგნაკები“ – პრიორიტეტებს. ამ მასალის დიდი ნაწილი დღეს, ასე ვთქვათ, „მარგინალურ მასალად“ ითვლება, უმთავრესად შემონახულია არქივებში. საარქივო-დოკუმენტური მასალა ხშირად სცილდება ინტელექტუალური პროდუქტის ფარგლებს, ამდენად დილემური სირთულის წინაშე აყენებს საგამომცემლო საქმეს. რადგან ძალიან დიდია ინტერესი დოკუმენტური ჟანრისადმი, ასევე დღევანდელ ეპოქაში პრიორიტეტულია გახსნილობა-ღიაობა, მხოლოდ სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვით, დღის წესრიგში დგება აქამდე საზოგადოებისა და მკვლევართათვის მიუწვდომელი მასალის, პირადი მონაცემების შემცველი ტექსტების გასაჯაროება – პუბლიკაციის პერსპექტივებზე მსჯელობა, ყოველდღიურად იხვეწება საარქივო – დოკუმენტური ნიმუშების გამოცემამცოდნეობითი

მეთოდები. საავტორო უფლებებისა და მემკვიდრეების პრობლემა ერთგვარად ართულებს ამ მრავალმხრივ საინტერესო მასალების გამოქვეყნებას. არადა, როგორც გამომცემლები ადასტურებენ, მარკეტინგული თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მიმართულება სწორედ პირად ჩანანერთა, პირადი წერილების გამოქვეყნებაა.

საარქივო – დოკუმენტური მასალის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია საზღვარგარეთ შექმნილი მწერლობის კვლევისათვის რამდენიმე მიზეზის გამო:

დღეს მიგრაციის შეუქცევად პროცესებში საზღვარგარეთ წასული ადამიანები ყოველდღიურად ქმნიან კულტურას, ეს პერმანენტული, მიმდინარე პროცესია. ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში ინტენსიურად მიმდინარეობს საზღვარგარეთ შექმნილი მწერლობის შესწავლა და მისი გააზრება თანამედროვე ინტერდისციპლინური კვლევების არეალში.

მკვლევრები თანხმდებიან, რომ საზღვარგარეთ შექმნილი მწერლობა „ადგილზე“ შექმნილი მწერლობისაგან განსხვავდება თავისი მახასიათებლებით, რომლებიც ქმნიან ამ მწერლობის თვისობრიობას. კვლევები ითვალისწინებს როგორც თანამედროვე, ასევე ისტორიულ კონტექსტს, რათა დეტალურად, ზუსტად, მეცნიერულად გამოვლინდეს საზღვარგარეთ შექმნილი ტექსტების თავისებურებანი.

უფრო კონკრეტულად: საზღვარგარეთ შექმნილ ლიტერატურაში მნიშვნელოვანია ენათა „მიქსი“, ენობრივი ჰიბრიდულობის პრობლემები (ბილინგვიზმი, მულტილინგვიზმი), თუმცა აქ უფრო ნიშანდობლივია კულტურკონტაქტების სოციალურ-ფსიქოლოგიური კონტექსტი, რის გამოც ეს მწერლობა უფრო სოციალურია, ვიდრე „ადგილზე შექმნილი“ მწერლობა. საზღვარგარეთ ტექსტი იქმნება ისეთი სოციალური ფაქტორების ზეგავლენით, როგორებიცაა: მიგრაციის მიზეზები, ტიპები, მიზნები, მენტალური სივრცეები, იმაგოლოგიის სრულიად ახალი, მიგრაციისათვის დამახასიათებელი პარადიგმები – „უცხო სივრციდან ხედვა“, მრავალშრიანი მესხიერებების (კულტურული, კომუნიკაციური) კონცეპტები. რაც მთავარია, ეს მწერლობა „მოდრაობს“ ნაციონალური იდენტობის საზღვრებშიც და ამ

საზღვრებს გარეთაც, ამიტომაც მასში აისახება სოციალური ასპექტი – იდენტობათა ტრანსფორმაციები – მიგრაციის თანმხლები შუალედური, ორმაგი სივრცეებით შექმნილი ნაციონალური, ინტერკულტურული იდენტობები. საზღვარგარეთ შექმნილი მწერლობა არის ველი, რომელმაც დაადასტურა და კიდევ უფრო გამოკვეთა იდენტობისა და მწერლობის „თანამშრომლობის“ ფაქტი. ამ ტექსტებში ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად აქტიურდება ნაციონალური იდენტობის კონცეპტები (ენა, კონფესია/რწმენა, გენდერი, ეროვნულ-მასობრივი სიმბოლო, მითოლოგია, თვითდასახელებები, სტერეოტიპები, ტრადიციული ფასეულობანი...).

ამ მწერლობის თვისობრიობა – მულტიკულტურული, სოციალური, ფსიქოლოგიური, იდენტობათა პარადიგმებით მარკირებული სივრცე, რაც მთავარია, ის ფაქტი, რომ ემიგრანტისათვის ტრავმული ცნობიერების დაძლევის უმნიშვნელოვანეს საშუალებად მწერლობა იქცევა, აქტიურებს შესაბამის დისკურსსა და ჟანრებს: მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობა, პუბლიცისტიკა თავისი სახეობებით, ბიოგრაფიული („ტერიტორიისმიდმითი ჟანრი“ – ე. საიდი), ბიოგრაფიულ – მემუარული, ბიოგრაფიულ – საოჯახო, სამოგზაურო, ეპისტოლური ჟანრები, ტრადიციული ემიგრანტული მოტივების ამსახველი ავტობიოგრაფიული ჟანრი, (**ლიტოვსკაია 2013:148**), ეს ყველაფერი გვევლინება კულტურული მეხსიერების რეპრეზენტირების მნიშვნელოვან მექანიზმად.

სწორედ ამ კონტექსტების გამო საზღვარგარეთ შექმნილი მწერლობის კვლევის დღევანდელ ინტერდისციპლინურ ფორმატში (სოციოლოგია, კულტუროლოგია, ფსიქოლოგია, ფსიქოანთროპოლოგია, ჰუმანიტარული მეცნიერებები) ყოველდღიურად უფრო იზრდება საარქივო – დოკუმენტური მასალის მნიშვნელობა, **რადგან თავად ამ მწერლობაში აქცენტირებულ მხატვრულ-დოკუმენტურ, ბიოგრაფიულ, მეხსიერების ნარატივს, დოკუმენტურ ჟანრებს – სხვადასხვა დოკუმენტს, პუბლიცისტიკას, ჩანაწერებს, ეპისტოლეებს, დღიურებს, მემუარებს, ბიოგრაფიებს, „უბის წიგნაკებს“ – ხელწიფება გაარკვიოს, შეძლებისდაგვარად „განსაჯოს“ ავტორების იდენტობის, პოზიციების,**

იმაგოლოგიის, კულტურული და კომუნიკაციური მეხსიერების, თვითიდენტიფიკაციის საკითხები, რაც მთავარია, მათი კულტურული სივრცისადმი მიკუთვნებულობის დღეისათვის აქტუალური პრობლემები.

საზღვრებს გარეთ, „არა ადგილზე“ შექმნილ ქართულ მწერლობას ახასიათებს როგორც ზოგადად საზღვარგარეთ შექმნილი ტესტების თავისებურებანი, ასევე აქვს ნაციონალური გამოვლინებანი.

ქართულ რეალობაში ერთმანეთისაგან იმიჯნება: 1) მე-20 საუკუნის **ემიგრაციული** მენტალურ-ლიტერატურული სივრცე (მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე), 2) **დიასპორული** მენტალურ-ლიტერატურული სივრცე (მე-20 საუკუნის ბოლოდან დღემდე).

ეს არის მწერლობის ორი სრულიად განსხვავებული თვისობრიობა. შესაბამისად, განსხვავებულია დოკუმენტურ ნიმუშთა პრიორიტეტებიც.

მე-20 საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის სივრცითი, პოლიტიკური, იდენტობის ჩაკეტილობა, პოლიტიზებული აზროვნება „ანტისაბჭოთა იდენტობით“, „ემიგრანტული კონიუნქტურით“, ნაციონალური იდენტობის დაცვის მრავალმხრივ მიზანმიმართული მცდელობა (გამოხატული ჟურნალ-გაზეთების შექმნით, სხვა კულტურული აქტივობებით), ამ მწერლობისათვის დამახასიათებელი მოგონებათა და გახსენებათა „კასკადი“ (XX საუკუნის ქართველი ემიგრანტისათვის მთავარი ორიენტირი წარსული და სამშობლოში დაბრუნება იყო), აისახა უმეტესად პოეზიაში, მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში, თუმცა შეუდარებლად მეტად პუბლიცისტიკაში (ამ მწერლობის პოლიტიზებამ განაპირობა პუბლიცისტიკური ნარატივის მასშტაბურობა), ეპისტოლეებში, ბიოგრაფიებში (ავტობიოგრაფიებში), მემუარებში, ჩანაწერებში/გახსენებებში/მოგონებებში, რომელნიც უმეტესად ამ მოღვაწეთა პირადმა არქივებმა შემოგვინახა.

საზღვარგარეთ შექმნილი თანამედროვე მწერლობის სივრცე – გახსნილი, პერფორმაციულ-დეზორიენტირებული მენტალური სივრცე „ადგილის გარეშე“ საზღვრებს გარეთ, შიდა და გარემიგრაციული „მოძრაობის“ ვითარებაში იქმნება, ხოლო ამ

კონტექსტში შექმნილი მწერლობის აღსანიშნავად უკვე რამდენიმე ტერმინი დამკვიდრდა: „ინტერკულტურული ლიტერატურა“ (ქაიდე როში), „ტრანსარეალური ლიტერატურა“ (ოტმარ ეტტე), „ახალი Weltliteratur“ (ელკე შტურმ-ტრიგონაკისი) და სხვ. მათ შორისაა ე. წ. „მოძრაობის მწერლობა“ – Literature on the Move (ოტმარ ეტტე). „მოძრაობის“ სივრცის თანამდევია მრავალმრიანი, ჰიბრიდული, „მოძრავი იდენტობები“, კომუნიკაციური და არა კულტურული მეხსიერების დომინანტი, იდენტობათა „ამოძრავების“, კვალდაკვალ პიროვნების თვითიდენტიფიკაციის სირთულეები, როგორც იდენტობათა ტრანსფორმაციების შედეგი.

ყოველივე ამის გადმოსაცემად მწერლობამ შესაბამისი დისკურსი და საშუალებები განავითარა.

სწორედ დღევანდელმა „მოძრავმა“, მიგრაციულმა გარემომ გააძლიერა რელიგიური, ფემინისტური, პირადი, ინტიმური, საოჯახო (ეს პროზა დღევანდელმა მიგრაციებმა და ამასთან დაკავშირებულმა სხვადასხვა ხედვამ, პრობლემებმა – თუნდაც ოჯახის ინსტიტუტის რღვევა – ნაციონალური ნარატივისაგან განსხვავებით, ახალი ფუნქციებით და განსხვავებული თემ-ატიკით დატვირთა) ნარატივი.

ამ დისკურსებში კიდევ უფრო დომინანტური გახდა მხატვრულ-დოკუმენტური, დოკუმენტური ჟანრები. ტრავმის ნაკლებობისა და ცვალებად გარემოსთან მეტი ადაპტაციის გამო ნაკლებია გახსენებები, მოგონებები, განსხვავებულია პუბლიცისტიკის სახეობანი. ზოგიერთი ჟანრი ახალ განზომილებას ითავსებს, ვიღებთ კლასიკური ჟანრების თანამედროვე დეკონსტრუქციებს. მაგალითად, ბიოგრაფიულ-მემუარული რომანი იქცევა ეთნოგრაფიული, ქცევების რომანად („ჩვეულებების, ქცევების და ურთიერთობების მუზეუმი“), თანამედროვე მიგრაციული გარემოს „პირმშოა“ ე. წ. სტენოგრაფიული რომანი, ლაკონური ტექსტები (მოკლე ფორმატის გამო ისტორია გადმოიცემა პერსონაჟთა ქცევებით და დიალოგებით). სამოგზაურო ჟანრმა განავითარა ქვეკატეგორიები, კერძოდ, „გადასახლებულის ნერილობა“ – მოგზაურობის ობიექტური აღწერილობის ნაცვლად სუბიექტური, შეფასებითი დაკვირვება, ან ვიღებთ ცალსახად დოკუმენტურ ნაშრომს, რომელშიც



ასახულია განსხვავებული გამოცდილებები, დაკვირვებები სხვადასხვა მენტალიტეტზე. თანამედროვე ტექნოლოგიებმა მწერალს, ადამიანებს, საშუალება მისცა არქივში არ ჩაეკეტა თავისი ნააზრვეი, საზღვარგარეთ, უცხო სივრცეში მყოფობის შესაბამისი თვითიდენტიფიკაციის პრობლემები (ჩაკეტილობის მოხსნამ, „არა ადგილზე ქმნადობის“ თანმხლებმა ფსიქოსოციალური იდენტობის კონტექსტმა – პროტესტი „უცხო“ წინააღმდეგ, რესენტიმენტი, კულტურული შოკი, სულიერი და კულტურული დისტანცია, ადაპტაცია – გააძლიერა ეგზისტენციალური კრიზისი, პიროვნული „მე“-ს ძიება, თვითდამკვიდრება). საზღვარგარეთ შექმნილი თანამედროვე მწერლობის კვლევაში დღეს უკვე აქტიურად ერთვება სოციალური სტატუსები. არქივები დღეს ჩანაცვლა სოციალური ქსელების ჟურნალისტურმა ჩანაწერებმა, ინტერვიუებმა, ბლოგებმა, რომელნიც შესაძლოა თანამედროვე არქივებად მოვიაზროთ. ეს მასალა წიგნთან ერთად ძალიან მასშტაბური და მნიშვნელოვანია, ამიტომაც დღეს უკვე საზღვარგარეთ შექმნილი მწერლობის კვლევა მიმდინარე სოციალური ქსელების სტატუსების, ბლოგების, შესწავლის პერსპექტივასაც ითვალისწინებს, რასაც შედარებით განსხვავებული მეთოდოლოგია სჭირდება.

ამჯერად განვიხილავთ, რა როლი შეიძლება შეასრულოს საარქივო-დოკუმენტურმა მასალამ მე-20 საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის კვლევაში.

ზოგადად ამ არქივების შესახებ: ცნობილია 1921, 1924, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ქართული ემიგრაციები. ქართული ემიგრაციის პირველი და მეორე ტალღის წარმომადგენლები ევროპასა და ამერიკაში მოღვაწეობდნენ. ცხოვრობდნენ საფრანგეთში, ამერიკაში, კანადაში, არგენტინაში, ბრაზილიაში, ჩილეში, ვენესუელასა და პერუში. ქართველი მოღვაწეების მიერ შექმნილი მემკვიდრეობა სხვადასხვა ქვეყანაში არქივების სახით გადანაწილდა.

მე-20 ს. ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობის შესწავლა დღის წესრიგში მხოლოდ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დადგა. დაიწყო ემიგრანტ მოღვაწეთა მემკვიდრეობის, არქივების მოძიება და საქართველოში ჩამოტანა. თბილისში, პროფესორ

გურამ შარაძის მიერ დაარსებულ ქართული ემიგრაციის მუზეუმში, 1994 წლიდან ბინა დაიდო მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტიდან (ევროპა, ამერიკა) ჩამოტანილმა I და II ტალღის ემიგრანტის ბევრი მოღვაწის მემკვიდრეობამ, სახელმწიფო და პირადმა არქივებმა, რომლებიც ლიტერატურულ შემოქმედებასთან ერთად მოიცავს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო-პოლიტიკურ და სამხედრო დოკუმენტებს, ემიგრანტ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ბიოგრაფიებს, ავტობიოგრაფიებს, მემუარებს, ჩანაწერებს. ეპისტოლურ ხელნაწერ კრებულებს, ემიგრაციაში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, ფოტოებს.

ეს მართლაც უნიკალური არქივი, რომელიც თბილისშია და არა საზღვარგარეთ, მოკლებულია კვლევის თანამედროვე სტანდარტიზაციას, არის ყოველგვარი ახალი ტექნოლოგიების (დიגיტილიზაცია, სისტემატიზაცია და სხვა) გარეშე. რაც მთავარია, დღემდე ბოლომდე შესწავლილი არ არის. ძალიან ბევრი ბევრი ავტოგრაფი, ხელნაწერი თუ ნაბეჭდი დოკუმენტი, ეპისტოლური მემკვიდრეობის დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელი და საზოგადოებისათვის უცნობია. საზოგადოებას არა აქვს წვდომა ამ უნიკალურ მასალაზე, რის გამოც ზოგჯერ არამეცნიერული პრეცედენტებიც იქმნება.

ამჟამად გვანტერესებს შემდეგი კონტექსტები: საარქივო-დოკუმენტური მასალის მნიშვნელობა ამ მწერლობის იმაგოლოგიური ასპექტებისა და შემოქმედებითი პოტენციალის განსაზღვისათვის.

1. კულტურულ-ისტორიული იმაგოლოგიური კონცეპტები, რომლებიც ასახავს და, შესაბამისად, იკვლევს წარმოდგენებს საკუთარ თავსა და უცხოზე, ხატებს (იმიჯებს), სტერეოტიპებსა და კულტურულ მენტალობებს, განსაკუთრებულად გამოიკვეთება ემიგრანტულ მწერლობაში. ზოგადად, ემიგრანტი ავტორის ეთნოიდენტიფიკაციის ერთ-ერთი აქტიური საშუალებაა „თავისისა“ და „სხვისის“ შეპირისპირება. თუმცა მე-20 საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის იმაგოლოგიური ასპექტი შედარებით სხვაგვარად მოინიშნება: „სხვისი“ მენტალური სახე

ამოვარდნილია და დარჩნილია „თავისი“, ოღონდ დანახული გარედან, ემიგრაციის გადმოსახედიდან. იძულებით ემიგრირებული ადამიანები დიდხანს ცდილობდნენ ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებას. მათი კულტურული მესხიერება, ბიოგრაფიები, გახსენებებები, ტრავმული ცნობიერება უმთავრესად ინახავს და გადმოსცემს ნაციონალურ კონცეპტებს, ქართულ ხასიათს... ვინ ვართ? როგორები ვართ? რა გველის მომავალში? რატომ დაგვემართა ასე? – ეს კითხვები უთუოდ გაანვალებდათ ისტორიის ძნელბედობის გამო სამშობლოს სხეულს იძულებით მოგლეჯილ ადამიანებს. „უცხოეთში ხომ ადამიანი ბევრ რამეს სულ სხვაგვარად ხედავს .... და სულ სხვა საზომი ჩნდება ამა თუ იმ მოვლენათა შეფასების დროს. განსაკუთრებით მწვავეა უცხოეთში ფიქრი სამშობლოზე, კერძოდ, პატარა ქვეყნის შვილისათვის და მწვავეა ეს ფიქრი მით უმეტეს, თუ ხედავ, რომ შენი ქვეყნის ბედი ქანაობს რაღაც უცნაურ საბედისწერო „საქანელაზე“ (მინიშვილი 2006:68).

ვიკტორ ნოზაძის უცნობი, გამოუქვეყნებელი ავტოგრაფული, ისტორიულ-დოკუმენტური ნაშრომი „ქართული მოდგმა და ხასიათი. ქართველი კაცი“ (ნოზაძე 1948) დაცულია ქართული ემიგრაციის მუზეუმში. ავტორი, როგორც ჩანს, დიდხანს სწავლობდა ქართულ ხასიათს. ნაშრომში ჩართულია ბევრი ისტორიული თუ მისი თანამედროვე დოკუმენტი, ცნობა, ინფორმაცია, ჩანაწერი, ბიოგრაფია. ემიგრანტი ავტორი ქართველს ევროპელის თვალთაყ (ვ. ვოიტინსკი, ი. ერენბურგი, უ. ალენი) აფასებს. ამ დოკუმენტების მიხედვით ნოზაძე აყალიბებს ქართული იდენტობის ბევრ საგულისხმო მახასიათებელს;

დადებითი:

ოპტიმიზმი, სიცოცხლის დიდ სიყვარული, სწრაფვა მხიარულებისაკენ, სილალისაკენ, სიცოცხლით ტკობისაკენ. მეგობრობის, ნათესაური ურთიერთობის უსაზღვრო სურვილი და უნარი, ქალისადმი, ბავშვისადმი გამორჩეული პატივისცემა, ემოციურობა. ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, ინდივიდუალიზმი, ნოსტალგია. მშვიდობის სიყვარულთან ერთად მუდმივი მზადყოფნა ომისათვის, როგორც ქართველი კაცის ისტორიული ყოფის შედეგი.

უარყოფითი:

მკვლევარი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი უარყოფითი თვისება დადებითი თვისებების უკიდურესობებიდან მომდინარეობს.

სიცოცხლის სიყვარულიდან, სილალიდან, ბედნიერებისაკენ სწრაფვიდან იღებს სათავეს და თანდათან ყალიბდება ე.წ. „მსუბუქი ფილოსოფია“, ფანტაზიორობა, მეოცნებეობა, სიმჩატიე, დღევანდელობასთან შეგუება, უზრუნველობა, ხვალინდელ დღეზე უდარდელობა, პასიურობა, მიღებულით და არსებულით კმაყოფილება, თვითკმაყოფილება.

ქართველი არის ცნობისმოყვარე, ცოდნისმოყვარე. ის არ არის სკეპტიკოსი, მას მოსწონს ოცნება, აღმაფრენა. იგი ოპტიმისტია, მაგრამ მისი ოპტიმიზმი ხშირად უთანაბრდება ნატვრასა და ფანტაზიას, ტყუილითაა გაჯერებული და ხშირად მას რეალობის შეგრძნებას აკარგვინებს, თავის ძალას და შეძლებას ვერ ზომავს, ამიტომაც ეს ყველაფერი ზოგჯერ გამოუხსნორებელ იდეალიზმში გადაიზრდება, რასაც მეტად უარყოფითი შედეგები მოსდევს, განსაკუთრებით პოლიტიკაში.

ქართველს აქვს მეგობრობის, დაძმობილების და, საერთოდ, ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი და უნარი. იგი საოცრად სტუმართმოყვარეა. ეს ყველაფერი მოითხოვს და ავითარებს სხვა თვისებებს: სიუხვეს, დახმარების, შემწეობის უნარს. ქართველი მზადაა მეგობრისთვის თავიც კი განიროს, არამცთუ ქონება. ქართული ხასიათის ეს თავისთავად კარგი თვისებები ზოგჯერ გადაიზრდება ხოლმე არასახარბიელო, უარყოფით თვისებურებაში – მომჭირნეობის არქონასა და მფლანგველობაში.

ქართული ხასიათი უფრო მეტად ქმნის გმირებს, ვიდრე წამებულებს. ქართველმა იცის რაინდული თავგანწირვა, ბრძოლა და სიკვდილი სახელისათვის („სჯობს სახელისა მოხვეჭა...“). ამის პარალელურად, და არა ამიტომ, ქართველი ავლენს სხვა თვისებებსაც: იგი დიდების მოყვარეა, სურს თავის გამოჩენა, პირველობა, დიდკაცობა. ე. წ. „ზესთამჩენობა“ და „კოზოლობა“, „ქართული დიდკაცობის ფსიქოლოგია“ მავნე და უარყოფით შედეგებს იძლევა, აყალიბებს შურს, ჯიბრს, მტრობას, ხელს უშლის ერთიანი აზრის შექმნას, ძალთა გაერთიანებას. ვ. ნოზაძე აქვე განიხილავს შესაბამის საინტერესო დოკუმენტს: 1921 წლის

კონსტიტუციაში შეტანილი კოდექსი – თავმჯდომარის ყოველწლიური არჩევა ქართველი კაცის ბუნებას სათანადო ანგარიშს უწევდა. „მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიური გამოცვლა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდკაცობის სურვილს პირველობისათვის ადვილად დააკმაყოფილებდა“ (ნოზაძე 1948:41).

ნოზაძე ქართული ხასიათის თავისებურებათა განხილვისას განსაკუთრებით დაინტერესდა ბრიტანელი ისტორიკოსის, უილიამ ედუარდ დევიდ ალენის მიერ 1932 წელს ლონდონში გამოცემული წიგნით „ქართველი ხალხის ისტორია“. წიგნი ინგლისურიდან თარგმნა ელენე მამულაიშვილმა და ტექსტის ნაწილი დაბეჭდა გაზეთ „თეთრი გიორგის“ 1935 წლის 91-ე ნომერში. ვ. ნოზაძემ განიხილა უ. ალენის ნაშრომი, გაეცნო მასში მოხმობილ დოკუმენტებს და ქართული ბუნება დაახასიათა ისტორიულ კონტექსტში. განსაკუთრებით დაინტერესდა შეფასებით „ესთეტიური უპასუხისმგებლობა“. ნოზაძის აზრით ეს შეფასება ქართულ ხასიათს ზუსტად შეესაბამება.

საქართველო ხშირად დაუპყრიათ, ქართველი ხალხი ხშირად დამორჩილებია კიდეც უცხო ძალას, მაგრამ ამ ძალის ბატონობისათვის მას სერიოზულად არასოდეს შეუხედავს. ესაა „ქართველის უპასუხისმგებლობა“. როდესაც ამ ბატონობას ბოლო ეღებოდა, ქართველი ხალხი თავისი ხასიათით ისეთივე რჩებოდა, როგორც უწინ იყო, შესაძლოა, შინაგანად უფრო ძლიერიც კი. ესაა მისი „ესთეტიზმი“. ვ. ნოზაძე ამგვარად ავითარებს უ. ალენის აზრს: „ქართველი ხალხი ... ბატონობას ებრძვის, როგორც ერი, როგორც ცოცხალი ცხოველი იბრძვის და არა პრინციპის გულისათვის. ქართველებს ძველთაგანვე აქვთ მეტად მყარი და ღრმა შეგრძნება თავისი მთლიანობისა, თავისი ინდივიდუალობისა, როგორც ერისა. თავისი თავის, როგორც ერის შეგნება, არის თვითონ ერთგვარი ესთეტიზმი – ერთნაირი სახე ვნებითი მიდრეკილებისა – მოწონება თავისისა სხვასთან შედარებით. წამება (მარტვილობა) არის არსებითად ესთეტიზმის დარღვევა მაშინ, როდესაც გმირობა არის ინდივიდუალური ხელოვნების ძლიერი ალტკინება, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველები ხშირად არიან გმირები, იშვიათად, წამებულნი“ (ნოზაძე 1948:13).

როგორც ვ. ნოზაძე აღნიშნავს, ამ ტერმინის შინაარსში

იმალება საიდუმლოება, ერთი მხრივ, ქართველთა მიმზიდველობისა, როგორც ხალხისა, მეორე მხრივ, საიდუმლოება მათი გადარჩენისა, როგორც მტკიცე ინდივიდუალური ეროვნული მთლიანობისა. სწორედ ამ „ესთეტიურმა უპასუხისმგებლობამ“ დაიცვა ქართველების მთლიანობა მათი ისტორიის ცვალებადობის დროს“ (ნოზაძე 1948:14).

პუბლიცისტიკა, ეპისტოლური სფერო ემიგრანტული მემკვიდრეობის კვლევისას უნიკალურ დოკუმენტურ მასალად და ფასეულ ფენომენად იქცა. ეს მასალა წარმოგვიჩენს იმაგოლოგიის ძალიან მნიშვნელოვან, ამ ემიგრაციისათვის დამახასიათებელ ასპექტებს.

ლოგიკური და სრულიად გასაგებია იმაგოლოგიური ხედვა – ემიგრანტთა პოზიცია, რომელიც „ანტისაბჭოთა იდენტობით“, „ემიგრანტული კონიუნქტურით“ კრიტიკული განხილვის არეალში აქცევს იმდროინდელი საბჭოთა საქართველოს სოციოპოლიტიკურ და კულტურულ რეალობას, ამხელს პროლეტარული მწერლობის, სოციალისტური რეალიზმის, ზოგადად ტოტალიტარული სისტემის არსსა და მიზნებს. (საბჭოთა ისტორიოგრაფია, კრიტიკული აზროვნება ემიგრანტულ მემკვიდრეობას სწორედ ამ ცალსახა პოზიციით აცნობდა საზოგადოებას და ამიტომაც იძულებით უცნობად აქცევდა). 80-იანი წლებიდან, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა პერიოდში, აღნიშნული არქივების შესწავლამ გამოამჟღავნა ემიგრანტ მოღვაწეთა სხვა, განსხვავებული პოზიციაც. ჩანს, ამ დროის საქართველოში მიმდინარე რთულ, მრავალნახნაგოვან კულტურულ პროცესებში გარკვევა ემიგრანტი მწერლებისათვის მთლად მარტივი არ უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, რომ საბჭოთა კრიტიკა ცდილობდა ავანგარდული, მოდერნისტული ლიტერატურის განადგურებას ან სხვადასხვა ხერხით მის მოქცევას საბჭოურ, ტოტალიტარულ კონტექსტში. დღეს ბევრი რამ ნათელია, ამგვარი ტექსტები თანდათან „თავისუფლდება“ საბჭოური შინაარსისაგან, მაგრამ ემიგრანტებისათვის, განსაკუთრებით კი პირველი ტალღის, ბევრი რამ გაუგებარი იყო, ბევრი კომპრომისი, ბევრი მანევრი არ ესმოდათ. ამიტომაც ბუნებრივი იყო მათი რეაქცია, გალი-

ზიანება, მით უმეტეს, თუ საბჭოთა იდეოლოგიის გავლენები ან აშკარა კომპრომისები მათთვის ფასეულ შემოქმედებაში აღმოჩნდებოდა. გაზეთში „თეთრი გიორგი“ (1935, № 90, დეკემბერი, პარიზი) ერთმანეთის გვერდით ორი ლექსი დაიბეჭდა: ტიცციან ტაბიძის „ორდენოსან სამშობლოსათვის“ (1935) და სიმონ ბერეჟიანის (სიმონ ბერის ფსევდონიმით) საკმაოდ მკაცრი ტონით დაწერილი ლექსი „პასუხი ორდენოსან მგოსანს ტიცციან ტაბიძეს“.

გასაგებია, რამდენად მიუღებელი იყო ბერეჟიანისათვის ტიცციანის ლექსში ბედნიერი მომავლის, ამქვეყნიური სამოთხის ხოტბა, სტალინის, ლენინის ხსენება და ქება. დღეს ეს ლექსი თავის გადარჩენის ან ეპოქის მოთხოვნებთან დროებითი შეგუების მცდელობად აღიქმება. ემიგრანტ მწერალს ტიცციან ტაბიძის ეს ლექსი მაშინ, 1935 წელს, ალბათ ძალიან შეაფიქრებდა და შიშს გაუძლიერებდა, მით უმეტეს, რომ ამ ლექსის ავტორი ემიგრანტთათვის ნამდვილ ქართველ პოეტად, მხატვრული სიტყვის დიდოსტატად მიჩნეული ტიცციან ტაბიძე იყო.

ძალიან ხშირად, თუნდაც საბჭოთა საქართველოში შექმნილი ნაწარმოების შეფასების საფუძველი არის არა მხოლოდ წინასწარგანწყობა, წინასწარ შემუშავებული სქემები (ანუ ნეგატიური პოზიცია საბჭოთა ხელოვნების მიმართ), არამედ თავად ტექსტი. ჩანს, მათთვის პოზიტივი იყო საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში დაბადებული ყოველი კარგი წიგნი, ნებისმიერ სფეროში მომხდარი სასიკეთო ცვლილება, თუკი შეამჩნევდა მათი კრიტიკულად დადარაჯებული თვალი. „გალაქტიონ ტაბიძემ შესანიშნავად შესცვალა, გააფაქიზა, გააუმჯობესა ფორმა ... გალაქტიონი არ არის მწერალი ყოველგან და ყოველთვის წასაკითხავი და გასაგები, როგორც მაგ., გრიშაშვილი, შანშიაშვილი, ნადირაძე და სხვა. მას თავისი აუდიტორია ესაჭიროება და განსაკუთრებული სულის ვითარება“ (**ნულუკიძე 1929:64,70**). „საბჭოთა ვითარებაშიც შეიძლება შენარჩუნდეს ქართული კულტურის სიძლიერე და სიმაგრე. ... ყოველწინაირ გაჭირვებაში შეიძლება დაიბადოს ეროვნული ძალა წინააღმდეგობისა“ (მ. კვალიაშვილის ვ. ნოზაძისადმი მიწერილი წერილი 1962 წელს. **ნოზაძე 1950-70**).

ჩანს, სწორედ ემიგრაციაში გამწვავდა შიში, საბჭოთა საქართველოში ეროვნულ მწერლობას არ დაეკარგა განვითარების ბუნებრივი ხაზი, საბჭოთა ეპოქა არ ქცეულიყო გადაულახავ ბარიერად ეროვნული ლიტერატურისათვის... „ვმომო, რომ მაღალნიჭიერმა პოეტმა, გალაქტიონმა, „ახალის“ ძიებაში თავისი ძველად ნაცადი მხატვრული „მე“ არ დაახურდავოს, თავისუფალი აღმაფრენა ბრჭყალებში არ ჩაუგდოს ნაძალადეგ ტენდენციას“ (წულუკიძე 1929:72).

ბევრ დოკუმენტში ჩანს ემიგრანტთა კოლექციალური დამოკიდებულება საბჭოეთში დარჩენილი მწერლების მიმართ. ჟურნალში „სოციალისტური აზრი“ (გამოდიოდა პარიზში 1930 წლიდან) „ქუჩუკ ნაიბის“ ფსევდონიმით (ფსევდონიმი გაუშიფრავია) გამოქვეყნდა „წერილი მეგობარს“ (1937, № 8) და „მ. ჯავახიშვილი“ (1939, № 10). მოგვყავს ნაწყვეტი სტატიიდან „წერილი მეგობარს“: „დღეს საქართველოში მწერალი გმირია. ... ემიგრაციას თავისი მოტეხილი ხერხემალი უფრო ალაპარაკებს, ვიდრე ქართული მწერლობის ბედი. ... ემიგრაციაში ვის აქვს უფლება იქ მყოფ საქართველოს ჯოჯოხეთურ პირობებში ჩავარდნილი ქართველი მწერლების მბრალდებელი გახდეს? ... აკმარეთ ის ტანჯვა, რომელსაც ისინი განიცდიან იქ, საქართველოში. ... ხომ გესმით სასონარკვეთილი ყივილი ქართული მწერლობის, ხომ გესმით მიზეზი პოეტის თვითმკვლელობის, მიზეზი რომანისტის დახვრეტისა. ... ბოლშევიკური რეაქცია ებრძვის ქართულ მწერლობას. ამ დროს თქვენ გსურთ საქართველოში ქართულმა მწერლობამ თქვენი რეცეპტების მეტი არაფერი სწეროს. დავაფასოთ ის შემოქმედება, რომელიც ასე ძვირად უჯდებათ, თუგინდ ჩვენთვის ბევრი რამ მოსაწონიც არ იყოს, ჩვენი ვალია მორალურად დავეხმაროთ ქართულ მწერლობას, რომელიც ასეთ ყოფაშია ჩავარდნილი“ (დაცულია ემიგრაციის მუზეუმის არქივში. პირველად გამოქვეყნდა გურამ შარაძის მიერ შედგენილ მარავალტომეულში „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“ (შარაძე 2005: 424-434).

2. ნაციონალური იდენტობის დაცვა ორივე შემთხვევაში მე-20 საუკუნის ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში და ამავე პერიოდის ქართულ საბჭოთა მწერლობაში – ძნელი იყო; ერთ



შემთხვევაში საბჭოთა რეჟიმის, მეორე შემთხვევაში კი უცხო სივრცის გამო. ორივე მწერლობამ მოახერხა ეროვნული იდენტობის დაცვა, ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციების, განვითარების ბუნებრივი ხაზის გაგრძელება, მაგრამ სამამულო მწერლობა საბჭოთა სივრცეში შედარებით უფრო წარმატებით განვითარდა, ვიდრე მე-20 საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა, უფრო კონკრეტულად, მხატვრული შემოქმედება. ქართული მწერლობა მოდერნისტული მსოფლმხედველობის, ესთეტიკის, სახელოვნებო ოსტატობის საფუძველზე გაცილებით აქტიურად, ვიდრე ემიგრანტული მწერლობა, განაგრძობდა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა ტრადიციული, ნაციონალური კულტურული პარადიგმების „ევროპული რადიუსით გამართვას“, ქმნიდა ანტიკოლონიურ, ამიტომაც უფრო ძლიერ და სიღრმისეულ ანტისაბჭოთა დისკურსს.

ამას თავისი მიზეზები აქვს. საზღვარგარეთ შექმნილი მწერლობის შემოქმედებით პოტენციალს უმთავრესად განსაზღვრავს ემიგრაციის მიზეზები, მენტალური სივრცე. ამ შემთხვევაში კონრეტული, ანუ მე-20 საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის მენტალური სივრცე ხასიათდება პოლიტიკური, სივრცითი, იდენტობის, ნოსტალგიური ჩაკეტილობით, ტრავმული, პოლიტიკურ-ნოსტალგიური ცნობიერებით (**კარტოზია ... 2016: 153-160**).

მე-20 საუკუნის ქართულმა ემიგრანტულმა მწერლობამ საკმაო ხანს იარა ეროვნული იდენტობის დაცვის გზით. ამიტომაც არ არის მოულოდნელი, რომ თავიდან ემიგრანტ მწერლებს აქტიურად არ აებათ მხარი ახალი ლიტერატურული პროცესებისათვის, შეგნებულად აერიდებინათ თავი იმ დროის ევროპული მიმდინარეობებისათვის, ავანგარდული, მოდერნისტული თემებისა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისათვის. ეროვნული იდენტობის დაკარგვის, წერისა და კვლევის უცხო სტილის მორგების შიშმა ეს მწერლობა საკუთარ ნაჭუჭში, საკუთარ იდენტობაში ჩაკეტა, პირველ ეტაპზე მაინც. სამშობლოში რომ დარჩენილიყვნენ, ისინი სიახლეებს ალბათ უფრო გაბედულად შეითვისებდნენ.

მართალია, მწერლობა იქცა კულტურული ტრავმის და-

ძღვეის ყველაზე შედეგიან საშუალებად, მაგრამ ზოგადად ირგვლივ გამეფებული ტრავმა ცუდად აისახა შემოქმედებითი პოტენციალის ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა თემატური სიღრმე, განსაკუთრებით მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი. ტრავმულმა, ნოსტალგიურმა ცნობიერებამ ჩამოაყალიბა ერთფეროვანი თემატიკა, ერთმანეთის მსგავსი სათქმელი. ეს სათქმელი, მართალია, მონოდებულია პირდაპირ, შეუნიღბავად, ქვეტექსტების გარეშე, თავისუფალია ბუნდოვანებისაგან, მაგრამ „პირდაპირ თქმის“ ეს ტენდენცია ზოგჯერ აზრს აუბრალოებს, აზრის პრიმიტიულად გამოხატვის შთაბეჭდილებას ახდენს. კულტურული მეხსიერების უპირატესობამ ტრავმულ ცნობიერებასთან ერთად ემიგრანტულ მხატვრულ შემოქმედებაში მყარი ნიადაგი შექმნა რომანტიკული განწყობებისა და თემების, ზოგადად, რომანტიზმის რეფლექსიისათვის.

საარქივო მასალა გვაცნობს, რას ფიქრობდნენ თავად ემიგრანტები ამის შესახებ.

აკაკი პაპავა წერილში „ფიქრები თბილისზე და მის მწერლობაზე“ აღნიშნავდა, რომ მწერლობის დიდოსტატები სამშობლოში იყვნენ დარჩენილი და ისინი იქ გაცილებით მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს ქმნიდნენ: „კარგად გვესმის, სუსტია ჩვენი ძალები: ხელოვნებისა და პოეზიის დიდოსტატები იქ დარჩნენ, „მესამე მოქცევის“ სახიფათო რკალში მოჰყვნენ, ამიტომ ჩვენი ხმა სუსტია, ძალიან სუსტი, მაგრამ იგი თავისუფალია და ამიტომ მართალი“ (პაპავა 1960:85).

ყურადღებას იპყრობს „მეგობრის“ ფსევდონიმით ამავე კრებულში დაბეჭდილი წინასიტყვაობა (სავარაუდოდ, წინასიტყვაობა თამარ პაპავას ეკუთვნის): „მართალია, ლარიზნი ვართ და ჩვენი ემიგრაცია ბევრით, ძალიან ბევრით ჩამორჩება ძველს, უფრო მეტად ჩამორჩება მისი მწერლობა არჩილ და ვახტანგ მეფეთა ემიგრაციის მწერლობას. ... მაგრამ ჩვენც ხომ იმავე საქართველოსათვის გადმოვხვენილვართ“ (პაპავა 1960:10).

პირად წერილებში, ჩანაწერებში „იყოლება“ ემიგრანტ მოღვაწეთა დაფარული ნოსტალგია-გულდანყვეტა, ალბათ, „კეთილი შური“ სამშობლოში დარჩენილთა მიმართ. საბჭოეთში, მიუხედავად დიქტატორული რეჟიმისა, მწერლობა ეროვნული

იდენტობის დაცვით ვითარდებოდა, ქართულ ნიჭსა და უნარს რეჟიმი ვერ ახშობდა, რადგან მშობლიური გარემო დიდი ძალა იყო, თითქოს „ათამამებდა“ შემოქმედს, „აიძულებდა“ შეექმნა უფრო ფასეული და ღირებული. ემიგრანტებს იმის შიში ნამდვილად ჰქონდათ, რომ ქართული იდენტობას იქ, უცხოეთში, დაკარგავდნენ, მშობლიური ენის წყარო კომუნიკაციის არქონის გამო სწორედ მათთვის დაიშრეტებოდა... „ენის ძირი გახმებოდა“. ეს არაერთი ემიგრანტის ნააზრევში (უფრო პირად წერ-ილებში) დასტურდება.

მაგალითად მოგვყავს ვრცელი ამონარიდი ჟურნალ „კავკასიონის“ ერთ-ერთი დამაარსებლის, ლავრენტი კვარაცხელიას, ვ. ნოზაძისადმი 1964 წელს მიწერილი წერილიდან: „არსებობს ერთნაირი ბუნების კანონი, რომელსაც ვერ გადაუხვალ: შემოქმედება სამშობლოს წიაღის გარეშე ვერ გაიშლება. ავიღოთ თუნდაც რუსები. მათი ემიგრაცია ხომ მრავალრიცხოვანია. თუ კარგად დაითვლი, იმდენივე გამოვა, რამდენიც ქართველები იქ დარჩა. ამაში ბევრი ნიჭიერი მწერლები იყვნენ, საკმაო საშუალებაც ჰქონდათ. დავუშვათ, ხვალ მდგომარეობა გამოიცვალოს და ეს ემიგრაცია შინ დაბრუნდეს, რას ჩაიტანს? ორ მაგალითს მოვიყვან, რომ ზეპირი ლაპარაკი არ გამოგვივიდეს. ბულგაკოვი, ერთი უნიჭიერესი და ძალიან ღრმად განათლებული ახალგაზრდა, აღმოჩნდა ცხრაას ხუთის რევოლუციაში, რევოლუციას გამოექცა და პარიზში დაბინავდა. აქ ის მღვდლად შედგა და სასულიერო აკადემია დააარსა, არც არაფერი ღირსშესანიშნავი დაუწერია. ვიაჩესლავ ივანოვი რუსული სიმბოლისტური პოეზიის მებაირახტე იყო და აგრეთვე მეტად ნიჭიერი კრიტიკოსი. ... ეს სრულებით ახალი მოტივი იყო რუსულ ლიტერატურაში. ვ. ივანოვი მოსკოვიდან ბოლშევიკებს გამოექცა. შემდეგ ბევრგან იყო, მშობლიურ ლიტერატურას დაეკარგა. ... მე განგებ ვჩერდები რუსულ მაგალითებზე, რადგან ეს ჩვენთვის უფრო მისაწვდომია .... მე ერთხანს განვიზრახე ტოლსტოის ნაწარმოებები მეთარგმნა, მაგრამ ვერ შევძელი. ენის მასალა არ მეყო. თითქმის ნახევარი საუკუნეა, სამშობლოს წყაროს მოშორებული ვარ და ენის ძირი გახმა. აქ ხომ განახლებაზე ფიქრიც ზედმე-

ტია. თანამედროვე აქაური ლიტერატურა ბევრს არ მიშველის“ (ნოზაძე 1950-70).

დღეს „მოძრაობის“ ფენომენმა, საზღვარგარეთ შექმნილმა კულტურამ, ტექსტებმა, ამ კულტურის თვისობრიობის, მისი რომელიმე კულტურული სივრცისადმი მიკუთვნებულობის პრობლემებმა მნიშვნელოვანი, მასშტაბური გახადა წვდომის მოპოვება საარქივო მასალაზე. ყველა ერი როგორც სამშობლოში, ასევე უცხოეთში, ცდილობს იმ საარქივო მასალის მოძიებას, რომელშიც ქვეყნიდან წასული ადამიანების მემკვიდრეობაა დაცული, ცდილობს მაქსიმალურად გამოიკვლიოს, უზრუნველყოს არქივების დაცვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მოაწესრიგოს ახალი დიგიტალური მეთოდებით, შექმნას ერთიანი ცენტრალიზებული ინფორმაციული ბაზა. დღეს აშკარაა ე. წ. „archival turn“, რადგანაც საარქივო მასალა სწორედ ახლა, ინტერდისციპლინური კვლევების ეპოქაში, მწერლობის, განსაკუთრებით კი საზღვარგარეთ შექმნილი მწერლობისა და იდენტობების ერთობლივ დისკურში, ხდება ლიტერატურათმცოდნეების, სოციოლოგების, წყაროთმცოდნეების, ისტორიკოსების, ფსიქოლოგების კვლევის მეტად ფასეული სფერო.

### გამოყენებული ლიტერატურა<sup>3</sup>:

**ეტტე 2016:** Ottmar Ette, *Writing-between-Worlds. Trans Area Studies and the Literatures-without-a-fixed-Abode*, Translated by Vera M. Kutzinsky, Berlin - Boston: Walter de Gruyter

**კარტოზია ... 2016:** კარტოზია ალ., ჩიტაური ნ., შამანაძე შ., *ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა*, გამომც „უნივერსალი“, თბილისი

---

3 ჩვენ მიერ გამოყენებული მე-20 საუკუნის ქართველ ემიგრანტ მოღვაწეთა ხელნაწერი თუ ნაბეჭდი პუბლიცისტური და ეპისტოლური ნიმუშები დაცულია თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმის არქივებში

**ლიტოვსკაია 2013:** Литовская М.А., *Капитализация эмиграции в творчестве русских писателей-авангардистов*, VII საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, ლიტერატურა დევნილობაში, ემიგრანტების მწერლობა (XX საუკუნის გამოცდილება)“, ნაწ. I., ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი

**მიწიშვილი 2006:** მიწიშვილი ნ., *ჩემი პასუხიც*, წიგნში: „ფიქრები საქართველოზე“, რედ. ლევან ბრეგაძე, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი

**ნოზაძე 1948:** ნოზაძე ვ., *ქართული მოდგმა და ხასიათი. ქართველი კაცი*, კრებულში „გარდასულ ჟამთა საქმენი და ამბავნი“, ნაწ. I, ხელნაწერი - ავტოგრაფი

**ნოზაძე 1950-70:** ვიკტორ ნოზაძის ეპისტოლური მემკვიდრეობა, მისი და მისადმი მიწერილი წერილები, ტ. III, ხელნაწერი – ავტოგრაფი

**პაპავა 1960:** პაპავა ა., *კრებული 1500-წლოვან თბილისს, ლექსები და წერილები*, სანტიაგო დე ჩილე, ნაბეჭდი

**საიდი 2012:** Саид, Эдвард, *Культура и империализм*, пер. с англ. А. В. Говорунова, (послесл. А. В. Говорунова), СПб.: Владимир Даль

**შარაძე 2005:** შარაძე გ., *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია*, რვატომეული, ტ. VII, თბილისი

**შტურმ-ტრიგონაკისი 2006:** Sturm-Trigonakis, Elke, *Global playing in der Literatur: Ein Versuch über die #eue Weltliteratur*, Monographie, Würzburg: Königshausen & Neumann

**ნულუკიძე 1929:** ნულუკიძე მ., *ესკიზები თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან*, ჟურნ. „კავკასიონი“, წიგნი I-II., პარიზი, ნაბეჭდი

## აკაკი და ლოტო

XIX საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, თუმცა არცთუ მისაღები სალონური გასართობი ბანქოს თამაში იყო, ამიტომ ბევრ ოჯახში სტუმრებს ამგვარ შექცევას არ სთავაზობდნენ. მაღალი საზოგადოების ეტიკეტისა და კარგი ტონის შესახებ დანერვილ წიგნებში ახალგაზრდებს ურჩევდნენ, არასოდეს ეთამაშათ კარტი, რადგან აზარტული თამაშებით გატაცება არა მარტო ზნეობრივად ხრწნიდა ადამიანს, არამედ ხშირ შემთხვევაში ოჯახის განადგურების საწინდარიც ხდებოდა.

თუ კარტის მიმართ ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნდა საზოგადოების მოწინავე ნაწილს, ლოტოს მიმართ საკმაოდ დიდხანს შენარჩუნდა ლოიალური მიდგომა. ითვლებოდა, რომ ეს გაცილებით უწყინარი გასართობი იყო, ვიდრე სხვა სამაგიდო თამაშები. ლოტომ მალე მოიკიდა ფეხი საზოგადოების სხვადასხვა ფენაში და განსაკუთრებული პოპულარობა ქალთა შორის მოიპოვა – თამაშობდა ყველა: მოხუციც და ახალგაზრდაც. თამაშობდნენ ყველგან: ოჯახებში, სალონებში, კლუბებში და, რაც მთავარია, თამაშობდნენ ფულზე.

რუსეთში ლოტომ პოპულარობის პიკს 40-იან წლებში მიაღწია, ხოლო როგორც სპეციალისტები გვიდასტურებენ, ამ თამაშით გატაცებამ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისისათვის სრულიად მახინჯი ფორმა მიიღო: «Не одна цветущая красотой и молодостью леди, проиграв в лото деньги, данные ей строгим супругом на домашнее хозяйство, вынуждена была для того, чтобы вернуть проигранное, пустить в торговый оборот такие свои «сокровища», которые при нормальном течении семейной жизни предметом торгового оборота не служат».... Поправляя пошатнувшийся семейный бюджет, барышни обращались с предложениями интимслуг в многочисленные публичные дома, тем самым непрерывно расширяя «ассортимент» заведений «улицы красных фонарей»(<https://gorod.dp.ua/news/61220>).

ლოტო საქართველოში რუსთა მმართველობის დამკვიდრე-

ბის კვალობაზე შემოვიდა და მალე შეაღწია ჩვენებურ სალონებშიც. სრულიად ახალგაზრდა აკაკი წერეთელი გახლდათ ერთი პირველთაგანი, რომელმაც განსჯის საგნად აქცია ლოტოთი გატაცება. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მის უცდომელ ყურნალისტურ ალღოზე.

აკაკი 1859 წელს გაემგზავრა პეტერბურგში. იმპერიის დედაქალაქში ცხოვრებამ მას ბევრ რამეზე აუხილა თვალი: „**პეტერბურგი ძალიან გამოცვლის კაცს. შემიძლია ვთქვა, რომ მანდ მეჭკვიანი ვიყავი, რაც ჩემს ხნობას შეეფერებოდა, მაგრამ ახლა მე თითონ მიკვირს მაშინდელი, რა ვიყავ იქა-თქო**“ (წერეთელი 1963: 22). მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად არც მას ულხინდა, ზოგიერთი ხელმოკლე ქართველი სტუდენტისთვის აკაკი ცდუნებას არ აწყობდა და აზარტულ თამაშებს არ მისძალუბია. ამიტომაც გაანაწყენა იმის გაგებამ, რომ მავანნი სამშობლოში მასზე არასწორ ინფორმაციას ავრცელებდნენ: „ყმანვილებმა მიანბეს. მე ძალიან ნაგინები ვარ თურმე იმერეთში. **გაპლუტდა და ქალაქში აგებს ფულსო და ტანისამოსიც წააგოო. არა, თურმე ქალაქში ვთამაშობ, რომელიც შესახედავად მეზარება.** ილიკოსთან იმისთვის ვიყავი ნაკიდებული, ხანდახან დროს გასატარებლად რათ თამაშობთქო და სამსონი ათასში ერთხელ პრაფერანს თამაშობდა ხოლმე და ეხლა ჩემი ხათრით იმასაც აღარ თამაშობს. შენი ჭირიმე, რა ტანისამოსი მქონდა წასაგები, არ იცით? მაშინ შერცხვენილი ვიქნები, რომ მაგათ ყური ვათხოვო“ (წერეთელი 1963: 24).

აკაკისათვის პრინციპულად მიუღებელი იყო ზოგადად აზარტული თამაშები და მით უფრო, ამგვარი გასართობი ქალების დაინტერესება. მისი აზრით, სანამ ქართველი ქალის ზნეობა შეუბღალავი, ხოლო ოჯახისადმი ერთგულება ურყევი იყო, მანამ იმპერიის ყველა მცდელობა ქართველი ხალხის გადაგვარებისა ამაო აღმოჩნდებოდა. რუსეთში არსებულმა ვითარებამ აკაკის მკაფიოდ დაანახა, რა საფრთხესაც უქმნიდა ქართულ ოჯახებს თითქოსდა უწყინარი თამაში, ამიტომაც უმაღლეს აიტაცა თემა, რომლის აქტუალობასაც, სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ თითქმის ვერავინ ამჩნევდა.

პირველი მცდელობა ქართველ ქალთა ქცევის კრიტიკუ-

ლად შეფასებისა იყო მოლაყბის (მიხეილ თუმანიშვილი) სტატია „ხაბარდა“ (ცისკარი 1860: ივნისი), ამიტომაც მან დიდი ხმაური გამოიწვია – თურმე, ვისაც „ცისკარი“ გამოწერილი არ ჰქონდა, ახლობლებს სთხოვდა, „ხაბარდა“ რო სწერია, ის ნომერი მათხოვეთ“.

სამიოდე თვის შემდეგ „ცისკარში“ მორიგი სტატია ქვეყნდება – „ხაბარდა და ლოტო“, რომელშიც ევროპული მოდით გატაცებასთან ერთად, კიდევ ერთი მანკიერებაა წამოწეული წინა პლანზე – ლოტოს თამაში. სტატიას ხელს „ქუთაისის მეჭორე“ აწერს. სავარაუდოდ, მისი ავტორი ჯერ კიდევ გიმნაზიელი ნიკო ნიკოლაძეა (ქართული..., I, 1940: 253). ისევე, როგორც მოლაყბის პუბლიკაციაში, ამ წერილშიც საუბარი ძირითადად ფრანგული მოდით გატაცებაზეა და მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები ლოტო. მკაფიოდ არ ჩანს, რატომ მიაჩნია ავტორს საძრახისად ლოტოს თამაში. მართალია, სტატიაში ნათქვამია, რომ ქალები ყოველ საღამოს უსათუოდ თამაშობენ ლოტოს და რომ ეს შექცევა, როგორც წესი, საათობით გრძელდება, მაგრამ უწყინარია, რადგან ჯიბეს ძალიან არ აზარალებს. ავტორისათვის უფრო გაუგებარია ქალბატონების გატაცება ამ მოსაწყენი და უაზრო თამაშით, ვიდრე აღმამფოთებელი.

ამ პუბლიკაციიდან ექვსი თვის შემდეგ, „ცისკარის“ 1861 წლის მარტის ნომერში ქვეყნდება აკაკი წერეთლის სტატია „ლოტოთი ლოტობა ქუთაისში“ ფსევდონიმით „თ. იმერელი“. აკაკის აზრით, „ხაბარდასა და ლოტოს“ ავტორი ჯეროვნად ვერ აფასებს იმ საფრთხეს, რასაც ლოტო უქმნის ქართველებს: „წარსულს წლის სექტემბრის „ცისკარში“ თუმცა წავიკითხე ლოტოზე ცოტა რამ მოთხრობა, მაგრამ ძალიან გაურკვეველად და სუსტად დაწერილი იყო..“ (წერეთელი 1961: 5). ამდენად, საჭიროდ მიაჩნია ნათელი მოჭფინოს საკითხის ზოგიერთ არსებით ნიუანსს. აკაკი თავდაპირველად მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ლოტო არ არის ჩვენი „ბუნებითი თამაში“ და აკონკრეტებს, რომ „ლოტოს თამაში იმერეთში გახშირდა ჩვენგან წლიდან, ესე იგი წარსულს ოსმალს ომის დაწყებთგან“ (წერეთელი 1961: 6). როგორც ცნობილია, რუსეთ-ოსმალეთის ომი 1553-1856 წლებში მიმდინარეობდა. ანუ სტატიის დაწერ-



ის მომენტისათვის ლოტოს ჩვენში სულ რაღაც ათიოდე წლის ისტორია აქვს და უკვე საგანგაშო ვითარებაა შექმნილი: წირვის დასრულებისთანავე ეკლესიის კარიბჭესთან იმაზე იწყებენ ქალები მსჯელობას, სალამოს ვისთან შეიკრიბონ ლოტოს სათამაშოდ. ხშირია თამაშში ღამის გათენების შემთხვევები და ფარისევლურად პირდაპირ ცისკრის ლოცვაზე გამოცხადება. თურმე, მთელი რუსეთის იმპერიისათვის ისეთმა ტრაგიკულმა ფაქტმაც კი, როგორც 1855 წელს სევასტოპოლის დაცემა იყო, ვერ შეანყვეტინა ქალებს ლოტოს თამაში.

სტატიაში აკაკი ჩვეული იუმორით აღწერს ლოტოთი შექცევისას გათამაშებულ ტიპურ სცენებს და შეკითხვას სვამს: „ნება მიბოძეთ, ქალბატონებო, გკითხოთ, რაც ზემოთ დამინერია, გენიშნებათ თუ არა? რა, თუნდა გენიშნებოდეთ, მაინც არ გატყდებით! მე და ჩემთა თანამოძმეთა კი ცხადად ვიცით, რო, მართალია, რასაც მოგახსენებთ“ (წერეთელი 1961: 11).

აკაკის განსაკუთრებთ სწევეტს გულს იმის ცქერა, რომ სილამაზითა და ნიჭით უზვად დაჯილდოებული ქართველ ქალები უფლისგან ბოძებულ ტალანტს ლოტოთი ლოთობით მარხავენ. მისი აზრით, მამაკაცებიც ბევრს სცოდავენ და თუ მათაც არ მოუკლეს „პრეფერანსის თამაშობას“, საქმე ცუდად წავა.

აკაკის ამ სტატიამ ბევრი გააღიზიანა. ჟურნალის მომდევნო ნომერშივე (ცისკარი 1861: 595-603) დაიბეჭდა ზაქარია ერისთავისა საპასუხო სტატია; ამ უკანასკნელმა შეცდომით მიიჩნია, რომ ორივე სტატიის („ხაზარდა და ლოტო“ და „ლოტოთი ლოთობა“) ავტორი თ. იმერელი იყო და ქალებზე, როგორც საზოგადოების ყველაზე სუსტ და დაუცველ ნაწილზე თავდასხმა სამარცხვინო საქციელად ჩაუთვალა.

ზაქარია ერისთავის აზრით, ამ სტატიების ავტორის პოზიცია არათუ არ იყო გასაზიარებელი, არამედ დასაგმობიც კი გახლდათ, რადგან დაუმსახურებელ შეურაცხყოფას აყენებდა ქუთაისელ მანდილოსნებს. პუბლიკაცია ასე იწყებოდა: „წარსულს სეკტემბრის წლის ცისკარში იყო თ. იმერლისაგან დანერილი სტატია „ლოტო ქუთაისში“, მოკლე, გაურკვეველი და არა შემდგომილი აღწერა ... ამ წლის მარტის ნიგნში ვიხილე თ. იმერელისა, როგორც ჰსწერს იგი, „ლოთობა ლოტოთი ქუთაის-

ში“ – ვეება პოემა, რომელშიაც, ჩემის აზრით, მკითხველი ვგონებ მხოლოდ ენისა მეტს ვერას ჰპოვებს ღირსებასა. მეტად უსაფუძვლოდ არის დანერილი, შეუსაბამოთ და უზღველათ“ (ცისკარი 1861: 595). ზაქარია ერისთავი თვლის, რომ ფსევდონიმს მხოლოდ ის ავტორი ამოეფარება, რომელიც არათუ სიმართლეს არ წერს, იმასაც ხვდება, რამდენად „უშვერი რამ დაუბლაჯავს“; გარდა ამისა, მისი თქმით, ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი ლაჩარია: იცის, ქალები რომ ვერ უპასუხებენ, მაგრამ მაინც იმალება; ამიტომ ზაქარია ერისთავი თავის მოვალეობად მიიჩნევს, დაიცვას „პატიოსანი, ზრდილი და უმანკო“ ქუთაისელი ქალების ღირსება.

ზ. ერისთავის დაკვირვებით, სტატიის ავტორი აზვიადებს, როდესაც წერს, ქალებს ლოტოს გარდა არაფერი აინტერესებთ და არც შეილება და ოჯახს აქცევენ ყურადღებასო. რასაკვირველია, ის იზიარებს პოზიციას, რომ „კაცი, რომელიც სცხოვრებს საზოგადოებაში, ვალდებულია, რომ როდესაც რაიმე ცუდსა ხედავს, მაშინვე გამოამცხადოს წერილით, რომე ყოველმა დაინახოს, როგორათაც მზე ნათლად, რასაც მოქმედს ცუდად. თორემ სხვით არაფრით არ შეიძლება, ხალხმა მოიშალოს თავისი ნაკლულევანება“ (ცისკარი 1861: 599). ლოტოს თამაშის კრიტიკას ზაქარია ერისთავი უკიდურესობაში ჩავარდნად მიიჩნევს. მისი აზრით, მამაკაცების მხრიდან პრეფერანსის თამაში უფრო დასაძრახია, რადგან ხშირად დუელამდე მიდის საქმე, ხოლო დიდძალი თანხის წაგების შემდეგ მთელი ოჯახი „მამა ანტონის საზრდოზე გადადის“. არც ცეკვა მოსწონს ზაქარიას: „ბალებში ან ვეჩერებში ტრიალებენ როგორც დაგიჟებულები. ეს უფრო მოსაწონია თუ? ერთს მხარეზედ შეხედავ, ნაქცეული ბძანდება ქალი, მეორეზედ გულშემოყრილს აბრუნებენ; და რამდენი ცივდებიან და ემართებათ ანთება. რა ვქნა, რომ არ მესმის, რითი სჯობიან ლოტოს ეს თამაშობაები?“ (ცისკარი 1861: 601-602).

ზაქარია ერისთავის სტატიას აკაკი აღარ გამომხმაურებია, რათა განემარტა, თუ „რითი სჯობიან ლოტოს ეს თამაშობაები“. ამ ფაქტს შეიძლება რამდენიმე ახსნა მოეძებნოს: საქმე ისაა, რომ სწორედ ამ პერიოდში შეაქვს აკაკის უნივერსიტეტში თხ-

ოვნა, რათა ნება დართონ კანდიდატის ხარისხის მისაღებად გამოცდების ჩაბარებისა; ნებართვას იღებს და ზედიზედ აბარებს გამოცდებს. შესაძლოა, ამის გამო ველარ მოეცალა პასუხის დასაწერად, თუმცა, თუ მის ბიოგრაფიას გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ მოუცლელობის გამო პოლემიკაში ჩართვაზე აკაკის უარი არასოდეს უთქვამს; სავარუდოდ, არც ამჯერად შეუშლიდა ეს გარემოება ხელს; უფრო საფიქრებელია, რომ, ერთი მხრივ, პოეტმა საჭიროდ აღარ ჩათვალა კამათის გაგრძელება საკითხზე, რომელიც მისთვის დღესავით ნათელი იყო, ხოლო, მეორე მხრივ, არც ზაქარია ერისთავი მიაჩნდა ისეთ მოწინააღმდეგედ, რომელსაც საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- ქართული ..., I, 1940:** ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ნაკვ. 1. თბ., 1940
- ცისკარი 1860:** ჟურნ. „ცისკარი“, № 6, თბ., 1860
- ცისკარი 1861:** ჟურნ. „ცისკარი“, № 3, თბ., 1861
- ცისკარი 1861:** ჟურნ. „ცისკარი“, № 4, თბ., 1861
- ცისკარი 1861:** ჟურნ. „ცისკარი“, № 6, თბ., 1861
- წერეთელი 1961:** წერეთელი აკაკი, *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*, ტ. XI, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961
- წერეთელი 1965:** წერეთელი აკაკი, *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*, ტ. XV, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1965
- <https://gorod.dp.ua/news/61220>

## ტაო-კლარჯეთის თემა ქართულ ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებში

*„... მერვე საუკუნის ნახევრიდან მეთათე საუკუნის დასასრულამდე, ტაო-კლარჯეთი ხდება სავანედ ქართული კულტურის, ქართული განათლებისა“.  
ნმ. ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი)*

ქართული ემიგრაციის პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების მუდმივი ფიქრის, ზრუნვისა და განსჯის საგანი იყო ტაო-კლარჯეთი – მისი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა, მისი წმინდა პოლიტიკური როლი ერთიანი საქართველოსათვის, რომლის შექმნის იდეა არც დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებულა და არც შემდეგ გამქრალა.

ტაო-კლარჯეთის თემა ის საკითხია, რომელიც ემიგრაციაში არ განიხილებოდა პარტიული კუთვნილების მიხედვით. თუმცა, ეს მხოლოდ კულტურულ-ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხით, პოლიტიკური ნიშნით კი ხშირად აზრთა სხვადასხვაობას და ზოგჯერ, დაპირისპირებასაც იწვევდა, რაც, შესაბამისად, მწვავედაა გაშუქებული ემიგრანტულ პერიოდულ გამოცემებში. ამჯერად ყურადღება მხოლოდ რამდენიმე პერიოდულ გამოცემაზე შევაჩერეთ: „ქართლოსი“, „გეორგიკა“, „კავკაზი“, „კავკასია“, „სამშობლო“, „დამოუკიდებელი საქართველო“, „ქართული საქმე“.

ჟ. „ქართლოსში“ გამოქვეყნებული ისტორიული მასალები მესხეთისა (სამცხე-საათაბაგო) და სამუსლიმანო საქართველოს (ტაო-კლარჯეთი) შესახებ უმნიშვნელოვანესი წყაროებია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ექ. თაყაიშვილის, შ. მაღლაკელიძისა და ვ. ნოზაძის წერილები.

1939 წლის ჟ. „ქართლოსში“ გამოქვეყნდა ექ. თაყაიშვილის წერილი „სამუსულმანო საქართველო“. ავტორი ზედმიწევნით ზუსტად აღწერს ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიულ არეალს: გა-

ნიხილავს ქოროხის ბასეინის პროვინციებს – კლარჯეთს, ტაოს, ისპირს და მათ საზღვრებს. იშველიებს ქსენოფონტეს, სტრაბონს, ნიკო მარს, ქართულ-ბერძნულ ტოპონიმიკასა და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებზე დაყრდნობით ასკვნის: „ამგვარად, ძველად მთელი ქოროხის ბასეინი დასახლებული იყო ქართველთა ტომებით“.

ექ. თაყაიშვილი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ბერი გრ. ხანძთელის მოღვაწეობას და იმონებს გ. მერჩულეს თხზულებას, რომელიც ამ ეპოქის არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო ცხოვრებასაც ხატავს.

„...ვერც კახეთის მფლობელებმა და ვერც აზხაზეთის მეფეებმა ვერ შესძლეს საქართველოს გაერთიანება. ეს ბედი ერგოთ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს. ამის მიზეზი იყო, ერთის მხრივ, მათი უნარი, ენერჯია და შორსმხედველობა; მეორეს მხრივ, და ეს თავი და თავია, უაღრესი კულტურა, რომელსაც მიაღწია ტაო-კლარჯეთმა მეცხრე და მეთათე საუკუნეში“, – ასკვნის მეცნიერი და შემდეგ ვრცლად მიმოიხილავს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ისტორიას.

ნაშრომის ბოლო ნაწილი ეთმობა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრების საკითხს და საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში განხორციელებული ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ვ. ნოზაძის წერილი „საქართველოს აღდგენისათვის – ბრძოლა მესხეთის გამო“. ნაშრომი გაფერებულია ფაქტებით, დოკუმენტებით, რუკებით და, რაც მთავარია, ავტორის ლოგიკური და მაღალმეცნიერული მსჯელობით.

ლონდონში გამომავალ სამეცნიერო კრებულ „გეორგიკაში“ (1936 წ.) სხვა ცნობილ ავტორთა წერილებთან ერთად, გამოქვეყნებულია ქართველი ემიგრანტი მოღვაწის ან. გუგუშვილის წერილი „საქართველოს ისტორიული და ეთნოგრაფიული დაყოფა“. ავტორი ეყრდნობა ვახუშტის, ივ. ჯავახიშვილის, ნიკო მარის და სხვათა უკვე გამოქვეყნებულ შრომებს და აღწერს გეოგრაფიულად როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს. სტატიას თან ახლავს საქართველოს ისტორიული

რუკა, რომელზედაც დატანილია ყველა ძირძველი კუთხე და მინა-წყალი დიდი საქართველოსი.

რაც შეეხება ტაო-კლარჯეთის ანუ სამუსლიმანო საქართველოს საკითხის განხილვას პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ მხრივ ფასდაუდებელ ინფორმაციას გვანვდის 1930-იანი წლების ჟურნალ-გაზეთები. პოლემიკა, სერიოზული განსჯა, დაპირისპირება მოჰყვა ჟ. „კავკაზში“ დაწყებულ კამპანიას კავკასიის, კონკრეტულად კი საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან დაკავშირებით.

ერთიანი კავკასიის იდეას მეტად ღრმა და შორეული წარსული აქვს.

ჟ. „კავკაზის“ ჯგუფი და პირადად ჰაიდარ ბამატი არა თუ იზიარებდა ერთიანი კავკასიის იდეას, არამედ იღვწოდა მისი განხორციელებისათვის. მაგრამ სწორედ აქ წარმოიქმნა აზრთა სხვადასხვაობა „ბამატის ჯგუფსა“ და დანარჩენ კავკასიელთა შორის.

კავკასიის ერთიანობა არასოდეს მიიჩნეოდა მხოლოდ ვიწრო რეგიონულ საკითხად. ქართულ ემიგრანტულ პერიოდიკაში გამართული პოლემიკა რუსეთ-იაპონიის დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. საბჭოთა იმპერიას ხელს აძლევდა საბჭოთა რესპუბლიკებად დაქუცმაცებული კავკასია, ხოლო მეორეს მხოლოდ ერთიანი კავკასია აინტერესებდა.

1933 წ. იაპონიის მხარემ კავშირი დაამყარა კავკასიელ ემიგრანტებთან. ეროვნულ-დემოკრატიკ. ქარუმიძეს და ჩრდილო კავკასიელ ჰ. ბამატს დაევაღათ შესაბამისი პოლიტიკური ჯგუფებისა და ბეჭდვითი ორგანოების შექმნა, რასაც იაპონიის მხარე დააფინანსებდა.

ჟ. „კავკაზი“ დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო იყო, ისევე როგორც 1937 წლიდან გამომავალი ქართული „კავკასია“. თანამშრომელთა შორის სჭარბობდნენ ქართველები: მ. წერეთელი, შ. ამირეჯიბი, გ. კვინიტაძე, ზ. ავალიშვილი, ვ. ციციშვილი, შ. ქარუმიძე, რ. მკურნალი...

ერთიანი კავკასიის იდეის საკითხში ჟ. „კავკაზის“ ჯგუფის წევრები და ემიგრანტთა უმრავლესობა ერთსულოვანი იყვნენ. თუმც, ბამატის დამოკიდებულება კავკასიის სამხრეთ

საზღვრებთან დაკავშირებით მიუღებელი აღმოჩნდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციისათვის. მას მიაჩნდა, რომ ერთიანი კავკასიის სახელმწიფოებრივი მშენებლობა მხოლოდ ირანთან და თურქეთთან მეგობრული კავშირით და საბჭოთა კავშირის იმჟამინდელი სამხრეთ საზღვრების აღიარების პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. ეს პოზიცია ჟურნალის პირველივე ნომერში გამოხატა.

რას ფიქრობდა და წერდა ბამატი, ან კიდეც, რამდენად საიმედო დასაყრდენი იქნებოდა თურქეთი საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში – ერთია, მეორე კი – ქართველი ზ. ავალიშვილი და მისი პოზიციაა.

საქართველოს სამხრეთ საზღვრების გამო პოლემიკა „ქართლოსის ფურცლებზე 1937 წლის მაისიდან დაიწყო დ. მარჯანიშვილის წერილით „კავკაზ“, კავკასია და ოსმალეთი“. მის აღშფოთებას ინვეეს ჰ. ბამატის და მისი ჯგუფის პოზიცია საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობებთან დაკავშირებით, ის, რომ ისინი კავკასიის სამხრეთ საზღვრებს – ანუ საბჭოთა კავშირის საზღვარს ოსმალეთთან და ირანთან აღიარებდნენ და ამტკიცებდნენ, „მომავალში ოსმალეთი კავკასიის მეგობარი“ იქნებოდა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაუჭერდა მხარს კავკასიელებს. ავტორი საეჭვოდ მიიჩნევს დაპირებას არსებული რეალობიდან გამომდინარე და საშიშ მოვლენად თვლის. ამ წერილს ჟურნალის შემდეგ ნომერში მოჰყვა ვ. ნოზაძის „ეტრატული პოლიტიკა თუ ზრუნვა ქვეყნისათვის“, ბ. ვარდანის „კავკაზ“, ოსმალეთი, „ქართლოსი“ და ბ. ბებურიშვილის „პოლიტიკური მორალი და პოლიტიკური მუშაობა“ (ორივე ფსევდონიმი ვ. ნოზაძისაა – რ.კ.).

პირველი ფაქტიურად პასუხობს ჟ. „კავკაზში“ გამოქვეყნებულ ზ. ავალიშვილის წერილს „პოლიტიკური არაბესკები“, რომელშიც ავტორი აკრიტიკებს ქართლოსის დებულებებს კავკასიის საკითხზე. ცნობილია, რომ ქართლოსის, ანუ ფაშისტური დარაზმულობის მთავარი იდეა და მიზანი საქართველოს სამეფოს აღდგენა იყო. კავკასიის კონფედერაცია მათთვის არ წარმოადგენდა სასურველ ფორმას კავკასიური ერთიანობისა. ვ. ნოზაძე გარკვევით განმარტავს წერილში, რომ საქართველოს

სამეფო და დამოუკიდებელ კავკასიურ სახელმწიფოთა კავშირის შექმნა არის ფაშისტური დარაზმულობისათვის მისაღები მოდელი. აქვე, ყურადღება მახვილდება საქართველოს სამხრეთ საზღვრებზე და იმ ტერიტორიებზე, რომელიც მოსკოვმა 1921 წ., საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ძღვნად მიართვა ოსმალეთს. ავტორი გადაჭრით აცხადებს: „ოსმალეთის მხრივ საქართველოს სამეფოს საზღვრებად ჩვენ მიგვაჩნია 1914 წლის საზღვარი და მაშასადამე, ამის გამო ბაასი თუ დავა ოსმალეთთან მომავალში გვექნება“. აქ ორი საკითხია დასმული: საქართველოსა და მთლიანად კავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელი და მეორე – საქართველოს დაკარგული ტერიტორიები.

მეორე წერილში განხილულია ბრესტ-ლიტოვსკისა და ყარსის საზავო ხელშეკრულებები, „კავკაზ“-ბამატის დამოკიდებულება არდაგან-ართვინ-ბათუმის პრობლემისადმი. ავტორი მიიჩნევს, რომ ამ პოზიციის მიმდევარნი არა კავკასიის, არამედ ოსმალეთის ინტერესებს იცავენ.

საკითხი დაისმის ასე: ან ყარს-არდაგან-ართვინი კავკასიის მიწა-წყალია, გვაქვს უფლება მოვითხოვოთ მათი დაბრუნება და ამითვე არ ვცნობთ მოსკოვის მიერ დადებულ ხელშეკრულებას, ან პირიქით, ვცნობთ ყარსის ხელშეკრულებას, ამითვე ვცნობთ მოსკოვის ხელისუფლებას და უარს ვამბობთ ისტორიულ ტერიტორიებზე, რაც მიუღებლად მიაჩნია წერილის ავტორს და ნათლად ხედავს მომავალში ისტორიული ტერიტორიების კავკასიისათვის დაბრუნების მოთხოვნის შესაძლებლობასა და აუცილებლობას.

მესამე წერილი „პოლიტიკური მორალი და პოლიტიკური მუშაობა“ დაპირისპირების ფრონტს აფართოებს – „კავკაზსა“ და „კავკასიას“ „დამოუკიდებელი საქართველოც“ ემატება. ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს დ. გურამიშვილის „... ან რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო“ – მართლის თქმის პრინციპი, მხილება გამხდარა ავტორის იარაღი და მეორე ეპიგრაფი კი ნ. ლორთქიფანიძის „იყიდება საქართველო“-ა. ფაქტიურად, ამით ყველაფერია ნათქვამი.

ავტორის აღმფოთებას იწვევს ზ. ავალიშვილის პოზიცია: „აქ (ოსმალეთის საქართველო – რ. კ.) ბევრი სამუშაოა ქართ-



ველ არხეოლოგისთვის, ისტორიკოსისთვის, ეტნოგრაფისთვის... პოლიტიკოსებს არაფერი აქვთ საკეთებელი..." და კიდევ, „კავკასიელ ხალხებს არა აქვთ არც მისწრაფება... და არც შესაძლებლობა, დაემუქრონ ახლანდელი საზღვრების ხელუხლებლობას“ („კავკასიის ერები და ირრედენტიზმი“).

ვ. ნოზაძეს თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მოჰყავს 1921 წლის დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერეს „მთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს წარმომადგენლებმა... მათ პროტესტი განაცხადეს ყარსის ხელშეკრულების წინააღმდეგ და არა სცნეს იგი“.

ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ორივე მხარისკენაა სიმართლის მარცვალი. ზ. ავალიშვილი – რეალური პოლიტიკის პრინციპების მომხრე, მიუმხრობელი პოლიტიკოსი და მეცნიერი – ხედავს რეალობას, გლობალურ პოლიტიკას, მეორე მხრივ – ქართლოსიანნი, რომლებსაც მიზნად აქვთ აღადგინონ საქართველოს სამეფო, დაიბრუნონ ისტორიული ტერიტორიები და არ სცნობენ დამპყრობელთა მიერ დადებულ ხელშეკრულებას ოსმალეთთან.

ყარსის ხელშეკრულება არც ზ. ავალიშვილისთვის უნდა ყოფილიყო მისაღები, ის ხომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ავტორი იყო.

პოლემიკა კულმინაციას აღწევს ზ. ავალიშვილის წერილის „ზოგი ერთი პოლემიკის გამო“ გამოქვეყნების შემდეგ. ავტორი აზუსტებს თავის პოზიციას: „ჩვენი დროის პოლიტიკურ ვითარებაში, ე.ი. ახლა, 1937 წელს, სამხრეთ საზღვრების საკითხის გადასინჯვას დღიურ საჭირობოროტო საკითხად ვერ ჩავთვლით და პრაქტიკული პოლიტიკის ფარგალს არ ეკუთვნის“.

ზ. ავალიშვილი აანალიზებს ბერლინის ტრაქტატის (1978 წ.), ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების (1918 წ.) შედეგებს, შემდეგ „დღემოკლე კავკასიის რესპუბლიკის“ დიპლომატიურ და სამხედრო უიღბლობაზე საუბრობს, 1918 წლის მარტის ტრაპიზონის და მაისის ბათუმის კონფერენციებს განიხილავს. მისი კრიტიკის საგანი ხდება 1918 წ. 4 ივნისის დადებული ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება ოსმალეთთან დამოუკიდებლობის გამოცხადების ერთი კვირის თავზე, რომელსაც ხელს

ანერდნენ საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნ. რამიშვილი, გ. გვაზავა, გრ. რცხილაძე და გენ. ი. ოდიშელიძე. ეს ხელშეკრულება, საბედნიეროდ, რატიფიცირებული არ ყოფილა საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენათა გამო, თორემ შედეგები უარესი იქნებოდა – „1921 წლის საზღვრები გაყვანილი იქნებოდა „ბრესტულ“ იდეათა მიხედვით“-ო.

წერილს გამოხმაურება მოჰყვა „ქართლოსში“ და „დამოუკიდებელ საქართველოში“. გ. გვაზავამ არგუმენტირებული პასუხი გასცა ზ. ავალიშვილს წერილით „ვინ გასცა საქართველოს მინა-წყალი?!“. ავტორის მთავარი არგუმენტები ასეთია: 4 ივნისს საქართველოს დელეგაციის წინ იდგა ოსმალეთის ჯარი და თუ არა ამ დოკუმენტზე ხელის მოწერა, ოსმალეთი კიდევ ერთხელ აანოკებდა საქართველოს და რომ დელეგაციისათვის ხელის მოწერა იყო მხოლოდ დროის მოგება, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ხმლის ხელიდან გაგდებას, ეს იყო ბრძოლის გადადება. იგი განმარტავს: „რატიფიკაცია არ მომხდარა... ასე ჩაბარდა ისტორიას ბათუმის ხელშეკრულება: იმან სარგებლობა დიდი მოგვიტანა, ზიანი კი არავითარი“.

პარალელურად პოლემიკა მიმდინარეობდა ჟ. „სამშობლოს“ გვერდებზე, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო იყო და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ელ. პატარიძე რედაქტორობდა. პირველი წერილი ჩნდება 1937 წლის აგვისტოში – „ერთად ერთი კონფედერატიული ორგანო“. ავტორი მიუღებლად მიიჩნევს ბამატის პოზიციას კავკასიის სამხრეთ საზღვრებისა და ბათუმის საკითხთან დაკავშირებით.

ჟ. „სამშობლოში“ ქვეყნდება ელ. პატარიძის ვრცელი წერილი „საქართველოს ტერიტორიის საკითხი“. იგი დეტალურად განიხილავს საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულს, როდის და რა წაგლიჯა გარე თუ შედა მტერმა ქვეყანას. განიხილავს კავკასიის კონფედერაციის საკითხს, ქვეყნისა და ერისათვის ტერიტორიის მნიშვნელობას: „... ერის მიერ საკუთარი ტერიტორიის დაკარგვა მისი ეროვნული მეობის დაკარგვას უდრის... ერი და ტერიტორია ერთი და იგივე არსებაა. მათი ერთი მეორისაგან გაყრა – ეროვნული სიკვდილია“.

ავტორი საუბრობს ტაო-კლარჯეთის ისტორიულ და პოლი-

ტიკურ მნიშვნელობაზე, ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების აუცილებლობაზე და მოუწოდებს ყველა გონიერ ადამიანს ებრძოლოს ბამატის მიერ დანერგილ საზიანო აზრს.

დაბოლოს,

„1937 წლის დეკემბრის 4-ს მიუზე სოსიალის დარბაზში შესდგა პარიზის ქართველთა საზოგადოების კრება. კრების დანიშნულება იყო მოესმინა საქართველოს დამფუძნებელთა კრების თავმჯდომარის ამხანაგის, პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენება ეგრედ წოდებულ სამუსულმანო საქართველოს შესახებ და გაერჩია ის პოზიცია, რომელიც დაიკავა რუსულმა ჟურნალმა „კავკაზ“-მა 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების გამო, რომლის მიხედვით საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთს გადასცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი: ართვინ-არტაან-ოლთისის და ბათუმის რაიონები“.

სხდომაზე თავის გამოსვლაში ვ. ნოზაძემ მეტად საგულისხმო დოკუმენტი წარმოადგინა: „კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ყოველი შეთანხმება და ხელშეკრულება, რომელსაც თავზე მოახვევენ კავკასიის სახელმწიფოებს, და რომელნიც შეეხებიან ტერიტორიის დათმობას, ან გადაცემას, აგრეთვე, ყოველგვარი კონცესიები და პრივილეგიები, რომელნიც გაიცემიან სომხეთსა, აზერბაიჯანსა, ჩრდილო-კავკასიასა და საქართველოში... მოკლებულია ყოველივე კანონიერ მნიშვნელობას და არა ნამდვილად იქნებიან ჩათვლილი (1921 წ., ივნისის 16, პარიზი)“. დოკუმენტს ხელი მოაწერს ჩრდილო-კავკასიის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს უცხოეთში გამოხიზნულ მთავრობათა წარმომადგენლებმა.

დოკუმენტი, რასაკვირველია, მხოლოდ „მორალური და ემიგრაციის სახელმძღვანელო დებულება“-ა, მაგრამ რუსეთის მიერ დამოუკიდებელ საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება (1920 წ., 7 მაისი) და საერთაშორისო ცნობა საქართველოსი (1921 წ., 27 იანვარი), რითაც საქართველო ცნობილი იყო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო მისი მთლიანი ტერიტორიით, ნამდვილად ოფიციალური, საერთაშორისო მნიშვნელობის პოლიტიკური და სამართლებრივი აქტია და ეს, ალბათ, რალაცას ნიშნავს მომავლისათვის!

და კიდევ, 1937 წ. 4 დეკემბრის კრებამ მიიღო რეზოლუცია: „... კრება საჯაროდ აცხადებს, რომ ქართველი ერი ერთსულოვნად და ურყევად სდგას თავისი ტერიტორიალური მთლიანობის ნიადაგზე და არავის მისი დარიგება-დანაწილების უფლებას არ აძლევს.

კრება აცხადებს, რომ ქართველი ერი დიდათ აფასებს თურქეთის რესპუბლიკასთან კეთილ-მეზობლურ განწყობილებას და ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს და საერთოდ კავკასიის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რაც ორივე მხარის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენს, ყოველი სადავო საკითხის გადაწყვეტა ამ ორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის, მეგობრული და მშვიდობიანი გზითა და საშუალებით იქნება შესაძლებელი. პარიზი, 1937 წ., დეკემბრის 4“.

რეზოლუციას, როგორც უკვე ვიხილეთ, პოლემიკა არ შეუჩერებია. მისი ერთგვარი ლოგიკური დასასრული ფ. „ქართლოსის“ ბოლო ნომერში ჩვენს მიერ უკვე განხილული ექ. თაყაიშვილისა და ვ. ნოზაძის წერილები აღმოჩნდა, უფრო კი, აზრთა სხვადასხვაობას წერტილი II მსოფლიო ომმა დაუსვა.

გაჩნდა იმედი, საქართველოს და კავკასიის გათავისუფლებისა საბჭოთა იმპერიის მარნუხებიდან. ბრძოლამ ყურნალის ფურცლებიდან ბრძოლის ველზე გადაინაცვლა. იქ იდგა ვ. ნოზაძე, ზ. ავალიშვილი... და კიდევ მრავალი ღირსეული ქართველი.

და დღესაც, როგორც წმ. ილია მართალი იტყოდა: „... თუ მაინც და მაინც არა გვეშველებარა, იმის საბუთად მაინც დაგვრჩება, რომ ხმის ამოღების დროს, ხმა გაკმენდილი არა ვყოფილვართ. იმას მაინც იტყვიან, იმათაც უფიქრიათ, უზრუნვით ქვეყნისათვის. მართალია, ეს დიდი ნუგეში არ არის ქვეყნისათვის, მაგრამ სულ არარაობას მაინც ეგა სჯობია“.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1926-1939 წწ. პარიზი  
ჟურნ. „სამშობლო“, 1929-1939 წწ., პარიზი  
ჟურნ. „კავკაზ“, 1934-1939 წწ., პარიზი  
კრებ. „გეორგია“, 1935-1937 წწ., ლონდონი  
ჟურნ. „კავკასია“, 1937-1939 წწ., პარიზი  
ჟურნ. „ქართლოსი“, 1937-1939 წწ., პარიზი  
ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-  
ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, 1938 წ., პარიზი  
გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის  
ისტორია, ტ. I-VIII, 2001-2005 წწ., თბილისი  
გიორგი შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული  
რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, 2003 წ., თბილისი  
გიორგი შარაძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრა-  
ობის დასავლეთევროპული ცენტრი ჟენევაში და პოლიტიკური  
ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის  
ევროპაში, 2006 წ., თბილისი  
Георгий Мамулия, Борьба за свободу и независимость  
Кавказа (1921-1945), 2012 г., Тбилиси-Париж

## აკაკის უბის ნიგნაკების ჩანაწერები

არც ერთ მხატვრულ თხზულებას არ შესწევს უნარი, გადასცეს მკითხველს მწერლის ცხოვრების შესახებ იმდენი ინფორმაცია, რამდენიც უბის ნიგნაკს. მასში თავმოყრილი მასალა კარგად ასახავს შემოქმედის განწყობილებებს, მის გატაცებებს, თხზულებათა პირველ მონახაზებს, საქმიანობის გეგმებს, ამა თუ იმ მოვლენიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს და ა.შ. ეს ჩანაწერები არა მარტო ხელს უწყობს მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლას, არამედ ინტერესის სფეროს წარმოადგენს ფართო მკითხველისთვისაც. საბედნიეროდ, შთამომავლობას შემორჩა აკაკი წერეთლის სამი უბის ნიგნაკი, რომლებიც მისი მფლობელის ცხოვრებისა და შემოქმედების ბევრ საიდუმლო დეტალს ინახავს.

აკაკის უბის ნიგნაკებში თავმოყრილი მასალა მრავალფეროვანია, თუმცა დღემდე გამოუქვეყნებელია და, ამდენად, სრულიად უცნობია მკითხველისთვის.

პოეტის ერთი უბის ნიგნაკი, რომელიც დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში (ავტოგრაფი №8ა), განსხვავდება არა მარტო იმ პერიოდის შემოქმედთა უბის ნიგნაკებისგან, არამედ პოეტის დანარჩენი ორი ნიგნაკისგანაც. როგორც წესი, მსგავსი ტიპის დოკუმენტებში ასახულია ლიტერატურული პროცესები, ნაწარმოებთა დაწერის ან დახვეწის მანიშნებელი ფრაზები, მოსაზრებები, მომავალი გეგმები და ა.შ. აღნიშნულ უბის ნიგნაკში მხოლოდ დასაწყისშია რამდენიმე ლექსის ავტოგრაფი („ახირებული დასტური“, „ჩემ თანამეკალმეს“, ნაწყვეტი „მატიანე ქართლისადან“) და მისამართები. დანარჩენი, საკმაოდ დიდი სივრცე, უჭირავს ანგარიშებს, მათ შორის, კვერეთის მამულის შემოსავალ-გასავლის ასახვას.

აღნიშნულ ნიგნაკში ცალ-ცალკეა ჩამონერილი და შემდეგ

დაჯამებული გლეხებისგან, მაგალითად, ბეჟანა ფრუალიძის, მიხეილა ივანაშვილის, ბესო დევიძის, ივანა გაბაძის, პავლია ასანიძისა და სხვათაგან შემოსული სამოსახლოს, ტყის, სიმინდის ღალის, პურის, ჩალა-ბზის, „ლობიესა“ და „კვახის“ თანხები.

ნიგნაკის 92-ე გვერდზე პოეტს ჩაუნიშნავს, რომ „მუხა რვა ძირია მოჭრილი, ცაცხვი ერთი ძირი, ნიფელა სამი ძირი“, ხოლო იმავე გვერდზე აკაკი ითვლის, ეს ყველაფერი როგორ უნდა გადანანილდეს და იწერს უბის ნიგნაკში, რომ 5 (ან 8, რიცხვი გაურკვეველია – ე.ზ., მ.ა.) საყენი – ცეცხლისთვის, ათი ურემი მეტია სარათ და მარგილად, რომ გამოდგებოდა“.

აკაკის არც იმის ჩანიშვნა დავინწყებია, ვინ გადაუხადა მას ფული, ან თვითონ ვისი ვალი გაისტუმრა. ამის დასტურია უბის ნიგნაკის 130-ე გვერდზე ჩამოთვლილი გვარები, რომლებსაც თავზე აწერია: „მმართვეს“. ის სახელები, რომელთა ვალიც აკაკის გაუსტუმრებია, გადახაზულია. 131-ე გვერდზე კი გვარსახელების გრძელ სიას ზემოდან აწერია: „მართვეთ“. აქედან ორ სახელს ხაზი აქვს გადასმული. „ლოლუა 8“ და „ტასოს 100“, ე. ი. მათ აკაკისთვის ვალი დაუბრუნებიათ.

უბის ნიგნაკის ეს ანგარიშები უამრავ მასალას იძლევა პოეტის ფსიქოტიპის შესასწავლად, კერძოდ, თითოეული მოსახლის გვართან საგულდაგულოდ სუფთად ჩამონერილი მოსავლის სხვადასხვა სახეობა გვერდზე მინერილ ფასთან ერთად აკაკის მონესრიგებულობასა და აკურატულობაზე მეტყველებს. ამ ცხრილების მეშვეობით, ვერც თვითონ პოეტი მიედავებოდა ვინმეს, არ მოგიცია ვალიო და ვერც სხვა შეედავებოდა, უკვე გადავიხადეო. უბის ნიგნაკის საბუღალტრო ანგარიშები ნათლად აჩვენებს აკაკის მამულში მიმდინარე მთლიან პროცესს. მიუხედავად ამისა, ანგარიშების შესწავლამ აჩვენა, რომ პოეტს რიცხვების შეკრებისას ზოგან შეცდომა დაუშვია. დაანგარიშებული ჯამი არ ემთხვევა შესაკრებთა რაოდენობას, მაგალითად, მიხეილა ივანაშვილთან:

სამოსახლო	16 მ.
ტყის ფასი	10 მ.

სიმიონდი	15 მ. თხუთმეტი კოდი
პური	12 მ. ექვსი კოდი
ჩალა-ბზე	5 მ.
ლობიე	8 მ.
	-----
	60 მ.

დაანგარიშების შედეგად მიღებულია სულ 60 მანეთი 66-ის ნაცვლად. ეს რომ იყოს ერთი შემთხვევა, უნებურ შეცდომად ჩაითვლებოდა, მაგრამ ასეთი არის რამდენიმე: ბესო დევიძესთან 42 მანეთია 49-ის ნაცვლად, ასევე ივანე გაბაძესთან, პავლია ასანიძესთან და ა.შ.

რა ინფორმაციას გვაძლევს ეს არითმეტიკული შეცდომები აკაკის ხასიათის შესახებ?

შეცდომების რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ ისინი არ შეიძლებოდა პოეტს უნებურად გაპარვოდა. სავარაუდოდ, იგი გადასახადს სრულად არ ართმევდა გლეხებს და გარკვეულ თანხას მათ პატიობდა, ანუ 66 მანეთის ნაცვლად ართმევდა 60-ს, 49-ის ნაცვლად 42 მანეთს და ა.შ. გარდა ამისა, უბის წიგნაკის ანგარიშები გვანვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პოეტი იძულებული იყო ცხოვრებისთვის ფეხი აენწყო, ყოველდღიურობაში ჩაბმულიყო და საარსებო საშუალებაზე ეზრუნა. აკაკის თხზულებების გარეშე იმ პერიოდის არც ერთი ბეჭდური ორგანო არ გამოდიოდა, მაგრამ რა ჰონორარი შეიძლებოდა ჰქონოდა უმუშევარ პოეტს, მარტო მისი ლექსის – „არაბი ფაშას“ კომენტარიც ადასტურებს, რომელშიც ვკითხულობთ: „ერთ დღეს რედაქციაში გვესტუმრა აკაკი და წაგვიკითხა „არაბი ფაშა“, საუცხოო ლექსი აჯანყებულ აბაშელების სარდალზე დანერილი. ალტაცებით მოვისმინეთ. პეტრე უმიკაშვილმა სთქვა: – ყმანვილებო, ქართული მწერლობის მომავალმა მემკვიდრეებო, დეე, გულისტკივილით მოიხსენიოს ის ფაქტი, რომ საქართველოს უწარჩინებულეს მგოსანს – აკაკის ერთადერთი ქართული გაზეთის რედაქციამ ერთი მანეთი მისცა ისეთ ლექსში, როგორც არაბი ფაშააო“ (დ. მესხი, „მოგონებანი“, თბ., 1940, გვ. 84-85).



სწორედაც რომ დღეს დადგა პეტრე უმიკაშვილის ანდერძით დანატოვრის ასრულების დრო და გულისტკივილით ვფურცლავთ და „ვიხსენებთ“ აკაკის გაჭირვებას. უბის წიგნაკის ეს ანგარიშები იმის მაჩვენებელია, რომ პოეტი მხოლოდ „ცაში არ დაფრინავდა“, ან პირიქით, სწორედ ეს შეცდომები, ანგარიშში დაშვებული, ადასტურებს, რომ ის ზუსტადაც „ცაში დაფრინავდა“, არ იყო მთელი არსებით იმ მატერიალურ საქმესთან, რომლის კეთებასაც ცხოვრება აიძულებდა, არ შეეძლო დასულიყო იმ წვრილმანებამდე, როგორც მისი მამულიდან შემოსული კაპიკების მიმატება-გამოკლება იყო. „განთიადის“, „სულიკოს“, „გამზრდელის“, „თორნიკე ერისთავის“ და სხვა უამრავი შედეგის ავტორი იძულებული იყო, „სიმინდი, პური, ლობიე...“ და სხვა ათასი წვრილმანი ეთვალა იმ ძვირფას დროში, რომელიც შედეგების შექმნას უნდა მოხმარებოდა.

და აკაკი არ იყო გამონაკლისი. უამრავი მსგავსი ფაქტია შენიშნული ილია ჭავჭავაძისა და სხვა მოღვაწეების ბიოგრაფიებშიც.

ფულის ანგარიშში დაშვებულმა შეცდომებმა ახალი შტრიხები შეჰმატა პოეტის ისედაც არაჩვეულებრივ პორტრეტს და სულ სხვა წახნაგიდან დაანახვა იგი როგორც მკვლევრებს, ისე მისი ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველებს.

გარდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა, აკაკი წერეთლის ორი უბის წიგნაკი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. ისინი მკითხველის ყურადღებას სწორედ იმით იქცევენ, რომ მასალის დიდი ნაწილი სხვადასხვა ენაზეა შევსებული.

ერთი მათგანი (ავტოგრაფი № 17799) შავყდიანია, რომელზეც მომწვანო-მოოქროსფერო ნაჭერია გადაკრული. უბის წიგნაკის მრავალფეროვანი ტექსტები ჩანერილია ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მაგალითად, უბის წიგნაკის მე-10 გვერდზე დაფიქსირებულია პარიზული მისამართი ფრანგულ ენაზე, ხოლო მე-12 გვერდზე ჩამოწერილია რუსული სიტყვები ფრანგული შესატყვისებით: Франция – France... და ა.შ. მე-12 გვერდიდან 25-ე გვერდამდე (ზოგიერთი ფურცლის გამოტოვ-

ბით) გვხვდება საკმაოდ გაურკვეველი ხელით გაკეთებული რუსული ჩანაწერები. უბის წიგნაკის მე-7 გვერდზე მისამართია დაფიქსირებული ქართულ ენაზე: „კონსტანტინე [საბასონის] ძეს ჭუბურიძე, ადრესი: გიორგი ჭუმბურიძეს ჭიათურაში“.

იმავე გვერდის V-ზე (ვერსოზე) ფანქრით ორი გამოცანაა უკულმა ჩანწერილი, რომელიც პოეტს ფანქრითვე გადაუხაზავს, მაგრამ შემდეგ აღუდგენია:

1

პირველი პირადი ზმნაა,  
მეორე მხოლოდ ფერია;  
ორივე ერთად ქალაქი!  
კალენდარებშიდ სწერია.

2

პირველი ყვავილი არის,  
მეორე ცხენის გვარია,  
ერთად კი აღმოსავლეთში  
შესანიშნავი მხარეა.

უბის წიგნაკის მხოლოდ მე-11 გვერდის ვ-ზე გვხვდება საქმიანი ჩანაწერი, რომელიც ასე გამოიყურება:

ვ. თავართქილაძის 400 მ.

მივეცი:

130

16

40

50 ნიკომ წაიღო

35

100

27 აბრამიშვილის ქირა

ლიტერატურის მუზეუმში დაცულ პატარა, შავი ფერის უბის წიგნაკში (ავტოგრაფი №17794) გვხვდება, როგორც ჩანს

ავტორისთვის გასაგები, მაგრამ მკითხველისთვის გაუგებარი ნალმა-კულმა, ზოგან ნაშლილი ჩანანარები რუსულ, ქართულ და ფრანგულ ენებზე.

აღნიშნული წიგნაკის საკმაოდ დიდი სივრცე ლიტერატურულ ტექსტებს უჭირავს.

მე-6 გვერდზე პოემა „მედიას“ მონახაზია: „იაზონ – ძე მეფისა უსალიელისა, ეზონისა. პელეი – მამა იასონისა“ და ა.შ.

უბის წიგნაკის მე-18 გვერდის ფანქრით შესრულებული ჩანანერი –

„ისუფაქიძე-ჩოლოყაშვილები

და მაცაშვილები

სალიმ ხანი მართებელი კახეთისა 1657. ბიძინას შეხვდა, ზაალ ერისთავს და [ცოლს]“, – ჩვენი აზრით, „ბაში-არუკზე“ მუშაობის პროცესს უნდა ასახავდეს.

ეს ჩანანერები ადასტურებს, რომ აკაკი კარგად სწავლობდა ყველა საკითხს მხატვრული თხზულებისა თუ პუბლიცისტური წერილისთვის შერჩეული თემის გარშემო. შემდეგ ამ მოპოვებულ ცნობებს, ფაქტებს, საკუთარ აზრებსა და შთაბეჭდილებებს ინერდა როგორც უბის წიგნაკში, ისე ნებისმიერ ფურცელზე.

ასევე, პოეტი რომ ბევრს მუშაობდა მხატვრული თხზულებების ენის დახვეწაზე, ლექსიკური ერთეულების შერჩევაზე, – მიუთითებს უბის წიგნაკის მე-19 გვერდზე გაკეთებული მცირე განმარტებითი ლექსიკონი:

„ბუნიაობა – დღე და ღამის გასწორება მარტში

დუშმანი – მტერი

თარიღი – რიცხვი

საბაბი – მიზეზი

ბალყუმი –

უნარი – შნო

ბაცაცა – პატარა

ანცი – ცელქი

მითლელი – უსაქმო  
ყამი და ფლანი [ფანი] – უცხო“.

მუზის მსახურებასთან ერთად, აკაკი მაინც ვერ გაურბოდა ცხოვრების ყოველდღიურ მოთხოვნებს. ვერც ეს უბის წიგნაკი ასცდა საქმიან ჩანაწერებს. მე-3 გვერდის ვ-ზე პოეტს ფანქრით გაუკეთებია ჩანაწერი:

„ვოლსკი სულ.  
ბეჟანიშვილი – 25  
ჯაყელი – 20“.

ძნელი ასახსნელია, რას უნდა ნიშნავდეს ეს რიცხვები, მაგრამ, ფაქტია, რომ აკაკი ყოველდღიურობისგან მოწყვეტას ვერ ახერხებდა. ამას ადასტურებს წიგნაკის სხვა ჩანაწერიც.

27-ე გვერდზე პოეტს ფანქრით ჩაუნიშნავს: „თედო გასტუმრებულია სრულად და უკანასკნელი ნომერი რომ გამოვა მის ხელში, ივნისის [...], ჩამაბარებს ანგარიშს, მაშინ უნდა მიეცეს კიდევ ხუთი თუმანი. და სახლის ქირა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლიტერატურის მუზეუმში დაცული უბის წიგნაკის (№ 17794) ლიტერატურული ჩანაწერები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდის ერთ ძალიან საინტერესო ავტოგრაფს (K №343) ეხმიანება. ავტოგრაფში აკაკი წერეთლის სხვადასხვა ჩანაწერია თავმოყრილი. ყურადღებას იქცევს ორი ტექსტი. პირველი, რომელიც მე-4 გვერდზეა მოთავსებული, დრამატულ პოემა „მედიას“ ეხება და გვიჩვენებს, თუ როგორ მუშაობდა აკაკი თბუღლებზე. პოეტს თავი მოუყრია თემასთან დაკავშირებული ფაქტებისთვის და ბევრი სიტყვა თუ ფრაზა განუმარტავს, მაგალითად:

„აეტეს – იათას მეფე  
საკვარცხული რაჭული – ქართული სავარძელია.  
მეგრული: კველა – სკამ-ლოგინი.  
თეჯირი – შირმა. თეჯიბი იმერეთში სერსერიო  
(სერსეროთი) – სკამ-ლოგინი.

მახუტა გოგონავა დღესაც კიდევ იჩოქება სიმღერის დროს ფერხულში.

კაბდე – ოქროს ჭურჭელი, სახატესავით, სადაც ემბლემა ესვენა ყოველთა ცნობის ღმერთის „შარავანდედის“. ამას ქურუმნი უწოდებენ კაბდეველად, მათი გალობა, ზარის მსგავსი, ზორვის, ე. ი. კმევის დროს იწოდებოდა „კაბდე“. ეს სიტყვა და სიმღერა დღესაც არის სამეგრელოში. – აქედან ქალდეველი – ჭანები – ასტროლოგები იყვნენ ჩვენი ქალდეველები და არა ებრაელი ხალდეველნი“.

ყველა განმარტება, რომელიც პოეტს ჩანიშნული აქვს უბის ნიგნაკებში, გამოყენებულია „მედიამი“. მაგალითად, ლიტერატურის მუზეუმში დაცულ უბის ნიგნაკში (ავტოგრაფი № 17794) ახსნილი სიტყვა „ბუნიაობა“ პოემის დასაწყისშივე გვხვდება:

„დღეს გაზაფხულის ბუნიაობა  
დადგა და ღამე დღეს უსწორდება...“

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ავტოგრაფში (№ 343) განმარტებული „კაბდე“, რომლისგანაც, აკაკის აზრით, მიღებულია სიტყვა „კაბდეველი“, გატანილია მოქმედ პირებში: „მთავარ კაბდელი“ და „ხალხი და კაბდელები“ და ა.შ.

მეორე ჩანაწერი, რომელიც აღნიშნული ავტოგრაფის (№ 343) მე-11 გვერდზე გაუკეთებია აკაკის, მისი რომელიმე ისტორიული მოთხრობისთვის ჩანიშნული განმარტება უნდა იყოს („კორინთელი“, „გრიგოლ წერეთლის ირემი“, „სოფელ ალის აოხრება“ და ა.შ.). ამ მოთხრობების თემები და პერსონაჟები თითქმის ერთი და იგივეა; მაგალითად, ჩანაწერში დასახელებული სვიმონი, გიორგი, კონსტანტინე დავითის ძე, წერეთლები და სხვა, მის ყველა ისტორიულ მოთხრობაში გვხვდება. ამიტომ კონკრეტულად ამ ჩანაწერზე დაყრდნობით შექმნილი თხზულების დასახელება ძნელია, თუმცა კონსტანტინე დავითის ძისა და წერეთლების ერთად ხსენებას მოთხრობა „სოფელ ალის აოხრებასთან“ მივყავართ.

უბის ნიგნაკების ლიტერატურული ჩანაწერები გვეხმარება,

გავაანალიზოთ, როგორ მუშაობდა აკაკი ამა თუ იმ ნაწარმოებზე, შევექმნათ სრული სურათი თხზულებათა შემოქმედებითი ისტორიისა და ა.შ.

უბის წიგნაკებიც და ავტოგრაფი № 343, ასევე, არქივში ბოლო დროს მიკვლეული წერილები საქართველო-რუსეთისა და ქართულ-სომხურ ურთიერთობებზე, ნათლად აჩვენებს, როგორ საგულდაგულოდ აგროვებდა პოეტი ნაწარმოებებისთვის როგორც ისტორიულ ფაქტებს, ისე ეთნოგრაფიულ მასალებს. სწორედ ამიტომაც, რომ აკაკი ნებისმიერ თხზულებაში წარმოჩინდება, როგორც უბადლო წყაროთმცოდნე და მის მიერ დაფიქსირებული ყველა დასკვნა სანდოობის მაღალი ხარისხით სარგებლობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოეტი არასოდეს ეკიდებოდა ზერეღედ არც მხატვრული ტექსტებისა და არც პუბლიცისტური წერილების შინაარსს.

აკაკი წერეთლის უბის წიგნაკების ჩანაწერები ხელს უწყობს როგორც პოეტის შემოქმედების, ისე მისი პირადი ცხოვრების ბევრი დეტალის ახლებურად გაშუქებასა და აღქმას. საინტერესოა, აგრეთვე, აკაკის ფსიქოტიპის წარმოსაჩენად და შესასწავლად.

# ინტერვიუ

ელისაბედ ზარდიაშვილი

## რუსუდან კუსრაშვილი – ქართული ტექსტოლოგიის ნოვატორი (ინტერვიუ პროფესორ ნორა კოტინოვთან)

\* \* \*

1980-იან წლებში, როცა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტიდან“ ლიტერატურის ინსტიტუტში გადმოვედი სამუშაოდ, ტექსტოლოგიის განყოფილებაში უამრავი ქალი და ორი მამაკაცი დამხვდა – ლევან ჭრელაშვილი და ზურაბ ჭუმბურიძე. ქალბატონები ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ: ლამაზები, ნიჭიერები, პროფესიონალები, გამორჩეულები... პირველ წლებში ტექსტოლოგიაში ოთხი ახალგაზრდა ვიყავით: ქეთინო ვაშაყმაძე, ჯული გაბოძე, მაია ნინიძე და მე. ვისხედით და მოკრძალებით ვადევნებდით თვალყურს ლიტერატურის ინსტიტუტის მესამე სართულის სულ ბოლო სამ ოთახში მიმდინარე ხმაურიან სხდომებს. ზოგჯერ ამა თუ იმ საკითხზე ისეთი კამათი იმართებოდა, ადამიანი იფიქრებდა, ესენი მთელი ცხოვრება მტრებად გადაეკიდებიან ერთმანეთსო, მაგრამ ყველაფერი იქვე მთავრდებოდა და განყოფილების წევრები სანიმუშო მეგობრებად რჩებოდნენ. წლების მერე, როცა ტექსტოლოგიური საქმის არსში ღრმად ჩავიხედეთ, მივხვდით, რომ ეს ხმაურიანი და ცხარე კამათები დარგის რთული სპეციფიკით იყო გამოწვეული...

სამეცნიერო საქმეში განყოფილების ყველა წევრი პროფესიონალი იყო, მაგრამ თითოეულს მაინც ჰქონდა თავისი განსაკუთრებული სახასიათო შტრიხი, რომლითაც თავს დაგამახსოვრებდათ. მაგალითად, ზურაბ ჭუმბურიძის ზოგიერთ ინიციატივას ქალების კამათი და შედავება მოსდევდა, რაც

ახალგაზრდებს ძალიან გვახალისებდა; ლევან ჭრელაშვილი გაჩუმებული იჯდა ხოლმე მანამ, სანამ ყველა არ გამოთქვამდა თავის აზრს, მერე დინჯად რამდენიმე წინადადებას იტყოდა და ამ ნათქვამს ოქროს ფასი ჰქონდა. „ლუბა დეიდა“, ანუ ლუბა მეფარიშვილი სულ თავის მაგიდასთან იჯდა, იშვიათად დგებოდა, საკუთარი სამუშაოს გარდა, გამუდმებით ეძებდა სამეცნიერო თემებს, რომლებითაც ახალგაზრდები შეიძლებოდა დაეინტერესებინა. ეთერ შარაშენიძე გამუდმებით დაეძებდა საკუთარ სკამს, რომელიც დანიშნული ჰქონდა და არავითარ შემთხვევაში არ დაჯდებოდა მის მაგიდასთან მიდგმულ სხვა სკამზე. მასხოვს, რამდენჯერმე რუსუდან კუსრაშვილი გაეხუმრა და სკამი დაუმალა, ქ-ნმა ეთერმა სხდომა მანამდე არ დაანწყებინა ზურაბ ჭუმბურიძეს, სანამ სკამი არ იპოვა. განყოფილებაში თათული ღვინიაშვილის შემოსვლას ქალაქის მაღალი ელიტის ახალ-ახალი ამბების გარჩევა მოსდევდა. ლეილა სანაძე განონასწორებული ადამიანის ნიმუში იყო, ასევე აღვიქვამდი (დღესაც) ტუიასაც, ანუ მარინე ჭყონიას. რუსუდან კუსრაშვილისა და ლამარა მეგრელიშვილის გამოჩენას რალაც უცნაური სილალე, უდარდებლობა და ხალისი შემოჰქონდა. ყველაზე ემოციურები, ჩემი აზრით, ცისანა ყიფშიძე და ლამარა შავგულიძე (ალბათ, ქ-ნი ლამარა დღესაც ასეთია) იყვნენ. რაიმე სამწუხარო ამბის მოსმენის დროსაც კი პირველი საყვარლად აქოთქოთდებოდა, მეორეს კი მაშინვე თვალები აუწყლიანდებოდა და ცრემლის დამალვას ლამობდა. მე მაინც ყველაზე მეტად ველოდებოდი ხოლმე, რომელ თემაზე რას იტყოდა ლამარა გვარამაძე, რადგან ძალიან დინჯი და უკვე დაღვინებული აზრის გამოთქმა იცოდა, ეს აზრები დღესაც არ დამვიწყებია. ნორა კოტინოვი სულ ახალგაზრდებთან მეგობრობდა, დაგვდევდა, ბევრ რალაცას ჩვენს ნაცვლადაც აკეთებდა, ყოველთვის ცდილობდა, განყოფილება ჩვენს გარდა სხვა ახალგაზრდებთან შეეხსო. ამიტომ ტექსტოლოგიაში გამოგზავნილ დისერტანტებს ხან დირექციაში ჩაჰყვებოდა, ხან ბიბლიოთეკაში აჰყვებოდა, ხან დირექტორთან შეჰყვებოდა, სახლში დაიბარებდა, წიგნებით დაეხმარებოდა, ოღონდ არ წასულიყვნენ (ამ განყოფილებაში ახალმოსულებს გაჩერება უჭირდათ)... ამბობდნენ, ტექსტოლოგიის განყო-



ფილების მრავალფეროვანი შემადგენლობა სოლომონ ყუბანეიშვილის დამსახურება იყო, მან შემოიკრიბა გარშემო სხვადასხვა დარგის პროფესიონალები: ლიტერატორ-ტექსტოლოგების გარდა, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, რუსულის სპეციალისტი და ა.შ... და ასეთ ძლიერ განყოფილებაში მზადდებოდა ქართველ კლასიკოსთა გამოცემები, ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ქართული ტექსტოლოგია, კამათის ფონზე თანდათან იხვეწებოდა ტექსტოლოგიური პრინციპები. ამ ყველაფერში კი ლომის წვლილი რუსუდან კუსრაშვილს მიუძღოდა.

\* \* \*

ქალბატონ რუსუდანზე სასაუბროდ მის ერთ-ერთ მეგობარს, პროფესორ ნორა კოტინოვს ვენვიე, რომელიც ასაკის მიუხედავად (ის უკვე 91 წლის გახლავთ), გონებრივ სიჯანსაღესა და სისხარტეს კვლავ ინარჩუნებს...

– ქალბატონო ნორა, გამორჩეული ტექსტოლოგი, კლასიკოსთა უბადლო მკვლევარი – რუსუდან კუსრაშვილი თქვენი მეგობარი იყო, ერთად უამრავი საქმე გაქვთ შესრულებული, მაგრამ სანამ მის მეცნიერულ დამსახურებაზე ვისაუბრებთ, მაინტერესებს, რა იყო ის გამორჩეული თვისება, რომელიც ყველაზე მეტად გხიბლავდათ მასში?

– რუსიკო ძალიან საინტერესო პიროვნება იყო. გარეგნულად ფრიალას, ნაზსა და ქალურს ძალიან მტკიცე, უკომპრომისო ხასიათი ჰქონდა, რაც მან ძალიან ბევრჯერ დაადასტურა თავისი საქციელით. მხიბლავდა რუსიკოს უღალატობა საქმისა და ადამიანების მიმართ, მომწონდა მისი პირდაპირობა, – არასოდეს შეგეპარებოდა ეჭვი, სათქმელის ნაწილი თავისთვის ხომ არ დაიტოვავო. ის ყველაფერში ბოლომდე იხარჯებოდა... ძალიან ბევრი შეიძლება ვისაუბროთ მის ნოვატორობაზეც, რომელიც ილიას ახალი აკადემიური ოცტომეულის გამოცემისას გამოიჩინა.

– ნებისმიერი ახალი აკადემიური გამოცემა თავისთავად დიდი საქმეა და ტექსტოლოგიის განყოფილებაში ბევრი საინტერესო პროექტიც მომზადდა. მაგრამ მსგავსი სირთულეები არც

ერთი გამოცემისას არ მახსოვს, – ილიას გამოცემას ძალიან მძიმე დასაწყისი ჰქონდა.

– როგორც წესი, აკადემიური გამოცემის პირველი ტომი ყველაზე საპასუხისმგებლოა ხოლმე იმ გაგებით, რომ მასში განხორციელებული ტექსტოლოგიური პრინციპები მიმართულებას აძლევს მომდევნო ტომებს. ეს პასუხისმგებლობა რუსუდან კუსრაშვილს ერგო. ისიც ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა საქმეს, კატორღული შრომაც ჩადო ილიას I ტომის მომზადებაში და მალე წარმოადგინა კიდეც, მაგრამ მოხდა საოცრება – სარედაქციო კოლეგიამ ილია ჭავჭავაძის ახალი აკადემიური გამოცემის I ტომი დაინუნა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ აღნიშნულ გამოცემამდე სხვა გამოცემებს აკადემიური კი ერქვა, მაგრამ კლასიკოსთა შემოქმედებაში რედაქტორ-შემდგენლების ჩარევა და რალაც-რალაცების შეცვლა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა და არავის უკვირდა. ამ პრობლემის წინაშე დადგა ილიას გამოცემაც. რუსიკომ კატეგორიულად მოითხოვა ავტორისეული ფორმების დაცვა. რედკოლეგია ამ გაბატონებული სტერეოტიპის ნგრევასა და ნოვატორულ ინიციატივას არ დათანხმდა. რუსუდან კუსრაშვილი უამრავ ტექსტოლოგიურ არგუმენტს ასახელებდა საკუთარი მოსაზრებების დასაცავად, ბოლოს და ბოლოს, მარტო ლიხაჩოვის სკოლის მოშველიება კმაროდა. კამათმა და წინააღმდეგობამ თანდათან მძიმე ხასიათი მიიღო. სხდომა სხდომაზე ტარდებოდა და ძალიან ცუდ ტონზე მთავრდებოდა.

– რა იყო რედკოლეგიის არგუმენტი მწერლის ნების გაუთვალისწინებლობასთან დაკავშირებით?

– გამოცემის ტირაჟი. ილიას ტომებზე მოთხოვნა ძალიან დიდი იყო და აკადემიამ ის 80 000-იანი ტირაჟით დაგეგმა. ეს გამოცემა თავისი რაოდენობით უფრო მასობრივს უახლოვდებოდა და ასეთ გამოცემაში კი ცვლილებები მაშინ დასაშვებად ითვლებოდა... გარდა ამისა, რედკოლეგიის რამდენიმე წევრს მიაჩნდა, რადგან წლების განმავლობაში ილიას ენამ ცვლილებები განიცადა, ბოლო თხზულებების ენის მიხედვით უნდა გასწორებულიყო ადრეული პერიოდის ნაწერებიც. რუსუდან კუსრაშვილს არაფრის გაგონება არ უნდოდა, ის ჯიუტად გა-

ნაგრძობდა ილიას თხზულებების ენის დაცვას და მოითხოვდა ილიასეული ფორმების ხელუხლებლად დატოვებას. ვერანაირმა თხოვნამ აზრი ვერ შეაცვლევინა. ტომის გამოსვლა გვიანდებოდა. ისევ სხდომები, ისევ კამათი...

– ქალბატონო ნორა, ნება მომეცით, ერთი შთაბეჭდილება მეც გავიხსენო. ერთ-ერთ სხდომაზე რედკოლეგიასა და რუსუდან კუსრაშვილს შორის ცხარე კამათი დიდხანს გაგრძელდა. მე ინტერესით ვადევნებდი თვალყურს ყველა გამომსვლელს. ნელ-ნელა კამათმა აკადემიური ხასიათი დაკარგა... მაშინ შუა დარბაზიდან წამოდგა მაღალი, სიმპატიური მამაკაცი და დინჯი, ლისებით სავსე ტონით მიმართა რედკოლეგიის წევრებს: „ნუ გავინყდებათ, რომ თქვენი მონინალმდეგე და მოკამათე ქალიაო“ და ისევ თავის ადგილას დაჯდა. რამდენიმე წამით დარბაზი გაისუსა, მერე კამათი ისევ თავის კალაპოტს დაუბრუნდა. მაშინ ახალი მოსული ვიყავი ინსტიტუტში და ყველას ვერ ვცნობდი, მერე გავიგე, რომ ის კაცი, რომელმაც თავისი ერთი წინადადებით თითქოს გონს მოიყვანა ჩარჩოებიდან გასული მოკამათეები, ბონდო არველაძე იყო – რუსუდან კუსრაშვილის მეუღლე. რამდენიმე ათეული წელი გავიდა და დღემდე არ დამვიწყებია ის ერთი წინადადება, რომელშიც ყველაფერი იდო: თხოვნაც და გაფრთხილებაც... ეს ჩემი შთაბეჭდილებაა. და მაინც, თქვენ როგორ აფასებდით მეგობრის ასეთ მეცნიერულ სიჯიუტეს?

– რუსიკოსგან ამხელა გამძლეობას არ ველოდი. მეგონა, რალაც მომენტში გატყდებოდა. ამიტომ მთელი განყოფილება მხარს უჭერდა. თვითონ გამოაქვეყნა სტატია „ენაც ისტორია“, რომელშიც წერდა, რომ ენის ყველა ეტაპი ასახავს მისი განვითარების ისტორიას და შესწორებული ფორმები ხელს უშლის ამ ისტორიის შესწავლას. ასევე, კლასიკოსი აღარ აღიქმება ისეთი ინდივიდუალური ფორმით, როგორც სინამდვილეშია და ამ სწორებების შემდეგ ვერც მისი ენის ევოლუციას შევისწავლითო. ლეილა სანაძემ და ცისანა ყიფშიძემ დაწერეს სტატია ილიას „ბაშვზე“ და მისი უცვლელად დატოვება მოითხოვეს. მე და ლევან ქრელაშვილმაც დავწერეთ წერილები, რომლებშიც ვამტკიცებდით, რომ ლექსიკის თავისებურება აუცილებელია თხზულებათა ატრიბუციისთვის და ა. შ. ასე რომ, რედკოლე-

გიას ტექსტოლოგიის მთელი განყოფილება დაუპირისპირდა და გაიმართა ბრძოლა, რომელშიც მთავარ როლს რუსიკო ასრულებდა. მან ძალიან დიდი ენერგია შეაღწია ამ ბრძოლას.

– ანუ, ქალბატონო ნორა, უნდა ვაღიაროთ, რომ ქალბატონი რუსუდანი საკუთარი ჯანმრთელობის ფასად გადაეფარა ილიას შემოქმედებას?

– დიახ, მაგრამ ბოლომდე თავისი ვერ გაიტანა, ილიას I ტომში ორთოგრაფიის ნაწილი რედკოლეგიამ მაინც ჩაასწორა. ამის გამო რუსიკოს განყოფილების დატოვებაც მოუხდა. თუმცა ტექსტოლოგიის გარეშე ვერ გაძლო და მალე ისევ უკან დაბრუნდა.

– მას შემდეგ ქ-ნმა რუსუდანმა კიდევ უამრავი გამოცემა მოამზადა. ერთ-ერთი საინტერესო იყო ისევ ილიას ახალი აკადემიური გამოცემის მე-18 ტომი, რომელიც ოლღასადმი მიწერილ პირად ბარათებს მოიცავს. ამ ტომში არ იყო შესული ილიას 60 პირადი წერილი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ხასიათისაა. წინა გამოცემის მესვეურებს მიაჩნდათ, რომ ისინი ილიას პიროვნებას არაფერს მატებდა და ამიტომაც არ მიაქციეს ყურადღება. თქვენ და ქ-ნმა რუსიკომ ეს წერილები ახალ გამოცემაში შეიტანეთ. კიდევ ხომ არ შეგხვდათ რაიმე წინააღმდეგობა?

– კი, თავიდან, ტომის მომზადებისას, რედკოლეგიის ზოგიერთი წევრი ამ სტატიების წინააღმდეგიც იყო, მაგრამ ილიას გამოცემა კარგა ხნით შეჩერდა და მე-18 ტომი მოგვიანებით, 2009-ში გამოვიდა, მასში შეტანილი წერილების ბედი კი უკვე ქ-ნმა ირმა რატიანმა გადანყვიტა. როცა რედკოლეგიის ერთ-ერთ წევრს შეუჩივლია, ასეთი რამ ხდებაო, ქ-ნ ირმას უთქვამს, არა ხართ მართალიო, რატომ უნდა გამოვტოვოთ, ამ წერილებმა რა დააშავაო?

– ილიას გამოცემასთან ერთად აკაკის თვრამეტკომეულიც მალე დაიწყო. ამ გამოცემის ტექსტოლოგიური პრინციპების დადგენასაც მოჰყვა მცირეოდენი შეხლა-შემოხლა. მასხოვს, განყოფილების ერთი სხდომა მთლიანად მიეძღვნა ვითარებითი ბრუნვის ნიშანს – დ-ს საკითხს. აკაკის ძალიან უყვარდა დ-ს ნაცვლად თ-ს ხმარება. იგივე რედკოლეგია ამის გადაკეთებასაც ითხოვდა.

– კი, როგორც ილიას I ტომში, მაგრამ დაინყო საშინელი 90-იანი წლები და ყველაფერი გაჩერდა. მხოლოდ პირველმა ტომმა მოასწრო გამოსვლა. შემდეგ, 2000-იან წლებში გამოცემა თავიდან დაიგეგმა უკვე ოც ტომად და ასეთი წინააღმდეგობები აკადემიურ გამოცემათა ტექსტოლოგიურ პრინციპებს აღარ შეხვედრია.

– რადგან აკაკის ახალ აკადემიურ ოცტომეულს შევეხეთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის დიდი სხდომა, რომელიც 2010 წლის 7 ივლისს გაიმართა ლიტერატურის ინსტიტუტში და რომელსაც ყველა მოქმედი თუ პენსიაზე გასული ტექსტოლოგი ესწრებოდა. იმ სხდომაზეც ძალიან ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ქ-ნმა რუსუდანმა თხზულებათა პასპორტების, დათარიღების, ნახევართარიღებისა და საძიებლების შესახებ.

– იმ დიდ სხდომაზე ბევრი ტექსტოლოგიური პრინციპი შეიცვალა და დაიხვეწა. აკაკის გამოცემა დღესაც იქ დაგეგმილი გზით მიდის.

– ქალბატონო ნორა, რუსუდან კუსრაშვილის ნაშრომებიდან კიდევ რომელს გამოარჩევდით თავისი მნიშვნელობითა და საინტერესო ისტორიით?

– ბევრი საინტერესო ნაშრომი დატოვა რუსიკომ. მარტო გრიშაშვილი რად ღირს! ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვის, მაგალითად, ქართული ტექსტოლოგიის სახელმძღვანელოს გამოცემაში. როცა წიგნი მომზადდა, ინსტიტუტმა მისი დასტამბვა ვერ შეძლო. ცუდი წლები იყო... რუსიკო ყოველ ხელფასზე განყოფილებაში ფულს კრებდა, ფულს კი ვაძლევდით, მაგრამ არ გვჯეროდა, რომ ის იმ კაპიკებით სახელმძღვანელოს გამოცემას შეძლებდა. მაინც თავისი გაიტანა და ქართული ტექსტოლოგიის სახელმძღვანელომ დღის სინათლე იხილა. ძალიან რთული იყო პოლიკარპე კაკაბაძის გამოცემაზე მუშაობა ვარიანტების სიმრავლის გამო. მახსოვს, ასეთი გამოცდილი და „მრავალმგადახდილი“ ტექსტოლოგი – რუსუდან კუსრაშვილიც კი რამდენჯერმე საქმემ შეაცბუნა. მაგრამ მას ბრძოლიდან გაქცევა არ სჩვეოდა. მაინც გავართვით თავი ამ გამოცემის მომზადებას და დრამატურგის უდიდესი კლასიკოსის – პოლიკარპე კაკაბაძის აკადემიურად მომზადებული 6 ტომი გარკვეული პერიოდი ინ-

ახებოდა მანანა კაკაბაძის ოჯახში.

– ქ-ნო ნორა, 2000-იან წლებში ტექსტოლოგიის განყოფილებამ დაიწყო ალ. ყაზბეგის აკადემიური ხუთტომეულის მომზადება, რომელიც ვერ დასრულდა. საინტერესოა, რატომ არ იყო ქ-ნი რუსუდანი ამ პროექტში და დაკარგა თუ არა ამ გამოცემამ ბევრი რამ მისი არყოფნით?

– ტექსტოლოგიის განყოფილებაში იმდენად ბევრი თანამშრომელი იყო, რომ რამდენიმე გამოცემაზე ერთდროულად შეგვეძლო მუშაობა. ახლა არ მახსოვს, ყაზბეგის მომზადებისას რუსიკო რომელ თემაზე მუშაობდა, მაგრამ მისი ყოფნაც ვერ გადაარჩენდა აღნიშნულ პროექტს, რადგან ამის უამრავი მიზეზი არსებობდა. მაგალითად, ყაზბეგის აკადემიური გამოცემის მომზადებისთვის დრო არასწორად განისაზღვრა, თემის სირთულე ვერ აიწონ-გაიზომა, ანუ იმის თქმა მინდა, რომ არქივებსა და უკვე არსებულ გამოცემებში მოსალოდნელზე უარესი მდგომარეობა დაგვხვდა. ვერც ერთი კლასიკოსის გამოცემის სირთულეს ვერ შევადარებ ყაზბეგისას. იქ ყველაფერი თავიდან იყო გასაკეთებელი. ასე იყო თუ ისე, გამოცემა არ შედგა. ამას ძალიან განიცდიდა პროექტის ყველაზე დიდი ენთუზიასტი და ინიციატორი ეთერ შარაშენიძე.

– გეთანხმებით. მახსოვს, ერთხელ ქ-ნმა ეთერმა მიმიყვანა „სეიფთან“, რომელშიც მისი ტომი ინახებოდა და მითხრა: აქ ჩემი დანყებული ყაზბეგის I ტომი დევს. განერილ დროში ისე მომზადება ვერ მოხერხდა, როგორც მინდოდა. თუ გამოცემა დააპიროს ვინმემ, არ დამლუპოთ, ასე არ გამოსცეთ, შენ გაბარებ და მიხედო... ქ-ნი ეთერი იმ დროს უკვე ძალიან ასაკიანი იყო.

– ყაზბეგის გამოცემა თუ ისე ვერ დასრულდა, როგორც შემდგენელთა ჯგუფს სურდა, სამაგიეროდ, ძალიან ბევრი კარგი პროექტი ბოლომდე განხორციელდა, მაგრამ დასტამბვა ვერ მოხერხდა, მაგალითად, გიორგი წერეთელი, გიორგი ლეონიძე, ეკატერინე გაბაშვილი, ეგნატე ნინოშვილი, ალექსანდრე ორბელიანი და სხვა.

ამის გამო არა მარტო რუსუდანს, არამედ ჩვენ ყველას ძალიან გვნყდებოდა გული. თუმცა რუსიკომ მაინც იმდენის გა-

კეთება მოასწრო, რომ ერთი ცხოვრებისთვის მეტიც იყო.

– დიას, გეთანხმებით... ქ-ნო ნორა, ძალიან დიდი მადლობა გულთბილი საუბრისთვის და ამდენი ინფორმაციისთვის.

– პირიქით, დიდი მადლობა ტექსტოლოგიური გამოცემის აღდგენის მესვეურებს, რადგან მოგონებების საშუალება მომეცა; ინტერვიუს დროს თითქოს ისევ ჩემს მეგობრებთან ტექსტოლოგიის განყოფილებაში დავბრუნდი...

# მოგონებები რუსუდან კუსრაშვილზე

მაია არველაძე

## შვილის მადლობა

დავიბადე ძალიან მდიდარი – ვარ რუსუდან კუსრაშვილისა და ბონდო არველაძის შვილი და ძალიან მემამაყება ჩემი წარმომავლობა. როცა იმ ასაკის (სინამდვილეში ზუსტად არ მახსოვს, რამდენი წლის) გავხდი, რომ გავიაზრე, მშობლები ერთსა და იმავე სამსახურში დადიოდნენ (ანუ მუშაობდნენ), ერთ კითხვას ვერაფრით ვერ ვუძებნიდი პასუხს: რატომ დადიოდა მამა სამსახურში მხოლოდ ერთი სიფრიფანა საქალაქლით და დედა კი უზარმაზარი ბარგით. მოგვიანებით, ალბათ უკვე ათი-თერთმეტი წლისა, მივხვდი, ეს „ბარგი“ დედის პროფესია იყო, რომელიც მამის პროფესიისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. რამდენიმე წლის მერე კი, ღრმა ანალიზის გაკეთების საფუძველზე, დავასკვნე, რომ პროფესია „ბარგი“ იყო ტექსტოლოგია – ხმაურით, ქაღალდებით, ფერადი ფანქრებით, წიგნებით, დანეპებული ფურცლებით, ბარათების დასტებითა და გაუთავებელი სატელეფონო დისკუსიებით, აღშფოთებისა თუ სასიხარულო ემოციების ნაკრებით. მერე მომიინდა, დედასთვის მიმეზადა და რომ მეკითხებოდნენ, რა გინდა გამოხვიდეო, ჩემი ადრეული ბავშვობის ოცნება – ტროლეიბუსის მძღობა – შევცვალე და დაუფიქრებლად ვპასუხობდი, ტექსტოლოგი-მეთქი. თუ დედა ესწრებოდა ასეთ დიალოგს, რატომღაც, მაშინ ჩემთვის გაუგებარი მიზეზით, პროტესტს გამოთქვამდა. მე კი ჯიუტად არ ვცვლიდი პასუხს. გავიდა წლები, მივხვდი, რომ დედა ვერ იმეტებდა ერთადერთ შვილს ისეთი „კატორღული“ შრომისთვის, როგორც მეცნიერული ტექსტოლოგიაა და ყველაფერი გააკეთა, ფილოლოგიურ ფაკულტეტს კი არა მხოლოდ, უნივერსიტეტსაც რომ არ გავკარებოდი. დავამთავრე უცხო ენები. გავთხოვდი. 90-იანებში ქვეყანა აირია, დაირია, ომს გაჭირვების წლები მოჰყვა. ამ ფონზე იზრდებოდა ჩემი პატარა შვილი. უკვე 27-28



წლის ვიქენებოდი, ერთ დღეს დედა მესტუმრა და სხვათაშორის მითხრა (მგონი წამოსცდა, რისთვისაც მადლობას ვუხდი), ჩვენს განყოფილებაში ასპირანტურაში მისაღები გამოცდები იწყება და თუ გინდა, მიიღე მონაწილეობაო. ალბათ ჩემი სიზარმაცით დაიმედებული დარწმუნებული იყო, ამდენი წლის მერე კიდევ მეცადინეობას და გამოცდებს აღარ მივუბრუნდებოდი. მე კი, თითქოს ბავშვობის ოცნების ახდენის ბოლო შანსს ჩავეჭიდე და თვალეში სიხარულით აღსავსე ნაპერწკლიანი გამოხედვით დაუყოვნებლივი თანხმობა გამოვხატე. რუსიკო სახტად დარჩა. არსებული პირობებით გადაღლილი და ოდნავ მოუწესრიგებელი ადამიანისაგან, შვილისგან, რომელსაც თითქოს კარგად იცნობდა, ასეთ ნაბიჯს არ მოელოდა. იცოდე, ორ დღეში 30 წიგნი მაინც უნდა წაიკითხო და დაისწავლო, მე არ უნდა შემარცხვინო და ვერავინ უნდა იფიქროს, რომ ჩემი ხათრით გიღებენო. ეს იყო თავსმოხვეული და, ამავე დროს, ჭეშმარიტად გამართული არგუმენტი (ამისთვისაც მადლობელი ვარ). იმ დღესვე წავედი დედასთან სახლში, ავიღე ყველა წიგნი, ჩანაწერი თუ გამოცემა, რაც ტექსტოლოგიას ეხებოდა და დედას პირობა მივეცი, რომ 100 000 კითხვიდან ყველას გამართულად ვუპასუხებდი. რუსიკომ მზრუნველი დედის შეშინებული და ზრდასრული ადამიანის მშობლის იმედიანი მზერა გამომაყოლა. ორი ღამე გავათენე. არ მახსოვს (მაშინ არ დავინტერესებულვარ), ჩემს შვილს როგორ უვლიდნენ, რას აჭმევდნენ, ვინ ასეირნებდა, ვიჯექი და ვმეცადინეობდი. არ ვიტრაბახებ, თუ ვიტყვი, რომ არ გამჭირვებია. თურმე ტექსტოლოგიაში ბევრი რამე უკვე ვიცოდი. ვიცოდი ბავშვობიდან, ოჯახიდან, დედას თანამშრომელ-მეგობრებისგან და მათთან გატარებული დროიდან. ფრიაღზე (იმ დროს ასეთი იყო უმაღლესი შეფასება) ჩავაბარე ოთხივე გამოცდა (ტექსტოლოგიაში, მე-19 საუკუნის ლიტერატურაში, ინგლისურსა და რუსულში) და გავხდი ტექსტოლოგი. წლების განმავლობაში, სანამ დედა ცოცხალი იყო, ტექსტოლოგიური შინაარსის სტრიქონი არ დამინერია ისე, რომ რუსიკოსთვის არ წამეკითხა გადასამოწმებლად. მე ხომ სახლში უმაღლესი დონის სპეციალისტი და პედაგოგი მყავდა.

ორმაგად ბედნიერი დავიბადე. მყავდა ლამაზი, თბილი და

მზრუნველი დედა და მყავდა მასწავლებელი, ტექსტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ქართულ ფილოლოგიაში – რუსუდან კუსრაშვილი.

მადლობა...

*ლამარა შავგულიძე*

### **ვერ დაგივინყებთ**

ძალიან მტკივნეულია დაწერო იმაზე, რაც დღესაც გუშინ-დელი დღესავით გახსოვს, წარსულში ილაპარაკო ადამიანზე, რომელიც იყო სიცოცხლით სავსე, სულ მოძრაობაში ხედავდი, რომელიც ასე გიყვარდა და პატივს სცემდი და ახლა შენს გვერდით აღარ არის. ეს ადამიანი რუსუდან კუსრაშვილია, ჩვენი საყვარელი რუსიკო – მშვენიერი, ნიჭიერი, შრომისმოყვარე, ადამიანების ჭირისა და ლხინის გამზიარებელი და მუდამ დაულალავი და დაუფიქრებელი, როცა ვინმეს დახმარება სჭირდებოდა. რუსუდანი იყო თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, ეროვნული, პატრიოტი ადამიანი.

არ შემიძლია არ გავიხსენო მისი დამოკიდებულება დედისადმი. დეიდა თამარი, რუსიკოს დედა, ლენინის (ახლანდელი მ. კოსტავას) ქუჩაზე ცხოვრობდა. ის კარგად არ იყო, ხშირად ავადმყოფობდა (ეს იყო 1991 წლის ბოლო და 1992 წლის დასაწყისი). როგორც წესი, რუსუდანი არ ტოვებდა არც ერთ დღეს, დედა რომ არ ენახა. ქალაქში მძვინვარებდა სამოქალაქო ომი: ტყვიების ზუზუნსა და სამხედრო ტექნიკის გადაადგილების პირობებში იკვლევდა ის გზას დედამისის სახლამდე. ერთხელ ჩვენი სახლის სადარბაზოსთან შემხვდა რუსიკო, დაღლილი და გაფითრებული – ძლივს გამოვალწიე იმ ჯოჯოხეთიდანო, – მითხრა. ამის მიუხედავად, არასოდეს არ გაუცდენია არც ერთი დღე.

რუსუდან კუსრაშვილი 1959 წლიდან მუშაობდა შოთა რუს-

თაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, იყო ფოლოლოგიის დოქტორი.

ჩვენ ათეული წლების მანძილზე ერთმანეთის მხარდამხარ ვენეოდით სამეცნიერო საქმიანობას ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში.

რ. კუსრაშვილი იყო მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი. მათ შორის აღსანიშნავია ცალკე წიგნებად გამოცემული: „ქალი და რელიგია“ (1960); „იოსებ გრიშაშვილის პოეტური სამყარო“ (ბ. არველაძესთან თანაავტორობით) (1976); „როგორ ინერებოდა ლექსი“ (1987); „როგორ მუშაობდა გალაკტიონი“ (1988); „იოსებ გრიშაშვილის ქალაქური ლექსიკონი“ (1997); „დავით გურამიშვილის ენა და ლექსიკა“ (2000), „დავით გურამიშვილის „დავითიანის“ სიმფონია-ლექსიკონი“ (2005).

არანაკლებ მნიშვნელოვანია რ. კუსრაშვილის შრომა და ენერგია, განუული ქართველი კლასიკოსების თხზულებათა აკადემიური გამოცემის პროცესში. (აქ იგულისხმება ბიბლიოგრაფიული წყაროების, ვარიანტების, რედაქციების, შენიშვნებისა და კომენტარების არა მარტო მოძიება, არამედ სწორი გაანალიზება).

ესენია: ვასილ ბარნოვის თხზულებათა აკადემიური გამოცემის II-V, X ტომები (1961-62; 1964). 2001 წელს მოამზადა მიხეილ ჯავახიშვილის პუბლინცისტური ნერილების პირველი სრული აკადემიური ტექსტი. გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის თორმეტტომეულის VI ტომი (1968), იოსებ გრიშაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის I ტომი (1980); ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ოცტომეულის I ტომი (1980), რომელიც 1989 წელს გამოვიდა პარიზშიც; XVIII ტომი (2009). აკაკი წერეთლის თხზულებათა ოცტომეულის II ტომი (2011). აგრეთვე გამოსაცემად მოამზადა: ქართული მწერლობის ოცტომეულისთვის „ჩვენი საუნჯე“ ვასილ ბარნოვის ოთხი რომანის ტექსტი, ტ. XV, 1961. 1985 წელს გამოცემული აქვს ტიცვიან ტაბიძის თხზულებათა საიუბილეო რჩეული.

რუსულიდან თარგმნა ავსტრალიელი მწერლის ალან მარ-

შალის ავტობიოგრაფიული ტრილოგია „მე შემიძლია გუბზე გადახტომა“, 1974.

რუსუდან კუსრაშვილი ამ სოფლიდან ვალმოხდილი წავიდა. იშრომა, იღვანა, იჭირისუფლა და კეთილი სული უფალს მიაბარა. დატოვა შესანიშნავი ოჯახი. დედის საქმიანობას ახლა მისი ქალიშვილი აგრძელებს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში.

ჩვენი ძვირფასი რუსუდანი ყოველი ჩვენგანის მოგონებებში აგრძელებს სიცოცხლეს.

**მარინე (ტუია) ჭყონია**

### **ჩემი რუსიკო**

რუსუდან ალექსანდრეს ასული კუსრაშვილი, დიალ, მამის სახელით მოვიხსენიებ რუსიკოს, ასე მიმაჩნია საჭიროდ, იმიტომ, რომ რუსიკო მუდამ ამაყობდა თავისი ლამაზი, გამორჩეული მამით, რომელიც II მსოფლიო ომის დროს გმირულად დაიღუპა, გვიყვებოდა დედის თავდადებულ შრომაზე, იმ მძიმე წლებში ორი უმამოდ დარჩენილი შვილის გაზრდაზე. ან როგორი დედა ყავდა რუსიკოს: დედა თამარ კარბელაშვილი – მოხდენილი, დარბაისელი ქართლელი ქალი. კარგად გვახსოვს მისი ტკბილი მასპინძლობა ლენინის (ან კოსტავას) ქუჩის სახლში... დეიდა თამარის ამაგს ფუჭად არ ჩაუვლია. მან აღზარდა მშვენიერი ქალ-ვაჟი, განათლებულები, საზოგადოებაში გამორჩეულები: ამირანი და რუსუდანი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავინწყე ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში. იქ დამხვდნენ მეცნიერებაში უკვე ახალფეხადგმული ქალბატონები, ლამაზები, ჭკვიანები, დარბაისლები: ლეილა სანაძე, ეთერ შარაშენიძე, ლამარა გვარამაძე, ცირა კალაძე, ლამარა მეგრელიშვილი. მალე მათ შეემატნენ სხვანი, ისეთივე კარგები

და ღირსეულები. მათ შორის იყო რუსიკო, უკვე სამეცნიერო ხარისხის მქონე, ლამაზი, მკვირცხლი, მრავალმხრივი განათლებით (მუსიკალური), მრავალი თაყვანისმცემლით გარემოცული ახალაზრდა ქალი. რუსიკო დაოჯახდა ინსტიტუტის ასევე გამორჩეულ ახალგაზრდა მეცნიერ ბონდო არველაძეზე, გაუჩნდათ ლამაზი, ცხვირპაჭუა მაიკო და ცხოვრობდნენ ბედნიერად.

რუსუდანის მეცნიერული წვლილის, მისი საყურადღებო გამოკვლევების, მრავალი აკადემიური გამოცემის, სამეცნიერო ნაშრომის შესახებ მე აქ არ ვილაპარაკებ. ეს მრავლისმომცველი და დეტალური ანალიზის თემაა, რის შესახებაც, ალბათ სხვები ისაუბრებენ.

მე, უბრალოდ, მინდა მისი ზოგიერთი პიროვნული თვისების წარმოჩენა; კეთილშობილება, თავმდაბლობა, მოყვასის სიყვარული. ის მე არასდროს მინახავს გაცხარებული, გაავებული, ზოგჯერ გაგაოცებდათ თავისი გულუბრყვილობით. ჰქონდა დახვეწილი იუმორი, ადამიანების უზომო სიყვარული.

...გავიდა წლები, რთული და მაინც ადამიანური სიყვარულით სავსე ... გავხდით პენსიონერები, დავრჩით ისევე მეგობრებად და მეზობლებად; ვურეკავდით ერთმანეთს ... რუსიკო, შენ სულ მსაყვედურობდი, რატომ არ მირეკავო, (არადა ვრეკავდი თითქმის ყოველ დღე). მეუბნებოდი, „ტუიკა, როგორ ხარ, თავს გაუფრთხილდი, არ დაეცე“.

თავად კი დაეცი, რატომ? რა დაგემართა? შენ, რომელსაც ბოლომდე შეგრჩა ლამაზი, კოხტა ფეხები (ბალერინას გეძახდით) ... როგორ მოგიარეს მაიკომ, ექიმებმა, ვერაფერმა გიმკვლა.

... ჩემო რუსიკო, ჩვენც მალე მოვალთ და „იქაც“ ერთად ვიქნებით. ვიცი, გაილიმებდი ამ სიტყვებზე შენი „ურწმუნო“ ღიმილით, მაგრამ ეს ასეა, დამიჯერე!

## მოგონება

არ შემიძლია, არ მოვიგონო ჩემი უახლოესი მეგობარი რუსუდან კუსრაშვილი. ჩვენი მეგობრობა დაიწყო ინსტიტუტში მოსვლიდან და გაგრძელდა დაახლოებით 60 წელი. რუსიკო იყო არაჩვეულებრივად კეთილი და ყველას მიმართ გამგები და სამართლიანი, ამავე დროს მომთხოვნი და მკაცრი, თუ ეს შეეხებოდა მწერლის შემოქმედებას. ყოველთვის მინდოდა, რომ ის ყოფილიყო ჩემ მიერ მომზადებული ტომის რეცენზენტი, რადგან მისი რეცენზიები იყო საქმიანი და ემსახურებოდა მწერლის ნაწარმოების სრულყოფას. რუსუდანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძირითადი ტექსტის შერჩევას, სწავლობდა ნაწარმოების მრავალ ვარიანტს, განსაკუთრებით ბოლო გამოცემებს, რათა დაედგინა, იყო თუ არა ბოლო გამოცემა ნაწარმოების ძირითადი ვარიანტი. მკაცრად იცავდა ავტორის გადანყვეტილებას, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კომენტარებისა და შენიშვნების შედგენის პროცესს. რ. კუსრაშვილის ტექსტოლოგიური შენიშვნები ყოველთვის ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათით გამოირჩეოდა. კომენტარები ასახავდა ძირითადი ტექსტის (ხელნაწერი და ნაბეჭდი) წყაროების შექმნისა და გამოცემის ისტორიას, აქ იგულისხმება: 1) როდის დაწერა ბოლო რედაქცია ავტორმა, 2) ხელნაწერებისა და რედაქციების შესწავლა, რის დროსაც ბევრი სიძნელე იყო გადასალახი, რაც მრავალმხრივ ცოდნასთან ერთად დიდ შრომასა და ენერგიას მოითხოვდა. რუსიკო მაქსიმალურად ცდილობდა, არცერთი მოვლენა არ დარჩენოდა შეუსწავლელი და აუნერელი.

რ. კუსრაშვილის მიერ მომზადებული გამოცემებიდან განსაკუთრებით მინდა, შევეხო ი. გრიშაშვილის ლექსიკონზე მუშაობას. წლების განმავლობაში დადიოდა რუსიკო ხარფუხში (გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში), რათა დაწვრილებით შეესწავლა ი. გრიშაშვილის მიერ შეგროვებული ქალაქური გამოთქმები და სიტყვები. დაძაბულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. რუსუდანმა გამოსცა ბრწყინვალე ნაშრომი – ი. გრიშაშვილის „ქალაქური

ლექსიკონი“, რომელიც დადებითად შეაფასეს, დაინერა არა ერთი დადებითი რეცენზია, სადაც განხილული იყო ამ წიგნის მნიშვნელობა. წიგნისადმი დიდი ინტერესი დღესაც არ გამქრალა. მრავალ სამეცნიერო ნაშრომთან ერთად რუსუდანმა ასევე მოამზადა დავით გურამიშვილის „დავითიანის“ სიმფონია-ლექსიკონი, მ. ჯავახიშვილის „წერილები“, ი. ჭავჭავაძის, ვ. ბარნოვის, გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, მ. ჯავახიშვილისა და ა. წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემების ტომები.

მეცნიერული მოღვაწეობის პარალელურად რუსუდანი იყო არაჩვეულებრივი მეოჯახე, კარგი მეუღლე, დედა და ბებია. იგი ყველანაირად უწყობდა ხელს საყვარელ შვილს, მაიკოს, ღირსეული მეცნიერი რომ დამდგარიყო. დღეს მაია არველაძე ერთ-ერთი ნამყვანი მეცნიერ-ტექსტოლოგია.

## *ჯულიეტა გაბოძე*

### **რუსუდან კუსრაშვილი და ტექსტოლოგიის განყოფილება**

ეს კრებული ქალბატონი რუსუდან კუსრაშვილის ხსოვნას ეძღვნება, გასულ წელს უნდა გამოსულიყო, მის საიუბილეოდ, მაგრამ ვერ მოხერხდა. მოდით, ესეც კორონას დავაბრალოთ. მინდა, გავიხსენო მასთან გატარებული წლებიდან ზოგიერთი ეპიზოდი, რომლებმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს. თუმცა, ბუნებრივია, ვერაფრით ავუვლი გვერდს მასთან ერთად ჩემს ძვირფას კოლეგებს, რომლებმაც გამზარდეს პროფესიონალად და რომელთაც დიდად ვუმაძლი ჩემს ყოველ მიღწევას.

**„ისეთი ლამაზები იყვნენ ტექსტოლოგიის ქალები, აი, რუსიკოს დიიდი მწვანე თვალები და წითური თმა ჰქონდა, იცი, რა ლამაზი იყო?!“** – ასე იხსენებდნენ ხოლმე კოლეგები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების

ოფილების თანამშრომლებს, უმშვენიერეს ქალბატონებს: რუსუდან კუსრაშვილს, ლუბა მეფარიშვილს, თათული ღვინიაშვილს, ცისანა ყიფშიძეს, ლეილა სანაძეს, ლამარა გვარამაძეს, ეთერ შარაშენიძეს, ლამარა მეგრელიშვილს, ლამარა შავგულიძეს, მარინე (ტუია) ჭყონიას, ნორა კოტინოვს, ან კი რა დახასიათება უნდოდათ, ჯერაც ხომ არ ნაშლოდათ იმ სილამაზის კვალი, ის ეშხი და ხიბლი.

ბედმა გამანებივრა-მეთქი, არაერთხელ მითქვამს, 1979 წლის შემოდგომაზე სრულიად ახლგაზრდა მოვხვდი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, პირდაპირ ტექსტოლოგიის განყოფილებაში, სადაც ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის გამოსაცემად ემზადებოდნენ და პირველ ყოვლისა, მწერლის სრულყოფილი ბიბლიოგრაფია უნდა შეედგინათ. როგორც იტყვიან, საჭირო დროს, საჭირო ადგილას აღმოვჩნდი. თითქმის ორი წლის განმავლობაში ჩემსავით ახალბედა მეგობრებთან ერთად (მაია დარჩია, ნინო დანელია) არაჩვეულებრივი იზა დობორგჯინიძისა და თემურ ჩავლეიშვილის ხელმძღვანელობით დავამუშავეთ საჯარო ბიბლიოთეკისა (ახლანდელი საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა) და სხვადასხვა მუზეუმის ფონდებში დაცული საქართველოში გამომავალი ყველა ჟურნალ-გაზეთი, შევედით ბევრ დახურულ ფონდში და შედეგად განყოფილებაში წარმოვადგინეთ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არსებული სრული ბიბლიოგრაფია 1907-1980 წწ. ერთი სიტყვით, შევუდექი მძიმე, მაგრამ საინტერესო საქმიანობას.

ინსტიტუტში ოთხშაბათობით ყველა ცნობილი მეცნიერისა და ფილოლოგის ნახვა ერთად, ერთ სივრცეში, ჩემთვის იმ ხანად სამოთხეში მოხვედრის ტოლფასი იყო. ვის არ შეხვდებოდით: ალექსანდრე ბარამიძეს, გაიოზ იმედაშვილს, გურამ ასათიანს, სარგის ცაიშვილს, რევაზ სირაძეს, ზვიად გამსახურდიას, ლეო მენაბდეს, გიორგი მერკვილაძეს, გიორგი ციციშვილს, ალექსანდრე კალანდაძეს, გურამ გვერდნითელს, დავით თევზაძეს, ლევან ჭრელაშვილს, ჯონდო ბარდაველიძეს, დავით ლაშქარაძეს, რეზო ბარამიძეს, აკაკი ხინთიბიძეს, აგი აბაშიძეს, ციალა კარბელაშვილს .....რა ჩამოთვლის.... რამდენი ცნობილი სახელი და



შემდეგში უკვე ძვირფასი სახე მახსენდება.... ნათელში ამყოფოს ღმერთმა ისინი, რომლებიც აღარ არიან ამ ქვეყნად.

ტექსტოლოგიის განყოფილებაში სხდომა ყოველ ოთხშაბათს იმართებოდა, ყველა თავისი წლიური შრომის შედეგებს გვაცნობდა. მაშინ ბევრი რამ არც მესმოდა, მაგრამ საქმისადმი ის კეთილსინდისიერი და პრინციპული დამოკიდებულება, რომელსაც ჩემი უფროსი კოლეგებისგან ვხედავდი, სანიმუშო იყო ნამდვილად. ისე იცავდნენ თავიანთ აზრს, რომელსაც ტექსტოლოგიურ პრინციპებს ეძახდნენ, რომ სხირად მათი ხმა დირექტორის მისაღებშიც ისმოდა. ზოგჯერ ისე კამათობდნენ, ვფიქრობდი, ამათ ამ ცხოვრებაში ველარაფერი შეარიგებთმეთქი, მაგრამ, გაგიგონია, მეორე დღეს თბილი ღიმილითა და პირზე კოცნით (მეტაფორულად ვამბობ, თორემ მაშინ არ უყვარდათ ამდენი ხვევნა-კოცნა) ხვდებოდნენ ერთმანეთს. ესეც სამაგალითო იყო ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის.

ქალბატონი რუსიკოს შესახებ ყველა აღნიშნავდა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ტექსტოლოგი იყო. და მახსოვს, რაიმე პრობლემური საკითხი თუ იყო, – „რუსიკოს ვკითხოთო“ – ამბობდნენ. მისი უკომპრომისო გამოსვლებიც მახსოვს, თავგადაკლული რომ იცავდა მწერლის ნებას, ანუ ტექსტოლოგიის ყველაზე ურყევ კანონს, რომელიც გვასწავლის, რომ არ შეიძლება მწერლის ენის ნორმების შეცვალა, რომ აკადემიური გამოცემა სწორედ ამით განსხვავდება პოპულარული გამოცემებისგან და თანამედროვე სალიტერატურო ნორმების მიხედვით მათი ტექსტის სწორება ყოველად დაუშვებლად მიიჩნევა. ტექსტოლოგიის ამ პრინციპების დაცვით მოამზადა მან ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის (ოცტომეული) პირველი ტომი და ამიტომაც პრინციპულად არ ეთანხმებოდა ტომის რედაქტორს, ბატონ აგი აბაშიძეს და პასუხისმგებელ მდივანს, ბატონ ზურაბ ჭუმბურიძეს, რომლებიც თავის მხრივ, ილიას ენის სწორებისას იმ არც თუ ნაკლებ სარწმუნო არგუმენტს იშველიებდნენ, რომ ილიას ოცტომეული 80 000 ტირაჟით გამოდიოდა (რა დრო იყო?!) და ამიტომაც მრავალათასიანი მკითხველისთვის, რომელთა 50% მაინც მაშინ ნამდვილად წასაკითხად ყიდულობდა წიგნს და არა თაროების დასამშვენებლად, ძნელი

ასახსნელი იყო, თუ რას ნიშნავდა კლასიკოსის შემოქმედებაში ასეთი ენობრივი სიჭრელე: მაგ.: ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ზოგან თ-ს, ზოგან დ-ს გამოყენება, მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი ხან „ნენ“ და ხან „ენ“ სუფიქსების ხმარება, ან სიტყვა „ბაშვი“ ბავშვის ნაცვლად, ან რატომ წერდა ილია სიტყვებს: სამეურნოე, დაფოლება, თაბაუთი, ერთბამად და სხვ. ორივე მხარეს თავისი ურყევი არგუმენტი ჰქონდა, ჭეშმარიტება კი მწერლის მხარეს იყო. ენერგია და ნერვები კი ბევრი დაიხარჯა მაშინ...

ქალბატონი რუსიკოს განსაკუთრებული სიარულის მანერა და ჩაცმის სტილი მახსენდება. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ შემოცქრიალდებოდა ხოლმე განყოფილებაში მსუბუქად, ჰაეროვნად, ძალიან თხელი, გამჭვირვალე წინდებით, ზამთაშიც კი, ჩექმა და ზამთრის ფეხსაცმელი არც მინახავს მის ფეხზე. ასე ელეგანტურად, თხელი პალტოთი და სიფრიფანა თავსაფრით, ხელში ოდნავ მოგრძო ყურებიანი ჩანთით, მსუბუქი ნაბიჯებით შემოვიდოდა ოთახში, ჩანთას დაუდევრად, ლამაზად მოიქნევდა და თავის მაგიდაზე დადებდა. მოგვესალმებოდა, თავსაფარს მოიხსნიდა და იწყებოდა მორიგი ახალი ისტორიის თხრობა. ასეთი იყო ყოველი დღე, საოცარ ამბებს ყვებოდნენ ეს ულამაზესი ქალბატონები. ოჯახებსაც რომ უვლიდნენ, შვილებს და მერე შვილიშვილებსაც ზრდიდნენ, აცხოვდნენ, რეცხავდნენ, კინო-თეატრებშიც დადიოდნენ, შეხვედრებსა და საღამოებზეც ასწრებდნენ მისვლას, რას არ გაიგებდი მათგან, რა ინფორმაციას არ მოისმენდი. ამ 15 წუთიანი ნიუსების შემდეგ კი . . . გრძელდებოდა საუბარი ტექსტოლოგიის პრინციპებზე და კლასიკოსთა ტომებზე. როგორ მიყვარდა მათი მოსმენა, როგორი ლამაზები, თბილები, მშობლიურები იყვნენ. როგორ მიქმნიდნენ თბილისში ჩამოსულ ახალგაზრდა გოგოს დროებით მოცილებული ოჯახის სიმყუდროვეს. როგორ მზრდიდა და მავითარებდა მათთან ყოფნა. მადლობა მათ ყველას, დღეგრძელობა ცოცხლებს, ნათელი დაადგეს გარდაცვლილთა სულებს.

განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ ახალგაზრდების მიმართ ქალბატონ რუსუდანსაც და სხვებსაც. არც კი მახსენდება მათი შენიშვნა ან მენტორული ტონი. გვესაუბრე-

ბოდნენ, როგორც თანასწორს და მშვიდად გვიხსნიდნენ, რა და როგორ უნდა გავგვეკეთებინა. იმ ცოდნასაც, სხვათაშორის, თავისთავად, თავიანთი მაგალითით გადმოგვცემდნენ და თან გვასწავლიდნენ ტექსტოლოგიის საფუძვლებს.

ქალბატონ რუსიკოს საოცარი იუმორი ჰქონდა, თითქოს შეუმჩნეველიც. არ მავინყდება, როცა განყოფილების სწავლული მდვივანი ვიყავი, მოვიდოდა ჩემს მაგიდასთან და სიყვარულნარევი ღიმილით მომმართავდა: „აბა, უფროსო!“ – მერე კი რალაცის გაკეთებას მთხოვდა, კი არ დამავალებდა.

დღემდე ვუმტკიცებ ელზა ზარდიაშვილს, ჩემს მეგობარსა და კოლეგას, მე უფრო ვუყვარდი-მეთქი, იმიტომ, რომ განსაკუთრებულ სიყვარულსა და სიტბოს ვგრძნობდი. თავისი ქალიშვილის გათხოვებაზე არ უზრუნია მგონი იმდენი, რამდენი ენერგიაც მე დამახარჯა. არ დამავინყდება, რამდენიმე „კანდიდატიც“ კი ჰყავდა ჩემთვის შერჩეული.

მასხოვს ერთ დღეს შენუხებული ჰყვებოდა, როგორი სიძვირე იყო ვაკეში სხვა უბნებთან შედარებით, შეხუმრებული ვიყავი და გავუთამამდი: იცით, თემქაზე ძალიან იაფია ყველაფერი და ბინას გაგიცვლით-მეთქი. დამთანხმდა, და რომ არა მისი ქალიშვილი, „ვითომ ჩემი მეგობარი“, ახლა მრგვალ ბალთან ვიცხოვრებდი. ეს ისე, ხუმრობით.

ერთი გამორჩეული თვისებაც ჰქონდა ქალბატონ რუსიკოს – სხვისი შრომის შეფასებისა და დაფასების იშვიათი უნარი. სხვათა შორის, ამ მხარდაჭერას ყველასგან ვგრძნობდით. უფროსი თაობის წარმომადგენლები ყოველთვის ინტერესით გვისმენდნენ და კითხულობდნენ ჩვენს ნაშრომებს. მისხალ მიგნებასაც კი არ დაგვიკარგავდნენ, ამის მაგალითს ყველა მათგანი გვაძლევდა.

აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური ოცტომეულის პირველი ნაწილის (1-10 ტომები) პროექტში, რომელიც რუსთაველის ფონდში წარვადგინეთ და კონკურსშიც გავიმარჯვეთ, ქალბატონ რუსუდანს აკაკის მეორე ტომის მომზადება დაევალა. აკაკის თხზულებების გამოცემა 90-იან წლებშიც დაიწყო, მაგრამ ეს გამოცემა პირველი ტომის შემდეგ მალევე შეწყდა. მეორე ტომი მაშინ ქალბატონი ცისანა ყიფშიძის მომზადებული იყო და რუსუდანმაც იმედინად მოჰკიდა ხელი უკვე გარდაცვლი-

ლი გამოცდილი კოლეგის ტომს გადასამუშავებლად. მახსოვს, თავადაც საკმაოდ ბევრი იშრომა, მოიპოვა, შეავსო და დააზუსტა ტექსტებიც, მაგრამ როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ თავის დროზე, ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავებში არსებული რემონტის გამო, ქალბატონმა ცისანამ აკაკის არქივში დაცული ნაწერების ყველა ავტოგრაფის შეტანა ვერ მოასწრო ტომში. ამიტომაც ქალბატონ რუსუდანს კატორღული შრომა დასჭირდა, რომ აკაკის მეორე ტომი ისეთი გამოსულიყო, როგორც არის. ღამეებს ვათენებ ფიქრშიო, – მეუბნებოდა ხოლმე...

ერთი დიდებული თვისებაც გამოარჩევდა ქალბატონ რუსუდანს. ინიციატორი და საქმის ბოლომდე მიმყოლი იყო. განყოფილების ერთ-ერთ სხდომაზე გამოვიდა წინადადებით – ტექსტოლოგიის სახელმძღვანელო არ გვაქვს, ჩვენი კრებულები მოძველდა, მას შემდეგ რამდენი ახალი გამოცემა მოვამზადეთ, რამდენი გამოცდილება დაგროვდა, ახალგაზრდებსაც აქვთ სათქმელი, ამიტომ დროა, რომ ტექსტოლოგიის სახელმძღვანელო გამოვცეთ, მასალა გავინაწილოთ და უნდა მოვასწოროთ, სანამ ცოცხლები ვართო. ორი-სამი თანამშრომელი (ლევან ჭრელშვილი, თემურ ჩავლეიშილი. . .) გვაკლდა მხოლოდ, მათი წერილები გადავინაწილეთ და შევუდექით სახელმძღვანელოს მზადებას. მაგრამ მაშინ არც თუ ისე მარტივი იყო წიგნის გამოცემა. ქალბატონმა რუსიკომ ეს პრობლემაც მოაგვარა, თავად იპოვა გამომცემელი, მოელაპარაკა მისაღებ თანხაზე, რაც შემდეგ გაანაწილა ავტორებზე, თვეებზე და ყოველ ხელფასზე თავისი მწვანე-ყდიანი, 12 ფურცლიანი რვეულით დაგვადგებოდა და სამ-სამ ლარს გვართმევდა ხოლმე. არ მახსოვს, რამდენ ხანში შეაგროვა წიგნის გამოსაცემი თანხა. ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ თუ არა მისი ამგვარი დაჟინება და მონდომება, თანმიმდევრულობა და საქმისადმი დამოკიდებულება, შესაძლოა ამ წიგნს დღის სინათლე ვერც ეხილა. მეტიც, ვერც გამოსაცემად მომზადებულიყო, რადგან ყოველდღე გვახსენებდა, რომ სახელმძღვანელოსთვის წერილები მოგვემზადებინა და მერე კი თავად გულდასმით კითხულობდა და ასწორებდა მათ. ჩემს არქივში დღემდე შენახული მაქვს მის მიერ რედაქტირებული ჩემი ორი წერილი.

დიახ, სწორედ, რუსუდან კუსრაშვილის ინიციატივითა და რუდუნებით მოგროვილი თანხით 2006 წელს ზურაბ ჭუმბურიძის თანარედაქტორობით გამოიცა სახელმძღვანელო „ქართული ტექსტოლოგია“ – 320 გვერდი, 60 ეგზემპლარი. ტირაჟის დიდი ნაწილი თანაბრად გაგვინაწილა ავტორებს. ეს წიგნი დღეს უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

მახსოვს, როგორ იხსენებდა განყოფილებაში გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური 12 ტომეულის მზადების პერიპეტიებს. როგორ მოდიოდა თურმე გალაკტიონი ინსტიტუტში და საუბრობდა თავისი გამოცემის შესახებ. კარადაც კი ჰქონდა შერჩეული, რომელშიც მისი ტომები უნდა დაეღაცებინათ. ქალბატონი რუსუდანი იმასაც იხსენებდა, პოეტის გარდაცვალების შემდეგ როგორ გადასცეს ტომრებში ჩაწყობილი და უშიშროების მიერ გადარჩეული არქივი განყოფილებას, რა სირთულეებს აწყდებოდნენ დაცალკევებული და დაჭრილი ტექსტების ძიებისას, როგორ ამოაღებინა ცენზურამ უკვე გამზადებული ტომებიდან საკმოდ ბევრი ლექსი.

რუსუდან კუსრაშვილის მიერ გამოცემული კლასიკოსთა ტომები სპეციალისტებისთვის დღესაც სამაგიდო წიგნებია და აქტუალობას არ კარგავს. იშვიათი გამოცემებია „იოსებ გრიშაშვილის ქალაქური ლექსიკონი“, „დავით გურამიშვილის „დავით თიანის“ სიმფონია-ლექსიკონი“ და სხვ.

რუსუდან კუსრაშვილმა ნამდვილად დიდი ღვაწლი დასდო ქართული ტექსტოლოგიის განვითარებას, არა ერთი კლასიკოსის თხზულებების ტომი მოამზადა, რომელთაგან ზოგმა დღემდე ვერც იხილა დღის სინათლე.

არაჩვეულებრივი გემოვნებითა და სიზუსტით ამზადებდა ყველა ტომს, ყველა წერილს. ნათელი დაადგეს მის სულს. არასდროს მოჰკლებია ქალბატონ რუსუდანს ოჯახის თანადგომა. დღეგრძელობა მის შესანიშნავ მეუღლეს, გამორჩეულად პირუთვნელ მეცნიერს, არმენოლოგს, ბატონ ბონდო არველაძეს, რომელიც დღესაც აქტიურ და ნაყოფიერ სამეცნიერო და პუბლიცისტურ საქმიანობას ეწევა. ღირსეულად აგრძელებს დედის ნათელ კვალს მისი ქალიშვილი, საიმედო ტექსტოლოგი, ჩვენი მეგობარი მაია არველაძე, წარმატებები მას.

## საოჯახო არქივები

### რუსუდან კუსრაშვილის საოჯახო არქივიდან

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში გასული საუკუნის 60-იან წლებში მუხლჩაუხრელი მუშაობა მიმდინარეობდა ქართველი კლასიკოსების აკადემიურ გამოცემებზე. ერთ-ერთი მწერალი გახლდათ ვასილ ბარნოვი, რომლის თხზულებათა ათტომეული განყოფილებამ მოამზადა და გამოსცა 1961-1964 წწ. რუსუდან კუსრაშვილმა იმუშავა ამ კლასიკოსის II, III, IV, V და X ტომებზე. როდესაც რ. კუსრაშვილის ბიბლიოგრაფიის შედგენა და სამეცნიერო მასალების მოძიება დავიწყე, ოჯახის პირად არქივში წავაწყდი ერთ საინტერესო ფურცელს: მარცხენა მხარეს ვ. ბარნოვის კარიკატურით, ფურცელზე წერია ლიტერატურის ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების თანამშრომლის ნოდარ ალანიას 12-სტროფიანი ლექსი „ხმა სამარიდან“, მიძღვნილი რუსუდან კუსრაშვილისადმი. საინტერესო ის ფაქტია, რომ ნ. ალანიამ ლექსი რუსუდანს ვასილ ბარნოვის სახელით დაუწერა და ბარნოვის გვარით მოაწერა ხელი. ფურცლის ზედა მარჯვენა მხარეს რ. კუსრაშვილის შენიშვნაა: „მისახსოვრა ნ. ალანიამ“.

ლექსს აქვს წინათქმა: „რუსუდან კუსრაშვილს ... „ცნობილია, თუ რა დიდი გულისყურით ეკიდებოდა თავის ნაწარმოებთა პუბლიკაციას და რა აქტიურ მონაწილეობას იღებდა მათ გამოცემაში ვ. ბარნოვი... (მიუხედავად ამისა, მწერალი ხშირად საყვედურობდა გამომცემლებს ტექსტების დამახინჯებით გამოქვეყნებას)“. რ. კუსრაშვილის შენიშვნებიდან. იხ. ვ. ბარნოვი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1961., გვ. 475“.

ლექსი შინაარსით იუმორისტული ხასიათისაა და მისი გამოქვეყნება იმიტომ გადავწყვიტე, რომ მასში ნახსენებია 60-იან წლებში ინსტიტუტის თანამშრომლები და ერთგვარად ისმის მაშინდელი სამეცნიერო ცხოვრების გულისცემა: სოლომონი – სოლომონ ყუბანეიშვილი, ტექსტოლოგიის განყოფილების სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი წლების განმავლობაში;

ლევანი – ლევან ქრელაშვილი, ტექსტოლოგიის განყოფილების მეცნიერ-მკვლევარი და სწავლული მდივანი; იუზა – იოსებ ლორთქიფანიძე, ერთ-ერთი პირველი ტექსტოლოგ-თანამშრომელი განყოფილებაში; ლეილა – ლეილა სანაძე, ტექსტოლოგი, იმდროინდელი საბჭოთა ნომენკლატურის პირობებში განყოფილებას აუცილებლად უნდა ჰყოლოდა პარტიული ნიშნით აქტიური წევრი; გოგლა – გიორგი ლეონიძე, პოეტი, ლიტ. ინსტიტუტის დირექტორი 1957-1966 წწ.; კოლა – ნიკოლოზ კილანავა, ტექსტოლოგიის განყოფილების თანამშრომელი; შერმანდინი – შერმანდინ ონიანი, ლიტ. ინსტიტუტის თანამშრომელი; ამბერკი – ამბერკი გაჩეჩილაძე – ლიტ. ინსტიტუტის თანამშრომელი; ვაჰან ტერიანი – სომეხი მწერალი, რომლის შემოქმედებაზე მუშაობდა რუსუდანის მეუღლე ბონდო არველაძე; მერკვილაძე – გიორგი, ლიტ. ინსტიტუტის თანამშრომელი; ნოდარი – ნოდარ ალანია, ლიტ. ინსტიტუტის თანამშრომელი.

ლექსის ბოლოს ნ. ალანიას ხელით მინაწერია: „ტექსტი ჩანერა ნოდარ ალანიამ, 1965. XI“.

*მაია არველაძე*

\* \* \*

გთავაზობთ ლექსის სრულ ტექსტსა და ფოტოს:

„შენ, ჩემო გამომცემელო,  
გლოცავ სურვილთა ტარებით,  
თუმცა ტომები გამივსე  
„უნიჭო კომენტარებით“.

შენს სიყვარულზე ჩემს ლანდსაც  
უძღვნია ლხენის თაყვანი.  
დამილოცნიხარ... დე, ტრფობა  
დაირწეს როგორც აკვანი.

შენ, სოლომონის იმედო,  
მოგართვი ლოცვის წერილი,

თუმც ლევანივით არა ვარ  
სამდივნოდ ყელმოღერილი.

თუმცა ჯერ, როგორც იუზამ,  
მეც ვერ ვისწავლე ქართული  
და არც ლეილასავით ვარ  
პარტიის საქმით გართული.

იცოდე, ჩემსა სიხარულს  
ქვეყნად ტოლი არ ჰყოლია.  
შენ გმფარველობდეს მზის შუქი,  
ისე ვით გოგლა კოლიას.

თუმცა დასეტყვე მრავალი,  
ვითარც ნესტანმა ტარია.  
„ლელოს“ ავტორის ცხოვრება  
ხომ შენმა ტრფობამ არია.

სიცოცხლე მონყურებულსა  
უხლართე მახე ნაგები.  
ან სამტირალოდ უბოძე  
შერმადინს „ვანის ქვაბები“.

მაინც ხარ გულის იმედი,  
ტექსტოლოგიის ასული  
და დირექციის ალერსით  
ყელამდე შემოგარსული.

ვიცი, რა შენი ნიჭი და,  
რადგანაც ღმერთმა ინება  
მალე სომხურად დაენცოს  
შენს ბაჭარჭყალებს გინება.


შენდამი მუხლებ მოდრეკით  
სათხოვარი მაქვს ამ ერთის –



# ბაბ ავადობას

## დასუფრანს ქონასვეფოს

...ცნობილია, თუ რა ედონ ბაბისუფრანთ მხედობებს თავის ცნახობაშია მარხობასის და რა ახადარ ზონადობებს იცობება პირ ბამოხაპირი ა.ბაბოლი... (ბიბლესაჲჲ ადობა, პეპირსერი სიგნის მარხობასი ბამოხაპირის მარხობის დაგისობებით ბამოხაპირებს).  
რ.პასკვილიის ზონადობების. თ.ბ.ბაბოლი, თხზულება, კ. II, თბ. 1961წ., გვ. 475.



ქუე, რეპო კამომქემელი,  
კომიპე სურვილით ცარებით,  
ოტყეა კომები ვამოვსე  
რუნეო კომენყარებით

ქუე სიყვარულე რეუ დანსაჲ  
უძენია ღვინს იტყენი.  
დამოლოწყინობი... ე.ე. გრდობა  
დაიხსეს რეოტყეა ჟეანი.

ქუე, სოლოძინის იმეო,  
მეზარეო ლოყვის წერილი,  
ოტყეა ლადრეოთი ანუ ვარ  
სამდეგორე აუდოლოდრეოლი.

ოტყეა ვარ, რეოტყეა იუქემ,  
ქუე ვარ ვინდოლო ქარული  
და ანუ დარხასეოთი ვარ  
პახეიის სეფითი გაროული.

ოტყეა, რემბა სობარულს  
ქვენდე ცოლი ან ჰელია.  
ქუე მემარეოლოდებს შობს შვიდი,  
ასე ვით გოვლო ქოლიას.

ოტყეა დახობეო მხადელი,  
კომიარე წახედაი ცარია.  
რადელს! ნუთონის ცხოვრება  
სომ შუეზა დროობაჲ იჩიბ.

ბამოხეა მონყარებულს  
ახლარეო მახა ნუგეში.  
ას სემბინოლოდ უმომე  
ზურბდეს „პარის ქვეზებნი“

მეონე სარ ველის იმეო,  
ბახელოდობის დასული  
და დარბოლის დარბინით  
უხადემო მემოვარსული.

ზოიე, რა შუნი სეტი და,  
რადანეჲ დურხომე იტყება  
შეო სომხონდე დარხელს  
შენს ბამოხეალებს გარხება.

შენდები მუხლზე მდგრადი  
სინოვარი მუტის ამ გრითის-  
ბადრების დარეობებში  
შადრებ, მამბო სამჭეკის.

წანილიდარი! შენს დამობს  
დადამელი დამებს მდგრადის  
და ამ სინოვარს დახრობებს  
სადრადები ვინცე ცეროანს.

ოტყეა, ვარ, რეოტყეა!  
მეძუე ველის სინოვარი.  
ას მემარეოლოდებს ჩიბ და  
წიხარის დარეო მადრეოთი.

ბიბლეს  
კომიარე  
(ბათონი რადრეს რადრეო 1965 XI.)

ბალნების გაკეთებაში  
გვედრებ, ნაბაძე ამბერკის.

ნანინანატრო! შენს ღიმილს  
გადავშლი წამებს მტვერიანს  
და ამ სიხარულს ვაცნობებ  
საფლავში ვაჰან ტერიანს.

იცოცხლე, ჯვარი გენეროს!  
გეაჯი გულის ხმიადით.  
ან მერკვილაძეს ჩაი და  
ნოდარის ღვინო მიართვი“.



ბონდო არველაძე,  
რუსუდან კუსრაშვილი,  
ნოდარ ალანია



ტექსტოლოგიის განყოფილება, 1971 წლის ნოემბერი  
პირველი რიგი (ზემოდან): ნიკოლოზ (კოლია) კილანავა,  
რუსუდან კუსრაშვილი, ლეილა სანაძე, ლამარა გვარამაძე,  
ლამარა შავგულიძე, მადონა ნიჟარაძე (ასპირანტი)  
მეორე რიგი: ცისანა ყიფშიძე, ლუბა მეფარიშვილი,  
სოლომონ ყუბანიშვილი, ეთერ შარაშენიძე.  
მესამე რიგი: თეიმურაზ ჩავლეიშვილი, იზა დობორჯგინიძე,  
ლევან ქრელაშვილი



### 1983 წლის ივნისი

სხედან (მარცხნიდან): ლია ანდლულაძე, რიმა ფირცხალაიშვილი, ნაილი გუჩუა, ბელა ბალხაიშვილი, მარინა ციცაბაძე, დავით ლაშქარაძე, ნელი ლეფუავა, დგანან (მარცხნიდან): მარინე (ტუია) ჭყონია, როდამ ზანდუკელი, დარეჯან დანელია, ნესტან სულავა, შერმადინ ონიანი, აკაკი ხინთიბიძე, ლეილა სანაძე, რუსუდან კუსრაშვილი, მაგული ნატრაშვილი, იზა ნაქაძე, სვეტლანა კოშუტი, ცისანა ყიფშიძე



1965 წლის მარტი, ჯულიეტა ვაშაყმაძე, რუსუდან კუსრაშვილი, იუზა ლორთქიფანიძე



1969 წელი, რუსუდან კუსრაშვილი, ლამარა მეგრელიშვილი

# რუსუდან კუსრაშვილის სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია

## მონოგრაფიები:

1. *ქალი და რელიგია*, თბ., „ცოდნა“, 1960, 33 გვ.
2. *ი. გრიშაშვილის პოეტური სამყარო* (თანაავტორი ბ. არველაძე), „საბჭოთა საქართველო“, 1976, 93 გვ.
3. *როგორ იწერებოდა ლექსი*, თბ., „მერანი“, 1987, 142 გვ.
4. *როგორ მუშაობდა გალაკტიონი*, თბ., „მეცნიერება“, 1988, 70 გვ.
5. *იოსებ გრიშაშვილი, „ქალაქური ლექსიკონი“* (მეცნიერული გამოცემა), თბ., „სამშობლო“, 1997, 303 გვ.
6. *დავით გურამიშვილის ენა და ლექსიკა* (1956 წელს დაცული სადისერტაციო ნაშრომი შევსებული რედაქციით), თბ., 2000, 83 გვ.
7. *„დავითიანის“ სიმფონია ლექსიკონი* (მეცნიერული გამოცემა), თბ., „ცოდნა“, 2005, 299 გვ.

## თარგმნილი:

ალან მარშალი, *„მე შემიძლია გუბეზე გადახტომა“*, თბ., „ნაკადული“, 1974, 257 გვ.

## ჟურნალებსა და კრებულებში დაბეჭდილი სტატიები:

1. *კომპოზიტები ვეფხისტყაოსანში*, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 1952, № 3
2. *ჩვენებითი ნაცვალსახელების ფუნქციები ძველ ქართულში*, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 1955, ტ. 7
3. *ს. ხუნდაძე როგორც რედაქტორ-გამომცემელი*, ჟ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1961, № 13, გვ. 387-400
4. *ვ. ბარნოვის თხზულებათა პუბლიკაციის შესახებ*, ჟ. „ცის-198

- კარი“, 1961, № 11, გვ. 109-111
5. *ვაჟას ერთი ჰონორარის ისტორია*, ვაჟა-ფშაველას საიუბილეო კრებული, 1961, გვ. 203-208
  6. *ტექსტოლოგიური დაკვირვებანი ვასილ ბარნოვის შემოქმედებით პროცესზე*, ჟ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1963, № 14, გვ. 353-362
  7. *გალაკტიონი და მუსიკა*, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 4, გვ. 25-31
  8. *გალაკტიონი შემოქმედისა და შემოქმედების შესახებ*, ჟ. „მნათობი“, 1969, № 6, გვ. 152-156
  9. *ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროები*, კრ. „ტექსტოლოგიის საკითხები“, 1970, № 1, გვ. 47-62
  10. *ქართული ენის სინმინდისათვის მებრძოლი*, ჟ. „ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1970, № 4, გვ. 37-44
  11. *ი. გრიშაშვილი (რედაქტორ-გამომცემელი)*, კრ. „ტექსტოლოგიის საკითხები“, 1971, № 2, გვ. 46-78
  12. *ტექსტოლოგიური შენიშვნები ი. ლორთქიფანიძის გ. ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიურ საკითხებზე*, კრ. „ტექსტოლოგიის საკითხები“, 1971, № 2, გვ. 165-180
  13. *თხზულებათა განლაგება აკადემიურ გამოცემაში*, კრ. „ტექსტოლოგიის საკითხები“, 1971, № 3, გვ. 123-137
  14. *პოეტის არქივიდან*, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1971, № 9, გვ. 86-88
  15. *ი. გრიშაშვილის პოეზიის შემოქმედებითი ლაბორატორიიდან*, ჟ. „მაცნე“, 1973, № 3, გვ. 39-55
  16. *ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროები (შევსებული რედაქცია)*, კრ. „ტექსტოლოგიის საკითხები“, 1974, № 1, გვ. 57-82
  17. *ი. გრიშაშვილის ზოგიერთი ლექსის დათარიღებისათვის*, კრ. „ტექსტოლოგიის საკითხები“, 1974, № 4, გვ. 45-65
  18. *ტექსტოლოგიური დაკვირვებები ი. გრიშაშვილის პოეტურ შემოქმედებაზე*, კრ. „ტექსტოლოგიის საკითხები“, 1976, № 5, გვ. 3-31
  19. *ეგნატე ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ ტექსტის ისტორიისათვის*, კრ. „ტექსტოლოგიური ეტიუდები“, 1977, № 6, გვ. 137-144

20. როგორ შეიქმნა „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“, კრ. „ტექსტოლოგიური წერილები“, 1978, № 7, გვ. 33-38
21. ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროები (ახალი შევსებული რედაქცია), კრ. „ტექსტოლოგიის საფუძვლები“, 1980, გვ. 90-126
22. დავით გურამიშვილის ენის თავისებურებანი, უ. „მაცნე“, 1980, № 3, გვ. 96-109
23. ზოგიერთი საკითხი ი. ჭავჭავაძის პოეტური ნაწარმოების დათარიღების შესახებ, უ. „მაცნე“, 1982, № 2, გვ. 49-55
24. თხზულებათა განლაგება აკადემიურ გამოცემაში (განახლებული რედაქციით), კრ. „ტექსტოლოგიის საფუძვლები“, 1983, № 2, გვ. 3-17.
25. ილიას პოეტურ თხზულებათა ტექსტების დასაზუსტებლად, უ. „კრიტიკა“, 1984, № 3, გვ. 104-118
26. „ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“ (ოთარ დემეტრაშვილის ნაწარმოებების განხილვა), უ. „კრიტიკა“, 1986, № 4, გვ. 163-176
27. „მწერალი რომ თავის სიმალლეზე იდგეს“ (მიხ. ჯავახიშვილის ნაზრევის მიხედვით), უ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1987, № 16, გვ. 112-119
28. აკაკი ბაქრაძის „სულის ზრდა“, უ. „კრიტიკა“, 1987, № 4, გვ. 63-79
29. „საქმემან შენმან...“ (თანაავტორი ბ. არველაძე), უ. „მაცნე“, 1989, № 2, გვ. 153-157
30. შოთა ნიშნიანიძის პოეტური ძალა, უ. „კრიტიკა“, 1989, № 6, გვ. 11-15
31. „ვისაც საქართველო უყვარს, გამოდით“ (ლილი ნუცუბიძის პოეზია), უ. „განთიადი“, 1993, № 5-6, გვ. 172-175
32. არჩილ სულაკაური - პოეტი (ანალიზი), ალმ. „კლდეკარი“, 1997, № 1, გვ. 190-205
33. მწერლის ნება შეუვალია, უ. „ცისკარი“, 1997, № 8, გვ. 110-114
34. „ვეფხისტყაოსნის“ პავლე ინგოროყვასეული გამოცემები (ტექსტოლოგიური ანალიზი), უ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1999, № 20, გვ. 336-344



35. *მის. ჯავახიშვილი და ახალი სალიტერატურო ქართული*, უ. „ლიტერატურული ძიებანი“, 2002, № 23, გვ. 332-338
36. *როგორ ვმუშაობდით გალაკტიონის არქივზე*, უ. „გალაკტიონოლოგია“, 2002, № 1, გვ. 212-214
37. *კომპოზიტები „ვეფხისტყაოსანში“*, უ. „რუსთველოლოგია“, 2004, № 3, გვ. 66-79
38. *გალაკტიონის ლექსთან პირისპირ (პასუხად ბ-ნ აკაკი ხინთიბიძეს)*, უ. „გალაკტიონოლოგია“, 2004, № 3, გვ. 281-286
39. *ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროები აკადემიურ გამოცემებში, კრებ.-სახ. „ქართული ტექსტოლოგია“, 2006, გვ. 57-82*
40. *თხზულებათა განლაგება აკადემიურ გამოცემაში (ახალი შევსებული რედაქციით), კრებ.-სახ. „ქართული ტექსტოლოგია“, 2006, გვ. 173-188*
41. *ილიას ზოგიერთი ლექსის აკადემიური ტექსტის დადგენისათვის*, უ. „მნიგნობარი“, 2007, გვ. 53-61
42. *ილიას ტექსტის დათარიღებისათვის*, უ. „მნათობი“, 2007, № 2, გვ. 90-95
43. *პოემა „აჩრდილის“ შემოქმედებითი ისტორიისათვის*, უ. „ლიტერატურული ძიებანი“, 2007, № 28, გვ. 145-150
44. *ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი პორტრეტი*, კრ. „ახალი ათასწლეული“, 2007, გვ. 5-8

**გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები:**

1. *აუცილებელი განმარტება* (თანაავტორები: ლ. მეფარიშვილი, ი. ლორთქიფანიძე), გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1969, № 14 (4 პრილი)
2. *მკითხველის შენიშვნების გამო*, გაზ. „წიგნის სამყარო“, 1969, № 4 (25 თებერვალი)
3. *ენა მწერლის ბალავარია*, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1971, № 32
4. *გალაკტიონის ერთი უსათაურო ლექსის გამო*, გაზ. „წიგნის სამყარო“, 1976, № 23 (3 დეკემბერი)
5. *„სიყვარულს უშენებია“ (დიდი ილიას ერთი ლექსის გამო)*,

გაზ. „თბილისი“, 1985, № 7 (9 იანვარი)

**6. ლექსიკონი ელის გამოცემას,** გაზ. „თბილისი“, 1985, № 270 (26 ნოემბერი)

**7. მისი პირველი ლექსი,** გაზ. „თბილისი“, 1986, № 275 (1 დეკემბერი)

**8. ენაც ისტორიაა,** გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987, № 25 (19 ივნისი)

**9. დიდი ილიას მაგალითზე,** გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987, № 32 (7 აგვისტო)

**10. დროული შეძახილი,** „თბილისი“, 1988, № 225 (30 სექტემბერი)

**11. გულისწყრომა** (თანაავტორები: ბ. არველაძე, ბ. დარჩია, გ. ჭოხონელიძე), გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, № 48 (25 ნოემბერი)

**12. სად გაფრინდა შავი მერცხალი,** გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, № 10 (10 მარტი)

**13. ღირსეული შვილი (ქეთევან ჯავახიშვილი),** გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, № 23 (9 ივნისი)

**14. და მინც, ზოგჯერ თქმა სჯობს (ქართული ენის შესახებ),** გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, № 51 (22 დეკემბერი)

**15. მიწიერი სასწაული (ნანა კანდელაკის ერთი რომანის გამო),** გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1990, № 21 (18 თებერვალი)

**16. სად არის ამ შეცდომის სათავე (შენიშვნები ს. სიგუასადმი ტექსტოლოგიურ წერილზე),** გაზ. „თბილისი“, 1990, № 159 (13 ივლისი)

**17. „დაუბეჭდავი ლექსები“,** გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1994, № 17 (22 აპრილი)

**18. რედაქტორმა აგოს პასუხი,** გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1996, №2 (19 იანვარი)

**19. თანამედროვე ქართულის განმარტებითი ლექსიკონი,** გაზ. „სალიტერატურო გაზეთი“, 1997, №15 (34)

**20. ი. გრიშაშვილის უცნობი ლექსიკონი,** გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1998, № 24 (19 ივნისი)

**21. ი. გრიშაშვილის პოეტური ადრესატები,** გაზ. „კალმასობა“, 1998, № 6 (19)

22. ნანა კანდელაკის კიდევ ერთი რომანი (რეცენზია), გაზ. „კალმასობა“, 1998, № 13 (26)

23. ტექსტოლოგის დაკვირვებანი, გაზ. „კალმასობა“, 2000, № 5 (42)

24. რა გქვია შენ?! გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002, № 303 (14 დეკემბერი); გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2002, № 50 (19 დეკემბერი)

25. მეტი ყურადღება გვმართებს (გ. ლეონიძის ტომეულების შესახებ), გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2003, № 21 (29 მაისი)

26. არასოდეს ქართულ ენას ესოდენი ხიფათი არ მისდგომია (მ. ჯავახიშვილი და ახალი სალიტერატურო ქართული), გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2003, №30 (31 ივლისი)

27. მხოლოდრეპლიკა (გ. ტაბიძის თხზულებათა გამოცემასთან დაკავშირებით) (თანაავტორები: ლ. მეგრელიშვილი, ლ. სანაძე), გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2004, № 27 (15 ივლისი)

28. მეტი ყურადღება გვმართებს (გ. ლეონიძის ათტომეულის მეცნიერული გამოცემის გამო), გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2004, № 2 (29 მაისი)

29. თანამედროვე ქართული ენის პრობლემები, გაზ. „მწერლის გაზეთი“, 2008, № 5 (1-15 ნოემბერი)

30. პოეტი ლირიკოსი, გაზ. „მწერლის გაზეთი“, 2007, № 15 (5 ივლისი)

## აკადემიური გამოცემების შემდგენელი:

### გამოქვეყნებული:

1. ვასილ ბარნოვი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, II ტომი, თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1961, 550 გვ.
2. ვასილ ბარნოვი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, III ტომი, თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1961, 564 გვ.
3. ვასილ ბარნოვი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, IV ტომი, თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1961, 412 გვ.
4. ვასილ ბარნოვის რომანები, „ჩვენი საუნჯე“, XV ტომი, თბ.,

- „ნაკადული“, 1961, 699 გვ.
5. **ვასილ ბარნოვი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად**, V ტომი, თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1962, 484 გვ.
  6. **ვასილ ბარნოვი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად**, X ტომი, თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964, 516 გვ.
  7. **გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად**, VI ტომი, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1968, 562 გვ.
  8. **გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად**, VII ტომი (თანაშემდგენელი ი. ლორთქიფანიძე), თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1972, 355 გვ.
  9. **მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი**, VI ტომი, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1980, 292 გვ.
  10. **იოსებ გრიშაშვილი, თხზულებანი ხუთ ტომად**, I ტომი (თანაშემდგენელი ლ. მეგრელიშვილი), თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1980, 332 გვ.
  11. **ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად**, I ტომი, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1987, 544 გვ.; პარიზი, „ქართული წიგნი“, 1989, 593 გვ.
  12. **ტიციან ტაბიძე, საიუბილეო რჩეული** (თანაშემდგენელი ი. დობორჯგინიძე), თბ., „მერანი“, 1985, 671 გვ.
  13. **მიხეილ ჯავახიშვილი, წერილები** (აკადემიური გამოცემა), თბ., გ.გ., 2001, 948 გვ.
  14. **ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად**, XVIII ტომი (თანაშემდგენლები: ნ. კოტინოვი, ე. ზარდიაშვილი), 2009, თბ., „ილიას ფონდი“, 2009, 424 გვ.
  15. **აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად**, II ტომი (თანაშემდგენლები: ჯ. გაბოძე, ც. ყიფშიძე), თბ., „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2011, 584 გვ.

### გამოუქვეყნებელი:

1. **ეგნატე ნინოშვილი**, ტ. I
2. **ეგნატე ნინოშვილი**, ტ. II
3. **გიორგი წერეთელი**, ტ. I

4. *ანასტასია ერისთავ-ხოშტარია*, ტ. I
5. *ტიციან ტაბიძე*, პროზა, ტ. II
6. *გიორგი ლეონიძე*, ტ. II
7. *გიორგი ლეონიძე* (თანაავტორი ც. ყიფშიძე), ტ. IV
8. *პოლიკარპე კაკაბაძე*, ტ. I
9. *შოთა ნიშნიანიძე*, ტ. II

**სამეცნიერო კონფერენციებზე ნაკითხული მოხსენებები:**

1. *სახელის თავისებურებანი დ. გურამიშვილის ენაში*, თსუ ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა მე-5 სამეცნიერო კონფერენცია, 1964

2. *როგორ მუშაობდა ი. გრიშაშვილი ლექსის დასათაურებზე*, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, 1974

3. *ლექსის „წუთისოფელი ასეა“ ავტორის დადგენის გამო*, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის 25-ე სამეცნიერო კონფერენცია, 1980 (წერილი დაიბეჭდა გაზ. „თბილისში“ (1985, №7) სათაურით „სიყვარულს უშენებია“)

4. *მიხ. ჯავახიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან*, შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის მე-16 სამეცნიერო კონფერენცია, 1981

5. *გალაკტიონის ლექსი „უძილო ღამეები“*, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის 27-ე სამეცნიერო კონფერენცია, 1982

6. *ფოლკლორული ნიმუშები ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“*, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის 26-ე სამეცნიერო რესპუბლიკური კონფერენცია, 1996

**რედაქტორი:**

1. *ილია ჭავჭავაძე*, *თხზულებათა სრული კრებული ოცტომად*, ტ. IX, თბ., „ილიას ფონდი“, 2006, 755 გვ.

2. *„ქართული ტექსტოლოგია“*, *კრებული-სახელმძღვანელო*

(თანარედაქტორი ზ. ქუმბურიძე), თბ., გ.გ., 2006, 319 გვ.

3. *ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოცტომად*, ტ. XII, თბ., „ილიას ფონდი“, 2007, 318 გვ.

#### ინტერვიუები:

1. *ვინ უქმნიდა ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის სიყვარულს წინააღმდეგობას და როგორ გაიმარჯვა დიდმა სიყვარულმა* (ჩაინერა ეკა სალაღაიამ), ჟ. „თბილისელები“, 2010, №25 (21-27 ივლისი), გვ. 24.

2. *როდის შექმნა იოსებ გრიშაშვილმა ოჯახი და რატომ იყოს მაინც მარტო* (ჩაინერა ეკა სალაღაიამ), ჟ. „თბილისელები“, 2010, №37 (13-19 სექტემბერი), გვ. 20.

#### სხვა:

1. *ქართული პოეზია აღმანახ „განთიადის“ ფურცლებზე 1896-1988 წლებში*, მოხსენება წაკითხულ იქნა 1990 წლის 11 მაისს (16:00 სთ.) მწერალთა სასახლეში პროზის სექციიანზე


2. *გალაკტიონ ტაბიძე და მუსიკა*, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, 1973, 23 ოქტომბერი, 21:15 სთ.

3. *იოსებ გრიშაშვილი*, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, 1977, 10 სექტემბერი

*შეადგინა მაია არველაძემ*



გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47

 239-15-22

E-mail: [meridiani777@gmail.com](mailto:meridiani777@gmail.com)